

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, # 7

საოჯახო
და
მემკვიდრეობის სამართალი

I. საოჯახო სამართალი

1. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება
2. მეუღლეთა თანასაკუთრება
3. არასრულწლოვანი შვილების ინტერესის გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას
4. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი
5. დაუქორწინებელი მშობლისაგან შვილის წარმოშობის დადგენა
6. არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება
7. ალიმენტი

II. მემკვიდრეობის სამართალი

8. უღირს მემკვიდრედ ცნობა
9. სამკვიდრო ქონება
 - მემკვიდრედ ცნობა
 - სამკვიდროს მასა
10. სავალდებულო წილი
11. სამკვიდროს მიღება
 - სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით
 - სამკვიდროს მიღების ვადა (ვადის გაგრძელება)
12. სამკვიდროს გაყოფა

I. საოჯახო სამართალი

1. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება

განჩინება

#ას-297-280-2010

14 ივნისი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ნიშნობის საჩუქრის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. და ე. კ-ოვების მიმართ ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის -საოჯახო ავეჯის დაბრუნების ან მისი ღირებულების -14400 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 21 ივლისს გ. კ-ოვა დაინიშნა ე. კ-ოვზე. ნიშნობის საჩუქრად მოსარჩელის ბებიაშ -ზ. კ-ოვამ 14 400 ლარად ქ. თბილისში, ავეჯის მაღაზიაში, შეიძინა საოჯახო ავეჯის კომპლექტი, რომელიც განათავსეს ქ. მარნეულში, სოფელ ... ქუჩის მესამე ჩიხის #3 მოპასუხეთა კუთვნილ სახლში. დანიშნულები არ დაქორწინებულან და მოსარჩელე ქორწინებაში იმყოფება სხვა პირთან. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხებმა ნიშნობის ზემოხსენებული საჩუქარი არ დაუბრუნეს.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის ბებიის სარჩელი მათ მიმართ იმავე საგანზე. ამასთან, ფაქტობრივად, მოსარჩელის ოჯახს არანაირი ნიშნობის საჩუქარი მათთვის არ გადაუცი-ათ.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით გ. კ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა: შ. და ე. კ-ოვებს გ. კ-ოვას სასარგებლოდ დაეკისრათ ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის -საოჯახო ავეჯის ან მისი ღირებულების შესაბამისი თანხის -14400 ლარის უკან დაბრუნება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შ. და ე. კ-ოვების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით გ.კ-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა გ. კ-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: შ. და ე. კ-ოვების სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2009 წლის 30 სექტემბერს, 12:00 საათზე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე გ. კ-ოვა, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მხარის გამოუცხადებლობის მიუხედავად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობისას. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების გამო, ვინაიდან, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, საჩივარში მითითებულ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს. მოცემულ შემთხვევაში საჩივარში მითითებულ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები გ.კ-ოვას სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. კ-ოვას საჩივარი დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუთება, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს აპელანტის ახსნა-განმარტებაში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 21 ივლისს გ. კ-ოვა დაინიშნა ე. კ-ოვზე. ნიშნობასთან დაკავშირებით გ. კ-ოვას ბებიაშ -ზ. კ-ოვამ ოჯახის სიძეს -ე.

კ-ოვს აჩუქა ქ. თბილისში, ავეჯის მაღაზიაში, ინდივიდუალურ მეწარმე "ეკატერინე ვაწაპისაგან" 14400 ლარად შეძენილი საოჯახო ავეჯი. ნიშნობის მიუხედავად, გ. კ-ოვა და ე. კ-ოვი არ დაქორწინებულან, ვინაიდან გ. კ-ოვა გათხოვდა სხვა პირზე. ზ. კ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. კ-ოვის მიმართ და მოითხოვა ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის უკან დაბრუნება. მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. კ-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ მალაში.

სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა ზემოაღნიშნული დამტკიცებული ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ აპელანტების მოთხოვნას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, ვინაიდან მოცემულ საქმეში გ. კ-ოვა წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს, რაც მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნია, კერძოდ, არასათანადო მოსარჩელედ ითვლება პირი, რომელსაც არ აქვს სარჩელით წამოყენებული მოთხოვნის უფლება. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილზე, რომლის თანახმად განმარტა, რომ ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის უკან დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს დანიშნულ პირთა დაუქორწინებლობა. ამასთან, საჩუქრის უკან გამოთხოვის უფლება აქვს გამჩუქებელს. ამდენად, დანიშნულ პირთა დაუქორწინებლობის შემთხვევაში ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის უკან დაბრუნების (გამოთხოვის) თაობაზე აღძრული დავის დროს მოსარჩელედ გამოდის გამჩუქებელი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გამჩუქებელს წარმოადგენს ზ. კ-ოვა -გ. კ-ოვას ბებია, რომელმაც თავისი შვილიშვილის ნიშნობასთან დაკავშირებით სიძეს -ე. კ-ოვს აჩუქა 14400 ლარად ღირებული საოჯახო ავეჯი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში სწორედ ზ. კ-ოვაა სათანადო მოსარჩელე, ანუ პირი, რომელსაც აქვს ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის მოპასუხეთაგან გამოთხოვის უფლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან გ. კ-ოვა არ არის სადავო ნივთის გამჩუქებელი, შესაბამისად, იგი არასათანადო მოსარჩელეა, ანუ მას არა აქვს სარჩელში მითითებული მოთხოვნის უფლება, ამიტომ მისი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. კ-ოვამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. სასამართლომ საქმე განიხილა ისე, რომ კასატორი და მისი წარმომადგენელი საქმის განხილვაზე კანონით დადგენილი წესით არ მოუწვევია. სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, ვინაიდან გ. კ-ოვას უკანონოდ ჩამოერთვა თავისი კუთვნილი ნივთები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ოვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი თავისთავად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია, სამართლებრივად შეაფასოს სარჩელში მითითებული, დადასტურებულად ცნობილი გარემოებები და გამოარკვიოს, შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა კანონით ამ ტიპის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს. თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკანონოა, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

ანალოგიური პრინციპით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნორმით კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას გაზიარებულ იქნეს სააპელაციო საჩივარში დასახელებული გარემოებანი, თუ ისინი იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ შ. და ე. კ-ოვების სააპელაციო საჩივრის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარის -გ. კ-ოვას გამოუცხადებლობის გამო დადასტურებულად მიიჩნია სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომ 2007 წლის 21 ივლისს გ. კ-ოვა დაინიშნა ე. კ-ოვზე.

ნიშნობასთან დაკავშირებით გ. კ-ოვას ბებიამ -ზ. კ-ოვამ სიძეს -ე. კ-ოვს აჩუქა ქ.თბილისში, ავეჯის მაღაზიაში, ინდივიდუალურ მეწარმე "ე. ვ-ძისაგან" 14400 ლარად შეძენილი საოჯახო ავეჯი.

ნიშნობის მიუხედავად, გ. კ-ოვა და ე. კ-ოვი არ დაქორწინებულან და გ. კ-ოვა გათხოვდა სხვა პირზე.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. კ-ოვას სარჩელი შ. კ-ოვის მიმართ ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრის უკან დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ გ. კ-ოვა სადავო ქონების გამოთხოვის თაობაზე მოთხოვასთან მიმართებით არასათანადო მხარეა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. ამავ კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით.

კანონის ზემოხსენებული დანაწესიდან გამომდინარე, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად და იგი სათანადო მოსარჩელედ ჩაითვლება, თუ სადავო საკითხი უშუალოდ, პირდაპირ ეხება და ლახავს მის კანონიერ ინტერესებს. პირის აღნიშნული უფლება გარანტირებულია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

განსახილველ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს ის გარემოება, უფლებამოსილი იყო თუ არა გ.კ-ოვა, მოეთხოვა თავის ნიშნობაზე ბებიის მიერ ნაჩუქარი ქონების ყოფილი დანიშნულისაგან დაბრუნება.

სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

მითითებული ნორმა ასახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომ დაქორწინების მსურველ პირთა ნათესავებმა და ახლობლებმა სამომავლო ქორწინების აღსანიშნავად დაასაჩუქრონ მომავალი მეუღლეები, რაც ეფუძნება ვარაუდს, რომ დანიშნული წყვილი გარკვეული პერიოდის შემდეგ უთუოდ იქორწინებს, თუმცა კანონმდებელი ნიშნობის ფაქტს რაიმე სავალდებულო სამართლებრივ შედეგს, დაქორწინებას არ უკავშირებს და ადგენს ნიშნობის საჩუქრის (რაც ხშირ შემთხვევაში ძვირად ღირებულ ნივთებია) მხარეთათვის დაბრუნების წესს. იმის გათვალისწინებით, რომ ნიშნობის მხარეებს წარმოადგენენ დასაქორწინებელი პირები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოხსენებული საჩუქრის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წარდგენა შეუძლია ნიშნობის ერთ-ერთ მხარეს, რომლის მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიზნითაც შესდგა ჩუქება.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ნიშნობის საგნის გამოთხოვაზე უფლებამოსილია გამჩუქებელი. მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს თვით ჩუქების ფაქტი და, შესაბამისად, დავა მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის არ არის, რა დროსაც დავის სუბიექტებს სწორედ ეს პირები წარმოადგენენ (სამოქალაქო კოდექსის 529-ე 530-ე მუხლები). განსახილველი სარჩელი წარდგენილია დასაჩუქრებულის მიერ, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ნაჩუქარი ნივთის მესაკუთრეა და მისი საკუთრების უფლება მოცემულ ნივთზე სადავოს არ წარმოადგენს -მჩუქებელი საჩუქრის დაბრუნებას დასაჩუქრებულისაგან არ ითხოვს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო ნივთი საჩუქრად გადაცემულია საკუთრებაში ნიშნობასთან დაკავშირებით, ხოლო ნიშნობის მხარეებს კი წარმოადგენდნენ გ. და ე. კ-ოვები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილით, ნიშნობის საჩუქრის უკან გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირები მხოლოდ ნიშნობის მხარეები არიან და არა მჩუქებელი, რომელმაც ნაჩუქარი ნივთი ნებაყოფლობით საკუთრებაში გადასცა ნიშნობის მხა-

რებს. მჩუქებელს ნაჩუქარ ნივთზე პრეტენზია შეიძლება წარმოემვას მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს, განჩინების კვლევით ნაწილში მითითებულ დებულებათა გათვალისწინებით იურიდიულად ამართლებდა თუ არა განსახილველ სააპელაციო საჩივარში მითითებული და მოწინააღმდეგე მხარის -გ.კ-ოვას გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ცნობილი გარემოებანი აპელანტების მოთხოვნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. კ-ოვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. მეუღლეთა თანასაკუთრება

განჩინება

#ას-684-905-08

9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ქონებიდან წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ფ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე თ. რ-ძისა და მესამე პირის -მ. რ-ძის მიმართ თ. რ-ძისა და მოსარჩელის თანასაკუთრებიდან თერჯოლის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის #3 ოთახის, ეზოდან 100 კვ.მ აუცილებელი გზის, #669 და #670 მიწის ნაკვეთების, 10 ქათმის, ერთი ღორისა და მისი პირადი საყოფაცხოვრებო ნივთების საკუთრებაში გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. 1996 წლიდან მოსარჩელე კეთილსინდისიერად ეწევა საოჯახო მეურნეობას და ზრდის შვილებს. ამჟამად მხარეთა შორის დაძაბული ურთიერთობაა, რის გამოც საოჯახო მეურნეობა უნდა გაიმიჯნოს. ჯ. ფ-მე წარმოადგენს თავისი ოჯახის კომლის წევრს. მართალია, მიწის რეფორმის დროს იგი მეუღლის ოჯახში არ ცხოვრობდა, თუმცა რეფორმას შეესწრო მოპასუხე, რომელიც მშობლებთან -მ. და მ. რ-ძეებთან ერთად სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ მიწის სარეგისტრაციო მოწმობებში მიწის მესაკუთრედ მითითებულია მ. რ-ძის ოჯახი, ამდენად, მიწის ნაკვეთი ეკუთვნის არა მარტო მ. რ-ძეს, არამედ -მის ოჯახსაც, რაც იმას მოწმობს, რომ მოპასუხე თ.რ-მე ამ ნაკვეთის თანამესაკუთრეა. "სასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სოფლებში მიწის რეფორმა უნდა დასრულებულიყო 1999 წლის 1 იანვრამდე, ამდენად, ჯ. ფ-მე 1996 წელს ჩაეწერა რა კომლში, ამ საფუძვლითაც მიჩნეულ უნდა იქნეს კომლის წევრად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ თ. რ-ძის სახელზე არც საცხოვრებელი სახლი და არც მიწის ნაკვეთი არ ირიცხება.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. ფ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს გამოეყო საკუთრების უფლებით თერჯოლის რაიონის სოფ. ... თ. და მ. რ-ძეების ოჯახის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის #3 ოთახი, საცხოვრებელი სახლის ეზოში აღმოსავლეთით #3 ოთახთან მისასვლელი 100 კვ.მ აუცილებელი გზა, #669 მიწის ნაკვეთიდან იმავე სოფელში არსებული 0,067 ჰექტარი #670 მიწის ნაკვეთი (#33 კოდი, 02 კვარტალი), ჯ. რ-ძეს გადაეცა თ. რ-ძესთან არსებული მისი პირადი საყოფაცხოვრებო ნივთები, ერთი ღორი და 10 ქათამი. საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ში-

ნაური ცხოველების გადაცემის ნაწილში გადაწყვეტილება მიეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და აღსრულდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ. რ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით მ. რ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც ჯ. ფ-მეს გამოეყო საკუთრების უფლებით თერჯოლის რაიონის სოფ. . . . თ. და მ. რ-მეების ოჯახის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის #3 ოთახი, საცხოვრებელი სახლის ეზოში აღმოსავლეთით #3 ოთახთან მისასვლელი 100 კვ.მ აუცილებელი გზა და მიწის ნაკვეთი, ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ფ-მის სარჩელი ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ნორმის თანახმად, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება არ გააჩნიათ, თუმცა, სასამართლოსათვის მიმართვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითა და "ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მე-6 მუხლით, რაც უთუოდ გულისხმობს პირის უფლებას, გასაჩივროს სასამართლოს აქტი, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება მის ინტერესებს. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სადავო ქონება, რომელიც ჯ. ფ-მეს საკუთრებაში გამოეყო, საჯარო რეესტრში აღრიცხულია მ. რ-მის საკუთრებად. აღნიშნული აისახა კიდეც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, რის გამოც მოცემული გადაწყვეტილება ქონებიდან წილის გამოყოფის ნაწილში უშუალოდ ეხება მესამე პირის ინტერესებს და მას უნდა მიეცეს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ ჯ. ფ-მე სადავო ქონების თანამესაკუთრეა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სარჩელსა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ჯ. ფ-მის განმარტებაზე, რომ ჯ. ფ-მე მეუღლის ოჯახის საკუთრებაზე თანამესაკუთრედ არ ითვლებოდა, რადგან საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის დროს ამ ოჯახში არ ცხოვრობდა. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ითხოვდა თ. რ-მის, როგორც მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის, ქონებიდან წილის გამოყოფას, ვინაიდან ჯ. ფ-მე მონაწილეობდა საერთო საოჯახო საქმიანობაში. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ჯ. ფ-მე არ ითხოვდა სადავო ქონების მისთვის, როგორც მესაკუთრისათვის, გადაცემას და პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა მოსარჩელის თანასაკუთრების უფლებაზე. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს პოზიცია მოპასუხის ოჯახის საკოლმეურნეო კომლად მიჩნევის თაობაზე და მიუთითა, რომ სოფ. . . . კოლმეურნეობის არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მ. რ-მის შრომის წიგნაკის ასლზე, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ ამ რაიონში არსებობდა საბჭოთა მეურნეობა, ხოლო სადავო საცხოვრებელი სახლი იმთავითვე ეკუთვნოდა მ. რ-მეს და არა საკოლმეურნეო კომლს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მ. რ-მის ოჯახის, როგორც საკოლმეურნეო კომლის წევრები, ქონების თანამესაკუთრენი არ ყოფილან და ნორმატიული აქტით კოლექტიური მეურნეობის გაუქმების შემდეგ ქონება საკუთრებაში არ გამოყოფიათ. სასამართლოს მითითებით, საკოლმეურნეო კომლმა, როგორც სამართლის სუბიექტმა, არსებობა შეწყვიტა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრისა და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებების საფუძველზე, თუმცა საკომლო მეურნეობის სტატუსი საქართველოში შემოღებულ იქნა საქართველოს კანონით „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“. აღნიშნული კანონით საქართველოში ჩამოყალიბდა საკომლო მეურნეობები, რომლებიც საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით ქონების ერთობლიობას წარმოადგენს, ამდენად, საკომლო მეურნეობა სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია და შესაძლებელია იყოს ერთი ან რამოდენიმე პირის, ანუ სამართლის სუბიექტების საკუთრება (თანასაკუთრება), ამასთან, საკომლო მეურნეობა და მისი მესაკუთრეები (მესაკუთრე) აუცილებლად უნდა დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში. იმ შემთხვევაში, თუ საკომლო მეურნეობა რამოდენიმე პირის თანასაკუთრებაა, სასამართლოს მოსაზრებით, ერთ-ერთი მათგანი, შესაძლებელია, საჯარო რეესტრში საკომლო მეურნეობის მეთაურად დარეგისტრირდეს, რა დროსაც საკომლო მეურნეობის მიერ რაიმე გარიგების დასადებად საკმარისია მხოლოდ ამ პირის ნების გამოვლენა, თუმცა საჯარო რეესტრში საკომლო მეურნეობის მესაკუთრედ რეგისტრირებულ უნდა იქნეს ყველა თანამესაკუთრე. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლით და დაადგინა, რომ სადავო ქონება საკომლო მეურნეობად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის და რეესტრის მონაცემებით, იგი არ წარმოადგენს რამოდენიმე პირის თანასაკუთრებას, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი საკუთრების მოწმობების თანახმად, მიწის ნაკვეთები მ. რ-მის საკუთრებაა, ხოლო საცხოვრებელი სახლი მ. რ-მის სახელზეა

აღრიცხული. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქონება საკომლო მეურნეობა არ არის და ჯ. ფ-ძეს მასზე თანასაკუთრების უფლება არ გააჩნია. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ერთ-ერთი მეუღლის ქონებაზე თანასაკუთრების უფლებას არ წარმოშობს არც ქორწინების რეგისტრაცია და საოჯახო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება და თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაში თუ ქონებას მეუღლეები შეიძენენ ქორწინების განმავლობაში. საქმის მასალებისა და ჯ. ფ-ძის სარჩელის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ქონება ჯ. ფ-ძისა და თ. რ-ძის ქორწინების განმავლობაში შეძენილი არ არის და თ. რ-ძის საკუთრებასაც არ წარმოადგენს, რის გამოც ჯ. ფ-ძე მისი თანამესაკუთრე ვერ იქნება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში სადავო არ გამხდარა, ქონება ეკუთვნის თ. რ-ძის მშობლებს, ხოლო დედამთილ-მამამთილის კუთვნილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების აღიარებას კანონი არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯ. ფ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი, როდესაც დასაშვებად ცნო საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირის -მ. რ-ძის სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ დაარღვია ამავე კოდექსის მე-4, 380-ე, 135-ე და მე-9 მუხლები, როდესაც მტკიცებულებად მიიღო მ. რ-ძის შრომის წიგნაკის არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ასლი მაშინ, როცა უარი განაცხადა ... მუნიციპალიტეტის #4 ცნობისა და რაიარქივის 2008 წლის 29 მაისის #29 ცნობის მტკიცებულებათა სახით საქმეზე დართვაზე, რითაც კასატორს შესაძლებლობა არ მისცა, დაესაბუთებინა მ. რ-ძის სააპელაციო საჩივრის უსაფუძველობა. სასამართლომ არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოება, რომ ჯ. ფ-ძე და თ. რ-ძე ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1994 წლიდან, რისი რეგისტრაციაც მოხდა 1996 წლის 10 იანვარს და მხარეებს შეეძინათ ორი შვილი. სოფ. ... ტერიტორიული ორგანოს მიერ 2007 წლის 10 აგვისტოს გაცემული #129 ცნობის მიხედვით, ჯ. ფ-ძის ოჯახი შედგება 5 სულისაგან და ფლობს 0,90 ჰა მიწის ნაკვეთს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს თერჯოლის არქივის 2007 წლის 19 აგვისტოს საარქივო ამონაწერის თანახმად, მ. რ-ძის კომლი შესდგება 6 სულისაგან, რომელთა შორისაა ჯ. ფ-ძეც, მ. რ-ძე გარდაიცვალა 1998 წლის 19 თებერვალს და ოჯახის უფროსად გატარებულია მ. რ-ძე. 1996-97 წლებში აღრიცხულია 0,64 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო 1998-99 წლებში -0,90 ჰა. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ კასატორი საქართველოში მიწის რეფორმის გატარების დროს რ-ძის ოჯახში არ ცხოვრობდა და ოჯახის ქონების თანამესაკუთრედ ვერ ჩათვლება. "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობის, კოლმეურნეობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეგისტრაციის წესის შესახებ" მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის #949 და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის #29 დადგენილებების, ასევე, "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის თანახმად, მიწის რეფორმის დასასრულად განისაზღვრა 1999 წლის 1 იანვარი, რა დროისთვისაც ჯ. ფ-ძემ თ. რ-ძესთან ქორწინებით უკვე მოიპოვა მ. რ-ძის კომლის წევრობა. სასამართლომ იგნორირება გაუკეთა იმ ფაქტს, რომ მ. რ-ძის ოჯახი საადგილმამულო წიგნში საკომლო მეურნეობად იყო დარეგისტრირებული, რომლის წევრსაც ჯ. ფ-ძეც წარმოადგენდა. საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა -მ. კ-შვილმა, ლ. ფ-ურმა და მ. ბ-ძემ დაადასტურეს, რომ 1994 წლიდან კასატორი ცხოვრობდა მოპასუხის ოჯახში და შრომით მონაწილეობას იღებდა საკომლო მეურნეობაში. სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად, ჯ. ფ-ძე სადავო კომლის თანამესაკუთრე გახდა თ. რ-ძესთან ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი, როდესაც მიიჩნია, რომ სოფ. ... კოლმეურნეობის არსებობა არ დადასტურებულა და აწ გარდაცვლილი მ. რ-ძის შრომის წიგნაკის ასლის საფუძველზე დაადგინა, რომ ამ რაიონში იყო საბჭოთა მეურნეობა, ხოლო სადავო სახლი ეკუთვნოდა მ. რ-ძეს და არა საკოლმეურნეო კომლს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სადავო ქონების ერთპიროვნულ მესაკუთრედ მ. რ-ძეს ჩათვლიდა, მოპასუხე თ. რ-ძემ, როგორც მისი პირველი რიგის მემკვიდრემ, მიიღო სამკვიდროდან კუთვნილი წილი, ხოლო ჯ. ფ-ძეს უფლება აქვს, მოითხოვოს მეუღლის ქონების წილი. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის ოჯახიდან ჯ. ფ-ძეს მიეკუთვნა ერთი ღორი და ათი ქათამი. აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და აღსრულდა. სააპელაციო პალატამ გააუქმა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მთლიანად, უხეშად დაარღვია კანონი. სააპელაციო სასამართლომ კასატორს მესამე პირის -მ. რ-ძის სასარგებლოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის -160 ლარის გადახდა, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: თერჯოლის რ-ნის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მ. რ-ძის

საკუთრებას. საქმეში წარმოდგენილი საკუთრების მოწმობების შესაბამისად, მიწის სადავო ნაკვეთები მ. რ-მის საკუთრებაა, ხოლო საცხოვრებელი სახლი მ. რ-მის სახელზეა აღრიცხული. სადავო ქონება საკომლო მეურნეობად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, რეესტრის მონაცემებით, არ წარმოადგენს რამოდენიმე პირის თანასაკუთრებას და ჯ. ფ-მისა და თ. რ-მის ქორწინების განმავლობაში შეძენილი არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ჯ. ფ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორ ჯ.ფ-მეს აღნიშნული სახის პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ჯ. ფ-მის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა თერჯოლის რ-ნის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლიდან და მიმდებარე მიწის ნაკვეთიდან წილის გამოყოფა იმ საფუძვლით, რომ სადავო ქონება არის მოსარჩელისა და მისი მეუღლის თანასაკუთრება, ამასთან, ჯ. ფ-მე არის მოპასუხის ოჯახის კომლის წევრი, რადგან მიწის რეფორმის დამთავრებამდე, 1999 წლამდე, კერძოდ კი 1996 წელს ჩაეწერა მითითებულ კომლში.

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). ამავ კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით კი, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე და ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, მეუღლეთა საერთო საკუთრებაა მხოლოდ ის ქონება, რომელიც მათ რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნისას შეიძინეს. კანონმდებელი ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობას უკავშირებს ქორწინების პერიოდს, როდესაც ისინი ერთიანი ძალებით უძღვებიან საოჯახო მეურნეობას, ხოლო ქორწინების რეგისტრაციამდე ერთ-ერთი მეუღლის მიერ შეძენილი ქონება ამ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება და მეორე მეუღლეს მასზე რაიმე სახის ქონებრივი უფლება არ წარმოემოხება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო და კასატორს საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოუდგენია იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ სადავოდ მიჩნეული ქონება მ. რ-მის საკუთრებაა. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ჯ. ფ-მე, მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის საფუძვლით, მოითხოვს არა მისი მეუღლე თ. რ-მის კუთვნილი ან მასთან ქორწინებისას შეძენილი ქონების, არამედ, მოპასუხის მშობლის მ. რ-მის კუთვნილი უძრავი ქონების გაყოფას, რასაც მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სავსებით დასაბუთებულია.

დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მ. რ-მის ოჯახის, როგორც საკოლმეურნეო კომლის წევრები, ქონების თანამესაკუთრენი არ ყოფილან და ნორმატიული აქტით კოლექტიური მეურნეობის გაუქმების შემდეგ ქონება საკუთრებაში არ გამოყოფიათ, ვინაიდან საკოლმეურნეო კომლმა, როგორც სამართლის სუბიექტმა, არსებობა შეწყვიტა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრისა და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებების საფუძველზე, ხოლო საკომლო მეურნეობის სტატუსი დამკვიდრდა „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით და საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავდება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული.

ამდენად, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლით, როდესაც ჩათვალა, რომ უძრავ ქონებაზე სანივთო უფლებები დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემებით და დაადგინა, რომ სადავო ქონება საკომლო მეურნეობად საჯარო რეესტრში

რეგისტრირებული არ არის და საქმეში წარმოდგენილი საკუთრების მოწმობებით ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთები მ. რ-მის საკუთრებაა, ხოლო საცხოვრებელი სახლი მ. რ-მის სახელზეა აღრიცხული. შესაბამისად, საკომლო მეურნეობის არსებობის შემთხვევაში იგი, კომლის ყველა წევრზე მითითებით, უნდა ასახულიყო საჯარო რეესტრის მონაცემებში. ჯ.ფ-მეს კი სასამართლოსათვის ამ სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რისი ვალდებულებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სწორედ კასატორს ეკისრებოდა. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს თერჯოლის არქივის 2007 წლის 19 აგვისტოს საარქივო ამონაწერს, რომლის თანახმად, მ. რ-მის კომლი შედგება 6 წევრისაგან და მათ შორისაა ჯ. ფ-მეც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი კომლის არსებობის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 380-ე, 135-ე და მე-9 მუხლები, როდესაც მტკიცებულების სახით გაიზიარა მ. რ-მის შრომის წიგნაკის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი ასლი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სადავო შრომის წიგნაკი შედგენილია სახელმწიფო ენაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია, ხოლო რაც შეეხება მტკიცებულების ასლის წარმოდგენას, სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მითითება, რომ ამავე კოდექსის 135-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია, გაიზიაროს მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ასლის იურიდიული მნიშვნელობა და გაათავისუფლოს იგი ასლის სახით წარდგენილი მტკიცებულების დედნის წარმოდგენის ვალდებულებისაგან.

დაუსაბუთებელია კასატორის არგუმენტი, რომ მ. რ-მე განსახილველ საქმეში მონაწილეობდა რა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არქმონე მესამე პირად, მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება არ გააჩნდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს რა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა წრეს, აღნიშნულ შესაძლებლობას აძლევს იმ პირებს, რომელთა კანონიერ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთან, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხო ისეთი პირის უფლებებს, რომელიც საქმეში არ იყო ჩაბმული მოსარჩელედ, მოპასუხედ ან თანამონაწილედ, არც მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და არც უფლებამონაცვლედ, ასეთ პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა მხარის კანონით გარანტირებული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

მოცემულ შემთხვევაში თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. ფ-მეს წილი გამოეყო მესამე პირის -მ. რ-მის კუთვნილი უძრავი ქონებიდან, რის გამოც გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო მ. რ-მის საკუთრების უფლებას და მის მიერ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანა სავსებით მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტი, როდესაც ჯ. ფ-მეს მ. რ-მის სასარგებლოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. მითითებული ნორმის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ისეთი მხარის გათავისუფლების აუცილებლობას, რომელიც სათანადო მტკიცებულებით დაადასტურებს, რომ რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას. მოცემულ შემთხვევაში ჯ. ფ-მეს კანონით დადგენილი წესით სასამართლოსათვის არ წარუდგენია მისი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის მიღების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, ამდენად, იგი კანონის ზემოხსენებული დანაწესის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არ არის.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. დასახელებული ნორმა მოწმობს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, ამავე კოდექსის 46-ე მუხლის "ვ"

ქვეპუნქტის საფუძველზე, ჯ. ფ-მის გათავისუფლების შემთხვევაში მას მაინც დაეკისრებოდა მ. რ-მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება, რადგან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მ. რ-მის სასარგებლოდაა გამოტანილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჯ. ფ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-960-1162-08 2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანამესაკუთრედ ცნობა და წილის რეალური გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა დ. კ-მემ, მოპასუხედ მ. ჩ-მე დაასახელა და თანაცხოვრების დროს შეძენილი მეუღლეთა საერთო ქონების რეალური გაყოფა მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 27 თებერვალს, მოქალაქე ა. თ-მისაგან შეიძინა საცხოვრებელი სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ქ. სამტრედიაში, ... ქ. #64-ში. 2004 წლის 17 სექტემბერს დაქორწინდა მოპასუხე მ. ჩ-მესთან, მეუღლეები საცხოვრებლად მოსარჩელის მიერ შეძენილ ბინაში გადავიდნენ. ამავე წლის 9 ნოემბერს, აღნიშნულ საცხოვრებელ სახლზე, ცოლქმარს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ 2000 ლარად მიჰყიდა მოპასუხეს დ. კ-მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, 2007 წლის 24 იანვარს მხარეები განქორწინდნენ.

განსახილველი სარჩელით მოსარჩელე დ. კ-მემ მოითხოვა ქ. სამტრედიაში, ... ქ. #64-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, დამხმარე შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის, როგორც მეუღლეთა საერთო ქონების თანაბარწილად გაყოფა, 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა, აღნიშნულ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება, ქონების ნატურით გამოყოფა და სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხე მხარემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო, მის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და განმარტა, რომ მხარეთა მიერ ქორწინების განმავლობაში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს საქორწინო ხელშეკრულებად, რომლითაც მეუღლეებმა გადაწყვიტეს სადაო ქონების ბედი და ამ ქონების მესაკუთრე გახდა მხოლოდ მ. ჩ-მე.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით დ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა -ქ. სამტრედიაში, ... ქ. #64-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი დამხმარე შენობა-ნაგებობებით და მიწის ნაკვეთი, როგორც დ. კ-მის და მ. ჩ-მის საერთო ქონება თანაბარწილად გაიყო და 1/2-ის მესაკუთრედ ცნობილი იქნა დ. კ-მე, ქ. სამტრედიაში, ... ქ. #63-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე დამხმარე შენობა-ნაგებობებით და მიწის ნაკვეთზე გაუქმდა საზიარო უფლება და ქონება ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად გაიყო შემდეგნაირად: საცხოვრებელი სახლის #5, 7, 8, 9, 10, 11 ოთახები უკანა აივანით (#12) მიეკუთვნა დ. კ-მეს, #1, 2, 3 და 6 ოთახები და წინა აივანი (#4) - მ. ჩ-მეს, სახლის უკან განთავსებული კაპიტალურ სამზარეულოში ტიხარი გადატანილ იქნა პროექტის მიხედვით დამხმარე სათავსის ხარჯზე ორ ნაწილად, მასში ტიხრის მოწყობით და დ. კ-მეს მიეცა #1 სათავსი, მ. ჩ-მეს #2 და #3 სათავსი ავ-

ტოფარეხიც გაიყო წარდგენილი პროექტის მიხედვით დამხმარე სათავის ხარჯზე ორ ნაწილად მასში ტიხრის მოწყობით და დ. კ-მეს მიეცა #1 ნაწილი, მ. ჩ-მეს, #2 ნაწილი, მიწის ნაკვეთის წინა მხარე დარჩა საერთო სარგებლობაში, სახლის მარცხნივ განთავსებული მიწის ნაკვეთი მიეკ-თვნა დ. კ-მეს, მარჯვნივ (ავტოფარეხის მხრეს) მ. ჩ-მეს; სახლის უკან მდებარე მიწის ნაკვეთ-ზე სასაზღვრო მიჯნა გაეწვლი სასამართლოში წარდგენილი პროექტის მიხედვით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჩ-მემ და მოითხოვა გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით მ. ჩ-მის სააპელა-ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 27 თებერვალს, მოსარჩელემ, მ. ჩ-მესთან ქორწინების რეგისტრაციამდე იყიდა საცხოვრებელი სახლი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთით ქ. სამტრედიაში, ... ქ. #64-ში.

2004 წლის 17 სექტემბერს მოსარჩელე დაქორწინდა მოპასუხე მ. ჩ-მეზე.

2004 წლის 9 ნოემბერს მეუღლეებს შორის მათ ერთად ცხოვრების პერიოდში გაფორმდა ხელ-შეკრულება, რომლის თანახმადაც მოსარჩელემ მოპასუხეს 2000 ლარად მიჰყიდა სადავო ქონება.

2007 წლის 24 იანვარს მხარეები განქორწინდნენ.

სადავო ქონების მესაკუთრედ, სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულია მ. ჩ-მე.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ ცოლ-ქმარს მ. ჩ-მესა და დ. კ-მეს შორის 2004 წლის 9 ნოემბერს შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულება საქორწინო კონ-ტრაქტს წარმოადგენდა.

პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტ მ. ჩ-მის მიერ სააპელაციო საჩივრის დაკმაყო-ფილების საფუძვლად იმ გარემოებების მითითება, რომ სადავო საცხოვრებელ სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულების მეუღლეთა შორის გაფორმების დროისათვის მათ ფაქტობრივად აღარ ჰქონდათ ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რის გამოც არ შეიძლება დ.კ-მე მიჩნეულ იქნეს ქონების თანამესა-კუთრედ. აპელანტის აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რეგისტრირებული ქონება უკვე წარმოშობს მეუღლეთა უფ-ლება მოვალეობებს და წყდება ეს უფლება-მოვალეობები განქორწინების რეგისტრაციის მომენტი-დან.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის აზრით, მან თავისი ყოფილი მეუღლისგან შეიძინა ბინა, რის გამოც სააპელაციო სა-სამართლომ უკანონოდ მიიჩნია სადავო ქონება თანასაკუთრებად.

კასატორის განმარტებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს ის და დ. კ-მე ფაქტიუ-რად ცოლ-ქმარნი აღარ იყვნენ, რის გამოც სადავო ქონება არ უნდა ჩაითვალოს თანასაკუთრებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. კ-მეს წარმოეშვა თანასაკუთრების უფლება საცხოვ-რებელ სახლზე, რადგან სახლი მეუღლეთა ერთად ცხოვრების დროს მიჰყიდა თავის ცოლს.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას აფუძნებს 1158-ე მუხლს, რომლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მეუღლეთა საერთო ქონება არის ქონება, რომელიც მეუღლეებმა ერთობლივად შეიძინეს. შექმნაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება თანხის გადახდა (რაზეც მი-უთითებს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი), არამედ ორივე მეუღლის ნება მიმართულია ქონების მათ საკუთრებაში გადასვლაზე. განსახილველ შემთხვევაში ხდება ზემოთ მითითებულის საპირისპირო -არ არსებობს მეუღლეთა ერთობლივი ნება ქონების შექმნისათვის. პირიქით, ერთი მეუღლე ასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ნივთს, ხოლო მეორე მეუღლე იძენს მას. აღნიშნული აქტი არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცოლ-ქმრის მიერ ერთობლივად ქო-ნების შექმნის ფაქტი. აქ მეუღლეები ინდივიდუალურად განკარგავენ თავიანთ უფლებებს და მათ შეუძლებელია წარმოეშვათ თანასაკუთრება ამ ნივთზე.

პალატა თვლის, რომ დ. კ-მეს არ წარმოშობია საკუთრების უფლება მის მიერ გაყიდულ ნივ-თზე, რის გამოც შეუძლებელი წილი გამოეყოს სადავო ნივთიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო საქმეზე გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, მიღებული ახალი გადაწყვეტილებით კი დ. კ-მეს სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- მ. ჩ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
- დ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
- დ. კ-მეს დაეკისროს მ. ჩ-მის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით;
- გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრება

განჩინება

#ას-241-566-09

12 ნოემბერი, 2009 წ. , ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ა-ოვამ და მისმა წარმომადგენელმა თ. მ-ელმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს გ. ს-ოვის მიმართ და მიუთითეს, რომ ე. ა-ოვის მშობლები იყვნენ 1991 წელს გარდაცვლილი გ. ყ-ი და 2007 წლის 23 ნოემბერს გარდაცვლილი ზ. მ-ი. ისინი ირიცხებოდნენ მუშა-მოსამსახურეთა კომლად და ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად თელავის რაიონის სოფ. . . . , მოსარჩელის მამამ ჯერ კიდევ პირველი მეუღლის სიცოცხლეში შეერთო მეორე ცოლი გ. ს-ოვა, რომელთანაც იქორწინა პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. ზ. მ-ის მეორე ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია და ერთადერთი შვილია მოსარჩელე. მოსარჩელის მამამ 2005 წლის ანდერძით მეორე მეუღლეს -გ. ს-ოვას დაუტოვა თავისი ქონება, რომელიც მან გააუქმა 2006 წლის 11 ნოემბერს და ამავე დღეს ანდერძით თავისი უძრავ-მომრავი ქონება დაუტოვა მოსარჩელეს. მამის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე ე. ა-ოვამ განცხადებით მიმართა სასამართლო ბიუროს სამკვიდროს მისაღებად, მაგრამ შეიტყო, რომ, როგორც კომლის უკანასკნელ წევრზე, მთელი ქონება აღირიცხა გ. ს-ოვას სახელზე. გ. ს-ოვამ, როგორც ქონების მესაკუთრემ, მიმართა თელავის შინაგან საქმეთა სამმართველოს და მოითხოვა მოსარჩელე ე. ა-ოვას გამოსახლება მამისეული ბინიდან.

მოსარჩელე ე. ა-ოვამ და მისმა წარმომადგენელმა მოითხოვეს, მოსარჩელე ე. ა-ოვის ცნობა 1991 წელს გარდაცვლილი დედის -გ. ყ-ის პირველი რიგის მემკვიდრედ სადავო სახლის 1/2-ზე, რომელიც მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 20 ივლისის თელავის რაიონის სოფ. . . . ზ. მ-ის კომლის სახელზე სადავო სახლის რეგისტრაციის ბათილად ცნობა და 2008 წლის 17 იანვარს გ. ს-ოვას სახელზე ამავე უძრავი ქონების რეგისტრაცია, რადგან მამამისის ოჯახი არ მიეკუთვნება საკოლმეურნეო კომლს; გ. ს-ოვა მიჩნეულ იქნა უღირს მემკვიდრედ და ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, რადგან მოსარჩელის მამის ზ. მ-ის უკანასკნელ სურვილს -მთელი თავის უძრავ-მომრავი ქონება დაეტოვებინა შვილისთვის -ე. ა-ოვისათვის, გაუწია წინააღმდეგობა და მთელი ქონება აღრიცხა თავის საკუთრებად. ასევე, მოსარჩელემ მოითხოვა, ბათილად ეცნოთ

მოპასუხე შსს თელავის სამმართველოს 2008 წლის 13 თებერვლის გაფრთხილების ოქმი როგორც უსაფუძვლო, უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ე. ა-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ა-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ე. ა-ოვას სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ე. ა-ოვას სარჩელი და ე. ა-ოვა ცნობილ იქნა გ. უ-ის პირველი რიგის მემკვიდრე; იგი აღირიცხა თელავის რ-ნის სოფ. ... მდებარე სახლის 4/16-ის მესაკუთრედ; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ზ. მ-ის სახელზე და 2008 წლის 17 იანვარს გ. ს-ავას სახელზე მთელი სახლის რეგისტრაცია და გ. ს-ოვა აღირიცხა თელავის რ-ნის სოფ. ... მდებარე სახლის 9/16-ის მესაკუთრედ.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ ზ. მ-ლი და გ. ყ-ზი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1965 წლიდან. მათ შეეძინათ შვილი - ე. ა-ოვა. ქორწინების პერიოდში მათ თელავის რ-ნის სოფ. ... ააშენეს სახლი. 1986 წლის #17 საკომლო წიგნის ჩანაწერებით, ერთ კომლად ირიცხებოდნენ ე. ა-ოვას მშობლები. მათი ოჯახი მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ზ. მ-სა და გ. ყ-ის მეურნეობა არ წარმოადგენდა საკომლმეურნეო კომლის მეურნეობას. სადავო სახლი იყო ე. ა-ოვას მშობლების თანასაკუთრებაში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ე. ა-ოვას დედა, გ. ყ-ი, გარდაიცვალა 1991 წელს. იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 539-ე მუხლის საფუძველზე, გაიხსნა მემკვიდრეობა მის სამკვიდროზე, კერძოდ, სახლის 1/2-ზე. გ. ყ-ის დარჩა ორი პირველი პირის მემკვიდრე - მეუღლე ზ. მ-ი და შვილი ე. ა-ოვა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიაჩნია, რომ ორივე მათგანმა ფაქტობრივი ფლობით მიიღეს სამკვიდრო. დედის გარდაცვალების შემდეგ ე. ა-ოვა გახდა სადავო საცხოვრებელი სახლის 1/4-ის, ხოლო მამამისი - 3/4-ის მესაკუთრე. 1991 წელს ზ. მ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა გ. ს-ოვასთან და იგი ჩაეწერა მის კომლში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულით ზ. მ-იმ გამოხატა ნება, გ. ს-ოვა გამხდარიყო მისი ქონების თანამესაკუთრე, ანუ თითოეული მათგანი ყოფილიყო მთელი საცხოვრებელი სახლის 3/8-ის მესაკუთრე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზ. მ-ის დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე - შვილი ე. ა-ოვა და მეუღლე, გ. ს-ოვა. შესაბამისად, მათ ეკუთვნის 3/1. ამასთან, მიუთითა, რომ აღნიშნულის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე პალატა ვერ იმსჯელებს, ვინაიდან ე. ა-ოვას მამის სამკვიდრო არ მოუთხოვია, რაც შეეხება გ. ს-ოვას, იგი 9/16-ის მესაკუთრეა.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ე. ა-ოვამ და გ. ს-ოვამ.

ე. ა-ოვამ მიუთითა, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გ. ს-ოვას სადავო სახლის 9/16-ის მესაკუთრედ ცნობის, აგრეთვე, გ. ს-ოვას უღირს მემკვიდრედ ცნობისა და გაფრთხილების ოქმის ბათილობის ნაწილში დაუსაბუთებელია. სააპელაციო პალატის მითითება იმის თაობაზე, რომ ზ. მ-იმ გ. ს-ოვასთან ქორწინების რეგისტრაციით და მისი კომლში ჩაწერით გამოხატა ნება, გამხდარიყო მისი ქონების თანამესაკუთრე, არასწორია, ვინაიდან გ. ს-ოვის მხოლოდ კომლის წევრად აღირიცხვა არ შეიძლება აღქმულიყო ზ. მ-ის ნების გამოხატვად თანამესაკუთრედ ცნობისათვის, ვინაიდან კომლი შესდგებოდა მუშა-მოსამსახურეებისაგან, სადავო სახლი წარმოადგენდა ზ. მ-ის მიერ გ. ს-ოვასთან ქორწინებამდე შეძენილ ინდივიდუალურ ქონებას, იგი დღემდე ისეთივეა, როგორც იყო მოსარჩელის მშობლების ერთად ყოფნის პერიოდში.

კასატორის აზრით, მოპასუხეს ბინის კეთილმოწყობისათვის არაფერი გაუკეთებია, შესაბამისად, არ აქვს უფლება, სახლის თანამესაკუთრე გახდეს.

კასატორი მიუთითებს, რომ ზ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობა გაიხსნა სადავო სახლის არა 3/8-ზე, არამედ - მთელი სახლის 2/3-ზე, რადგან სახლის 1/3 დედის წილ სამკვიდროზე ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა ე. ა-ოვას.

გ. ს-ოვამ მიუთითა, რომ სადავო სახლი აშენებულია 1957 წელს, ხოლო აწ გარდაცვლილების ზ. მამამედ ოღლისა და გ. ყ-ის ქორწინება რეგისტრაციაში გატარდა 1965 წლის 3 ნოემბერს. ამდენად, საცხოვრებელი სახლი აშენებულ იქნა მათ ქორწინებამდე რვა წლით ადრე და არ შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ ერთად შექმნილ ქონებად და თანასაკუთრებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ს-ოვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმა-

ყოფილდეს; ე. ა-ოვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ზ. მ-ი და გ. ყ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1965 წლიდან. მათ შეეძინათ შვილი -ე. ა-ოვა. ქორწინების პერიოდში მათ თელავის რ-ნის, სოფ. ... ააშენეს სახლი. 1986 წლის #17 საკომლო წიგნის ჩანაწერებით ერთ კომლად ირიცხებოდნენ ე. ა-ოვას მშობლები. აღნიშნული ცნობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მათი ოჯახი მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ზ. მ-ისა და გ. ყ-ის მეურნეობა არ წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლის მეურნეობას. სადავო სახლი იყო ე. ა-ოვას მშობლების თანასაკუთრებაში. აღნიშნულ დასკვნამდე სააპელაციო სასამართლო მივიდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს მიერ 2008 წლის 13 მაისს გაცემული ცნობით, რომლის თანახმად, სოფ. ... კოლმეურნეობა გაუქმდა 1969 წელს და მის საფუძველზე ჩამოყალიბდა საბჭოთა მეურნეობა.

აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორმა გ. ს-ოვამ არ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძოდ, კასატორი არ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავდნენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ზ. მ-ი და გ. ყ-ის ოჯახი მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

გ. ს-ოვამ მიუთითა, რომ სადავო სახლი აშენებულია 1957 წელს, ხოლო აწ გარდაცვლილების -ზ. მ-ისა და გ. ყ-ის ქორწინება რეგისტრაციაში გატარდა 1965 წლის 3 ნოემბერს. ამდენად, საცხოვრებელი სახლი აშენებულ იქნა მათ ქორწინებამდე რვა წლით ადრე და არ შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ ერთად შექმნილ ქონებად და თანასაკუთრებად. ასევე, გ. ს-ოვამ, მიუთითა, რომ ზ. მ-ლი და მისი მამა მ. დ-ლი 1963-69 წლებში იყვნენ ... კოლმეურნეობის წევრები და შრომა უნაზღაურდებოდათ დღიური გამომუშავებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის ზემოაღნიშნული მოსაზრება, რადგან ამ გარემოებების დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი თელავის არქივის 2008 წლის 25 ნოემბრის # 10, ასევე, #5, #6 და ... ადგილობრივი მართვის ორგანოს #33 ცნობები, 2008 წლის 1 დეკემბრის საოქმო განჩინებით სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით არ მიიღო და დაუბრუნა მხარეს. ამასთან, კასატორი არ უთითებს (სადავოდ არ ხდის) აღნიშნული მტკიცებულების მიუღებლობის კანონიერებაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ" მთავრობის 22.09.92 #949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 21.10.92. #29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა.

ამდენად, 1993 წლამდე სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობებს ახასიათებდა კომლის წევრის შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში და ასევე -დამხმარე მეურნეობაში, რომელსაც აწარმოებდა კომლად არსებული ოჯახი, რაც შემოსავლის დამატებით წყარო იყო. საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა მისი წევრების თანასაკუთრებას და რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 122-ე მუხლით. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კოდექსის 569-ე მუხლი არეგულირებდა მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობებს კომლში, კერძოდ, განსახილველი ნორმის პირველი აზნაცის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წევრის (იმ მოქალაქის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომის საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) გარდაცვალების შემთხვევაში კომლის (იმ მოქალაქის ოჯახის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) ქონებაში მემკვიდრეობა არ წარმოიქმნება. ამავე მუხლის მე-2 აზნაცის თანახმად, თუ საკოლმეურნეო კომლის წევრის (იმ მოქალაქის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომის საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) გარდაცვალების შემდეგ კომლში (იმ მოქალაქის ოჯახის, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) სხვა წევრები არ დარჩენილა, კომლის (ოჯახის) ქონების მიმართ გამოიყენება ამ კარით დადგენილი წესები, ე.ი. მემკვიდრეობითი სამართლის საერთო წესები.

ამდენად, განსახილველი ნორმების თანახმად, მემკვიდრეობის სპეციფიკური და საერთო საფუძვლები დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში ინდივიდუალურ შრომის საქმიანობის არსებობაზე,

ე.ი. კომლის (ოჯახის) წევრებს წარმოადგენდნენ მოქალაქეები, რომლებიც ეწეოდნენ ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში. ასეთი წევრების არარსებობის შემთხვევაში მემკვიდრეებზე ქონება გადადიოდა საერთო საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკოლმეურნეო კომლის მოსპობის შემდეგ იქმნებოდა მუშა-მოსამსახურის ოჯახი და მათ მიერ საკოლმეურნეო კომლის ქონება გაიყო სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის საფუძველზე. საკოლმეურნეო კომლის მოსპობის მომენტიდან დამხმარე მეურნეობაში მომუშავე მუშა-მოსამსახურის ოჯახს შორის ურთიერთობები წესრიგდებოდა საოჯახო კანონმდებლობით, ხოლო დამხმარე მეურნეობის სხვა მონაწილეთა შორის ურთიერთობები საერთო საკუთრების მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირდებოდა.

"საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ" მთავრობის 22.09.92. #949 დადგენილებით დადგენილ იქნა, რომ სახელმწიფო მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოების ბაზაზე შეიძლება ორგანიზებულ იქნეს გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები, აგროფირმები, აქციონერული საზოგადოებები, ასოციაციები და მიწაზე მეურნეობის სხვა ორგანიზაციული ფორმები.

ამდენად, 1993 წლის შემდეგ წარმოიშობა საკომლო მეურნეობა, რომლის დეფინიცია მოცემულია "სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, "საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას." ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, "საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული".

ამრიგად, კომლი არის სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი, რომელიც ახორციელებს საკომლო მეურნეობას, ხოლო საკომლო მეურნეობის დეფინიციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობაზე საკუთრების უფლება, რაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. ამასთან ერთად საკომლო მეურნეობა ითვალისწინებს რეგისტრაციას საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში), ასევე კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ, საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით საკომლო მეურნეობის წევრები ახორციელებენ არა დამხმარე მეურნეობის წარმოებას, არამედ, მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმართვას (იხ, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა # სა-988-1242).

მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, ამ ორ ინსტიტუტს საერთო გააჩნია ის, რომ, როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში კომლის წევრებს შორის არსებული ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორ გ. ს-ოვას მიერ არ დასტურდება ის ფაქტი, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს და ის, რომ ზ. მ-ლი და გ. ყ-ის ოჯახი არ მიეკუთვნებოდა მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას.

ამდენად, 1991 წელს გარდაცვლილ გ. ყ-ის ქონება მის მემკვიდრეებზე გადადის საერთო საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ყ-ის დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე -მეუღლე ზ. მ-ლი და შვილი ე. ა-ოვა, რომლებმაც ფაქტობრივი ფლობით მიიღეს სამკვიდრო.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორ გ. ს-ოვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ე. ა-ოვამ ფაქტობრივი ფლობით არ მიიღო აწ გარდაცვლილი დედის სამკვიდრო. ამასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, გ. ს-ოვას განცხადებით დასტურდება, ე. ა-ოვას ნივთების გარკვეული ნაწილი დღესაც სადავო სახლში ინახება.

ამასთან ერთად ყურადსაღებია, გ. ს-ოვას წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოში განაცხადა, რომ ე. ა-ოვას მიღებული ჰქონდა დედის სამკვიდრო.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა ასკვნის შემდეგ: სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ გ. ყ-ის გარდაცვალების შემდეგ (1991 წ.) გაიხსნა მემკვიდრეობა მის სამკვიდროზე საცხოვრებელი სახლის 1/4 ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო ე. ა-ვამ, ხოლო 1/4 -მამამისმა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო ერთ შემთხვევაში ადგენს, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა ზ. მ-ისა და გ. ყ-ის თანასაკუთრებას და მათი ოჯახი წარმოადგენდა მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას, ხოლო მეორე შემთხვევაში უთითებს, რომ გ. ს-ოვასთან ქორწინების რეგისტრაციით და მისი კომლში ჩაწერით ზ. მ-იმ გამოხატა ნება, გ. ს-ოვა გამხდარიყო მისი ქონების თანამესაკუთრე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი ან კომლში ჩაწერა არ შეიძლება წარმოადგენდეს თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველს, ამისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები, რასაც სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს.

სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ზ. მ-ისა და გ. ს-ოვას ოჯახი წარმოადგენდა თუ არა მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას, ანდა ეწეოდა თუ არა საკომლო მეურნეობას, რაც თანასაკუთრების უფლების განსაზღვრის აუცილებელი წინაპირობაა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა და არ იმსჯელა ე. ა-ოვას მოთხოვნებზე, კერძოდ, 2008 წლის 8 მაისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების კანონიერების იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ასევე ე. ა-ოვას მოთხოვნა გ. ს-ოვას უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ს-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; ე. ა-ოვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. არასრულწლოვანი შვილების ინტერესის გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას

განჩინება

#ას-894-1180-09

22 იანვარი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ნ-მე-ჩ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ჩ-მის მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ#2/15-ში მდებარე უძრავი ქონების 2/3-ის, ამავე მისამართზე მდებარე ავტოფარეხის 1/2-ის, ქ. სამტრედიაში, ... ქ. #35-ში მდებარე შპს "დ-ოს" სახელზე რიცხული უძრავი ნივთის 1/2-სა და 1990 წელს გამოშვებული "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსის 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობის

შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1997 წლის 2 ოქტომბრიდან 2007 წლის 2 მაისამდე მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც შეეძინათ შვილი -თ. ჩ-ძე. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, შ. ჩ-ძეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ალიმენტის გადახდა. მხარეთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო ისინი ქორწინების პერიოდში შეძენილი საერთო ქონების გაყოფაზე ვერ შეთანხმდნენ, რა მიზეზითაც მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელემ აქამდეც მიმართა სასამართლოს ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/17-ში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნით, რაზეც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით უარი ეთქვა, შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული. რაც შეეხება დანარჩენი ქონების გაყოფას, სადავო ნივთები შ. ჩ-ძემ შეიძინა ქორწინებამდე არსებული დანაზოვით, რის გამოც მეუღლეთა თანასაკუთრება მათზე ვერ გავრცელდება. უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა შპს "დ-ოს" კუთვნილი ნივთის გაყოფის თაობაზე, ვინაიდან ამჟამად შპს "დ-ოს" უფლებამონაცვლეა შპს "გ-სი", რომლის 50%-იანი წილის მესაკუთრეც მოსარჩელეა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შ. ნ-ძე-ჩ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -იგი ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ#2/15-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/2-ის თანამესაკუთრედ, ავტოფარებიდან და "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსიდან წილის გამოყოფის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქ. სამტრედიისში, ... ქ#35-ში მდებარე უძრავი ნივთის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა დავის საგნის არარსებობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შ. ნ-ძე-ჩ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ნ-ძე-ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, ... ქ#2/15-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ შ. ნ-ძე-ჩ-ძის ცნობისა და "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსის 1/2-ის მესაკუთრედ აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე; შ. ნ-ძე-ჩ-ძე ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ#2/15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3-ის მესაკუთრედ; 26,4 კვ.მ ავტოფარების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება აპელანტის მიერ ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო; მოსარჩელე ასევე აღიარებულ იქნა შ. ჩ-ძის სახელზე რეგისტრირებული "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსის 1/2-ის მესაკუთრედ შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მხარეთა განქორწინების მოწმობის თანახმად, შ. ნ-ძე-ჩ-ძისა და შ. ჩ-ძის ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტა დარეგისტრირდა 2007 წლის 2 მაისს. დაბადების მოწმობის მიხედვით, 1998 წლის 31 აგვისტოს შ. ნ-ძე-ჩ-ძესა და შ. ჩ-ძეს შეეძინათ შვილი თ. ჩ-ძე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ჩ-ძეს, არასრულწლოვანი შვილის -თ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი თვეში 150 ლარის ოდენობით. ქ.ქუთაისის მერიის „ქალაქ მუზეუმის ტერიტორიული ორგანოს“ მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად, შ. ნ-ძე-ჩ-ძე და თ. ჩ-ძე რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობენ ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე უძრავი ქონება შეძენილია შ. ნ-ძე-ჩ-ძისა და შ. ჩ-ძის ქორწინების პერიოდში -1998 წლის 16 ნოემბერს. ამავე გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შ. ჩ-ძის მიერ ნ. ჩ-ძისათვის ჩუქების ხელშეკრულება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, ქ. ქუთაისში გელათის ქ.#2/15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი კვლავ ირიცხება ნ. ჩ-ძის საკუთრებად. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენით დადგენილია, რომ "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსი დღეისათვის შ. ჩ-ძის მფლობელობაში აღარ არის, იგი მიითვისა შ. ჩ-ძე-ნ-ძის ძმამ, გ. ნ-ძემ, რომელმაც მესაკუთრის ნებართვის გარეშე გაასხვისა ნივთი და მიღებული თანხა მიითვისა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, ქ. სამტრედიისში, ... ქ.#35-ში მდებარე უძრავი ქონება 1999 წლის 14 მაისიდან ირიცხება შპს „დიტოს“ სახელზე. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 10 ივლისის დადგენილების საფუძველზე შპს „დ-ოს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „გ-სი“. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 26 ნოემბრის #02/695 ბრძანების საფუძველზე, 2007 წლის 26 ნოემბერს განხორციელდა ცვლილება შპს „გ-ის“ სამეწარ-

მეო რეგისტრაციის მონაცემებში და შ. ნ-ძე-ჩ-ძე ცნობილ იქნა საზოგადოების 50%-ის მესაკუთრედ. პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლით, მაგრამ არასწორად გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი შეფასება მისცა მათ, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრების განსაზღვრისას, შესაძლებელია სასამართლომ ერთ-ერთ მეუღლეს, რომელთანაც შვილი აღსაზრდელად რჩება, მეტი წილი მიაკუთვნოს. პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნორმამ უპირატესად არასრულწლოვანი შვილების ინტერესები გაითვალისწინა, რათა არასრულწლოვანს ნორმალურ პირობებში აღზრდისათვის სათანადო საბინაო პირობები გააჩნდეს. პალატამ მიიჩნია, რომ შ. ნ-ძე-ჩ-ძე ცხოვრობს რა არასრულწლოვან შვილთან ერთად და სადავო უძრავი ქონების გარდა მათ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ, სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნა ქ. ქუთაისში, ... ქ. #32/15-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 2/3-ის მიკუთვნების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით და არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ, ვინაიდან სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენით დადგინდა ფაქტობრივი გარემოება შ. ჩ-ძე-ნ-ძის ძმის -გ. ნ-ძის მიერ „იკარუს 250“ მარკის ავტობუსის მითვისების, მესაკუთრის ნებართვის გარეშე გასხვისებისა და მიღებული თანხის მითვისების შესახებ, აღნიშნული ვერ წარმოშობდა ამ ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლებას და არარსებულ ქონებაზე წილის განსაზღვრის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძველდა. პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შ. ჩ-ძის სახელზე რეგისტრირებულ „იკარუს 250-ის“ მარკის ავტობუსზე შ. ნ-ძე-ჩ-ძის თანასაკუთრების აღიარების გარეშე მხარე ვერ განახორციელებს ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია გასარჩევნად გადაწყვეტილება სადავო ავტობუსის 1/2-ის თანამესაკუთრედ აღიარების შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში გაუქმდა, ამავე კოდექსის 180-ე და სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში დაკმაყოფილდა და შ. ნ-ძე-ჩ-ძე აღიარებულ იქნა სადავო ავტობუსის 1/2-ის მესაკუთრედ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა გასაჩივრებელი გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმების თაობაზე, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება სარჩელზე ქ. სამტრედიაში, ... ქ. #35-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მითითებულ მისამართზე ფიზიკური პირის -შ. ჩ-ძის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება არ არსებობს, რაც გამორიცხავს ამ კუთხით დავის განხილვისა და სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმების შესაძლებლობას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტმა უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე ქ. ქუთაისში, ... ქ. #2/15-ში მდებარე 26.4 კვ.მ ავტოფარეხის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, რასაც მოწინააღმდეგე მხარეც დაეთანხმა, ამდენად, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად მოთხოვნის ამ ნაწილში სააპელაციო საქმის წარმოება შეწყვიტა და მხარეებს განუმარტა, რომ მათ ერთმევათ უფლება, ამ ნაწილში კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება ქ. ქუთაისში, ... ქ. #2/15-ში მდებარე უძრავი ქონებისა და საცხოვრებელი სახლის 2/3-ის მესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით. არსებობს კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის თაობაზე, რაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოარკვია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლის გაყოფის შესახებ შ. ნ-ძე-ჩ-ძის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებულია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის შესაბამისად, სარჩელის გამოხმობის გამო, მოთხოვნა დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებების ნაწილში შ. ჩ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა ა. ბ-ძემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლით, როდესაც ქ. ქუთაისში, ... ქ. #2/15-ში მდებარე სახლიდან მოწინააღმდეგე მხარეს გამოუყო 2/3. პალატას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, მეუღლეთა წილების თანაფარდობა დაერღვია, რადგან შ. ნ-ძე-ჩ-ძესთან ცხოვრობს მხოლოდ ერთი ბავშვი, მოსარჩელო შრომისუუნარო არ არის, კასატორს ოჯახის ინტერესების საზიანოდ საერთო ქონება არ დაუხარჯავს. იგი ყოველთვის თანახმა იყო, მეუღლეთა ქონების ნახევარი შ. ნ-ძე-ჩ-ძეს დარჩენოდა, რაც იმით დასტურდება, რომ მოსარჩელო ბავშვთან ერთად ამჟამადაც სადავო ბინაში ცხოვრობს. მოწინააღმდეგე მხარე არ აძლევს კასატორს კუთვნილი ბინით სარგებლობის შესაძლებლობას, რი-

თავ ილახება ამ უკანასკნელის კონსტიტუციური უფლებები. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კასატორს 1989 წლიდან, როცა შ. ნ-ძე მისი მეუღლე არ იყო, ჰყავს ნაშვილები შვილი. სასამართლო სადავო ქონების გაყოფისას შ. ნ-ძე-ჩ-ძისათვის მეტი წილის მიკუთვნების საფუძველად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბავშვს ნორმალური აღზრდისათვის მშობლისაგან ცალკე ფართი ესაჭიროება, თუმცა აღნიშნული მოსაზრება სათანადოდ დასაბუთებული არ არის. კასატორმა არაერთხელ შესთავაზა ყოფილ მეუღლეს სადავო ბინის მათ საერთო ბავშვზე გადაფორმება, თუმცა შ. ნ-ძე-ჩ-ძე არ დათანხმდა, რადგან მას სურს თავის სახელზე აღრიცხოს და შემდეგ შვილის სრულწლოვანებამდე გაასხვისოს ბინა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, რის შედეგად იგი განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა. 1998 წლის 15 იანვრიდან კასატორი პენსიონერია და სადავო უძრავ-მოძრავი ქონება შეძენილი აქვს ქორწინებამდე შეგროვილი დანაზოვით. აღსანიშნავია, რომ შ. ნ-ძე-ჩ-ძე სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ აღრიცხული არ არის და აღნიშნული არც მოუთხოვია. "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსის თანამესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის შესახებ საკითხის განხილვისას სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი. შ. ნ-ძე-ჩ-ძის ძმა -გ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, გ. ნ-ძე შ. ჩ-ძის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ფლობდა სადავო ავტობუსს, თუმცა არ გააჩნდა ნივთის გასხვისების უფლებამოსილება. აღნიშნულის მიუხედავად, გ. ნ-ძემ მესაკუთრესთან შეუთანხმებლად გაასხვისა ავტობუსი და მიღებული თანხა მიითვისა, რის შესახებაც შ. ნ-ძე-ჩ-ძისათვის ცნობილი იყო. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას იგი დაიკითხა მოწმის სახით და განმარტა, რომ მისმა ძმამ კანონიერად გაასხვისა ეს ქონება. მითითებული დანაშაული მოხდა 2005 წლის მაისში, სარჩელი კი სადავო ავტობუსის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ მხარემ შეიტანა 2008 წლის 22 ოქტომბერს, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. 2009 წლის 13 თებერვლამდე მოსარჩელე ცდილობდა, ძმისათვის პასუხისმგებლობის აცილებას, მაგრამ განაჩენის გამოტანის შემდეგ კასატორს პრეტენზია წარუდგინა არარსებულ ნივთთან დაკავშირებით, რომლის უკანონო გასხვისებაში თავად იღებდა მონაწილეობას. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ავტობუსის გასხვისებით შ. ნ-ძე-ჩ-ძეს ზიანი მიადგა. სააპელაციო პალატამ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, როდესაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, აღიარა ავტობუსს "იკარუს 250-ზე" შ.ნ-ძე-ჩ-ძის თანასაკუთრება. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ შ.ნ-ძე-ჩ-ძეს აღიარებითი სარჩელი არ აღუძრავს, არამედ იგი მოითხოვდა სადავო ნივთის არარსებულ ნივთზე თანამესაკუთრედ ცნობას. სასამართლომ უკანონოდ მიუთითა აპელანტისათვის სამომავლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, ვინაიდან შ. ჩ-ძეს შ. ნ-ძე-ჩ-ძისათვის ზიანი არ მიუყენებია. მეტიც, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, შეეცვალა აპელანტის მოთხოვნა და საკუთარი ინიციატივით განემარტა აპელანტისათვის, თუ რა უნდა მოეთხოვა მას სამომავლოდ. სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნდა არც მოძრავი ნივთის სარგებლის მოთხოვნის უფლება, რადგან არარსებულ ქონებაზე წილის განსაზღვრა დაუშვებელია, ამასთან, დადგენილია, რომ სადავო ავტობუსის გასხვისებით კასატორს არანაირი სარგებელი არ მიუღია, პირიქით იგი დაზარალდა კიდევ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადავოს არ წარმოადგენს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1998 წლის 31 აგვისტოს შ. ნ-ძე-ჩ-ძესა და შ. ჩ-ძეს შეეძინათ შვილი, თ. ჩ-ძე. მათი ქორწინების რეგისტრაცია შეწყდა 2007 წლის 2 მაისს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით, შ. ჩ-ძეს, არასრულწლოვანი შვილის -თ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი თვეში 150 ლარის ოდენობით. შ. ნ-ძე-ჩ-ძე და თ. ჩ-ძე რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობენ ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე უძრავი ქონება შეძენილია შ. ნ-ძე-ჩ-ძისა და შ. ჩ-ძის ქორწინების პერიოდში -1998 წლის 16 ნოემბერს. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განაჩენით დადგენილია, რომ "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსი დღეისათვის შ. ჩ-ძის მფლობელობაში აღარ არის, იგი მიითვისა შ. ჩ-ძე-ნ-ძის ძმამ -გ. ნ-ძემ, რომელმაც მესაკუთრის ნებართვის გარეშე გაასხვისა ნივთი და მიღებული თანხა მიითვისა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, ქ. სამტრედაში, ... ქ.#35-ში მდებარე უძრავი ქონება 1999 წლის 14 მაისიდან ირიცხება შპს „დ-ოს“ სახელზე. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 10 ივლისის დადგენილების საფუძველზე შპს „დ-ოს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „გ-სი“. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 26 ნოემბრის #02/695 ბრძანების საფუძველზე, 2007 წლის 26 ნო-

ემბერს განხორციელდა ცვლილება შპს „გ-ის“ სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში და შ. ნ-მე-ჩ-მე ცნობილ იქნა საზოგადოების 50%-ის მესაკუთრედ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ჩ-ძისა და მის წარმომადგენელ ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შ. ნ-მე-ჩ-ძის ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 2/3-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებასა და დასკვნას შ. ნ-მე-ჩ-ძის "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსის 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე და ამ ნაწილში არ იზიარებს საკასაციო პრეტენზიას უსაფუძვლობის გამო, კერძოდ:

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ შ. ჩ-ძის საკუთრებაში აღრიცხული ავტობუსი "იკარუს 250" მხარეთა ქორწინებაში ყოფნის პერიოდშია შეძენილი. სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პირის თანასაკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ქორწინებაში ყოფნისა და სადავო ნივთის ამ პერიოდში შეძენის ფაქტი. ამდენად, სრულიად დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სადავო ავტობუსი შეძენილია მის მიერ, მისი სახსრებით და მოწინააღმდეგე მხარეს მასზე რაიმე უფლება არ გააჩნია.

ასევე ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული საკასაციო პრეტენზია, რომ სადავო "იკარუს 250-ის" მარკის ავტობუსი მიითვისა რა შ. ჩ-მე-ნ-ძის ძმამ -გ. ნ-მემ, მესაკუთრის ნებართვის გარეშე გაახვის იგი, რაზედაც აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში შ. ნ-მე-ჩ-ძეს თანასაკუთრებაზე პრეტენზია არ განუცხადებია და, შესაბამისად, დაზარალებულად ცნობა არ მოუთხოვია. დასახელებული გარემოება თანასაკუთრების უფლების მოთხოვნაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა პირს უფლებას აძლევს და არა ავალდებულებს, მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების დაცვა და, შესაბამისად, მოთხოვნის წარდგენა მთლიანად პირის ნებაზეა დამოკიდებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას შ. ნ-მე-ჩ-ძის უძრავ ნივთზე 2/3-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

გაუქმებულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" პუნქტით, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა -თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას. მოცემული დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ შ. ნ-მე-ჩ-ძესთან ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი და გარდა სადავო უძრავი ქონებისა, მათ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

ზემოთ აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს -შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლე-

ბელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე -მეორე მშობელი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისე განუსაზღვრა შ. ნ-მე-ჩ-მეს უძრავ ქონებაზე 2/3, რომ არ მიუთითებია, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობა ამ მუხლის გამოყენების საჭიროება. სასამართლო არ უთითებს, მოდავე მხარეთა თანასაკუთრების თანაბრად გაყოფა რა გავლენას ახდენს არასრულწლოვანი შვილის ინტერესზე ან მის ნორმალურ პირობებში აღზრდაზე. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის ძალითაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს საკუთრების უფლების მოპოვების განსხვავებულ რეჟიმს, რაც მხოლოდ ამავე ნორმით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებული ნორმის გამოყენებისას დასაბუთებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ადასტურებენ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისისასგან გადახვევის აუცილებლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს უძრავ ნივთთან მიმართებით მეუღლეთა წილის განსხვავებული წესით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობები და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს მას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და
და ა ა დ გ ი ნ ა :

შ. ჩ-მისა და მის წარმომადგენელ ა. ბ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება შ. ნ-მე-ჩ-მის ქ. ქუთაისში, ... ქ.#2/15-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 2/3-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-1035-1228-08

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ლ-ავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. კ-მისა და ა. მ-შვილის მიმართ სესხის მოპასუხეთა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის ა. მ-შვილის წილიდან ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოპასუხეები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ა. მ-შვილს აქვს ა. ლ-ავას ვალი -15 090 აშშ დოლარი, თუმცა აღნიშნული თანხის ა.მ-შვილისათვის დაკისრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა, ვინაიდან 2003 წლის 26 ნოემბერს ქ. ქუთაისში, ... ქ-ის #24/35-ში მდებარე ბინა ა.მ-შვილმა გაასხვისა. ამასთან, აღსა-

ნიშნავია, რომ ბინის გაყიდვისას, ნასყიდობის ხელშეკრულების დანართის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯ. კ-მემ თავისი განცხადებით თანხმობა მისცა მეუღლე ა. ძ-შვილს საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე. ამდენად, 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსის, ასევე, 1169-ე მუხლის, 1170-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის საფუძველზე ა. ლ-ავას მიმართ არსებული ვალი უნდა დაიფაროს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა. ძ-შვილის კუთვნილი წილიდან.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: ქ.ქუთაისში, ... ქ-ის #24/36-ში მდებარე ბინა პრივატიზებულ იქნა და საჯარო რეესტრში აღირიცხა ჯ. კ-ძის სახელზე. საქმეში არ არის წარმოდგენილი მოსარჩელის მიერ მითითებული ჯ. კ-ძის თანხმობა ბინის გასხვისებაზე და ასეთი კიდევაც რომ არსებობდეს, იგი სრულიად სხვა ბინის გასხვისებას ეხება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. ძ-შვილმა სადავო თანხა ისესხა და მოახმარა არა ოჯახის ინტერესებს, არამედ, მაღაზიის გარემონტებას, რის გამოც საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მითითება სამოქალაქო კოდექსის 1169-ე-1170-ე მუხლებზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ა. ლ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა -დადგინდა ა. ძ-შვილის ვალის -15 090 აშშ დოლარის გადახდა ჯ. კ-ძის კუთვნილი, ქ. ქუთაისში, ... ქ-ის #24/36-ში მდებარე ბინაში ა. ძ-შვილის 1/2-ის, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ძ-შვილისა და ჯ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ა. ლ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ა. ლ-ავას მიმართ ა. ძ-შვილის ვალის -15090 აშშ დოლარის ანაზღაურება დადგინდა ჯ. კ-ძის სახელზე რიცხული, ქ.ქუთაისში, ... ქ-ის 24/36-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ა. ძ-შვილის 1/4-დან შემდეგ გარემოებათა გამო: 1966 წლის 13 იანვრიდან ჯ. კ-ძე და ა. ძ-შვილი იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. 1992 წლის 7 ოქტომბერს ჯ. კ-ძეს პრივატიზების წესით საკუთრებაში გადაეცა ქ.ქუთაისში, ... 24/36-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 იანვრის სააღსრულებო ფურცლით ა. ძ-შვილს ა. ლ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 22 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლით ა. ძ-შვილს ა. ლ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 5090 აშშ დოლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე და 22-ე მუხლები, სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლი და დაადგინა, რომ ა. ლ-ავას მიმართ ა. ძ-შვილს ვალი უნდა დაეფარა მეუღლეთა თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების პოზიცია, რომ ა. ძ-შვილის მიერ მიღებული სადავო თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს არ მოხმარებია, ვინაიდან ოჯახის წევრის კანონიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია ოჯახის სოციალური თუ მატერიალური კეთილდღეობისაკენ, ოჯახის საერთო ინტერესებში შედის. პალატამ ყურადღება გაამახვილა აპელანტების განმარტებაზე, რომ ა. ძ-შვილმა ა. ლ-ავასაგან თანხა ისესხა მაღაზიაში სურსათის შესაძენად, ხელწერილის თანახმად კი ნასესხები თანხა მოხმარდა მაღაზიის რემონტს, შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობას, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მოგების მისაღებად. სასამართლომ ჩათვალა, რომ ოჯახის წევრის ლეგალური სამეწარმეო საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება, ყოველთვის მიმართულია ოჯახის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობისაკენ და ოჯახის წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შედის ოჯახის საერთო ინტერესებში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს არა იმ შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის ვალის გადახდევინება ხდება თანასაკუთრებაში მისი წილიდან, არამედ, ერთ-ერთი მეუღლის ვალის გადახდევინებას მეუღლეთა საერთო ქონებიდან, ე.ი იმ ქონებიდან, რომელშიც შედის მეორე მეუღლის წილიც. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებისათვის ვალის აღების ფაქტის დადგენისას იგულისხმება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან. მოცემულ შემთხვევაში, პალატის მოსაზრებით, მოსარჩელე ითხოვს ა. ძ-შვილის ვალის ანაზღაურებას არა მეუღლეთა საერთო ქონებიდან, არამედ -ამ ქონებაში მოვალის წილიდან, სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ დადგინდება, რომ მოვალეს სესხი ოჯახის ინტერესებისათვის არ გამოუყენებია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი მართებულად დაკმაყოფილდა, თუმცა, ამავდროულად, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ შეცდომით გამოიანგარიშა საცხოვრებელ სახლში ა. ძ-შვილის წილი. აღნიშნულ-

თან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1992 წლის 7 ოქტომბერს სადავო სახლის პრივატიზაცია მოახდინა ჯ. კ-მემ. ამ დროს სახლში რეგისტრირებული იყვნენ და, შესაბამისად, ბინას ფლობდნენ ჯ. კ-მე და მისი ვაჟი -მ. კ-მე. საქმეში წარმოდგენილი საბინაო წიგნის ასლის თანახმად, მ. კ-მე სახლში მუდმივ მცხოვრებლად ჩაეწერა 1983 წლის 19 იანვარს. საბინაო წიგნი წარმოდგენილია 1992 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით და წიგნის ის გრაფა, რომელშიც აღინიშნება მონაცემები პირის სხვა საცხოვრებელ ადგილას გადასვლის შესახებ, თავისუფალია, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, ნიშნავს, რომ მ. კ-მე 1983 წლის 19 იანვრიდან 1992 წლის 15 ოქტომბრამდე სადავო სახლში რეგისტრირებული იყო და სხვა საცხოვრებელ ადგილას არ გადასულა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მე-5 პუნქტით და მიიჩნია, რომ სადავო ბინაზე საკუთრება თანაბარი წილის უფლებით მოიპოვეს ჯ. და მ. კ-მეებმა, ამდენად, პრივატიზაციის შედეგად ჯ. კ-მე გახდა სადავო ბინის ნახევრის მესაკუთრე და მისი გაყოფის შემთხვევაში, ა. დ-შვილის წილი შეადგენს ჯ. კ-მის წილის ნახევარს ანუ ბინის 1/4-ს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილებით ა. დ-შვილსა და ჯ. კ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 134,9 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: სააპელაციო პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით ჯ.კ-მესა და ა.დ-შვილს სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდათ, თუმცა 2008 წლის 6 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს ხარჯების განაწილების საკითხი არ გადაწყვეტილა. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მესამე ნაწილით, 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, 53-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და მიუთითა, რომ დავის საგნის ღირებულება განსახილველ შემთხვევაში შეადგენდა 15090 აშშ დოლარს, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა 1/4-ის ნაწილში, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტებს უნდა დაკისრებოდა 15090 აშშ დოლარის 1/4-ის 4% -134,9 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში -ა. დ-შვილმა და ჯ. კ-მემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში -ა. ლ-ავამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

ა. ლ-ავამ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო სესხი მეუღლეთა საერთო ვალს წარმოადგენს, თუმცა პალატამ არასწორად გამოიყენა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილება. მ. კ-მემ სადავო ბინაში თავისი წილის მიღების უფლება დაკარგა, როდესაც ნება დართო ჯ. კ-მეს, ბინის პრივატიზება მთლიანად თავის სახელზე მოეხდინა. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობის მიხედვით, ბინის პრივატიზების უფლება ჰქონდა ა.დ-შვილსაც და მაშინ მისი წილი უძრავ ქონებაში იქნებოდა არა 1/4, არამედ -1/3.

ა. დ-შვილმა და ჯ. კ-მემ მოითხოვეს გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო პალატის როგორც ძირითადი, ისე დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივებით: სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად მიიჩნია, რომ სადავო ბინის 1/2 მ. კ-მის საკუთრებაა, თუმცა დაუსაბუთებელია პალატის მოსაზრება ჯ.კ-მის კუთვნილი წილიდან ა.დ-შვილის სესხის დაფარვის თაობაზე. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილი, როდესაც მიიჩნია, რომ ა.დ-შვილმა ნასესხები თანხა ოჯახის ინტერესებს მოახმარა. სასამართლომ ვერ მიუთითა, თუ რა მტკიცებულების საფუძველზე დაადგინა აღნიშნული. ჯ.კ-მე საერთოდ არ იცნობდა იმ პირებს, რომელთაგანაც თითქოს მისმა მეუღლემ თანხა ისესხა. ამასთან, ა.დ-შვილის განმარტებით, რეალურად სადავო თანხა მას არ უსესხებია, იგი მოატყუეს და ხელწერილზე შეცდომით მოაწერინეს ხელი. ფაქტობრივად, თანხა მიიღეს ვინმე ყ-ნებმა, რომელთაც უნდა გაერემონტებინათ მაღაზია და მოემარაგებინათ სურსათით. სესხის მიღების ხელწერილი შედგენილია 2002 წელს და მიუთითებს სადავო თანხის 1999 წელს სესხებაზე. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, თუ რატომ არ შედგა აღნიშნული ხელწერილი უფრო ადრეც, როცა სესხის დაფარვის დრო 2008 წლით იყო განსაზღვრული. სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილებით არასწორად დააკისრა კასატორებს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ვინაიდან ა. დ-შვილი პენსიონერია, ხოლო ჯ. კ-მე -ინვალიდი. ისინი საკმარისად დაზარალდნენ სადავო ურთიერთობის დროს. აქვე აღსანიშნავია, რომ სადავო ბინაში, კასატორთა გარდა, ცხოვრობს მ. კ-მე მეუღლითა და შვილებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით -ჯ. კ-ძის, 24 დეკემბრის განჩინებით -ა. ლ-ავას, ხოლო 30 დეკემბრის განჩინებით კი ა. ძ-შვილის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, დასაშვებობის შემთხვევაში.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 1966 წლის 13 იანვრიდან ჯ. კ-ძე და ა. ძ-შვილი იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. 1992 წლის 7 ოქტომბერს ჯ. კ-ძეს პრივატიზების წესით საკუთრებაში გადაეცა ქ.ქუთაისში, ... ქ-ის 24/36-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ამ დროს სახლში რეგისტრირებული იყვნენ და, შესაბამისად, ბინას ფლობდნენ ჯ. კ-ძე და მისი ვაჟი -მ. კ-ძე. საბინაო წიგნის ასლის თანახმად, მ. კ-ძე სახლში მუდმივ მაცხოვრებლად ჩაეწერა 1983 წლის 19 იანვარს. საბინაო წიგნი წარმოდგენილია 1992 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით და წიგნის ის გრაფა, რომელშიც აღინიშნება მონაცემები პირის სხვა საცხოვრებელ ადგილას გადასვლის შესახებ თავისუფალია, ამდენად, მ. კ-ძე 1983 წლის 19 იანვრიდან 1992 წლის 15 ოქტომბრამდე სადავო სახლში რეგისტრირებული იყო და სხვა საცხოვრებელ ადგილას არ გადასულა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. ძ-შვილს ა. ლ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 22 ივნისს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლით კი ა. ძ-შვილს ა. ლ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 5090 აშშ დოლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ა. ძ-შვილისა და ა. ლ-ავას საკასაციო საჩივრებს კი უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლებით:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რომელთა მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. დასახელებული ნორმის შესაბამისად, ერთ-ერთი მეუღლის ფულადი ვალდებულება შეიძლება დაიფაროს ორივე მეუღლის საერთო ქონებიდან იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნაკისრი ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული თანხა ოჯახის ინტერესებს მოხმარდა.

მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, კასატორ ა.ძ-შვილსა და ჯ.კ-ძეს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარუდგენია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტით -ა. ძ-შვილის ხელწერილით დასტურდება ა.ძ-შვილის მიერ ა. ლ-ავასაგან სადავო თანხის სესხება ლეგალური სამეწარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სადავო თანხით ა.ძ-შვილმა გაარემონტა ... ქ.#3-ში მდებარე #167 მაღაზია, შემდგომ მის ასამუშავებლად, თუმცა მაღაზიამ ვერ იფუნქციონირა, რის გამოც ა.ძ-შვილმა სესხი ვერ დააბრუნა. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ა.ძ-შვილმა ნასესხები თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს მოახმარა, ვინაიდან ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში თანხის დაბანდება თავისთავად მთელი ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართულ ქმედებად უნდა შეფასდეს და, შესაბამისად, თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს მთლიანად მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან. ა. ძ-შვილმა და ჯ. კ-ძემ აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო ვერ დაასაბუთეს.

დაუსაბუთებელია კასატორ ა. ლ-ავას მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილება, რომლის მეხუთე პუნქტის თანახმად საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად ჩათვალა, რომ 1992 წლის 7 ოქტომბერს სადავო სახლის პრივატიზაცია მოახდინა ჯ. კ-ძემ, თუმცა 1983 წლის 19 იანვრიდან იმავე ბინაში დარეგისტრირდა და მუდმივად ცხოვრობს ჯ. კ-ძის შვილი -მ. კ-ძე.

აღნიშნული გარემოება დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საბინაო წიგნის ასლითაც. საბინაო წიგნი წარმოდგენილია 1992 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით და ის გრაფა, რომელშიც პირის სხვა საცხოვრებელ ადგილას გადასვლის შესახებ მონაცემები აღინიშნება თავისუფალია, შესაბამისად, დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მითითება, რომ მ. კ-მე 1983 წლის 19 იანვრიდან 1992 წლის 15 ოქტომბრამდე სადავო სახლში რეგისტრირებული იყო და სხვა საცხოვრებელ ადგილას არ გადასულა.

ამდენად, პრივატიზების მომენტში სახლში რეგისტრირებული იყვნენ და ბინას ფლობდნენ ჯ. და მ. კ-ძეები, რომელთაც თანაბარწილად მოიპოვეს სადავო ბინის პრივატიზების უფლება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბინის ჯ. კ-ძის სახელზე პრივატიზება არ ართმევს მ. კ-ძეს მითითებულ უძრავ ნივთზე უფლებას, რის გამოც სააპელაციო პალატამ სწორად ჩათვალა, რომ ა. ძ-შვილისა და ჯ. კ-ძის წილი სადავო სახლში შეადგენს ბინის 1/2-ს.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება ჯ. კ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან, "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები - ყველა სარჩელზე.

მოცემულ საქმის მასალებში წარმოდგენილი საპენსიო მოწმობით დასტურდება, რომ ჯ. კ-ძე ცნობილია მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ უვადოდ. "სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ" კანონის მესამე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ითვლება ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გამწვანებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების მიხედვით, შესაძლებლობის შეზღუდვა არის დაავადების, ტრავმის, ანატომიური ან გონებრივი დეფექტის შედეგად გამოწვეული ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი დარღვევით, რაც განაპირობებს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვას, რის გამოც საჭირო ხდება მისი სოციალური დაცვა. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ქმედობაუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა. ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, კანონმდებელი ახლებურად აწესრიგებს და განსაზღვრავს პირის ინვალიდობის სტატუსს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ჯ. კ-ძის საპენსიო მოწმობაში არსებული ჩანაწერი მხარის შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ მიიჩნევის თაობაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით ჯ.კ-ძე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ა. ძ-შვილისა და ა. ლ-ავას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ჯ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი, ხოლო 2008 წლის 23 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილება ჯ. კ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

ჯ. კ-ძე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდეს.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. დაუქორწინებელი მშობლისაგან შვილის წარმოშობის დადგენა

განჩინება

#ას-41-40-2010

7 მაისი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მამობის დადგენა, ბავშვისათვის მამის გვარის მინიჭება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ქ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. დ-მის მიმართ მამობის დადგენის, არასრულწლოვანი ე. ქ-მის დაბადების მოწმობაში ცვლილების შეტანის -ბავშვის მამად დ. დ-მის, ხოლო გვარად -დ-მის მითითების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეებს ჰქონდათ ახლო, ინტიმური ურთიერთობა, რის შედეგადაც მოსარჩელე დაორსულდა და შეეძინა შვილი -ე. ქ-მე. მოპასუხემ ბავშვი თავის შვილად არ აღიარა და მის აღზრდაში მონაწილეობას არ იღებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეებს ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონდათ. მართალია, მათ შორის დამყარდა ინტიმური კავშირი, მაგრამ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მათ ერთად არ უცხოვრიათ და საერთო მეურნეობა არ უწარმოებიათ, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ე. ქ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ე. ქ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ე. ქ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დ. დ-მე აღიარებულ იქნა 2007 წლის 17 მარტს დაბადებული ე. ქ-მის მამად, ე. ქ-მის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამის გრაფაში მიეთითა დ. დ-მე, ე. ქ-მისათვის მამის გვარის -დ-მის მინიჭების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ე. ქ-მესა და დ. დ-მეს ჰქონდათ ახლო, ინტიმური ურთიერთობა, მაგრამ მათ ერთად არ უცხოვრიათ და არც საერთო მეურნეობა ჰქონიათ. 2007 წლის 17 მარტს ე. ქ-მეს შეეძინა შვილი -ე. ქ-მე, რომლის მამობა მოპასუხემ იმთავითვე უარყო და არც ბავშვის აღზრდასა და რჩენაში მონაწილეობა მიუღია. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით, მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო (გენეტიკური) ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაც ვერ მოხერხდა ექსპერტიზის ბიუროში მოპასუხე დ. დ-მის გამოუცხადებლობის გამო.

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მამობის დადგენისათვის აუცილებელია მშობლების ერთ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრება, ერთად კვება, ურთიერთზრუნვა, ნივთების შეძენა საერთო სარგებლობისათვის და სხვა ისეთი მოქმედების განხორციელება, რაც უკავშირდება ოჯახის შექმნის მიზანს და არა მეგობრული კეთილგანწყობის ფაქტს, ხოლო ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, თუ იგი ბავშვის ჩასახვამდე შეწყდა, ასეთ დროს მხედველობაში არ მიიღება. მამობის დადგენისათვის მშობლები ერთად უნდა ცხოვრობდნენ ბავშვის ჩასახვის მომენტიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ასევე, ბავშვის დაბადების შემდეგ, სისტემატურად მონაწილეობდნენ ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენაში. მამობის დადგენისას არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სასამართლო სამედიცინო გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა - „დნმ-ის“ ანალიზი, მხარეთა შორის არსებული წერილები, განცხადებები და ა.შ., რამდენადაც ისინი არ გამომდინარეობენ 1190-ე მუხლის შინაარსიდან. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა მამობის დადგენისათვის სამ პირობას ითვალისწინებს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობაც საკმარისია, ამასთან, ზემოხსენებული კანონის დანაწესით მითითებულ დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება ჩაითვალოს გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა (დნმ-ის ანალიზი), თუკი ასეთი დასკვნა ადასტურებს მამობას, შეიძლება საფუძვლად დაედოს მამობის აღიარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი არასწორად განმარტა. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მეოთხე ნაწილით მიიჩნია, რომ მოპასუხე დ. დ-მემ სასამართლოს წინაშე წერილობით უარი განაცხადა რა გენეტიკური ექსპერტიზის ბიუროში გამოცხადებაზე და ექსპერტი-

ზის ჩატარებაზე, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე დ. დ-მე არის 2007 წლის 17 მარტს დაბადებული ე. ქ-მის მამა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის განხილვისას მხარეთა მიერ იმ ფაქტობრივი გარემოების აღიარებაზე, რომ დ. დ-მე გარკვეული დროის განმავლობაში ხვდებოდა ე. ქ-მეს, ჰქონდა მასთან ინტიმური, სქესობრივი კავშირი. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მეოთხე ნაწილისა და 105-ე მუხლის თანახმად, პალატა მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები საკვებით ადასტურებენ მოპასუხის მამობას. სამოქალაქო კოდექსის 1192-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1195-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ 2007 წლის 17 მარტს დაბადებული ე. ქ-მის მამას წარმოადგენს რა დ. დ-მე, სასარჩელო მოთხოვნა ე. ქ-მის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამად დ. დ-მის მითითების თაობაზე საფუძვლიანია. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლით შესაძლებელია, შვილს მიეკუთვნოს როგორც დედის, ისე მამის გვარი, რადგან განსახილველ შემთხვევაში არასრულწლოვან ე. ქ-მეს მიკუთვნებული აქვს დედის გვარი, დაუსაბუთებელია აპელანტის მოთხოვნა ბავშვისათვის მამის გვარის -დ-მის მინიჭების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. დ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ მხარეებს ჰქონდათ ახლო ურთიერთობა და ინტიმური კავშირი, რაც მათ აღიარეს სასამართლო პროცესზე. მართალია, მხარემ სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ შემთხვევით გაიცნო მოსარჩელე და ერთხელ ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა მასთან, რასაც სხვა სახის ახლო ურთიერთობა არ მოჰყოლია, მაგრამ პალატამ არასწორად განმარტა მითითებული გარემოება.

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილი საფუძვლებიდან სასამართლომ სადავო მამობის დადგენა დააფუძნა ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრების ფაქტს. მხარეთა ერთად ცხოვრებად კი ჩათვალა ერთჯერადი სქესობრივი კავშირი მოსარჩელესთან, რითაც არასწორად განმარტა კანონის ზემოხსენებული დანაწესი. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილის უპირობო მოთხოვნაა, რომ მამობის დადგენისას დადასტურდეს მშობლების ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების ფაქტი. შემთხვევით გაცნობილ ქალთან შემთხვევითი ერთჯერადი კავშირი პალატამ ჩათვალა ერთად ცხოვრების ფაქტად და არ იმსჯელა მხარეთა მიერ საერთო მეურნეობის წარმოების შესახებ. მოსარჩელეს ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სასამართლოს არ უმსჯელია, მხარეებს შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დროს ჰქონდათ თუ არა შვილის ჩასახვის ან დაბადების სურვილი. მოპასუხე არ გეგმავდა ე. ქ-მესთან ოჯახის შექმნასა და შვილების ყოლას. ბავშვის არსებობა მან შეიტყო მოსარჩელესთან შემთხვევითი ურთიერთობიდან დაახლოებით 10-12 თვის გავლის და სხვა პირთან ოჯახის შექმნის შემდეგ, როდესაც მოსარჩელე დაემუქრა საყოფაცხოვრებო საშუალებებით უზრუნველყოფაზე უარის შემთხვევაში ეცნობებინა აღნიშნული კასატორის მეუღლისა და ახლობლებისათვის. მანამდე მოსარჩელეს ბავშვის წარმომავლობის შესახებ მისთვის არ უცნობებია, რის გამოც, მოპასუხე სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ექსპერტიზის ბიუროში არ გამოცხადდა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილი საფუძვლების არარსებობის პირობებში ექსპერტიზის ჩატარებას არავითარი მტკიცებულების ძალა არ გააჩნია. პალატის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის ასეთი გაგება და ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ამ ნორმის შინაარსს. საკითხისადმი ასეთი მიდგომით, ყველა შემთხვევაში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამად ესა თუ ის პირი უნდა იქნეს აღიარებული, მიუხედავად იმისა, ამის სურვილი ჰქონდა თუ არა მას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. დ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 17 მარტს ე. ქ-მეს შეეძინა შვილი -ე. ქ-მე, რომლის მამობა მოპასუხემ უარყო და ბავშვის აღზრდა-

სა და რჩენაში მონაწილეობა არ მიუღია. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით, მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო (გენეტიკური) ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაც ვერ მოხერხდა ექსპერტიზის ბიუროში მოპასუხე დ. დ-მის გამოუცხადებლობის გამო. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე დ. დ-მემ სასამართლოს წინაშე წერილობით უარი განაცხადა რა გენეტიკური ექსპერტიზის ბიუროში გამოცხადებაზე და ექსპერტიზის ჩატარებაზე, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე დ. დ-მე არის 2007 წლის 17 მარტს დაბადებული ე. ქ-მის მამა, რაც დ. დ-მის ბავშვის მამად ცნობის საფუძველია.

ამ დასკვნის საწინააღმდეგოდ კასატორის საკასაციო საჩივრით წარმოდგენილი არგუმენტებს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მათი დაუსაბუთებლობის გამო, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულ საპროცესო მოქმედების მხარის მიერ შეუსრულებლობის შედეგს. აღნიშნული ნორმით, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად.

მითითებული ნორმა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მხარეს არ აიძულებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას და, შესაბამისად, არ ადგენს მის ვალდებულებებს, მაგრამ ამავდროულად, იმპერატიულად ადგენს საპროცესო მოქმედებათა მხარის ინტერესებისათვისვე შესრულების აუცილებლობას, რისი განუხორციელებლობა ადეკვატურად იწვევს ამავე მხარისთვის უარყოფით შედეგს. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში კასატორის გენეტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოუცხადებლობა პროცესუალურად საკმარის საფუძველს წარმოადგენს ფაქტის დასადგენად, რომ მხარე ბავშვის ბიოლოგიური მამაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტის მიმართ კასატორს საკასაციო საჩივრით დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია და ეს გარემოება სადავოდ არ გაუხდია.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილის უპირობო მოთხოვნაა, რომ მამობის დადგენისას დადასტურდეს მშობლების ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების ფაქტი და მათი არარსებობის პირობებში ექსპერტიზის დასკვნას არავითარი ძალა არ გააჩნია.

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. აღნიშნული ნორმა დისპოზიციურია და შეიცავს ბავშვის მამობის დადგენის რამოდენიმე საფუძველს და არა -სრულ ჩამონათვალს. ამასთან, ამ ნორმით დასახელებული საფუძველების კუმულატიურად არსებობა სავალდებულო არ არის და სასარჩელო მოთხოვნის კანონიერება დამოკიდებულია არა ყველა მითითებული გარემოებების არსებობაზე, არამედ გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს ჩამოყალიბებულ შინაგან რწმენაზე, რომელიც ემყარება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული განხილვით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სარწმუნოდ ადგენენ ბავშვის მამის ვინაობას.

ნორმაში მითითებული დათქმა, "მხედველობაში იღებს", არსობრივადაც ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ისეთი გარემოებებიც (ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა), რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მიანიშნებენ მოთხოვნის საფუძველიანობას. ამდენად, ნორმაში მოცემული სიტყვათა წყობა, "მხედველობაში იღებს", არ უნდა განიმარტოს მისი ვიწრო გაგებით, არამედ იგი გულისხმობს, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია მამობის დადგენისას გაითვალისწინოს ამავე ნორმაში მოცემული მამობის არაცალსახად დამდგენი ფაქტობრივი გარემოებებიც.

ყველა სამოქალაქო ურთიერთობა დაკავშირებულია გარკვეულ შედეგებთან და ასეთი ურთიერთობების დამყარება როგორც წესი მხარეთა თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ამავდროულად, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ამ ურთიერთობათა მოსალოდნელი თანამდევნი ფაქტობრივი და, შესაბამისად, იურიდიული შედეგებიც. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვის უფლებები იმავე ზომით უნდა იქნეს დაცული, როგორც კანონიერ ქორწინებაში მყოფი მშობლების ბავშვების უფლებები. სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილით უპირველესად დაცულია დაუქორწინებელი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვები და არა მშობლები. შესაბამისად, ამ ნორმის იმგვარად შეფასება, რომ პირის ბავშვის მამად დადგენა დამოკიდებულია მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილ გარემოებების არსებობაზე (რომლებიც უფრო მეტად უთითე-

ბენ დედისა და მოპასუხის ურთიერთდამოკიდებულებაზე), დასაბუთებას მოკლებულია. მით უფრო დაუსაბუთებელია კასატორის პოზიცია, რომ ბავშვის მამობისათვის განმსაზღვრელია, მისი დამოკიდებულება ბავშვის დედასთან, სურვილი ბავშვის ჩასახვა-დაბადებისა და ფაქტი, დედასთან ერთ ოჯახად ცხოვრებისა. ასეთ შემთხვევებში მამობის დადგენის საკითხი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც ბავშვის წარმოშობა დგინდება ნებყოფლობით (მამის "სურვილით") დაუქორწინებელი მშობლების ერთობლივი განცხადებით.

ბავშვების ჯანსაღი განვითარება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საზოგადოების მომავლისათვის. ბავშვები არსებულ პირობებში უფრო მეტად დაუცველი არიან, ვიდრე -მოზრდილები. სწორედ ეს გარემოებები უდევს საფუძვლად ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულ და შეთანხმებულ საერთაშორისო აქტებს, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია საზოგადოების ამ ნაწილის უფლებათა დაცვის პრიორიტეტი და აქტუალობა. კანონით აღიარებულ უფლებებს შორის ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს მზრუნველი ოჯახური გარემოთი, იცხოვროს მშობლებთან ან ჰქონდეს კავშირი მათთან, თუ ისინი ერთმანეთს დაცილებულნი არიან.

ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილია თითოეული ბავშვისათვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო უფლების ხელმისაწვდომობას და მათ დაცვას დისკრიმინაციისაგან ნებისმიერი საფუძვლით. ამავე კონვენციის მე-7 მუხლით კი ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით. კონვენციის დანაწესებიდან გამომდინარე უდავოდ გამოკვეთილია კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებიც ეხებათ ბავშვებს, მიუხედავად იმისა, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება -მთავრობამ, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელობამ, თუ თვით ოჯახმა.

ამდენად, კანონმდებელი 1190-ე მუხლით პოტენციურ მამას კი არ იცავს ე.წ. "შემთხვევითი" სქესობრივი ურთიერთობების შედეგად გაჩენილ ბავშვზე პასუხისმგებლობისაგან, არამედ იმ პირს, რომელიც არ წარმოადგენს ბავშვის მამას. პირის ბავშვის მამად ცნობა არ შეიძლება მხოლოდ მამად საცნობი პირის ნებაზე და ასევე ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და ბავშვის დაბადებამდე საერთო მეურნეობის წარმოებაზე ან ბავშვის ერთად აღზრდასა ან რჩენაზე იყოს დამოკიდებული, ვინაიდან ბავშვის წარმოშობის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ პირების დადგენას, ვინც პირდაპირ ბიოლოგიურ კავშირშია ბავშვთან და, შესაბამისად, არიან ბავშვის მშობლები.

ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდა, ან რჩენა ან თუნდაც ნორმით გათვალისწინებული ამ ყველა წინაპირობის ერთდროულად ან ერთი მათგანის არსებობა უპირობოდ არ არის დასტური იმისა, რომ დედასთან ერთად მცხოვრები მამაკაცი, რომელიც თუნდაც ზრუნავს ბავშვზე და არჩენს მას, უალტერნატივოდ ბავშვის მამაა. ამ მხრივ საგულისხმოა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ევროპული კონვენციის (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 03/01/2002 წლის #1321 დადგენილებით) მე-4 მუხლი, რომლის ძალითაც მამობის ნებყოფლობითი აღიარება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული ან ეჭვქვეშ დაყენებული, თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნება, რომელსაც სურს აღიაროს ან უკვე აღიარა ბავშვი, არ არის ბიოლოგიური მამა. ამდენად, ბიოლოგიური კავშირი გადამწყვეტი ფაქტორია ბავშვის მამის დადგენისათვის და პირის მიერ ბავშვის მამობის პირად აღიარებასაც კი ვერ მიენიჭება უფრო მეტი იურიდიული ძალა, ვიდრე ბიოლოგიური მამობის დამდგენ დოკუმენტს. სწორედ ამიტომაც გაითვალისწინა კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლით მამობის დადგენისათვის საკმარისად ისეთი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. ასეთ დამამტკიცებელ საბუთად კი უნდა ჩაითვალოს გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მეცნიერული კვლევის შედეგად სარწმუნოდ მაღალი ალბათობით ადგენს ბავშვის წარმომავლობას და აღიარებს მოპასუხის ბიოლოგიურ მამობას (საგულისხმოა, რომ ბიოლოგიური მამობა მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს). ამ მტკიცებულების იურიდიულ ძალაზე მეტყველებს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი, რომლითაც მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში მეცნიერული მტკიცებულებანი, რომლებსაც ძალუბთ, ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას, იქნება დამეცხვებული.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილით უდავოდ დაცულია ბავშვის სამოქალაქო უფლება -იცოდეს თავისი წარმომავლობის, მშობლების შესახებ და იგი თანხმობაშია საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან. ქორწინების გარეშე დაბა-

დებული ბავშვის მიმართ სრულად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში (Mიკულიჯ ვ. ჩროატია, ნო. 53176/99 ჯუდეგმენტ ოფ 07.02.2002), მიიჩნია, რომ, ვინაიდან სადავო იყო მამობის საკითხი და ეს ნაწილი არ იყო დადგენილი, შესაბამისად, ერთ ოჯახად არ უცხოვრიათ, ეს შემთხვევა სასამართლომ განიხილა პირადი ცხოვრების ჭრილში, რომელიც, სასამართლოს აზრით, გულისხმობს ინდივიდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ინტეგრაციას, რაც ასევე მოიცავს უფლებას, სოციალურ იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში სრულად გამოიყენება კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ ამ საქმეზე მოიშველია მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება (Gასკინ ვ. ტჰე Sნიტედ Kინგდომ) და განაცხადა, რომ პირს აქვს იმის უფლება, მოახდინოს იდენტიფიკაცია და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია თავისი პიროვნების, მათ შორის, ბიოლოგიური მშობლების შესახებ.

დასახელებულ საქმეზე სასამართლომ განაცხადი დასაშვებად ცნო და განაცხადა, რომ პირადი ცხოვრება არ გულისხმობს მხოლოდ ნეგატიური ჩარევის აკრძალვას სახელმწიფოს მხრიდან, არამედ, ასევე გულისხმობს პოზიტიურ ვალდებულებასაც, რამაც ჯამში სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რეგულაციების დადგენის სახით ეფექტიანად უნდა დაიცვას ინდივიდთა პირადი ცხოვრება. ნეგატიური ვალდებულებისგან განსხვავებით, რომელიც მკაფიოდ არის განსაზღვრული, პოზიტიური ვალდებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სახელმწიფოს ფართო დისკრეციის ფარგლებში და უნდა დადგინდეს გონიერი ბალანსი ზოგად და ინდივიდუალურ ინტერესს შორის.

რეალური პრობლემა, რომელიც წარმოეშვათ სასამართლოებს ამ საქმეზე იყო ის, რომ არ არსებობდა კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა შემდეგი მიმართებით: განმცხადებელს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ მოეხდინა მამობის შესაძლო კანდიდატის იძულება, რათა ამ უკანასკნელს ჩაეტარებინა ტესტი და, შესაბამისი წესით, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით, თავისი წარმომავლობა დაედგინა. ამ შემთხვევაში მოპასუხის "დასჯის" რამდენიმე გზა არსებობდა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, დაჯარიმება, პრეზუმფციის დადგენა, რომ ეს უკანასკნელი არის მამა (ანუ მტკიცების ტვირთის გადატანა მასზე). მოცემულ დავაზე მოპასუხე ხორვატიის სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ მიმართებით იყო უძლიერი და, შესაბამისად, არაფერს ადგენდა.

აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ყველაზე მთავარია პროპორციულობის პრინციპის დაცვა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, უნდა მომხდარიყო პროპორციულობის გათვალისწინებით დაცული ორი სიკეთიდან ერთის არჩევა (ანუ, ერთი მხრივ, მამის უფლება, არ ჩაიტაროს ტესტი და, მეორე მხრივ, ბავშვის უფლება - იცოდეს ნამდვილი მამის შესახებ). სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი (ბავშვი) რამდენიმე წლის განმავლობაში სოციალური იდენტიფიცირების გარეშე იყო დატოვებული, ანუ მან არ იცოდა, თუ ვინ იყო მისი მამა. ამ შემთხვევაში ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ამ კონფლიქტში ხორვატიის ეროვნულ სასამართლოებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინათ ბავშვის უფლებისათვის, სცოდნოდა მამის წარმომავლობის შესახებ, ვიდრე პირის უფლებისათვის - არ ჩაეტარებინა სამედიცინო ტესტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ კონვენციის მე-8 მუხლი დაარღვია პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობის გამო, ანუ საბოლოო ჯამში დარღვევის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ხორვატიის სახელმწიფოს არ ჰქონდა ეფექტური ზომა მოპასუხის საწინააღმდეგოდ და სამოქმედოდ, რაც იყო პოზიტიური ვალდებულების ამკარა დარღვევა.

საგულისხმოა ევროპული სასამართლოს დასკვნა ოჯახური თანაცხოვრების ფაქტთან მიმართებით: სასამართლო ქალისა და მამაკაცის ერთობლივ თანაცხოვრებას არ განიხილავს მშობლებსა და მცირეწლოვან შვილებს შორის ოჯახური ცხოვრების აუცილებელ პირობად. (BEლდEHAB ვ. თHE NEთHEლLANDშ, 1988. 10730/84 §21).

მსგავსი დასაბუთება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gასკინ ვ. ტჰე Sნიტედ Kინგდომ (ჯუდეგმენტ ოფ 7 ჟულყ 1989, შერიეს A ნო. 160) და ოდიევრე საფრანგეთის წინააღმდეგ (ODIEVლE ვ. Fრანცე Aპპლიკაციონ N42326/98 ჯუდეგმენტ ოფ 13.02.2003).

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის გასაჩირებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას და თვლის, რომ მისი გაუქმების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-656-878-08

6 თებერვალი, 2009 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ბავშვის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 26 ივნისს ა. კ-კომ სარჩელით მიმართა ხობის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ი. და გ. ც-ების მიმართ შვილად აყვანის გაუქმებისა და ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, 1996 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თ. ვ-იასთან, რომელთანაც 1997 წლის 15 იანვარს შეეძინა შვილი. ბავშვი მისგან დამოუკიდებლად, კანონის უხეში დარღვევით, გააშვილეს ხობის რ-ნის სოფ. ... მცხოვრები გ. ც-იას ოჯახში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბავშვის აყვანისათვის საჭირო იყო დედის წერილობითი თანხმობა, რომელიც უნდა გადაეცა შვილის დაბადებიდან 6 კვირის შემდეგ. მას ბავშვის გაშვილება აზრადაც არ მოსვლია. საქართველოში ყოფნისას ყოველთვის ატყუებდნენ, რომ ბავშვი გარდაიცვალა, თუმცა, როგორც მისთვის ცნობილი გახდა, იგი გაშვილებულია და მშვილებლები ი. და გ. ც-იები ბავშვის დაბრუნების წინააღმდეგნი არიან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა. კ-კომ მოითხოვა შვილად აყვანის გაუქმება და ბავშვის დაბრუნება.

ხობის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. კ-კოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა შვილად აყვანის გაუქმებას. ვინაიდან არ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება მ. ც-იას შვილად აყვანის თაობაზე, დაბადების სააქტო ჩანაწერის თანახმად, მშობლებად მითითებული იყვნენ ი. და გ. ც-იები. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. კ-კოს სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მ. ც-იას დაბადების სააქტო ჩანაწერის ყალბ დოკუმენტად ცნობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნა, რომ დოკუმენტის სიყალბის შესახებ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა ა. კ-კოსათვის შვილის -მ. ც-იას დაბრუნების მოთხოვნა, ვინაიდან მიიჩნია, რომ, გარდა ზემოთმითითებული საფუძვლებისა, არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მ. ც-ია ა. კ-კოს შვილი იყო.

სასამართლომ მიუთითა, რომ ა. კ-კოს ბავშვის წარმომავლობის დადგენა სასამართლოსათვის არ მოუთხოვია, სარჩელს საფუძვლად დაუდო მიშვილების გაუქმება, რაც კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა.

ხობის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-კომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შვილის -მ. ც-იას დედისთვის -ა. კ-კოსათვის დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით ა. კ-კოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1997 წლის 15 იანვარს ა. კ-კოს შეეძინა ქალიშვილი -მ. ც-ია, რომელიც დაბადებისთანავე იზრდებოდა ხობის რ-ნის სოფ. . . . ი. და გ. ც-ების ოჯახში. აღნიშნული დადასტურებულია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 25 ნოემბრისა და ქ. ფოთის პროკურატურის 2000 წლის 30 მაისის აპელანტის სახელზე მიწერილი წერილებით;

აღნიშნულ საქმეზე დანიშნული ექსპერტიზა, რომლითაც უნდა გარკვეულიყო, ა. კ-კო მ. ც-ას დედა იყო თუ არა, სრულყოფილად ვერ ჩატარდა, ვინაიდან ი. და გ. ც-ებმა მ. ც-ა ექსპერტიზაზე არ მიიყვანეს და არც რაიმე საპატიო მიზეზი ექსპერტიზის ჩატარების ხელშეშლასთან დაკავშირებით არ მიუთითებიათ;

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ ა. კ-კოს პოზიცია, რომ იგი მ. ც-ას დედა იყო დადასტურებულად მიიჩნია;

სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. და გ. ც-ები არასრულწლოვან მ. ც-ას თავისთან ამყოფებდნენ კანონიერი საფუძვლის გარეშე, ვინაიდან მათ მ. ც-ა დადგენილი წესით შვილად არ აუყვანიათ და არ არსებობდა რაიმე გადაწყვეტილება მ. ც-ას შვილების თაობაზე;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. კ-კო სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა შვილის -მ. ც-ას დაბრუნება, თუმცა მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შვილის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. კ-კო არ იყო საქართველოს მოქალაქე და დღესდღეობით არ ცხოვრობდა საქართველოში;

ა. კ-კოს შვილთან ურთიერთობა არ ჰქონია დაბადების დღიდან;

ბავშვი უკვე 11 წლის არის და დაბადებიდანვე იზრდებოდა ი. და გ. ც-ებთან, სწავლობდა საშუალო სკოლაში და ყველა პირობა გააჩნდა ნორმალური აღზრდისა და ცხოვრებისათვის;

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი მ. ც-ას ინტერესებიდან გამომდინარე, მისი გადაცემა ბიოლოგიური მშობლისათვის დაუშვებელი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-კომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შვილის დაბრუნება შემდეგი საფუძვლით:

კასატორის განმარტებით, განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის ახალი რედაქციით, რომელიც მოქმედებდა განჩინების გამოტანის დროს და, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1997 წლის 15 იანვარს ა. კ-კოს ქორწინების გარეშე შეეძინა ქალიშვილი, რომელიც ა.ს არარეგისტრირებული მეუღლის -თ. ვ-ასა და ექიმის ხელშეწყობით წაიყვანეს ი. და გ. ც-ებმა. დადგენილია, რომ ა. კ-კოს თ. ვ-ასთან თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა კიდევ ორი ქალიშვილი. თ. ვ-ა ა. კ-კოს არ ამღვედა საშუალებას მოემძებნა ბავშვი. მას შემდეგ, რაც ა. კ-კომ თავისი დედის დახმარებით მოახერხა საქართველოდან გამგზავრება დაიწყო შვილის ძებნა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ქ. ფოთის პროკურატურის წერილებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ბავშვი იზრდებოდა ი. და გ. ც-ების ოჯახში, რის შემდეგაც სარჩელით მიმართა სასამართლოს ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

დადგენილია, რომ მ. ც-ას დაბადების საექტო ჩანაწერში მშობლებად ჩაწერილები არიან ი. და გ. ც-ები. აღნიშნულ ჩანაწერს საფუძვლად დაედო ქ. ფოთის სამშობიარო სახლის ექიმ ლ-ას მიერ გაცემული ცნობა. საქმის განხილვისას დადგინდა, რომ ი. ც-ას ამ სამშობიარო სახლში არ უმშობიარია.

ამდენად, დადგენილია, რომ მ. ც-ას ბიოლოგიური დედა არის ა. კ-კო. ი. და გ. ც-ებმა ბავშვი სამშობიაროდან წამოიყვანეს ბიოლოგიურ დედასთან შეთანხმების გარეშე და კანონის მოთხოვნათა დარღვევით ბავშვის დაბადების საექტო ჩანაწერში ჩაეწერნენ, როგორც ბიოლოგიური მშობლები. ი. და გ. ც-ები არასრულწლოვან მ. ც-ას თავისთან ამყოფებენ კანონიერი საფუძვლის გარეშე, მათ მ. ც-ა დადგენილი წესით შვილად არ აუყვანიათ და არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ც-ას შვილების თაობაზე;

აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს მხარეები სადავოდ არ ხდიან, შესაბამისად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს, კერძოდ, გამოიყენა

სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც გაუქმებულია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან საჭირო აღარ არის მტკიცებულებების დამატებითი გამოკვლევა, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, ბავშვის დედის ჩანაწერი სრულდება დაბადების თაობაზე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთის საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1192-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მშობლები დაქორწინებულნი არ არიან ერთმანეთთან, ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ კეთდება დედის განცხადებით, ხოლო ჩანაწერი მამის შესახებ, ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამავე კოდექსის 1193-ე მუხლის თანახმად კი თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩანაწერის წიგნში ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი, ხოლო ბავშვის მამის სახელი ჩაიწერება დედის მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბავშვი შეეძინა დაუქორწინებელ დედას - ა. კ-კოს. ქ. ფოთის სამშობიარო სახლის ექიმი ლ-იას მიერ გაიცა საბუთი, თითქოს ბავშვი შეეძინა ი. ც-ას, რის გამოც, ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებად ჩაიწერა ი. და გ. ც-ები. ამდენად, ი. და გ. ც-ებმა თ. ვ-იასთან შეთანხმებით, ასევე, სამშობიარო სახლის ექიმის ხელშეწყობით, ბავშვის დედის ნების საწინააღმდეგოდ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით წაიყვანეს ბავშვი, რითაც დაირღვა დედა-შვილის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად, მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე.

მშობელთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა შვილების პირადად აღზრდის უფლება. მშობლის უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით (სამოქალაქო კოდექსის 1205-1206-ე მუხლები). განსახილველ შემთხვევაში ა. კ-კოს სასამართლოს გადაწყვეტილებით არა აქვს ჩამორთმეული და არც მშობლის უფლება აქვს შეზღუდული. მისთვის კანონით მინიჭებული უფლების დარღვევა განაპირობა მოპასუხეთა უკანონო ქმედებებმა. ისეთ პირობებში კი, როდესაც თვითონ მოპასუხეები უკანონოდ ამყოფებენ ბავშვს თავისთან და თვითონვე არღვევენ ბავშვის ბიოლოგიური დედის უფლებებს, მიზანშეუწონელია ბავშვი აღსაზრდელად დარჩეს მათთან.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს არცერთი სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის აღსაზრდელად მოპასუხებთან დატოვება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის ბიოლოგიურ დედას შეუძლია შეუქმნას ბავშვს აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობები. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვს ჰყავს ბიოლოგიური დედი და მათი სხვადასხვა ოჯახებში აღზრდა გაუმართლებელია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბიოლოგიურ დედასთან და დებთან ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, მშობლიურ გარემოში აღზრდა დადებითად იმოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. შესაბამისად, ბავშვი უნდა დაუბრუნდეს ბიოლოგიურ დედას და იზრდებოდეს თავის ბიოლოგიურ დებთან ერთად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დროს შეიძლება შეიქმნას სირთულეები ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან მიმართებაში, იმ კუთხით, რომ ა. კ-კოს შვილთან ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას ორივე მხარის მაქსიმალური ძალისხმევით ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1192-ე და 1193-ე მუხლების შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს მ. ც-ას დაბადების სააქტო ჩანაწერში. ასევე მოპასუხეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, უნდა დაეკისროს ა. კ-კოს მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ა. კ-კოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

ა. კ-კოს სარჩელი დაკმაყოფილდეს;

ი. ც-ა და გ. ც-ას -მცხოვრები ხობის რ-ნის სოფ. . . ., ჩამოერთვათ ბავშვი -მ. ც-ა, დაბადებული 1997 წლის 15 იანვარს, ხობის რ-ნში, სარეგისტრაციო ადგილი ხობის რ-ნის სოფ. . . . და გადაეცეს ბიოლოგიურ დედას -ა. კ-კოს, დაბადებულს 1974 წლის 8 იანვარს, უკრაინის მოქალაქე, რეგისტრირებულს შემდეგ მისამართზე: უკრაინა, დონეცკის ოლქი, სოფ. . . .;

შესაბამისი ცვლილებები შევიდეს მ. ც-ას დაბადების სააქტო ჩანაწერში;

ი. ც-ა და გ. ც-ას დაეკისროთ ა. კ-კოს მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 480 ლარი ა. კ-კოს სასარგებლოდ;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება

განჩინება

#ას-349-325-2010

27 ივლისი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ გადაადგილებული ბავშვის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს კ. შ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე, "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ავსტრიიდან უკანონოდ გადაადგილებული არასრულწლოვნის -ე. შ-ძის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძველებით: კ. შ-ძესა და ნ. ბ-ძეს ქორწინების პერიოდში, 2008 წლის 27 ივნისს, შეეძინათ შვილი -ე. შ-ძე. ისინი მუდმივად იმყოფებოდნენ ავსტრიაში და კ. შ-ძე სისტემატურად მონაწილეობდა შვილის აღზრდაში, სანამ ნ. ბ-ძემ, მასთან შეთანხმების გარეშე, უკანონოდ არ წაიყვანა ბავშვი საქართველოში. აღნიშნულით დაირღვა "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" კონვენციის მე-3 მუხლის "ა" და "ბ" პუნქტებით გათვალისწინებული, კ. შ-ძის, როგორც ბავშვის მეურვის, უფლებები.

ნ. ბ-ძემ კ. შ-ძის შუამდგომლობა არ ცნო და განმარტა, რომ მის მიმართ ზემოხსენებული კონვენციის დანაწესები არ დარღვეულა, ვინაიდან ბავშვის საქართველოში ჩამოყვანამდე კ. შ-ძე მათი საერთო შვილის მეურვე არ იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით კ. შ-ძეს უარი ეთქვა, "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ავსტრიიდან გადაადგილებული არასრულწლოვნის -ე. შ-ძის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რაც კ. შ-ძის წარმომადგენლებმა -გ. ყ-შვილმა და მ. ქ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით კ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

არასრულწლოვანი ე. შ-ძის მშობლები არიან საქართველოს მოქალაქეები -ნ. ბ-ძე და კ. შ-ძე. ე. შ-ძე დაიბადა 2008 წლის 27 ივნისს ავსტრიის ქ. . . . და იგი საქართველოს მოქალაქეა. დაბადებიდან 2009 წლის 13 იანვრამდე კი ე. შ-ძე ცხოვრობდა მშობლებთან ერთად მისამართზე: . . . 8/23-24, 1010, . . ., ავსტრია, 13 იანვრიდან 19 იანვრამდე -ამავე მისამართზე დედასთან, ნ. ბ-ძესთან ერთად, რადგან მოცემულ პერიოდში კ. შ-ძე, მეუღლესთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, საცხოვრებლად გადავიდა ამავე ქალაქში სასტუმრო "გრანდ ოტელში", ხოლო 19 იანვრიდან კი ბავშვი იმყოფებოდა დედასთან ერთად ვენა. . . #36-ში მდებარე პანსიონში. 2009 წლის 31 იანვარს ნ. ბ-ძემ 7 თვის ე. შ-ძე ჩამოიყვანა ავსტრიიდან საქართველოში. ამჟამად ბავშვი ერთ წლამდე ასაკისაა.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ე. შ-ძის ავსტრიის სახელმწიფოში დაბრუნებით ბავშვისათვის ფსიქიკური ტრავმის მიყენების ფაქტი დასაბუთებული არ არის. შპს "ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის" ფსიქოლოგების დასკვნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების 2009 წლის 21 აპრილის დასკვნით, შპს "თერაპიის სახლის" ექიმ-სპეციალისტ თ. ვ-ძის მიერ მიცემული განმარტებით, შპს "ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის" ფსიქოლოგ ნ. ჩ-ას განმარტებით, სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა ის გარემოება, რომ მცირეწლოვან ე. შ-ძის დედასთან განშორება და მისი ავსტრიაში დაბრუნება გამოიწვევს ბავშვის ფსიქიკის რღვევას და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის.

პალატამ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაზე სპეციალისტის სახით მიწვეული ფსიქოლოგ ნ. ჩ-ას განმარტებაზე, რომ ბავშვსა და დედას შორის არსებობს ფსიქოსომატური კავშირი, რაც ნიშნავს იმას, რომ დედის განწყობა პირდაპირპროპორციულად ასახვას პოვებს ბავშვზე და, თუ დედისათვის ამა თუ იმ გარემოში სასურველია ყოფნა, მაშინ ეს გარემო კომფორტული და სასურველია ბავშვისთვისაც, ხოლო, თუ დედისათვის ეს ფსიქოლოგიურ დამაბულობას იწვევს, მაშინ ასეთი ყოფა ბავშვისთვის არათუ უარყოფითი, არამედ დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ კ. შ-ძესა და ნ. ბ-ძეს შორის არსებობს გამწვავებული ურთიერთობა, რამაც მათი დაშორება (ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა) გამოიწვია და ნ. ბ-ძე იძულებული გახდა, ბავშვთან ერთად დაბრუნებულიყო მისთვის და მისი შვილისათვის უსაფრთხო გარემოში -საქართველოში. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძისათვის ავსტრიაში გამგზავრება იქნება არაკომფორტულ გარემოში დაბრუნება, რაც მის ფსიქოლოგიურ დამაბულობას გამოიწვევს და დედა-შვილს შორის არსებული ფსიქოსომატური კავშირის გათვალისწინებით, უარყოფითად იმოქმედებს და ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ბავშვს ავსტრიაში დედასთან ერთად დაბრუნების შემთხვევაშიც კი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ დაასაბუთა, რომ მცირეწლოვან ე. შ-ძის დედასთან განშორება და მისი ავსტრიაში დაბრუნება გამოიწვევს ბავშვის ფსიქიკის რღვევას და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მას აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის, რაც, აღნიშნული კონვენციის მე-13 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლოს უფლებას აძლევს, უარი თქვას ე. შ-ძის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კ. შ-ძის წარმომადგენლებმა გ. ყ-შვილმა და მ. ქ-ძემ გასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად განმარტა "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის "ბ" პუნქტი. პალატამ მიიჩნია, რომ კ. შ-ძის შუამდგომლობაზე უარის თქმის საფუძველი არის თავად ბავშვის ინტერესი, არ მოსწყდეს ჩვეულ გარემოს ახალი მდგომარეობის სტაბილურობის საკმარისი გარანტიის გარეშე, თუმცა სასამართლოს არ უმსჯელია ბავშვისათვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან ნ. ბ-ძის მიერ მისი უკანონოდ წამოყვანის შედეგებზე. პალატამ მიუთითა ე.პერეს-ვერას განმარტებით მოხსენებაზე, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ, აღნიშნული მოხსენების შესაბამისად, კონვენციის უპირველესი ამოცანაა უკანონოდ გადაადგილებული ბავშვის თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, ხოლო სხვა სამართლებრივი საკითხების შემდგომ გარკვევა.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ეფუძნება იმას, რომ დედასთან განშორება უარყოფითად იმოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე და სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, რამდენად შეუქმნიდა საფრთხეს ბავშვის ფსიქიკას იმ გარემოში დაბრუნება, სადაც იგი ადრე ცხოვრობდა. სასამართლომ უგულებელყო რა ზემოხსენებული კონვენციის დანაწესები, არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა მშობლები, კერძოდ, პალატა არასწორად დაეყრდნო ბავშვის მცირეწლოვანების ფაქტს, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია 16 წლამდე ბავშვებს შორის რაიმე განსხვავებულ მიდგომას არ ითვალისწინებს. გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, ბავშვის დედას შეუძლია გაიტაცოს იგი და ამისათვის მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო მამა ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. შ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

არასრულწლოვანი ე. შ-ძის მშობლები არიან საქართველოს მოქალაქეები -ნ. ბ-ძე და კ. შ-ძე. ე. შ-ძე დაიბადა 2008 წლის 27 ივნისს ავსტრიის ქ. ... და იგი საქართველოს მოქალაქეა. დაბადებიდან 2009 წლის 13 იანვრამდე ე. შ-ძე ცხოვრობდა მშობლებთან ერთად მისამართზე: ... 8/23-24, ..., ავსტრია, 13 იანვრიდან 19 იანვრამდე -ამავე მისამართზე დედასთან -ნ. ბ-ძესთან ერთად, რადგან მოცემულ პერიოდში კ. შ-ძე, მეუღლესთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, საცხოვრებლად გადავიდა ამავე ქალაქში სასტუმრო "გრანდ ოტელში", ხოლო 19 იანვრიდან კი ბავშვი იმყოფებოდა დედასთან ერთად ქ. ... მდებარე პანსიონში. 2009 წლის 31 იანვარს ნ. ბ-ძემ 7 თვის ე. შ-ძე ჩამოიყვანა ავსტრიიდან საქართველოში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინებით "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის "ბ" პუნქტის არასწორად განმარტებაზე და, შესაბამისად, მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის არაკანონიერებაზე.

იმისათვის, რომ გაირკვეს კასატორთა მიერ მითითებული ნორმის გამოყენების კანონიერება, ყურადღება უნდა მიექცეს რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ:

"ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" კონვენციის პრეამბულაში კონვენციის ხელმძღვანელი სახელმწიფოების მიზანს წარმოადგენს, უზრუნველყონ ბავშვის საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან და დაადგინონ პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ სწორად დაბრუნებას მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში, და აგრეთვე იძლევიან ურთიერთობის უფლებათა დაცვის გარანტიას. ამავდროულად, კონვენციის პრეამბულაშივე ხაზგასმით მითითებულია ბავშვების ინტერესების უმთავრეს მნიშვნელობაზე.

კონვენცია ემსახურება რა ბავშვების საერთაშორისო გატაცების ფაქტების აღკვეთას, ამავდროულად კონვენციის უმთავრესი მიზანი სწორედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვაა. აღნიშნულით კონვენცია განიხილება როგორც ბავშვთა უფლებების დამცველი და არა გატაცებული ბავშვის მშობლის უფლებების დამცველი, ანუ ბავშვის გატაცებისას უპირველესად დაზარალებულია ბავშვი, რომელიც ტრავმირებულია ჩვეული გარემოდან უცხო სამყაროში მოხვედრით და მშობლებთან დაცილებით.

კონვენცია არეგულირებს რა ბავშვთა გატაცების სამოქალაქო ასპექტებს, უდავოა, რომ კონვენციის ფარგლებში განსახილველ ყველა ფაქტს საფუძვლად უდევს მართლსაწინააღმდეგო, უკანონო ქმედება -ბავშვის გატაცება, უკანონო გადაადგილება. არც ის წარმოადგენს სადავოს, რომ ასეთი უკანონო ქმედება უნდა აღიკვეთოს, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის იგი ჩადენილი, თუმცა კონვენციისათვის მნიშვნელოვანს და, მოცემულ დავასთან დაკავშირებით, არსებითს წარმოადგენს, რომ უკანონო ქმედების -ბავშვის გატაცების აღკვეთას მოჰყვება ბავშვის უფლებების დაცვით მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. სწორედ ამიტომაც ადგენს დასახელებული კონვენცია გამონაკლისებს ბავშვის დაბრუნებასთან მიმართებით, კერძოდ, კონვენციის მე-13 მუხლით, მიუხედავად წინამავალი მუხლის დებულებებისა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის, გასცეს განკარგულება ბავშვის თაობაზე, თუკი პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დაადგენს ამავე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობა -არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მცირეწლოვანის დაბრუნება ბავშვს შეუქმნის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული დასკვნა დასაბუთებულია საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ უარი თქვა ბავშვის დაბრუნებაზე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა - შპს "ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის" ფსიქოლოგების დასკვნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების 2009 წლის 21 აპრილის დასკვნით, შპს "თერაპიის სახლის" ექიმ-სპეციალისტ თ. ვ-ძის მიერ მიცემული განმარტებით, შპს "ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის" ფსიქოლოგ ნ. ჩ-ას

განმარტების საფუძველზე დადგენილია, რომ ბავშვის დაბრუნება უკანონოდ გადაადგილებამდე ტერიტორიაზე ბავშვს შეუქმნის ფიზიკურ ან ფსიქიკურ საფრთხეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია და არც საქმის მასალებში მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს შეუქმნიდა რწმენას ბავშვის გატაცებამდე არსებულ გარემოში ბავშვის ინტერესების დარღვევის გარეშე დაბრუნების შესაძლებლობისა. უფრო მეტიც, კასატორი ითხოვს რა ბავშვის ავსტრიაში დაბრუნებას, მისი მოთხოვნა ემყარება ზემოაღნიშნული კონვენციის ვიწრო გაგებას, ვინაიდან იგი ვერ ადასტურებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთით უფრო მაღალი მიზნის მიღწევას და ვერ გამორიცხავს, რომ მცირეწლოვანის დედასთან დაშორებით უფრო მეტად არ დაირღვევა გატაცების მსხვერპლის – ბავშვის ინტერესები და უფლებები. ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებული ფსიქიკური საშიშროებები და პრობლემები კი ნათლად წარმოჩენილია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომლის საწინააღმდეგო მტკიცება, როგორც უკვე აღინიშნა, კასატორს არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ ამ კონვენციის ფარგლებში არ არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, თუ ვის უნდა დაეკისროს ბავშვის მეურვეობა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ ბავშვის დაბრუნების დაკმაყოფილება მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დაუშვებელია, ვინაიდან კასატორმა ვერ შეძლო, გამოერეცხა მცირეწლოვანის დედასთან დაშორებით ბავშვის ფსიქიკისათვის შესაფერისი და სტაბილური გარემოს შექმნის შესაძლებლობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კ. შ-ძის მოთხოვნას წარმოადგენს რა მხოლოდ მცირეწლოვანის დაბრუნება, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი მამა – კ. შ-ძე მუშაობს, ხოლო დედა – ნ. ბ-ძე საქართველოშია და, ამ უკანასკნელის განმარტებით, იგი ავსტრიაში დაბრუნების წინააღმდეგია.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილით მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას, ხოლო, ამავე კონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

სრულიად უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი კასატორის მითითება, რომ ბავშვის უკან დაბრუნებაზე უარის თქმით სასამართლომ უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭა დედას. საქმეში წარმოდგენილ სპეციალისტთა დასკვნებით, რომელიც ემყარება მეცნიერულ გამოკვლევებსა და ლიტერატურას, დასაბუთებულია დედის როლი ბავშვთან ურთიერთობაში, თუმცა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ დედისა და ბავშვის დაცილებით ბავშვისთვის დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფსიქიკური პრობლემები, არამედ ისიც, რომ ბავშვთან მიმართებით სამართლებრივად იმავე უფლებებით აღჭურვილმა მეურვემ – მამამ ვერ შეძლო დაესაბუთებინა, რომ ბავშვის დაბრუნება ავსტრიაში ბავშვის ინტერესებიდან მომდინარეობს და დაბრუნებით ბავშვის უფლებები არ დაირღვევა. ამდენად, მხარემ საქმის განხილვის ვერც ერთ სტადიაზე ვერ შეძლო, დაესაბუთებინა, რომ მისი მოთხოვნა ბავშვის ინტერესების და არა მხოლოდ მისი, როგორც მშობლის ინტერესების დაცვას ემსახურება.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ კ. შ-ძესა და ნ. ბ-ძეს შორის არსებობს გამწვავებული ურთიერთობა, რამაც მათი დაშორება (ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა) გამოიწვია და ნ. ბ-ძე იძულებული გახდა, ბავშვთან ერთად დაბრუნებულიყო მისთვის და მისი შვილისათვის უსაფრთხო გარემოში – საქართველოში. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძისათვის ავსტრიაში გამგზავრება იქნება არაკომფორტულ გარემოში დაბრუნება, რაც მის ფსიქოლოგიურ დამაბულობას გამოიწვევს და, დედაშვილს შორის არსებული ფსიქოსომატური კავშირის გათვალისწინებით, უარყოფითად იმოქმედებს და ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ბავშვს ავსტრიაში დედასთან ერთად დაბრუნების შემთხვევაშიც კი. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, დედასთან განშორება და მისი ავსტრიაში დაბრუნება გამოიწვევს ბავშვის ფსიქიკის რღვევას და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნულის საწინააღმდეგოს დამტკიცება მხარემ ვერ შეძლო.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. მოცემულ დავაში ბავშვის მცირეწლოვან ე. შ-მის დაცვის ჭეშმარიტი ინტერესი მისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რაც მშობლების და ამავდროულად სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების უმთავრესი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

"ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" კონვენციით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს როგორც ბავშვის გამტაცებლის, ისე იმ პირის ნათესაურ კავშირს ბავშვთან, ვისგანაც ბავშვი იქნა გატაცებული (სავარაუდოდ, უფრო ხშირად, დედა ან მამა, თუმცა შესაძლებელია სხვა ნათესავი ან მესამე პირიც). შესაბამისად, კონვენციის მე-13 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის გამოყენებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს გამტაცებლის ნათესაურ კავშირს ბავშვთან და ბავშვის დაბრუნებაზე მოთხოვნის წარმდგენი პირის ნათესაურ კავშირს ბავშვთან (ანუ ვის უფრო ახლო ნათესაური კავშირი აქვს ბავშვთან). კონვენცია არ აკონკრეტებს, თუ ვინ შეიძლება იყვნენ ეს პირები. აღნიშნულს განაპირობებს ამ კონვენციის არსებობის მთავარი მიზანი - უპირატესად და უპირველესად დაცულ იქნეს ბავშვის ინტერესი, იცხოვროს მისთვის უსაფრთხო, შესაფერის გარემოში და შესაბამისად, კონვენციით დავის რეგულირებისას სწორედ ეს შედეგი უნდა იქნეს მიღწეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

კ. შ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. ალიმენტი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-180-507-09

25 ივნისი, 2009 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 13 მაისს მ. ძ-შვილმა სარჩელით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ე. ს-მის მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან განქორწინება შერიგების ვადის გარეშე.

თავის მხრივ, ე. ძ-შვილმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მ. ძ-შვილის მიმართ და მოითხოვა მისთვის შვილების -ქ. და მ. ძ-შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება, კერძოდ, ქ. ძ-შვილის სრულწლოვანების მიღწევამდე ყოველთვიურად 100 ლარის და მ. ძ-შვილის გამოჯანმრთელებამდე, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით თანხის დაკისრება, ასევე, მ. ძ-შვილის მკურნალობისათვის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის სახით 2000 ლარის გადახდა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -100 ლარის ანაზღაურება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის პირველი სექტემბრის ნაწილობრივი გადაწყვეტილებით ე. ძ-შვილის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -მ. ძ-შვილს ე. ძ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა შვილების -1994 წლის 28 ოქტომბერს დაბადებული ქ. ძ-შვილის

სარჩოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან -2008 წლის 9 ივნისიდან -სრულწლოვანების მიღწევამდე, ხოლო 1997 წლის 28 აპრილს დაბადებული მ. მ-შვილის სარჩოდ -ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა სასამართლოში სარჩელის აღძვრიდან მის გამოჯანმრთელებამდე; სულ ორივე შვილზე დაეკისრა ალიმენტის 160 ლარის გადახდა. მასვე ე. მ-შვილის სასარგებლოდ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის სახით დაეკისრა 2000 ლარისა და ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების -100 ლარის ანაზღაურება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისთვის შვილების სარჩოდ ალიმენტის დაკისრება ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე -40 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი ხარჯების დაკისრების ნაწილში ე. ს-ძისათვის შეგებებულ სარჩელზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ე. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. მ-შვილს დაეკისრა შვილების -1994 წლის 28 ოქტომბერს დაბადებული ქ. მ-შვილის სარჩოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 40 ლარის ოდენობით სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან -2008 წლის 9 ივნისიდან -სრულწლოვანების მიღწევამდე, ხოლო 1997 წლის 28 აპრილს დაბადებული მ. მ-შვილის სარჩოდ ყოველთვიურად 40 ლარის გადახდა სასამართლოში სარჩელის აღძვრიდან მის გამოჯანმრთელებამდე, სულ ორივე შვილზე ყოველთვიურად -80 ლარი; მ. მ-შვილს ასევე დაეკისრა შვილის -მ. მ-შვილისათვის დამატებითი ხარჯების სახით 1000 ლარის გადახდა და ე. ს-ძის სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურეობისათვის გაწეული ხარჯის -100 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე. ს-ძე და მ. მ-შვილი 1994 წლის 16 აგვისტოდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში;

ქორწინების შედეგად მიეკუთვნათ გვარი -ქმარს -მ-შვილი და ცოლს -მ-შვილი, მაგრამ ე. ს-ძეს სხვა პირადი საბუთები ქორწინების მოწმობასთან შესაბამისობაში არ მოუყვანია;

ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილები -1994 წლის 28 ოქტომბერს დაბადებული ქ. მ-შვილი და 1997 წლის 28 აპრილს დაბადებული მ. მ-შვილი;

მ. მ-შვილი და ე. ს-ძე შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ მ. მ-შვილის მამის -ბ. მ-შვილის ოჯახში ოზურგეთის რ-ნის სოფ.

მეუღლესთან კონფლიქტური ურთიერთობის გამო, ე. ს-ძე შვილებთან ერთად გადავიდა მშობლების ბინაში.

ერთ-ერთი შვილი -მ. მ-შვილი ბავშვობიდან ინვალიდია დიაგნოზით -"ბავშვთა ცერემბრალური დამბლა ღრმა სპასტიური ტეტრაპარეზი", საჭიროებს ოპერაციულ ჩარევას კონტაქტურობის მოსახსნელად, იღებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის პენსიას -თვეში 55 ლარს;

ე. ს-ძის მშობლების ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, სადაც რეგისტრირებულია ოჯახის ოთხი წევრი, მათ შორის, მ. მ-შვილი და დეზულობენ ყოველთვიურ დახმარებას 66 ლარის ოდენობით, საიდანაც მ. მ-შვილის წილი შეადგენს 16 ლარსა და 50 თეთრს.

სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ საქმეზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობებით დადგენილია, რომ მ. მ-შვილისა და ე. ს-ძის სახელზე არანაირი ქონება ირიცხება, ხოლო ბ. მ-შვილს გააჩნია 10000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შემოქმედის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობებით სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მ-შვილების ოჯახის წლიური შემოსავალი შეადგენდა 2100 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ ე. მ-შვილის მოთხოვნა ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით საფუძვლიანად მიიჩნია, თუმცა აღნიშნა, რომ, ვინაიდან მ. მ-შვილი უმუშევარია, რაიმე უძრავი ქონება პირად საკუთრებაში არ გააჩნია, ცხოვრობს მშობლებთან ერთად, რომელთა წლიური შემოსავალი არის 2100 ლარი, რომელთაგან მ. მ-შვილის წლიური შემოსავალი განისაზღვრება 700 ლარით, ხოლო ყოველთვიური შემოსავალი -58,33 ლარით, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მისთვის ყოველთვიურად ალიმენტის სახით 160 ლარის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებელია, აპელანტის განმარტება კი მისთვის შვილების სასარგებლოდ ყოველთვიურად 40-40 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანი.

სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, რომლითაც დადგენილია მ. ძ-შვილის მძიმე ავადმყოფობა, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მ. ძ-შვილს უნდა დაკისრებოდა დამატებით ხარჯებში მონაწილეობა 1000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც აპელანტის მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საფუძვლიანად ჩათვალა.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ მ. ძ-შვილს ე. ს-ძის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -100 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ს-ძემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით და მოპასუხისათვის დამატებით ქ-ის სარჩოდ 20 ლარის დაკისრება, ხოლო მ-ის სარჩოდ -60 ლარის ყოველთვიურად გადახდა, ასევე, დამატებითი ხარჯების სახით 1000 ლარის გადახდა. კასატორმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა ბ. ძ-შვილის საკუთრებაში არსებული ქონების შეფასების აუდიტორული დასკვნა და მოითხოვა მის მიერ აუდიტის დასკვნის შესადგენად გადახდილი -200 ლარის მ. ძ-შვილზე დაკისრება მის სასარგებლოდ.

კასატორის მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მისი შეგებებული სარჩელი განიხილა კანონის დარღვევით, რამაც გამოიწვია საქმეზე უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მისი თხოვნა მტკიცებულებად არ მიეღო შემოქმედის ტერიტორიული ორგანოს ცნობა ძ-შვილების ოჯახის შემოსავლების შესახებ, ვინაიდან ქონება უნდა შეეფასებინა აუდიტს, შესაბამისად, კასატორის აზრით, ცნობა 2100 ლარის შემოსავლის შესახებ გაცემული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილნი და მოვალენი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა -აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის განსაზღვრისათვის სასამართლო მხედველობაში იღებს, როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველად შეიძლება სხვადასხვა გარემოება იქნეს მიჩნეული. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მხარეებს -ე. ს-ძესა და მ. ძ-შვილს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი -ქ. ძ-შვილი და მ. ძ-შვილი, რომელიც ბავშობიდან არის ინვალიდი, დიაგნოზით -ბავშვთა ცერემბრალური დამბლა. ღრმა სპასტიური ტეტრაპარეზით. მძიმე ავადმყოფობის გამო, მ. ძ-შვილი საჭიროებს მუდმივ მოვლასა და მკურნალობას, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე ე. ს-ძე მძიმე ავადმყოფი შვილის მოვლის გამო ვერ მუშაობს, არ გააჩნია არავითარი შემოსავლები, დაავადებულია მეორე ხარისხის დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვით, საჭიროებს ოპერაციულ მკურნალობას, ცხოვრობს მშობლებთან. მისი მშობლების ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ სოციალურ დახმარებას.

დადგენილია, რომ მ. ძ-შვილი შრომისუნარიანია, ოფიციალურად უმუშევარია, ცხოვრობს მამის -ბ. ძ-შვილის კომლში (ბ. ძ-შვილის კომლზე ირიცხება 10 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ოთხ ნაკვეთად), სარგებლობს მამის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლითა და მიწის ნაკვეთით, ასევე კომლის სხვა შემოსავლებით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა (ყოველთვიურად 40-40 ლარი) არ არის გონივრული და სამართლიანი, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფს ბავშვების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის, ასევე, მკურნალობისათვის აუცილებელ, მინიმალურ მოთხოვნებს. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო გონივრულად და სამართლიანად მიიჩნევს მოსარჩელის მოთხოვნას, რომ ქ. ძ-შვილის სარჩოდ ალიმენტის ოდენობა უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან მისი სრულწლოვანების მიღწევამდე, ხოლო მ. ძ-შვილის სარჩო უნდა განისაზღვროს უფრო მეტი ოდენობით, ვინაიდან ბავშვი დაავადებული მძიმე ავადმყოფობა და გარდაჩვეულებრივი ყოველდღიური მოთხოვნებისა, საჭიროებს დამატებით სახსრებს მიმდინარე მკურნალობისათვის, მედიკამენტების, ექიმების მომსახურების, მასაჟების და სხვა მანიპულაციების სახით. ამდენად, მ. ძ-შვილის სარჩო უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან მის გამოჯანმრთელებამდე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლის თანახმად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით დასახიზრებით და სხვა).

როგორც აღინიშნა, საალიმენტო ვალდებულებათა მიზანია ბავშვისათვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნა. საალიმენტო სახსრები შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ დამატებითი ხარჯების განსახორციელებლად, რაც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით. ეს არის განსაკუთრებული გარემოებების გამო დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და არა ბავშვის სარჩენი ხარჯების დამატებითი გადახდევინება, ამიტომ მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების (ან მომავალში აუცილებლად გასაღები ხარჯების) გათვალისწინებით, მყარი თხნებით და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან. დამატებით ხარჯებში მოპასუხე მშობელი მონაწილეობს ერთჯერადი გადასახდელის სახით ან განსაზღვრული დროით განსაზღვრული თანხების გადახდით. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მ. ძ-შვილი არის მძიმე ავადმყოფი და საჭიროებს ოპერაციულ ჩარევას. ბავშვის ავადმყოფობისა და ოპერაციის სირთულის გათვალისწინებით სასამართლოს რეალურად მიაჩნია მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა (2000 ლარი).

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული აქვს ნაწილობრივ, მოპასუხეს დამატებით უნდა დაეკისროს ქ-ს სარჩოდ 20 ლარის, ხოლო მ-ს სარჩოდ -60 ლარის ყოველთვიურად გადახდა, ასევე, დამატებითი ხარჯების სახით 1000 ლარის გადახდა. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას აუდიტის დასკვნის შესადგენად გადახდილი -200 ლარის მ. ძ-შვილზე დაკისრებას, აღნიშნული მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ახალ მტკიცებულებებზე ვერ იმსჯელებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ქ. ძ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმისა და ქ. ს-მისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

მ. ძ-შვილს დამატებით დაეკისროს შვილების -1994 წლის 28 ოქტომბერს დაბადებული ქ. ძ-შვილის სარჩოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან, 2008 წლის 9 ივნისიდან სრულწლოვანების მიღწევამდე, ხოლო 1997 წლის 28 აპრილს დაბადებული მ. ძ-შვილის სარჩოდ -ყოველთვიურად 60 ლარის გადახდა სასამართლოში სარჩელის აღძვრიდან მის გამოჯანმრთელებამდე. მ. ძ-შვილს ასევე დაეკისროს შვილის -მ. ძ-შვილისათვის დამატებითი ხარჯის სახით 1000 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

II. მემკვიდრეობის სამართალი

8. უღირს მემკვიდრედ ცნობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-266-251-2010

26 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უღირს მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 აგვისტოს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ბ-ვამ მოპასუხეების: ე. ლ-ძის, ი. ი-ოვის, ნოტარიუს ლ. რ-შვილის, ოზურგეთის რ-ნის სოფ. ... საკრებულოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. საბოლოოდ, მოპასუხეთა წრე შემდეგნაირად განისაზღვრა: ე. ლ-ძე, ი. ი-ოვის უფლებამონაცვლე ნ. ი-ოვი, ნოტარიუსი ლ. რ-შვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნები ამგვარად ჩამოყალიბდა:

- ა. ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობა მოსარჩელის დის -ვ. ბ-ვას სამკვიდრო ქონებაზე;
 - ბ. ზემოაღნიშნულ ქონებაზე მ. ბ-ვას კანონიერ მემკვიდრედ ცნობა;
 - გ. ოზურგეთის რ-ნის სოფ. ...-ში, ვ. ბ-ვას კომლში ი. ი-ოვის რეგისტრაციის შესახებ საკომლო წიგნის ჩანაწერის გაუქმება;
 - დ. საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე (ოზურგეთის რ-ნი, კოდი -26, სექტორი სოფ. ..., კოდი -01, კვარტალი -#42, ნაკვეთის #227, ფართობი 3 280კვ.მ) ი. ი-ოვის მესაკუთრეობის შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობა;
 - ე. 2004 წლის 5 მაისს ნოტარიუს ლ. რ-შვილის მიერ დამოწმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების (რეგისტრაციის #1-409), რომლითაც ი. ი-ოვმა სადავო ქონება გააჩუქა ე. ლ-ძეზე, გაუქმება;
 - ვ. ე. ლ-ძის სახელზე მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმება;
 - ზ. მ. ბ-ვასათვის ვ. ბ-ვას სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება.
- ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ბ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა: არარა აქტად იქნა ცნობილი ოზურგეთის რ-ნის სოფ. ...-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილება, რომლითაც ი. ი-ოვი ჩაეწერა სოფელ ნატანებში ვ. ბ-ვას კომლში; ბათილად იქნა ცნობილი არარა აქტის საფუძველზე ი. ი-ოვის სახელზე საჯარო რეესტრის მონაცემებში განხორციელებული ჩანაწერი, რომლითაც იგი აღირიცხა ოზურგეთის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე 3 280კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ოზურგეთის რ-ნი კოდი -26, სექტორი სოფ. ... კოდი -01, კვარტალი #42, ნაკვეთის #227) და საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ; გაუქმდა 2004 წლის 5 მაისს ნოტარიუს ლ. რ-შვილის მიერ დამოწმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება (რეგისტრაციის #1-409) და შესაბამისი ცვლილება შევიდა საჯარო რეესტრის მონაცემებში; ი. ი-ოვი ვ. ბ-ვას სამკვიდრო ქონებაზე ცნობილ იქნა უღირს მემკვიდრედ; მ. ბ-ვას გაუგრძელდა ვ. ბ-ვას სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდროს მიღების ვადა. ამავე განჩინებით გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა მოპასუხე ე. ლ-ძეს.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

აწ გარდაცვლილი მ. ბ-ვა ფლობდა 2 500კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, მას რეფორმის შემდეგ მიუზომა 600კვ.მ საკარმიდამო ნაკვეთთან და 5 100კვ.მ შეკვეთილის ტერიტორიაზე;

მ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი აღირიცხა მ. ქალიშვილზე, აწ გარდაცვლილ ვ. ბ-ვაზე;

ვ. ბ-ვამ და ი. ი-ოვმა იქორწინეს 1997 წლის 5 აგვისტოს. ი. ი-ოვი ჩაეწერა მეუღლის -ვ. ბ-ვას კომლში ვ. ბ-ვას პირადი განცხადების საფუძველზე;

მ. ბ-ვა გარდაიცვალა 1998 წელს, რის შემდეგაც ვ. ბ-ვასა და ი. ი-ოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა;

ვ. ბ-ვამ ი. ი-ოვთან განქორწინების თაობაზე სარჩელით მიმართა სასამართლოს. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 აგვისტოს განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა ვ. ბ-ვას გარდაცვალების გამო;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 19 დეკემბრის განაჩენით ი. ი-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით. სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ ი. ი-ოვმა ჩაიდინა ვ. ბ-ვასა და კ. ს-იას (მ. ბ-ვას ქალიშვილი) განზრახ მკვლელობა;

ი. ი-ოვმა, პატიმრობაში ყოფნისას, თავის ქალიშვილს -ნ. ი-ოვს მისცა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ნ. ი-ოვმა, კომლის ბოლო წევრის პრინციპით, ჯერ მამის სახელზე დაარეგისტრირა სადავო ქონება, ხოლო 2004 წლის 5 მაისს აჩუქა ქალიშვილს, ე. ლ-მეს;

ი. ი-ოვი გარდაიცვალა 2006 წლის 9 აგვისტოს.

რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ ი. ი-ოვი ვ. ბ-ვას კომლში ჩაეწერა კანონდარღვევით, სოფ. ...-ის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილების საფუძველზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების შესახებ" კანონზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველ ნაწილზე და დაადგინა, რომ აღნიშნული აქტი წარმოადგენდა არარა აქტს, ვინაიდან გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ი. ი-ოვის კომლში ჩაწერა კანონიერადაც რომ მიჩნეულიყო, იგი კომლის ქონებაზე, როგორც კომლის ბოლო წევრი, უფლებას ვერ მიიღებდა, რადგან კომლში ჩაწერა მოხდა 1997 წელს. ამ დროისათვის, საქართველოს მთავრობის 1993 წლის 5 მარტის #199 დადგენილების შესაბამისად, გაუქმებული იყო საკოლმეურნეო კომლები, ხოლო ი. ი-ოვს სამეურნეო კომლზე თანასაკუთრების უფლება არ მოუპოვებია.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ი. ი-ოვზე, როგორც კომლის უკანასკნელ წევრზე, არასწორად აღირიცხა სადავო ქონების აღრიცხვა. აქედან გამომდინარე, საჯარო რეესტრის მონაცემებში უნდა შესულიყო ცვლილებები.

რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ მის ქონებას დაეუფლა მ. ბ-ვა და ჩუქების ხელშეკრულებით შეგნებულად მოხდა ქონების გასხვისება, რათა შემდგომ, ქონებაზე დავის აღძვრის შემთხვევაში, შემქმნის ინტერესებიდან გამომდინარე, შენარჩუნებულიყო ქონება. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ლ-მისათვის ცნობილი იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულება ჩათვალა მოსაჩვენებლად დადებულ, ბათილ გარიგებად.

რაიონული სასამართლოს მითითებით, ვ. ბ-ვამ სიცოცხლეშივე მიმართა სასამართლოს სარჩელით ი. ი-ოვთან განქორწინების თაობაზე. მართალია, ი. ი-ოვს ბრალი არ შერაცხვია ანგარებით მკვლელობაში, მაგრამ მისი გასამართლების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ი. ი-ოვი შეეცადა, უკანონოდ დაუფლებოდა იმ პირის ქონებას, რომელიც განზრახ მოკლა.

ამას გარდა, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე და ი. ი-ოვი მიიჩნია ვ. ბ-ვას უღირს მემკვიდრედ, ხოლო ამავე კოდექსის 1317-ე მუხლზე დაყრდნობით სარჩელი ხანდაზმულად არ ჩათვალა. მოსარჩელის ასაკისა და თავსდამტყდარი მოულოდნელი ტრაგედიის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელეს გაუგრძელა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ი-ოვმა (წარმომადგენელი ა. თ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ი-ოვის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არარა აქტად იქნა ცნობილი ოზურგეთის რ-ნის სოფ. ...-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილება, რომლითაც ი. ი-ოვი ჩაეწერა სოფ. ...-ში ვ. ბ-ვას კომლში, ი. ი-ოვი ცნობილ იქნა ვ. ბ-ვას სამკვიდრო ქონებაზე უღირს მემკვიდრედ

და მ. ბ-ვას გაუგრძელდა ვ. ბ-ვას სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა; მ. ბ-ვას სარჩელი იმ ნაწილში, რომლითაც იგი ითხოვდა ოზურგეთის რ-ნის სოფ. ...-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილების არარა აქტად ცნობას, ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობას და ვ. ბ-ვას სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელებას, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ი. ი-ოვს ვ. ბ-ვას სამკვიდრო, კანონით დადგენილ ვადაში არ მიუღია და არც სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიუმართავს სასამართლოსათვის. ვ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ, მის სამკვიდროს, ფაქტობრივად, დაეუფლა მ. ბ-ვა. მიუხედავად ამისა, 2002 წლის 14 მაისს იმ მოტივით, რომ იგი იყო ვ. ბ-ვას კომლის უკანასკნელი წევრი, ი. ი-ოვი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა საცხოვრებელი სახლისა და 3 280კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. 2004 წლის 5 მაისს ი. ი-ოვმა შვილის (რწმუნებული) ნ. ი-ოვის მეშვეობით, აღნიშნული ქონება აჩუქა შვილიშვილს -ე. ლ-ძეს. ამის შემდგომ ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. ლ-ძის საკუთრებად. 2006 წლის 9 აგვისტოს ი. ი-ოვი გარდაიცვალა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ არ არსებობდა ვ. ბ-ვას კომლში ი. ი-ოვის ჩაწერის ბათილად ცნობის საფუძვლები. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკომლო მეურნეობა არის მიწის ნაკვეთისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ისეთი ერთობლიობა, რომელიც ერთი ან რამდენიმე პირის, ოჯახის წევრების საკუთრებაა და ასეთად, ანუ საკომლო მეურნეობად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და ინვენტარის საკომლო მეურნეობად ტრანსფორმაცია დამოკიდებულია ქონების მესაკუთრის ან თანამესაკუთრეთა ნებაზე. საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ მ. ბ-ვასა და შემდგომში ვ. ბ-ვას კუთვნილი ქონება წარმოადგენდა საკომლო მეურნეობის შემადგენელ ნაწილს. ი. ი-ოვს კომლში რეგისტრაციით ვ. ბ-ვას კუთვნილ ქონებაზე სანივთო უფლებები არ მოუპოვებია. მოცემულ შემთხვევაში კომლში ჩაწერით არც ი. ი-ოვის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია მოხდა. კომლში ჩაწერით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნებისათვის, დაფიქსირდა, რომ ვ., მ. ბ-ვები და ი. ი-ოვი ცხოვრობდნენ ერთად. ამ რეგისტრაციას არ მოჰყოლია სამართლებრივი შედეგები. რეგისტრაცია განხორციელდა ვ. ბ-ვასა და მ. ბ-ვას თანხმობით, რის გამოც არ არსებობდა რეგისტრაციის ბათილად ცნობის კანონით განსაზღვრული საფუძვლები. ამდენად, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. ბ-ვას კომლში ი. ი-ოვის ჩაწერის ბათილად ცნობის ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და გაუქმებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ არ არსებობდა ვ. ბ-ვას სამკვიდროზე ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლები. მისი განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ პირი ცნობილ იქნეს უღირს მემკვიდრედ, აუცილებელია, იგი არამართო ხელს უშლიდეს მამკვიდრებელს უკანასკნელი ნების გამოვლენაში, არამედ, იმავდროულად, ამას ჩადიდეს სამკვიდრო მიღების ან მასში წილის გაზრდის მიზნით. ამ შემთხვევაში დავა გამომდინარეობდა იმ სისხლის სამართლის საქმიდან, რომელზეც მიღებული იყო საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება (განაჩენი) და დავა შეეხებოდა მსჯავრდებული პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, განაჩენით დადგენილ დანაშაულის ჩადენის მოტივს სისხლის სამართლის საქმეში გააჩნდა მაკვალიფიცირებული მნიშვნელობა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის განჩინებით დადგენილ ფაქტებს, მათ შორის, ფაქტს იმის შესახებ, თუ რა მოტივით ჩაიდინა ი. ი-ოვმა დანაშაული, გააჩნდა პრეიუდიციული ძალა. ამ განაჩენით დგინდებოდა, რომ ი. ი-ოვმა მკვლელობა ჩაიდინა არა ანგარების, არამედ -შურისძიების მოტივით, ე.ი. დანაშაულის ჩადენისას ი. ი-ოვის მიზანს წარმოადგენდა არა სამკვიდროს მიღება ან მასში წილის გაზრდა, არამედ - შურისძიება დაღუპულთა მიერ მსჯავრდებულის კუთვნილი ნივთის განადგურების გამო. ამასთან, დგინდებოდა, რომ ვ. ბ-ვას არ შეუდგენია ანდერძი და ცხადია, ანდერძში გამოხატული ნებასურვილის წინააღმდეგ ი. ი-ოვი ვერავითარ საქციელს ვერ ჩაიდენდა. აქედან გამომდინარე, ი. ი-ოვს დანაშაული არ ჩაუდენია ვ. ბ-ვას სამკვიდროს მიღების მიზნით, შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული მისი უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასაბუთება ი. ი-ოვის სახელზე საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერის გაუქმების ნაწილში. საჯარო რეესტრში ი. ი-ოვი ვ. ბ-ვას დანაშთი ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა იმიტომ, რომ იყო კომლის უკანასკნელი წევრი. საქმეზე დგინდებოდა, რომ ვ. ბ-ვას კუთვნილი ქონება არ შედიოდა საკომლო მეურნეობაში და ი. ი-ოვს ამ ქონებაზე თანასაკუთრება, კომლში რეგისტრაციით არ მოუპოვებია. შესაბამისად,

ვ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ ი. ი-ოვი სამკვიდრო ქონების მესაკუთრე, როგორც კომლის ბოლო წევრი, არ გამხდარა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ი. ი-ოვს არ მოუპოვებია ქონებაზე თანასაკუთრება ვ. ბ-ვასთან ქორწინების ფაქტითაც. დგინდებოდა, რომ საჯარო რეესტრში ი. ი-ოვის საკუთრებად დარეგისტრირდა ვ. ბ-ვას კუთვნილი ქონების მხოლოდ ნაწილი, კერძოდ, საკარმიდამო ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი. დანარჩენი უძრავი ქონება ამ დრომდე რეგისტრირებული იყო ვ. ბ-ვას საკუთრებად. ქონება, რომლის მესაკუთრეც ი. ი-ოვი დარეგისტრირდა, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მ. ბ-ვას საკუთრებას და ვ. ბ-ვას იგი გადაეცა მემკვიდრეობით. სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით, ითვლება სამკვიდროს მიმღები მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად. ამდენად, მემკვიდრეობით მიღებული სადავო ქონება წარმოადგენდა ვ. ბ-ვას ინდივიდუალურ საკუთრებას.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად, მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდა, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ის, რომ ქორწინების პერიოდში ვ. ბ-ვას კუთვნილი ქონების ღირებულება, მასზე ხარჯების გაწევის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა, უნდა ემტკიცებინა აპელანტს. აღნიშნული მას არ განუხორციელებია. უფო მეტიც, აპელანტის მტკიცებით, მ. ბ-ვას გარდაცვალების, ანუ ვ. ბ-ვას მიერ სამკვიდროს მიღების შემდეგ ი. ი-ოვსა და ვ. ბ-ვას შორის ურთიერთობა დაიძაბა და ი. ი-ოვი, პრაქტიკულად, ეწეოდა დამოუკიდებელ მეურნეობას. ეს კი ნიშნავდა, რომ ი. ი-ოვს ქონების გაუმჯობესების ხარჯი არ გაუღია. შესაბამისად, ი. ი-ოვს სადავო ქონებაზე თანასაკუთრება არ მოუპოვებია სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლით დადგენილი საფუძვლითაც.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმის გამო, რომ არ არსებობდა ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლები, იგი, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, ითვლებოდა ვ. ბ-ვას პირველი რიგის მემკვიდრედ, რომელსაც შეეძლო კანონით დადგენილი წესით მიეღო სამკვიდრო. საქმეზე სადავო არ იყო, რომ ი. ი-ოვს ვ. ბ-ვას სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში არ მიუღია სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი ფორმით. ასეთ შემთხვევაში ი. ი-ოვს, სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის თანახმად, შეეძლო, მოეთხოვა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, თუმცა მას ასეთი მოთხოვნა არ წარუდგენია. შესაბამისად, ი. ი-ოვმა გაუშვა ვ. ბ-ვას სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, ამიტომ იგი არ გამხდარა სადავო ქონების მესაკუთრე სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლით დადგენილი საფუძვლითაც.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ი-ოვს სადავო ქონებაზე საკუთრება არ შეუძენია. ეს ნიშნავდა, რომ საჯარო რეესტრში არსებული სადავო ჩანაწერი მცდარი იყო და რაიონულმა სასამართლომ მართებულად გააუქმა იგი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმის გამო, რომ ი. ი-ოვი არ იყო სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე, მას არ შეეძლო ამ ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულების დადება.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. ბ-ვა ფაქტობრივად დაეუფლა ვ. ბ-ვას სამკვიდროს, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ი-ოვის მიერ ვ. ბ-ვას სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, უფლებამოსილი პირი, ვისაც შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა ვ. ბ-ვას სამკვიდროზე, იყო მ. ბ-ვა. შესაბამისად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე ვ. ბ-ვას სამკვიდროზე მესაკუთრის უფლებამოსილებების განსახორციელებლად ი. ი-ოვი საჭიროებდა მ. ბ-ვას თანხმობას. სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირის ამას მოიწონებს. რამდენადაც ი. ი-ოვი არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა ვ. ბ-ვას სამკვიდრო და ეს გარემოება არ მოიწონეს სამკვიდროს მიღების უფლების მქონე სხვა მემკვიდრეებმა, 2004 წლის 5 მაისის ჩუქების ხელშეკრულება ბათილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა მ. ბ-ვასათვის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების ნაწილში. მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მ. ბ-ვა ვ. ბ-ვას გარდაცვალებისთანავე მთლიანად დაეუფლა სამკვიდროს და ფლობდა 2004 წლამდე. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მ. ბ-ვამ მიიღო ვ. ბ-ვას სამკვიდრო და არ არსებობდა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების კანონით დადგენილი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ვამ (წარმომადგენელი ე. უ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ი. ი-ოვის

უღირს მემკვიდრედ ცნობზე, ასევე, ვ. ბ-ვას კომლში ი. ი-ოვის რეგისტრაციის შესახებ სოფ. . . .-ის გამგეობის 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ი. ი-ოვის ჩაწერით ვ. ბ-ვას კომლში ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნებისათვის დაფიქსირდა, რომ ვ. ბ-ვები და ი. ი-ოვი ცხოვრობდნენ ერთად. როდესაც კომლში ჩაწერით მოხდა ი. ი-ოვის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია, რის საფუძველზეც განხორციელდა კიდევ ჯერ მ. ბ-ვას, შემდეგ ვ. ბ-ვას ქონების რეგისტრაცია ი. ი-ოვის სახელზე, როგორც კომლის უკანასკნელ წევრზე, აქედან გამომდინარე, იგი განხორციელებული აქტია, რამაც სამართლებრივი შედეგი გამოიწვია. ამ დროისათვის მოქმედებდა კანონი "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების შესახებ", რომლის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციასა და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებდნენ შინაგან საქმეთა ორგანოები. შესაბამისად, სოფ. . . .-ის გამგეობა არ იყო უფლებამოსილი, მოეხდინა პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩაწერა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

კასატორის მოსაზრებით, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ არ არსებობს ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ნათლად დგინდება, რომ მ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ ი. ი-ოვსა და ვ. ბ-ვას შორის ურთიერთობა დაიძაბა, რის გამოც ამ უკანასკნელმა თავდაცვის მიზნით თავისთან საცხოვრებლად მიიყვანა კ. ს-ია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვ. ბ-ვას სიცოცხლეშივე ჰქონდა მიმართული სასამართლოსათვის განქორწინებაზე, სადაც აღნიშნავდა, რომ ი. ი-ოვი მას ავიწროებდა, რომ ერთად ცხოვრების პერიოდში არ შეუქმნიათ რაიმე სახის ქონება. ი. ი-ოვისათვის ცნობილი იყო, რომ ქორწინების შეწყვეტით ის კარგავდა იმ ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს, რაც მათ შორის ქორწინებით არსებობდა. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გამოტანის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, ი. ი-ოვის მიერ თავის სახელზე ქონების უკანონოდ აღრიცხვამ, შემდგომ კი ჩუქების ხელშეკრულებით შვილიშვილზე -ე. ლ-მეზე გაჩუქებამ ცხადყო, რომ ის დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა როგორც შურისძიების, ისე - ანგარების მოტივით, რომ მის მიზანს წარმოადგენდა, ხელში ჩაეგდო ქონება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. მან განზრახი დანაშაულის ჩადენით ხელი შეუწყო მის მოწვევას მემკვიდრედ, მის მიერ ასევე თავიდან იქნა მოცილებული ვ. ბ-ვას ერთადერთი მემკვიდრე კ. ს-ია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ოჯახში ორი წლის ჩასიძებულ, 66 წლის ი. ი-ოვს შეექმნა რა იმის საფრთხე, რომ განქორწინების შემთხვევაში იგი ოჯახიდან წილს ვერ მიიღებდა, მოკლა ქონების მესაკუთრე და სავარაუდოდ ამ ქონების მემკვიდრეც. აქედან გამომდინარე, უდავოდ არსებობდა ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრეს ნ. ი-ოვმა და ე. ლ-მემ (წარმომადგენელი ა. თ-მე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ი. ი-ოვის სახელზე საჯარო რეესტრის მონაცემებში განხორციელებული ჩანაწერები, 2001 წლის 4 აგვისტოდან სამკვიდრო გახსნილად, ხოლო მის ფაქტობრივ მფლობელად და მესაკუთრედ მ. ბ-ვა იქნა ცნობილი, გაუქმდა ჩუქების ხელშეკრულება თანმდევი შედეგებით და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ე. ლ-მის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული, 2010 წლის 31 მაისის განჩინებით ნ. ი-ოვის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

აწ გარდაცვლილი მ. ბ-ვა ფლობდა 2 500კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, მას რეფორმის შემდეგ მიეზომა 600კვ.მ საკარმიდამო ნაკვეთთან და 5 100კვ.მ შეკვეთილის ტერიტორიაზე;

მ. ბ-ვას გარდაცვალების შემდეგ მის კერძო საკუთრებაში არსებული 8200 კვ.მ მიწის ნაკვეთი აღირიცხა მავრას ქალიშვილზე, აწ გარდაცვლილ ვ. ბ-ვაზე;

ვ. ბ-ვამ და ი. ი-ოვმა იქორწინეს 1997 წლის 5 აგვისტოს;

სოფ. ...-ის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილებით ი. ი-ოვი ჩაეწერა მეუღლის -ვ. ბ-ვას კომლში, მისი პირადი განცხადების საფუძველზე;

მ. ბ-ვა გარდაიცვალა 1998 წელს, რის შემდეგაც ვ. ბ-ვასა და ი. ი-ოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა;

ვ. ბ-ვამ ი. ი-ოვთან განქორწინების თაობაზე სარჩელით მიმართა სასამართლოს. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 აგვისტოს განჩინებით აღნიშნულ საქმეზე წარმოება შეწყდა ვ. ბ-ვას გარდაცვალების გამო;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 19 დეკემბრის განაჩენით ი. ი-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილია, რომ 2001 წლის 4 აგვისტოს ი. ი-ოვმა ჩაიდინა ვ. ბ-ვასა და ვ. ს-იას (ვ. ბ-ვას დისშვილი, მ. ბ-ვას ქალიშვილი) განზრახი მკვლელობა, ხოლო შემდეგ ვ. ბ-ვას გვამს ცეცხლი წაუკიდა;

ი. ი-ოვმა პატიმრობაში ყოფნისას თავის ქალიშვილს -ნ. ი-ოვს მისცა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ნ. ი-ოვმა, კომლის ბოლო წევრის პრინციპით, ჯერ მამის სახელზე დაარეგისტრირა ვ. ბ-ვას ქონება, ხოლო შემდეგ 2004 წლის 5 მაისს აჩუქა ქალიშვილს -ე. ლ-ძეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ მ. ბ-ვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული.

სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლი განსაზღვრავს პირის უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძველს, რომლის თანახმად, არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავის ან ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მონადერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ.

კანონის აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უღირს მემკვიდრედ პირის ცნობის საფუძველია პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მამკვიდრებლისათვის მისი ნამდვილი ნების განხორციელებაში ხელის შეშლა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვ. ბ-ვას აღძრული ჰქონდა სარჩელი ი. ი-ოვთან განქორწინების მოთხოვნით. სარჩელი აღძრა 2001 წლის ივლისში. ი. ი-ოვის მიერ ვ. ბ-ვას მკვლელობა განხორციელდა აღნიშნულ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, რის შედეგადაც ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 აგვისტოს განჩინებით აღნიშნულ საქმეზე წარმოება შეწყდა ვ. ბ-ვას გარდაცვალების გამო. ამდენად, უდავოდ დადგენილია, რომ ი. ი-ოვთან განქორწინება წარმოადგენდა ვ. ბ-ვას ნამდვილ ნებას, რის შედეგადაც ი. ი-ოვი ვ. ბ-ვას ქონებაზე დაკარგავდა ქონებრივ უფლებებს. ი. ი-ოვის მიერ ვ. ბ-ვას განზრახი მკვლელობით ხელი შეეშალა ვ. ბ-ვას აღნიშნული ნების განხორციელებას, რის შედეგადაც ი. ი-ოვი, როგორც ქორწინებაში მყოფი მეუღლე, ვ. ბ-ვას პირველი რიგის მემკვიდრე და მის ქონებაზე უფლებების მქონე პირი აღმოჩნდა. ასევე დადგენილია, რომ ი. ი-ოვმა ისარგებლა ვ. ბ-ვას ქონებაზე მისი, როგორც მეუღლის, ქონებრივი უფლებებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. ი-ოვის მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივმა ქმედებამ ხელი შეუშალა ვ. ბ-ვას ნამდვილი ნების გამოვლენას -ი. ი-ოვთან განქორწინებას და შედეგად ვ. ბ-ვას ქონებაზე ი. ი-ოვის ქონებრივი უფლებების დაკარგვას, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის თანახმად, არსებობს მისი უღირს მემკვიდრედ ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

სამოქალაქო კოდექსის 1312-ე მუხლის თანახმად, უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ პირს, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე წარმოადგენს ვ. ბ-ვას მეორე რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს. პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეებიდან ვ. ბ-ვას დარჩა მხოლოდ მეუღლე ი. ი-ოვი. ამდენად, მოსარჩელე მ. ბ-ვასათვის ი. ი-ოვის უღირს მემკვიდრედ აღიარება იწვევს მის მოწვევას მემკვიდრედ და შესაბამის ქონებრივ შედეგებს.

რაც შეეხება ი. ი-ოვის ვ. ბ-ვას კომლში ჩაწერის შესახებ სოფ. ...-ის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის 1997 წლის 28 აგვისტოს #65 დადგენილების გაუქმებას, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასა-

გამო. აღნიშნული დადგენილების მიღებისას ნოტარიუსმა არ გაითვალისწინა, რომ ქ. ც-მე ფაქტობრივად ფლობს სამკვიდროს და ზრუნავს მის მოვლა-პატრონობაზე.

განმცხადებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ საფუძველად მოწმეთა ჩვენებებზე მიუთითებდა, ხოლო სამართლებრივად აღნიშნულ მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლზე, ასევე, 1421-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე დაყრდნობით ასაბუთებდა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ც-მეს უარი ეთქვა ბ. ც-მის სამკვიდრო ქონების, ბათუმში, ... ქ-ის #8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მის მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტის დადგენილად ცნობაზე.

რაიონულმა სასამართლომ მარტოოდენ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადასტურებულად არ მიიჩნია ქ. ც-მის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღება. რამდენადაც განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს ვერ წარუდგინა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებანი (მაგალითად, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ქვითრები, საბინაო კომუნალური მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ქვითრები და ა.შ.), მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტის დასადასტურებლად სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ც-მემ (წარმომადგენელი ბ. ბ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

აპელანტის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მეუღლე, ანუ პირველი რიგის მემკვიდრე შეუდგება სამკვიდროს ფლობასა და მართვას. ქ. ც-მე მეუღლის გარდაცვალების შემდგომ სამკვიდრო ქონებას ფლობდა და მართავდა. აღნიშნულის დადასტურება მოწმეთა ჩვენებების გარდა სხვა რაიმე გარემოებებით შეუძლებელია. რამდენადაც საცხოვრებელი სახლი ბ. ც-მის სახელზე ირიცხებოდა, იმ დროისათვის მის სახელზე ირიცხებოდა ქვითრებიც. მას შემდეგ კი, რაც სახლი დროებითი სარგებლობისათვის ბ. ბ-მეს გადაეცა, ყველანაირი სახის გადასახადი ამ უკანასკნელის სახელზე ირიცხება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ქ. ც-მის (წარმომადგენელი ბ. ბ-მე) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები შემდეგში მდგომარეობს:

ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის ნოტარიუსის 2008 წლის 16 მაისის დადგენილებით ქ. ც-მეს უარი ეთქვა ბ. ც-მის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გაშვების გამო;

ქ. ც-მე და ბ. ც-მე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში;

ბ. ც-მე გარდაიცვალა 2000 წლის 16 სექტემბერს ხარკოვში (უკრაინა);

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის ცნობის მიხედვით, ბათუმში მერიის ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალებით ... ქ-ის #8-ში მდებარე უძრავი ქონება ექსპლუატაციაში მიღების გარეშე (უნებართვოდ აშენებული საცხოვრებელი სახლი) ირიცხება ბ. ც-მეზე;

საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 3 ოქტომბრის ცნობით ქობულეთში, ბ. ც-მეზე საკუთრების უფლებით რაიმე უძრავი ქონება არ ირიცხება.

ზემომოთხატებული გარემოებების შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ქ. ც-მეს სწორად ეთქვა უარი ბ. ც-მის სამკვიდრო ქონების, ბათუმში, ... ქ-ის #8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მის მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტის დადგენილად ცნობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, უძრავი ქონების შემძენი მხოლოდ მაშინ ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. დასტურდებოდა, რომ ბათუმში, ... ქ-ის #8-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა ექსპლუატაციაში მიუღებელ, უნებართვოდ აშენებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საკუთრების უფლებით არ იყო რეგისტრირებული ბ. ც-მეზე. მართალია, ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალების თანახმად, აღნიშნული ქონება ირიცხება ბ. ც-მეზე, თუმცა ექსპლუატაციაში მიუღებელი და უნებართვოდ აშენებული სახლი არ შეიძლება მიჩნეულიყო მის საკუთრებად. შესაბამისად, მითითებული ქონება ვერ განიხილებოდა როგორც ბ. ც-მის სამკვიდრო. იმ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენის მოთხოვნა

კი, რომელიც საკუთრების უფლებით არ არის რეგისტრირებული მამკვიდრებელზე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ც-მემ (წარმომადგენელი ა. ც-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია ქ. ც-მის მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი. სასამართლომ სადავო მხოლოდ ის გარემოება გახადა, რომ ექსპლუატაციაში მიუღებელი და უნებართვოდ აშენებული სახლი (რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო), ვერ განიხილებოდა როგორც სამკვიდრო. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არასწორია, რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე შეეხება სამკვიდროს მიღებას და არა უძრავი ქონების შეძენას ან გადაცემას.

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლი მიუთითებს, რომ გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე ფორმით. "გარდაცვლილი პირის ქონებაში" მოიაზრება როგორც ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის, ისე საჯარო რეესტრის მონაცემებით მამკვიდრებლის სახელზე რიცხული ქონება, რადგან საჯარო რეესტრის ჩამოყალიბებამდე უძრავი ქონების რეგისტრაცია სწორედ ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში ხორციელდებოდა.

სადავო შემთხვევაში მემკვიდრემ სამკვიდრო იმ სახით უნდა მიიღოს, რა სახითაც ის დღეის მდგომარეობით არსებობს. საწინააღმდეგო შემთხვევა მისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას ნიშნავს, რაც კანონით დაუშვებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის 2008 წლის 8 აპრილის ცნობით დასტურდება, რომ ბათუმში, ... ქ-ის #8-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოდგენს ბ. ც-მის სახელზე რიცხულ, ექსპლუატაციაში მიუღებელ, უნებართვოდ აშენებულ საცხოვრებელ სახლს. საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ ქ. ბათუმის მერიის ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალებით ... #8-ში მდებარე უძრავი ქონება (შენობის ექსპლუატაციაში მიღების გარეშე აშენებული საცხოვრებელი სახლი) ირიცხება ბ. ც-მეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბ. ც-მის სახელზე რიცხული ექსპლუატაციაში მიუღებელი საცხოვრებელი სახლი ვერ განიხილება, როგორც მისი საკუთრება და სამკვიდრო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. კანონის დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ბ. ც-მის სამკვიდრო მასაში შედის და მემკვიდრეს შეიძლება გადაეცეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლი იმ უფლებით, რაც მასზე მამკვიდრებელს გააჩნდა და ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში თავის სახელზე აღრიცხული ჰქონდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს განსახილველ საქმეებს მიაკუთვნებს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის ფაქტის დადგენას. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნაა სწორედ მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა და არა მესაკუთრედ აღიარების საკითხი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში საკუთრების უფლებით მამკვიდრებლის სახელზე დაურეგისტრირებელ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა არ შეიძლება, საფუძველს მოკლებულია.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს განმცხადებლის მოთხოვნა არსებითად არ განუხილავს და მხოლოდ ზემოაღნიშნული მოტივით უთხრა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არსებითად უნდა იმსჯელოს განმცხადებლის მოთხოვნაზე, საქმის მასალების საფუძველზე დაადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები განმცხადებლის მიერ ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობის მიღების საკითხთან დაკავშირებით და ისე გამოიტანოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მასა; მემკვიდრედ ცნობა

განჩინება

#ას-219-545-09

12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ა-მემ, მოპასუხეების - თ. ა-ძისა და ვ. ა-ძის მიმართ და მოითხოვა მამის დანაშთი უძრავი ქონებიდან 1/4-ის მიკუთვნება.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მამა - ვ. ა-მე გარდაიცვალა 1967 წლის 19 აპრილს. მამის სამკვიდროს წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ... ქ-ის #6-ში მდებარე უძრავი ქონება სასარგებლო ფართით 225,88 კვ.მ. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დარჩა ხუთი პირველი რიგის მემკვიდრე: მ. ა-მე, მოსარჩელე გ. ა-მე, ს. ა-მე, ვ. და თ. ა-მეები. მ. ა-მე გარდაიცვალა 2002 წელს ისე, რომ მეუღლის - ვ. ა-ძის სამკვიდრო ქონება არ მიუღია, მის საკუთრებაში არ აღრიცხულა სამკვიდრო ქონება. ვ. ა-ძის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სახლში ცხოვრობდნენ მოსარჩელე და მისი უმცროსი ძმები, მოსარჩელემ აღნიშნულ სახლს მიაშენა და გააფართოვა. მოსარჩელის განმარტებით, იგი თავის ძმებთან -მოპასუხეებთან ერთად ცხოვრობდა მამის საცხოვრებელ სახლში მამის გარდაცვალებიდან 10 წლის მანძილზე, ხოლო შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად ქ.ბათუმში, ... ქ-ის #15-ში. მან ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა მამის დანაშთი უძრავი ქონებიდან 1/4-ის მიკუთვნება.

მოპასუხეებმა ვ. და თ. ა-მეებმა წარმოდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხეთა განმარტებით, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ, თითქოს მოსარჩელე მამის გარდაცვალების შემდეგ 10 წლის მანძილზე ცხოვრობდა სადავო სახლში, არ შეესაბამება სინამდვილეს. გ. ა-მე მამკვიდრებლის სიცოცხლეში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა სხვა მისამართზე, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ კი ერთი დღეც არ უცხოვრია სადავო ბინაში. ამდენად, მას გაშვებული აქვს სამკვიდროს მიღების ვადა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. და თ. ა-მეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. და თ. ა-მეების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქ-

მდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გ. ა-მეს საკუთრების უფლებით მიეკუთვნა 1/4, კერძოდ, 56,47 კვ.მ 225,88 კვ.მ და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მამკვიდრებელ ვ. ა-მის ქ. ბათუმში, ... ქ-ის #15-ში მდებარე სამკვიდროდან, კერძოდ, 58,85 კვ. მ გ. ა-მეს მიეკუთვნა საკუთრების უფლებით 1/4, ანუ 14,7 კვ.მ.

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო გ. ა-მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება წილის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, არასწორად განისაზღვრა სამკვიდრო მასის ოდენობა, რამაც საბოლოოდ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამკვიდრო მასად უნდა ჩაითვალოს 58,85 კვ.მ, რამდენიც მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის ტექ-ბიუროშია აღრიცხული.

პალატის მოსაზრებით, სამკვიდრო მასის ოდენობის განსაზღვრისათვის ვითარებას ვერ ცვლის ის გარემოება, რომ 2008 წლისათვის ვ. ა-მის სახელზე 225,88 კვ. მ სასარგებლო ფართი ირიცხება.

პალატამ მიუთითა, რომ, საჯარო რეესტრის 2008 წლის მონაცემთა თანახმად, გარდაცვლილ ვ. ა-მის სახელზე 225,88 კვ.მ -აღრიცხული, სამკვიდრო მასად უნდა ჩაითვალოს 58,85 კვ.მ, ანუ ის ფართი, რომლის თაობაზე მონაცემსაც მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის ტექ-ბიურო იძლევა.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. ა-მემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც შეუმცირდა საკუთრების უფლება სამკვიდრო მასის 225,88 კვ.მ-დან 1/4 და ნაცვლად 56,47 კვ. მ-ისა მიაკუთვნა სამკვიდრო მასიდან მხოლოდ 14,7 კვ.მ.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 13 ივნისის ცნობა, რომლითაც დადგინდა ის გარემოება, რომ მამკვიდრებელ ვ. ა-მეს საკუთრებაში გააჩნდა ქ. ბათუმში, ... ქ-ის #15-ში მდებარე ბინის 225,88 კვ.მ სასარგებლო ფართი, შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა საკუთრების უფლების ცნობა აღნიშნული საცხოვრებელი ფართის 1/4 ნაწილზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა იმის თაობაზე, რომ სახელზე მიშენებულია მოპასუხეების მიერ. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი დადასტურებულია სამკვიდრო მასის მამის -ვ. ა-მის სიცოცხლეში გაზრდის ფაქტი.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა სამკვიდრო მასიდან წილი განსაზღვრული, კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ 1967 წლის მონაცემებით ქ.ბათუმში, ... ქ-ის #15-ში მდებარე ვ. ა-მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი შედგენს 342 კვ.მ-ს, ხოლო შენობის საერთო სასარგებლო ფართია 58,85 კვ.მ, მათ შორის, საცხოვრებელი -36.10 კვ.მ. თუკი მემკვიდრეებს შორის ერთი მეოთხედი წილი უნდა განსაზღვრულიყო სწორედ აღნიშნული სამკვიდრო მასიდან, რაც მამკვიდრებელს სიკვდილის დროს გააჩნდა, მაშინ უნდა განსაზღვრულიყო 342 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო გ. ა-მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება წილის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, არასწორად განისაზღვრა სამკვიდრო მასის ოდენობა, რამაც საბოლოოდ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამკვიდრო მასად უნდა ჩაითვალოს 58,85 კვ.მ, რამდენიც მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის ტექ-ბიუროშია აღრიცხული.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდრო მასის ოდენობის განსაზღვრისათვის ვითარებას ვერ ცვლის ის გარემოება, რომ 2008 წლისათვის ვ. ა-მის სახელზე სასარგებლო 225,88 კვ. მ რიცხება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, საჯარო რეესტრის 2008 წლის მონაცემთა თანახმად, გარდაცვლილ ვ. ა-ძის სახელზე 225,88 კვ.მ-ია აღრიცხული, სამკვიდრო მასად უნდა ჩაითვალოს 58,85 კვ.მ, ანუ ის ოდენობა, რომლის თაობაზე მონაცემსაც მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის ტექნიურო იძლევა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ა-ძის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად (ფართის ოდენობის ნაწილში) ვერ გამოდგება ვერც თავად მოსარჩელის და ვერც მოწმეთა განმარტებები იმის შესახებ, რომ ამ 58,85 კვ.მ საცხოვრებელ სახლს ვ. ა-ძის სიცოცხლეში მიაშენეს. ამ ნაწილში მითითებული მტკიცებულებების გაუზიარებლობის საფუძველი გახდა ტექადრიცხვის ბიუროს მონაცემები, რომლის თანახმად მამკვიდრებლის სახელზე მისი გარდაცვალების მომენტისათვის ირიცხებოდა 58,85 კვ.მ ზინა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის მის სახელზე ტექნიუროში მხოლოდ 58,85 კვ.მ ზინის რეგისტრაციის ფაქტი არ შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ დანარჩენი სადავო ფართი არ შედიოდა სამკვიდრო მასაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ 2008 წლის 27 მარტის მდგომარეობით გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ორსართულიანი სახლი საერთო ფართით -225,88 კვ.მ, ირიცხებოდა აწ გარდაცვლილ ვ. ა-ძის სახელზე. ივარაუდება, რომ ფართი, რომელიც დარეგისტრირდა აწ გარდაცვლილ ვ. ა-ძის სახელზე, ეკუთვნოდა ამ უკანასკნელს და ამის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი სწორია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი). ამ გარემოების საწინააღმდეგო დადასტურების მტკიცების ტვირთი აკისრიათ მოპასუხეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

განსახილველი ნორმის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სადავო ფართი მიმატებული იყო მამკვიდრებლის მიერ, მაგრამ ვერ აღირიცხა იმ დროს ტექნიუროში, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქონება წარმოადგენს აწ გარდაცვლილის სამკვიდრო აქტივს.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით, უნდა დაადგინოს მამკვიდრებლის აქტივი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მასა; მემკვიდრედ ცნობა

განჩინება

#ას-950-1229-09

26 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. გ-შვილმა მოპასუხე ჯ. გ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 6 000 აშშ დოლარის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ გ. გ-შვილმა 2006 წლის 25 მარტს მოპასუხის მამას - ე. გ-შვილს გადასცა 6 000 აშშ დოლარი ამ უკანასკნელის კუთვნილი, თბილისში, ... ქ.#31ა სახლის შესაძენად. ნასყიდობის გარიგების დადების შემდგომ გაირკვა, რომ საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. თავის დროზე იგი არც ტექნიკურად იყო აღრიცხული. 2006 წლის 24 მაისს ე. გ-შვილი გარდაიცვალა. მხარეთა შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელემ მიუთითა ე. გ-შვილის ხელწერილზე, რომლის სინამდვილესაც ასაბუთებდა მოწმეთა ხელწერილებით.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ, რამდენადაც ჯ. გ-შვილი წარმოადგენდა ე. გ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეს - შვილს, არსებობდა მისთვის ბინის ნასყიდობის თანხის დაკისრების საფუძველი.

მოპასუხე ჯ. გ-შვილმა სარჩელი არ ცნო. საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მან აღნიშნა, რომ 2006 წლის 25 მარტის ხელწერილის სინამდვილეს სადავოდ არ ხდიდა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ თანხის მისთვის დაკისრების საფუძველი არ არსებობდა. თანხის მემკვიდრისათვის დასაკისრებლად აუცილებელი იყო მამკვიდრებლის სამკვიდრო აქტივზე მითითება, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, ჯ. გ-შვილს მამის სამკვიდრო ქონება არ მიუღია იმ მიზეზით, რომ ე. გ-შვილის საკუთრებაში არანაირი ქონება ირიცხებოდა. აქედან გამომდინარე, მამის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით გ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ჯ. გ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 25 მარტის ხელწერილის თანახმად, ე. გ-შვილმა მისი კუთვნილი უძრავი ქონება მიჰყიდა გ. გ-შვილს 6 000 აშშ დოლარად, აღნიშნული თანხა მიიღო ხელზე, სახლი და მიწის ნაკვეთი გადავიდა მის საკუთრებაში. ხელწერილს ხელს აწერენ გ. გ-შვილი და ე. გ-შვილი. ხელწერილის ნამდვილობას ადასტურებენ მოწმეები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასტურდებოდა სახლის ნასყიდობის გარიგების საფუძველზე გ. გ-შვილის მიერ ე. გ-შვილისათვის 6 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ ე. გ-შვილი გარდაიცვალა 2006 წლის 24 მაისს მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები - ჯ. გ-შვილი და ა. გ-შვილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა მოპასუხის წერილობით შესაგებებლზე, სადაც ეს უკანასკნელი ადასტურებდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ აგრძელებდა ცხოვრებას თბილისში, ... ქ-ის #31ა სახლში. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება ჩათვალოს საკმარის მტკიცებულებად და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის გარიგება იყო ბათილი, რამდენადაც იგი არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნას. გარიგების დადების დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის რედაქციის მიხედვით, უძრავი ნივ-

თის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კანონის ზემოთ დასახელებული ნორმის შესაბამისად, ბათილი გარიგების შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც ამ გარიგებით მიიღეს. ამდენად, გარდაცვლილი ე. გ-შვილი ვალდებული იყო, დაებრუნებინა ბათილი გარიგების საფუძველზე მიღებული 6 000 აშშ დოლარი. რამდენადაც ე. გ-შვილს სიკვდილის მომენტისათვის ჰქონდა გ. გ-შვილის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში მოვალის გარდაცვალების შემდეგ მისი შესრულების ვალდებულება გადადიოდა მის მემკვიდრეებზე. შესაბამისად, ჯ. გ-შვილს, როგორც მის ერთ-ერთ კანონისმიერ მემკვიდრეს, ეკისრებოდა ამ ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მოსარჩელისათვის 6 000 აშშ დოლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი. კანონის აღნიშნული ნორმის შესაბამისად, მემკვიდრეები ვალდებული არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს იმ შემთხვევაში დაეკისრებოდა კრედიტორის (გ. გ-შვილის) დაკმაყოფილების ვალდებულება, თუ მამკვიდრებლისგან მიიღებდა სამკვიდრო ქონებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

გარდა ამისა, აპელანტმა სადავოდ გახადა სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის გამოყენებლობა. მისი განმარტებით, კანონის მითითებული ნორმა განსაზღვრავს კრედიტორის მიერ მემკვიდრისთვის მოთხოვნის წარდგენის ვადას -6 თვეს, რა ვადაშიც გ. გ-შვილს მოთხოვნა არ წარუდგენია. შესაბამისად, აპელანტი მოსარჩელის მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ე. გ-შვილი გარდაიცვალა 2006 წლის 24 მაისს და მას დარჩა პირველი რიგის ორი მემკვიდრე -შვილები: ჯ. გ-შვილი და ა. გ-შვილი. ე. გ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით უძრავი ქონება არ ირიცხებოდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით, თბილისში, ... ქ-ის #31ა საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, ხოლო ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საარქივო მონაცემების თანახმად, ასეთი მისამართის ობიექტი აღრიცხული არ არის.

საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ თბილისში, ... ქ-ის #31ა საცხოვრებელ სახლში ამჟამად ცხოვრობს ჯ. გ-შვილი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამკვიდრო ქონებას წარმოადგენს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობა, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ -ამ ქონების ღირებულება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

კანონის ზემომითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კრედიტორის წინაშე მემკვიდრის პასუხისმგებლობის საკითხი უშუალოდ უკავშირდება და დამოკიდებულია მის მიერ მიღებული სამკვიდროს ღირებულებაზე, რომელიც განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის დროისათვის მამკვიდრებლის აქტივის ღირებულებით.

მოცემულ შემთხვევაში ე. გ-შვილის სამკვიდრო ქონებად მოსარჩელე მიიჩნევა თბილისში, ... ქ-ის #31ა საცხოვრებელ სახლს, რომელზეც, როგორც აღინიშნა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით, საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ იყო, ხოლო ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საარქივო მონაცემების თანახმად, ასეთი მისამართით ობიექტი საერთოდ არ ირიცხებოდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება ე. გ-შვილის სამკვიდროში არ შედიოდა. რაც შეეხებოდა სხვა ქონებას, მოპასუხის განმარტებით, ასეთი გარდაცვლილს არ გააჩნდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ უნდა დაადასტუროს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მოსარჩელემ ვერ შეძლო სასამართლოში მამკვიდრებლის სამკვიდრო აქტივის შესახებ მტკიცებულებების წარდგენა და მოპასუხის პოზიციის უარყოფა სამკვიდრო აქტივის არარსებობის თაობაზე, შესაბამისად, მან სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მან ვერ დაადასტურა მემკვიდრის მიერ თანხის გადახდის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას არამართლობიერად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა არა საცხოვრებელი სახლის მისთვის მიკუთვნება, არამედ -ბინის ნასყიდობის თანხის ანაზღაურება, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ -კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. კასატორი მიიჩნევს, რომ კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, აწ გარდაცვლილი ე. გ-შვილი ვალდებული იყო, დაებრუნებინა ბათილი გარიგების საფუძველზე მიღებული 6 000 აშშ დოლარი, ხოლო რამდენადაც ჯ. გ-შვილი წარმოადგენს აწ გარდაცვლილი ე. გ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეს, არსებობს მითითებული თანხის მისთვის დაკისრების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

მოსარჩელეს -გ. გ-შვილს და მოპასუხე ჯ. გ-შვილის მამას -ე. გ-შვილს შორის დადებულია ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება სახლზე, ... ქ-ის #31ა. გ. გ-შვილმა აღნიშნული სახლი შეიძინა 6000 აშშ დოლარად;

ე. გ-შვილი გარდაიცვალა 2006 წლის 24 მაისს და მას დარჩა პირველი რიგის ორი მემკვიდრე-შვილები: ჯ. გ-შვილი და ა. გ-შვილი;

თბილისში, ... ქ-ის #31ა საცხოვრებელი სახლი არ არის რეგისტრირებული ტექნიკურსა და საჯარო რეესტრში.

ასევე დადგენილია, რომ თბილისში, ... ქ-ის #31ა საცხოვრებელ სახლი რეალურად არსებობს და მასში ამჟამად ცხოვრობს მოპასუხე ჯ. გ-შვილი.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელზე უარის თქმა დაასაბუთა მხოლოდ იმ მოტივით, რომ თბილისში ... ქ-ის #31ა საცხოვრებელ სახლი არ არის რეგისტრირებული უძრავი ნივთების უფლებათა რეესტრში, არ შედის სამკვიდრო მასაში და ჯ. გ-შვილს აღნიშნული ქონება მემკვიდრეობით არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი)

ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის ნებისმიერი უფლებები, მათ შორის, არამართო უფლებები დაკანონებულ უძრავ ქონებაზე, არამედ -სხვა უფლებებიც, რაც მას სიცოცხლეში ეკუთვნოდა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ... ქ-ის #31ა საცხოვრებელი სახლი არ არის რეგისტრირებული საჯარო რესტრში როგორც უძრავი ქონება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამ სახლზე, როგორც დაუკანონებელ უძრავ ნივთზე არანაირი უფლებები არ არსებობს და ისინი არ არის გადაცემადი. დაუკანონებელ სახლზე არსებული უფლება, რაც ე. გ-შვილს გააჩნდა -ეს მისი სამკვიდრო აქტივია.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ე. გ-შვილს დაუკანონებელ სახლზე უფლება და მიიღო თუ არა ეს უფლება მემკვიდრეობით მოპასუხე ჯ. გ-შვილმა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს: მოპასუხე ჯ. გ-შვილის შესაგებელს, სადაც იგი განმარტავს, რომ სადავო მისამართზე მშობლების სიცოცხლეში მუდმივად არ ცხოვრობდა, თუმცა ხშირად დადიოდა და მათთან ერთად განკარგავდა ამ ქონებას, მათი გარდაცვალების შემდეგ კი მუდმივად ცხოვრობს და განკარგავს მშობლების დანატოვარ ქონებას; ე. გ-შვილის შესაგებელს განქორწინების საქმეზე, სადაც იგი აღნიშნავს, რომ სადავო მისამართზე მდებარე ბინა მან იყიდა; მოპასუხე ჯ. გ-შვილის რეგისტრაციის მოწმობას სადავო მისამართზე მდებარე სახლში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულებები უნდა შეაფასოს საქმის დანარჩენ მასალებთან ერთობლიობაში და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. სავალდებულო წილი

განჩინება

#ას-1163-1308-08

2 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სავალდებულო წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 აპრილს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ლ-ქემ მოპასუხეების -ე. და თ. ჯ-ძეების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მამის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის გამოყოფა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლ. ლ-ძის მამის -დ. ჯ-ძის ოჯახი ცხოვრობდა ამბროლაურის რ-ნის სოფ. ...-ში. შემდგომ დ. ჯ-ქემ თავისი კომლი გაუერთიანა სოფ. ...-ში მცხოვრებ გ. ჯ-ძის კომლს და ოჯახთან ერთად იქ გადავიდა საცხოვრებლად. დ. ლ-ქემ სიძის (ლ. ლ-ძის მეუღლე ბ. ლ-ძე) და ამ უკანასკნელის ძმის -ჯ. ლ-ძის თანხებით, სამშენებლო მასალითა და სხვა დახმარებით მოახდინა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ახალი ვენახის გაშენება, რის სანაცვლოდაც მოსარჩელეს მამამ -დ. ჯ-ქემ გადასცა სამოსახლო რიცეულაზე. 1970 წელს დ. ჯ-ქემ პარალელურად დაიწყო ახალი სახლის მშენებლობა, რომელსაც ასევე აწარმოებდა სიძის და მისი ძმის დახმარებით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სახლის მშენებლობისას დ. ჯ-ძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მითითებული მიწის ნაკვეთის თითქოსდა გაყიდვის

ფაქტზე, რაც არ დადასტურდა, მაგრამ სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა მისი საკუთრება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახლის კონფისკაციისა და მიწის ჩამორთმევის შესახებ, რაც აღსრულდა. მოგვიანებით, მითითებულ მიწის ნაკვეთს ისევ დაეპატრონა ლ. ლ-მის მეუღლე ბ. ლ-მე, რომელმაც სახლის მშენებლობა დაამთავრა და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა სოფ. ...-ში. მათ სადავო მიწის ნაკვეთი (0.092 ჰა ვენახი, 0.078 ჰა ბაღი და 0.023 ჰა ყანა) მათივე ხარჯებით შემოსაზღვრეს რკინა-ბეტონის ღობით, 1977 წლიდან კომლად დარეგისტრირდნენ და დაეწერათ 0.013 ჰა მიწის ნაკვეთი. 1997 წლის მიწის მიღება-ჩაბარების აქტში ლ. ლ-მის მამამ მიისაკუთრა მოსარჩელის მიერ შემოსაზღვრული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი.

დ. ჯ-მის გარდაცვალების შემდეგ კომლი გაუქმებულ იქნა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების დროისათვის კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ შვილები - ნ. ჯ-მე, ე. ჯ-მე, თ. ჯ-მე, ე. ჯ-მე და ლ. ლ-მე. გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მემკვიდრეობა არ გახსნილა. მემკვიდრეობა აღადგინა ე. ჯ-მემ, რომელმაც 2007 წლის 30 ოქტომბრის ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობებით დ. ჯ-მის სახელზე რიცხული ქონება ამბროლაურის საჯარო რეესტრში დარეგისტრირა არასრულწლოვან დ. ჯ-მეზე (ნ. ჯ-მის შვილი) და გაუთხოვარ დაზე - თ. ჯ-მეზე.

რამდენადაც ლ. ლ-მემ თავის მეუღლესთან ერთად თბილისში, აგრეთვე, ...-სა და ...-ში მდებარე მამკვიდრებლის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ვენახის გაშენება საკუთარი ხარჯებით განახორციელა, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ქონებიდან მას და მის მეუღლეს კუთვნილი წილი ერგებოდათ. ამის მიუხედავად, იგი სავალდებულო წილის სახით ითხოვდა მხოლოდ ამბროლაურის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 0.092 ჰა ვენახის, 0.078 ჰა ბაღისა და 0.023 ჰა ყანის მიკუთვნებას.

მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, შშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

მოპასუხეებმა თ. და ე. ჯ-მეებმა სარჩელი არ ცნეს და ლ. ლ-მის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების უსწორობაზე მიუთითეს. მათი მტკიცებით, ლ. ლ-მეს საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობდა მამის - დ. ჯ-მის ქონებიდან სავალდებულო წილის სახით ჰქონდა მიღებული, რის შესაბამისადაც სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო. ამასთან, სადავო მიწის ნაკვეთი 1997 წლის 20 დეკემბრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ეკუთვნოდა დ. ჯ-მეს, რომელმაც იგი 1999 წლის 24 სექტემბერს შედგენილი ანდერძით ბოსტანაში არსებულ სხვა ქონებასთან ერთად დაუტოვა თ. ჯ-მეს და თავის დას - ნ. ჯ-მეს. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მისი კუთვნილი წილი (დ. ჯ-მის სამკვიდრო ქონების 1/2) გადაეცა მცირეწლოვან შვილს - დ. ჯ-მეს, რომლის მეურვედ დანიშნულია მოპასუხე ე. ჯ-მე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოპასუხეებმა ლ. ლ-მის მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნიეს, რის საფუძვლადაც სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი დაასახელეს.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. ლ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოსარჩელეს სავალდებულო წილის სახით ნატურით გადაეცა ამბროლაურის რ-ნის სოფ. ...-ზე, ე.წ. "ბინულას" ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთი #3) ვენახი 0.923 ჰა, ბაღი 0.078 ჰა და ყანა 0.023 ჰა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 1970 წლის 20 მარტის განაჩენი ადასტურებდა, რომ მიწის ნაკვეთი, სადაც ამჟამად ლ. ლ-მე ცხოვრობდა, დ. ჯ-მის საკუთრება არ ყოფილა, მის კომლზე ეს მიწის ნაკვეთი მიმაგრებული იყო როგორც საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთი. განაჩენის თანახმად, დ. ჯ-მემ ამ მიწის ნაკვეთზე წამოიწყო უკანონოდ სახლის მშენებლობა. მრავალი გაფრთხილების მიუხედავად მან თვითნებური მშენებლობა გააგრძელა. აღნიშნულ მშენებლობაში მონაწილეობდა ლ. ლ-მის მეუღლე ბ. ლ-მე. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით მიწის გაჩუქება ან მისი ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იყო. აქედან გამომდინარე, დ. ჯ-მე მიწას და მასზე დაწყებულ მშენებარე სახლს სიძე-ქალიშვილს ვერ გადასცემდა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა განმარტება იმის შესახებ, რომ ლ. ლ-მეს "...-ს" დასახლებაში ე.წ. "...-ს" ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობდა, მამის - დ. ჯ-მის ქონებიდან სავალდებულო წილის სახით ჰქონდა მიღებული, რამდენადაც ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა. არც სასარჩელო განცხადებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან ირკვეოდა, საიდან მოიპოვა ლ. ლ-მემ საკუთრება სადავო მიწაზე და რა უფლებით ააშენა მასზე საცხოვრებელი სახლი.

რაიონულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მიწის ნაკვეთი, რომელსაც სავალდებულო წილის სახით ლ. ლ-მე ითხოვდა, დ. ჯ-მეს ეკუთვნოდა 1997 წლის მიღება-ჩა-

ბარების აქტით. აქტის თანახმად, დ. ჯ-ძეს აწერია მიწა, რომელიც მდებარეობს ლ. ლ-ძის მიწის მოსაზღვრედ. სასამართლომ გაუგებრად მიიჩნია, როგორ გადასცემდა 1995 წელში დ. ჯ-ძე იმ მიწას, რომელიც მას საკუთრებაში არასდროს მიუღია.

რაიონულმა სასამართლომ ლ. ლ-ძის მოთხოვნა ხანდაზმულად არ მიიჩნია და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ის გარემოება, რომ ლ. ლ-ძის ოჯახი, მართალია, დავის პირობებში, მაგრამ ფაქტობრივად მაინც სარგებლობდა სავალდებულო წილში მოთხოვნილი მიწის ნაკვეთით, დასტურდებოდა: მოწმეთა ჩვენებებით, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის განაჩენით, თავად ე. და თ. ჯ-ძეების განმარტებებით. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ანდერძი გაიხსნა არა კანონით გათვალისწინებულ 6-თვიან ვადაში, არამედ, 2007 წელს, ხოლო მის გახსნაზე ლ. ჯ-ძე მიწვეული არ იყო, მიუთითებდა, რომ ლ. ჯ-ძემ ანდერძის შესახებ არ იცოდა. მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნულის შესახებ მან 2008 წლის მარტში შეიტყო.

რაიონულმა სასამართლომ სამკვიდრო მოწმობებზე დაყრდნობით სამკვიდრო ქონების ღირებულებად 23500 ლარი მიიჩნია, საიდანაც სამოქალაქო კოდექსის 1371-1375-ე მუხლებიდან გამომდინარე, ლ. ლ-ძის სავალდებულო წილი (ხუთი კანონისმიერი მემკვიდრის გათვალისწინებით) 4700 ლარით განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში სადავო მიწის ნაკვეთის ღირებულება აუდიტის შეფასებით 2500 ლარს შეადგენდა. სამოქალაქო კოდექსის 1454-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეს შეეძლო თავისი წილის გამოყოფა ნატურით როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონებიდან. ამავე კოდექსის 1460-ე მუხლიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მისი სახლის მოსაზღვრედ მდებარე მიწის ნაკვეთის ნატურით გამოყოფის შესახებ საფუძვლიანად ჩათვალა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. და თ. ჯ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. და თ. ჯ-ძეების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება ლ. ლ-ძისათვის 0.92 ჰა ვენახის მიკუთვნების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ლ. ლ-ძეს მიეკუთვნა ამბროლაურის რ-ნის სოფ. ...-ზე ე.წ. "...-ს" ტარიტორიაზე მდებარე ვენახი 0.092 ჰა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ლ. ლ-ძის მამა -დ. ჯ-ძე გარდაიცვალა 2003 წლის 31 აგვისტოს. მისი გარდაცვალების დროისათვის კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ შვილები -ნ. ჯ-ძე, ე. ჯ-ძე, თ. ჯ-ძე, ე. ჯ-ძე და ლ. ლ-ძე.

დ. ჯ-ძის ოჯახი ცხოვრობდა ამბროლაურის რ-ნის სოფ. ...-ში, ხოლო 1968 წლიდან თავისი კომლი გაუერთიანა სოფ. ...-ში მცხოვრები გ. ჯ-ძის კომლს და ოჯახთან ერთად იქ გადავიდა საცხოვრებლად.

1997 წლის 20 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტით, დ. ჯ-ძეს გადაეცა 0.38 ჰა მიწა ხუთ ნაკვეთად, მათ შორის: სახნავი -0.55კვ.მ, ვენახი -0.16კვ.მ, ბაღი -0.12კვ.მ და ეზო -0.048 კვ.მ.

1999 წლის 24 სექტემბერს შედგენილი ანდერძით დ. ჯ-ძემ თავისი კუთვნილი ქონება, ამბროლაურის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი უანდერძა შვილებს -თ. და ნ. ჯ-ძეებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, პირი, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, მოვალეა სავალდებულო წილში ჩათვალოს ყველაფერი, რაც მამკვიდრებლისაგან მიიღო მის სიცოცხლეში იმაზე მითითებით, რომ მიღებული ჩაითვალოს სავალდებულო წილში.

საქმეში წარმოდგენილი ანდერძის ტექსტის შინაარსიდან ირკვეოდა, რომ დ. ჯ-ძეს კანონით დადგენილი წესით განემარტა 1371-ე-1372-ე მუხლების შინაარსი, მაგრამ მონადერძეს არანაირი მითითება აღნიშნულ ანდერძში არ გაუკეთებია იმის შესახებ, რომ მან თავის სიცოცხლეში აჩუქა ქონება რომელიმე პირველი რიგის მემკვიდრეს, რაც უნდა ჩათვლილიყო სავალდებულო წილში.

ე. ჯ-ძე იმ გარემოებას, რომ ამჟამად ლ. ლ-ძის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი აწ გარდაცვლილ დ. ჯ-ძეს ეკუთვნოდა და მოსარჩელეს მამის სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო

წილი მიღებული ჰქონდა, მის მიერ დასახელებული მოწმეთა ჩვენებებით ასაბუთებდა. აღნიშნულ-თან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მამკვიდრებლის სიცოცხლეში მამკვიდრებლის მიერ გადაცემული ქონების ჩათვლა სავალდებულო წილში უძრავ ნივთზე საკუთრების იმ განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენდა, რომლის არსებობის დადასტურება მოწმეთა ჩვენებებით დაუშვებელი იყო. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება უნდა დადასტურებულიყო შესაბამისი იურიდიული დოკუმენტებით, ხოლო მიღებული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლაზე პირველი რიგის მემკვიდრეს მაშინ ეკისრებოდა ვალდებულება, თუ მოანდერძე, კანონის თანახმად, მიუთითებდა, რომ მიღებული სავალდებულო წილში ჩათვლილიყო.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტთა მითითება დავის ხანდაზმულობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ლ. ლ-მის ოჯახი ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა სავალდებულო წილში მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს. აღნიშნული დასტურდებოდა მისივე ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, თვით ე. ჯ-მის შეგებებული სარჩელით, რომელიც წარმოებაში არ იქნა მიღებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო და რომლითაც იგი სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ითხოვდა ლ. ლ-მის უკანონო მფლობელობიდან სადავო მიწის ნაკვეთის გამოთხოვას და სხვადასხვა საქმიანობაში ხელშეშლის აღკვეთას. იგივე ფაქტობრივ გარემოებებს ადასტურებდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის განაჩენი, ასევე ნახაზები. მითითებული ნახაზებიდან ჩანდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი უშუალოდ ეკვრის ლ. ლ-მის სახლს და ეზოს, რომელზეც ბეტონის ღობეა შემოვლებული ლ. ლ-მის მეუღლის მიერ. ამდენად, დგინდებოდა, რომ ლ. ლ-მე, მართალია, დავის პირობებში, მაგრამ მაინც სარგებლობდა სადავო მიწის ნაკვეთით, რითაც მან ფაქტობრივად მიიღო სამკვიდრო გახსნის მომენტიდან.

ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1369-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ნოტარიუსი ვალდებულია, მოანდერძოს გარდაცვალების შემდეგ დანიშნოს დღე და გააცნოს ანდერძის შინაარსი დაინტერესებულ პირებს. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დასტურდებოდა, რომ ლ. ლ-მე კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა მიწვეული ანდერძის გამოქვეყნებაზე. მისთვის დ. ჯ-მის ანდერძის არსებობა ცნობილი გახდა 2008 წლის მარტში (საწინააღმდეგო ფაქტზე მოპასუხეები ვერ მიუთითებდნენ), ხოლო სარჩელი ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2008 წლის აპრილში.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრას. ამასთან, აღნიშნა, რომ სამკვიდრო ქონების ღირებულება სამკვიდრო მოწმობებზე დაყრდნობით შეადგენდა არა 23 500 ლარს, როგორც ეს აისახა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, არამედ 25 500 ლარს. დასახელებული თანხის გათვალისწინებით ლ. ლ-მის სავალდებულო წილის ოდენობა 2 550 ლარით განისაზღვრა, რაც მის მიერ სარჩელით მოთხოვნილი ქონების ღირებულებას (2 500 ლარის) სრულად არ შეესაბამებოდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1454-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონებიდან. ლ. ლ-მე ითხოვს, ნატურით გამოეყოს მიწის ნაკვეთი, რომელიც მის სახლს და მეურნეობას უშუალოდ ესაზღვრება და მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, აღნიშნული მოთხოვნა კანონიერია სამოქალაქო კოდექსის 1460-ე მუხლის შესაბამისადაც. აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2500 ლარის ღირებულების სადავო ქონების მოსარჩელისათვის მიკუთვნების ნაწილში უცვლელად დარჩა.

მიუხედავად ამისა, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ, კერძოდ ლ. ლ-მისათვის 0.92 ჰა ვენახის მიკუთვნების ნაწილში გაუქმებას დაექვემდებარა, რადგან მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად 0.92 ჰა ვენახი ფაქტობრივად მისაკუთვნებელ მიწის ნაკვეთთან შედარებით 8000 კვ.მ მიწის ნაკვეთით მეტს წარმოადგენდა. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. და თ. ჯ-მებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს, შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამკვიდროს გახსნის თარიღი და მისი ათვლა დაიწყო დ. ჯ-მის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის დღიდან, რაც არასწორია. სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლი მიუთითებს, რომ სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. მოსარჩელე, რომელმაც მამკვიდრებლის გადაწყვეტილების შესახებ

იცოდა, ვალდებული იყო სამკვიდროს მიღების ადგილას შესაბამისი განცხადების წარედგინა, რაც მას არ განუხორციელებია.

საქმის განმხილველ სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ, თუ რა შედიოდა სამკვიდრო ქონებაში, რამდენ მემკვიდრეს ეკუთვნოდა სავალდებულო წილი, რომ არ ყოფილიყვნენ ანდერძით მემკვიდრეები.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, რადგან ლ. ლ-ძეს მამკვიდრებლის ქონებიდან არანაირი წილი არ მიუღია.

იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ დ. ჯ-ძეს მთლიანობაში 0.38 ჰა მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა, გაუგებარია სამი მემკვიდრიდან მხოლოდ ლ. ლ-ძეს როგორ მიაკუთვნა აღნიშნული მიწის ნაკვეთის თითქმის ნახევარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში გამოტანილია დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომლის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქმეზე დადგინილია და სადავო არ არის, რომ მამკვიდრებელი დ. ჯ-ძე გარდაიცვალა 2003 წლის 31 აგვისტოს. ამ დროისათვის მამკვიდრებლის კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ შვილები: თ. ჯ-ძე, ე. ჯ-ძე, ნ. ჯ-ძე, ე. ჯ-ძე, ლ. ლ-ძე. დ. ჯ-ძემ დატოვა 1999 წლის 24 სექტემბერს შედგენილი ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება, მათ შორის, ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთები უანდერძა შვილებს - თ. და ნ. ჯ-ძეებს.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. 1373-ე მუხლი განსაზღვრავს სავალდებულო წილის მოცულობის დადგენის პრინციპს, კერძოდ, სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდროდან იმ ქონების ჩათვლით, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად. ამდენად, სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრად, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, თუ რომელ ქონებრივ ობიექტებს მოიცავს მთელი სამკვიდრო მასა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე განსაზღვრა სავალდებულო წილი, რომ არ დაადგინა, თუ რას მოიცავდა დ. ჯ-ძის სამკვიდრო. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მხოლოდ სამკვიდრო მოწმობებში მითითებული ქონების საერთო ღირებულება ისე, რომ სამკვიდროში შემავალი კონკრეტული ქონებრივი ობიექტები და სამკვიდროს მოცულობა არ განუსაზღვრავს.

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი კონკრეტული ქონებრივი ობიექტებისაგან შესდგება დ. ლ-ძის სამკვიდრო მასა, სამკვიდრო მოწმობებში მითითებული ქონების გარდა ხომ არ შედის კიდევ სხვა ქონება დ. ჯ-ძის სამკვიდროში. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს, ნამდვილად მოიცვა თუ არა სამკვიდრო მოწმობებით განაწილებულმა ქონებამ სადავო ნაკვეთები და, კონკრეტულად, მასში მითითებული რომელი ნაკვეთებია ისინი.

მას შემდეგ, რაც დადგინდება დ. ჯ-ძის მთელი სამკვიდრო მასა, სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, ამ შემთხვევაში - 5 პირი შესაბამისი წილის განსაზღვრად.

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენს შეადგენს სამკვიდრო მასაში შემავალი ობიექტებიდან ლ. ლ-ძის სავალდებულო წილის მოცულობა (1/5-ის 1/2, ანუ 1/10) არა ქონების მთლიანი ღირებულების, არამედ ქონების კონკრეტული ობიექტების ფართის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ სადავო ქონების (0.0923ჰა ვენახი, 0.0783ჰა ბაღი და 0.0233ჰა ყანა) 1/10 მოსარჩელე ლ. ლ-ძეს უდავოდ ეკუთვნის. რამდენადაც მოსარჩელე მთლიანად ითხოვს კონკრეტულად დასახელებულ ქონებას სამკვიდრო მასიდან, უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა მოთხოვნილ ქონებაში სხვა სამკვიდრო ობიექტების ხარჯზე მისი წილის შევსების სამართლებრივი წინაპირობები ქონებრივი ან ფულადი კომპენსაციის გამოყენების გზით. ამისათვის გასარკვევია, რას შეადგენს სამკვიდრო მასაში შემავალი დანარჩენი ქონების 1/10-ის ფარ-

თობი, მათ შორის, გამოსარკვევია, სოფ. ...-ში მდებარე, დ. ჯ-ძის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1/10 ფართი და ამ წილის ლ. ლ-ძისათვის მიუცემლობის გამო, თუკი სამოქალაქო კოდექსის 1481-ე მუხლის საფუძველზე მამკვიდრებელთან მცხოვრებ მემკვიდრეს აქვს ამ სახლის მიღების უპირატესი უფლება, არსებობს თუ არა ამ წილის საკომპენსაციოდ სამოქალაქო კოდექსის 1482-ე ან 1463-ე მუხლების შესაბამისად ქონებრივი კომპენსაციის მიცემის საფუძველი სადავო ქონებაში (0.0923ა ვენახი, 0.0783ა ბაღი და 0.0233ა ყანა) ლ. ლ-ძის წილის შესავსებად. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს სამკვიდროდან, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ზემომითითებული სახლის გარდა დ. ლ-ძის სხვა რომელი სამკვიდრო ქონებიდან ეკუთვნის ლ. ლ-ძეს სავალდებულო წილი და რას შეადგენს ამ ქონებრივი ობიექტების 1/10. ასევე უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა ამ წილის სადავო ქონების ხარჯზე შევსების წინაპირობებიც, კერძოდ, არსებობს თუ არა ეკვივალენტური ნაკვეთები, რამდენად სიცოცხლისუნარიანია ეს ნაკვეთები, არსებობს თუ არა ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 1460-ე-1462-ე მუხლების გამოყენების წინაპირობები მოპასუხეთა ან მოსარჩელის მხრიდან ქონებრივი ან ფულადი კომპენსაციის გამოყენების გზით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ ლ. ლ-ძეს მამის სიცოცხლეში სავალდებულო წილი მიღებული აქვს. ამ საკითხზე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება დ. ჯ-ძის საკუთრებაში ლ. ლ-ძის საცხოვრებელი სახლის არსებობა და ლ. ლ-ძე ამ ქონების გადაცემა და რომ უძრავი ქონების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, აღნიშნული გარემოების დადასტურება მხოლოდ მოპასუხეთა ზეპირი განცხადების საფუძველზე დაუშვებელია. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიღებული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლა მხოლოდ იმ პირობით დაიშვება, თუ მამკვიდრებელმა ამაზე მიუთითა. კასატორები ვერც მამკვიდრებლის ასეთ მითითებას ადასტურებენ.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორების მსჯელობას, რომ ლ. ლ-ძეს მოცემულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული აქვს სოფელ რიცეულაში მდებარე 0.0923ა ვენახის, 0.0783ა ბაღისა და 0.0233ა ყანის გარდა სხვა ქონებაც. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა და რაც ლ. ლ-ძეს არ გაუსაჩივრებია, ლ. ლ-ძეს მიეკუთვნა მხოლოდ შემდეგი კონკრეტული ქონება: სოფ. ...-ში მდებარე 0.0923ა ვენახი, 0.0783ა ბაღი და 0.0233ა ყანა. ამდენად, ამ შემთხვევაში სხვა რაიმე ქონება დავის საგანს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელეს არ აქვს გაშვებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი და სწორად დაადგინა, რომ ლ. ლ-ძე სარგებლობდა სადავო ნაკვეთებით, რითაც მან ფაქტობრივად მიიღო სამკვიდრო გახსნის მომენტიდან.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

11. სამკვიდროს მიღება

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

#ას-597-824-08 21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა, უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. პ-იანმა მოპასუხეების -თ. კ-იანისა და ზ. პ-იანის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ ნ. პ-იანი იყო მამისის -აწ გარდაცვლილი მ. პ-იანის დედა და მისი ბებია;

2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა იმის თაობაზე, რომ ე. პ-იანი ფაქტობრივად ფლობდა და მართავდა ნ. პ-იანის სამკვიდრო ქონებას -თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე, 513კვ.მ მიწის ნაკვეთზე აშენებულ საცხოვრებელ სახლს, ასევე, მამის -მ. პ-იანის მიერ აშენებულ სახლს #2 შენობაში (ფართით -52.46კვ.მ), #3 და #4 შენობებს.

3. თანამესაკუთრედ ცნობა თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, კერძოდ:

ა. 513კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/3-ზე;

ბ. ნ. პ-იანის სამკვიდრო სახლის ორი ოთახის (46.09კვ.მ) 1/3-ზე;

გ. ამავე მისამართზე მამის -მ. პ-იანის მიერ აშენებულ #2 შენობაში 52.46კვ.მ ფართზე, #3 და #4 შენობებზე.

4. 2004 წლის 2 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა მიწის ნაკვეთის 1/3-ის, 46.09კვ.მ ბინის 1/3-ის, #2 შენობაში 52.46კვ.მ-ის, #3 და #4 შენობების ნაწილში.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის ნაწილში მოთხოვნა შეამცირა და მოითხოვა: ნ. პ-იანსა და მ. პ-იანს შორის, როგორც დედასა და შვილს შორის, ასევე, ნ. პ-იანსა და ე. პ-იანს შორის, როგორც ბებიასა და შვილიშვილს შორის ნათესაური კავშირის დადგენა და ე. პ-იანის მიერ მამკვიდრებლის -ნ. პ-იანის დანაშთი სამკვიდრო ქონების, მდებარე თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში ფაქტობრივად მიღების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა უცვლელად დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. პ-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა 1980 წლის 23 დეკემბერს გარდაცვლილ ნ. პ-იანსა და 1978 წლის 23 თებერვალს გარდაცვლილ მ. პ-იანს შორის ნათესაური კავშირი როგორც დედის და შვილის; დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ე. პ-იანმა ფაქტობრივად მიიღო მამკვიდრებლის -ნ. პ-იანის დანაშთი სამკვიდრო ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში; ე. პ-იანი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე ზ. პ-იანის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/3-ის მესაკუთრედ და ამ ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ე. შ-შვილის მიერ 2004 წლის 2 სექტემბერს დამოწმებული #1-9167 ნასყიდობის ხელშეკრულება, გაფორმებული თ. კ-იანსა და ზ. პ-იანს შორის. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე. პ-იანის მამა იყო მ. პ-იანი, ხოლო ამ უკანასკნელის დედა -ნ. პ-იანი; მამკვიდრებელი ნ. პ-იანი არის მოსარჩელის და ამავე დროს მოპასუხე ზ. პ-იანის ბებია;

მამკვიდრებელი ნ. პ-იანი გარდაიცვალა 1980 წლის 23 დეკემბერს. გარდაცვალების მომენტი-სათვის მის სახელზე ირიცხებოდა თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი;

გარდაცვლილის შვილებიდან სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ თ. კ-იანი (მოპასუხე), ზ. პ-იანი (მოპასუხე ზ. პ-იანის მამა), რომელიც გარდაიცვალა 2003 წელს და 1978 წლის 24 თებერვალს გარდაცვლილი მ. პ-იანის ოჯახი, მისი შვილის - მოსარჩელე ე. პ-იანის სახით;

სამივე მემკვიდრე, მათ შორის, ე. პ-იანი, სამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის ცხოვრობდა სამკვიდრო სახლში: თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში;

ნ. პ-იანის სამკვიდროში შემავალი მთელი საცხოვრებელი სახლი კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით საკუთრებაში მიიღო მხოლოდ ერთმა მემკვიდრემ - თ. კ-იანმა;

2004 წლის 2 სექტემბერს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით თ. კ-იანმა მემკვიდრეობით მიღებული სამკვიდრო ქონება მიჰყიდა თავის ძმისშვილს - ზ. პ-იანს;

მოდავე მხარეები რამდენიმე ათეული წელია ცხოვრობენ ერთ მისამართზე, აკავშირებთ ნათესაური კავშირი და სამივე მათგანი წარმოადგენს გარდაცვლილი ნ. პ-იანის დანატოვარი სამკვიდრო ქონების მემკვიდრეს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ფაქტი, რომლის დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, უნდა უკავშირდებოდეს იმ იურიდიულ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს მას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მ. პ-იანსა და ნ. პ-იანს შორის ნათესაური კავშირის შესახებ, როგორც დედისა და შვილის; ასევე დადგენილად მიიჩნია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი ე. პ-იანის მიერ ნ. პ-იანის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. პ-იანი, თ. კ-იანი და ზ. პ-იანი, როგორც მემკვიდრეები, წარმოადგენდნენ გარდაცვლილი ნ. პ-იანის დანატოვარი სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრეებს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე ე. პ-იანი ცნობილ იქნა თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3-ის მესაკუთრედ.

იმის გათვალისწინებით, რომ თ. კ-იანისა და ზ. პ-იანისათვის სამკვიდრო მასაში შემავალი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო ნ. პ-იანის სხვა პირველი რიგის მემკვიდრის - ე. პ-იანის არსებობის შესახებ, რომელსაც ფაქტობრივად მიღებული ჰქონდა ბებულის დანატოვარი სამკვიდრო ქონება, სასამართლომ მიიჩნია, რომ შემძენი ამ შემთხვევაში არ იყო კეთილსინდისიერი და სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 54-ე მუხლებზე დაყრდნობით ბათილად ცნო თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თ. კ-იანსა და ზ. პ-იანს შორის 2004 წლის 2 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავი ქონების 1/3-ში.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ზ. პ-იანის სახელზე უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე აღრიცხული ფართის, კერძოდ, #2 შენობაში 52.46კვ.მ ფართის, #3 და #4 შენობების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე იმ საფუძველით, რომ აშენებული იყო მოსარჩელის მამის - მ. პ-იანის მიერ და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. საქმის მასალებში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ზ. პ-იანის სახელზე აღნიშნული ფართი აღირიცხა უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე, რაც იმის გათვალისწინებით, რომ მან საცხოვრებელი სახლი შეიძინა თ. კ-იანისაგან, ამ უკანასკნელმა კი მემკვიდრეობით მიიღო ნ. პ-იანისაგან, იმაზე მეტყველებდა, რომ მამკვიდრებელს არ გააჩნდა მითითებულ უძრავ ქონებაზე კანონმდებლობით რეგლამენტირებული რაიმე სახის უფლება. შესაბამისად, სადავო ქონება არ წარმოადგენდა სამკვიდრო ქონებაში შემავალ რაიმე სახის აქტივს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელეს გააჩნდა თბილისში, ... მესამე შესახვევის #3-ში მდებარე #2 შენობაში 52.46კვ.მ ფართის, #3 და #4 შენობების საკუთრების უფლება, მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელმაც აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარადგინა. შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელის მითითებული მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. კ-იანმა და ზ. პ-იანმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებით თ. კ-იანისა და ზ. პ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს ზ. პ-იანმა და თ. კ-იანმა (წარმომადგენელი შ. ძ-ძე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საკმარისად იყო დასაბუთებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ზ. პ-იანი თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს წარმოადგენდა. იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრის ამონაწერი, ისევე, როგორც საჯარო რეესტრის სამსახურის შექმნამდე მოქმედ ტექალრიცხვის სამსახურში არსებული მონაცემები სადავო ბინის მესაკუთრედ თ. კ-იანზე მიუთითებდა, ზ. პ-იანს საკმარისი საფუძველი გააჩნდა ბინის მესაკუთრედ სწორედ თ. კ-იანი მიეჩნია. შესაბამისად, იგი ბინის კეთილსინდისიერი შემძენი იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდგომ კასატორებმა არქივის მეშვეობით მოიპოვეს ანდერძი, რომლის შინაარსიც მოცემული დავის არსს არსებითად ცვლიდა, თუმცა აღნიშნული მტკიცებულების მიღებაზე მათ არამართლზომიერად ეთქვათ უარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის პირველი ნაწილი სააპელაციო სასამართლოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას ანიჭებს, რაც ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა.

გაურკვეველია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მამკვიდრებლის შვილებიდან სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზიას მხოლოდ სამი მემკვიდრე აცხადებდა, რამდენადაც, ტ. და ნ. პ-იანებს ჰყავდათ 7 შვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. პ-იანისა და თ. კ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მამკვიდრებელი ნ. პ-იანი არის მოსარჩელე ე. პ-იანისა და მოპასუხე ზ. პ-იანის ბებია;

ნ. პ-იანი გარდაიცვალა 1980 წლის 23 დეკემბერს. გარდაცვალების მომენტისათვის მის სახელზე ირიცხებოდა თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელიც განთავსებული იყო 513 კვ.მ მიწის ნაკვეთზე;

გარდაცვლილის შვილებიდან სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ თ. კ-იანი (მოპასუხე), ზ. პ-იანი (მოპასუხე ზ. პ-იანის მამა), რომელიც გარდაიცვალა 2003 წელს და 1978 წლის 24 თებერვალს გარდაცვლილი მ. პ-იანის შვილი მოსარჩელე ე. პ-იანი;

სამივე მემკვიდრე, მათ შორის, ე. პ-იანი, მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის ცხოვრობდა სამკვიდრო სახლში: თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში;

1981 წლის 15 ივლისის კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობით ნ. პ-იანის სამკვიდრო ქონება -513 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი მიიღო მხოლოდ ერთმა მემკვიდრემ -თ. კ-იანმა;

2004 წლის 2 სექტემბერს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით თ. კ-იანმა თავის ძმისშვილს -ზ. პ-იანს მიჰყიდა თბილისში, ... მე-3 შესახვევის #3-ში მდებარე 503 კვ.მ მიწის ნაკვეთი, #1, #2 შენობა-ნაგებობა საერთო 46,09კვ.მ-ით, შენობა #1-ში 63,54კვ.მ, შენობა#2-ში 52,46კვ.მ და შენობები #3, #4 უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე. აღნიშნული უძრავი ქონება ზ. პ-იანმა დაარეგისტრირა თავის სახელზე საჯარო რეესტრში;

მოდვე მხარეები რამდენიმე ათეული წელია ცხოვრობენ ერთ მისამართზე, აკავშირებთ ნათესაური კავშირი და სამივე მათგანი წარმოადგენს გარდაცვლილი ნ. პ-იანის დანატოვარი სამკვიდრო ქონების მემკვიდრეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია კასატორების მიერ წამოყენებული არ არის.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელე ე. კ-იანი ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა ნ. კ-იანის სამკვიდროს. კანონის მითითებული ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ამდენად, ე. კ-იანმა, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა ნ. კ-იანის სამკვიდროს ნაწილს, მთლიანად მიიღო სამკვიდრო თავისი სამკვიდრო წილის ფარგლებში. შესაბამისად, არამართლობიერია თ. კ-იანის მიერ მთლიანი სამკვიდროს (ე. კ-იანის სამკვიდრო წილის გათვალისწინებით) მასზე აღრიცხვა და ზ. კ-იანზე გასხვისება. ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, ზ. კ-იანი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად, რამდენადაც როგორც თვითონ, ისე მოსარჩელე ე. კ-იანი ცხოვრობდნენ სამკვიდრო სახლთმფლობელობაში, იყვნენ ნათესავები და ამდენად, ზ. კ-იანისთვის ცნობილი იყო ნ. კ-იანის ქონებაზე ე. კ-იანის კანონისმიერი მემკვიდრეობისა და ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს დაუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მსჯელობას, რომ მათ მიერ წარდგენილი ანდერძი უნდა მიეღო სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებად და გაეთვალისწინებინა გადაწყვეტილების გამოტანის დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, 2007 წლის 27 ივლისის სხდომაზე, მოპასუხის წარმომადგენელი მიუთითებს იმაზე, რომ მათთვის ცნობილი გახდა ანდერძის არსებობის შესახებ მასზე და მის დაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება საქმეზე გამოტანილია 2007 წლის 25 სექტემბერს და ამ დროის მანძილზე მოპასუხეთა მიერ ანდერძი არ წარდგენილა. აღნიშნული ანდერძი ზ. კ-იანმა და თ. კ-იანმა წარადგინეს სააპელაციო საჩივართან ერთად, სადაც უთითებენ, რომ ანდერძი აღმოაჩინეს შემთხვევით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მათ ვერ დაასახელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში ანდერძის წარდგენის შეუძლებლობის განმარტობებელი კონკრეტული საპატიო გარემოება და ასეთზე ისინი ვერც საკასაციო საჩივარში უთითებენ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების დაშვებისა და შეფასების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან, აღნიშნული ანდერძის არსებობა მოცემულ შემთხვევაში გავლენას ვერ ახდენს საქმეზე, რამდენადაც თ. კ-იანს სამკვიდრო მიღებული აქვს კანონისმიერი მემკვიდრეობით 1981 წელს და 1980 წელს შედგენილი ანდერძის საფუძველზე მას სამკვიდროს მიღების უფლებით არ უსარგებლია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. კ-იანისა და თ. კ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

#ას-870-1084-08 10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, ანდერძისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 23 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ვ-მემ მოპასუხე გ. ვ-მის, მესამე პირების -ნოტარიუს ნ. ს-მისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: 2007 წლის 11 ივნისს გ. ვ-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობისა და მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, აგრეთვე ქ. ბათუმში, ... ქ. #22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14 ნაწილზე ნ. ვ-მის მემკვიდრედ და ამ ქონების მესაკუთრედ ცნობა.

მოპასუხე გ. ვ-მემ იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შეგებებული სარჩელის ავტორმა საბოლოოდ მოითხოვა ნ. ვ-მის მიერ შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობა მ. ვ-მეზე ქ. ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლის გადაცემის ნაწილში.

2007 წლის 6 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს დამოუკიდებელი სასარჩელო განცხადებით მიმართეს მესამე პირებმა -დ. ჯ-მემ, ნ. თ-მემ, მ. და ზ. ვ-მეებმა მოპასუხეების -გ. ვ-მის, მ. ვ-მის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და ნოტარიუს ნ. ს-მის მიმართ. მესამე პირებმა მოითხოვეს: მ. ვ-მისათვის ქ. ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გადაცემის ნაწილში ნ. ვ-მის მიერ შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობა, ნოტარიუს ნ. ს-მის მიერ გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა და ბათუმში, ... ქ. #22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წილობრივი მონაცემების გათვალისწინებით მათი, როგორც მ. ვ-მის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეების საკუთრებაში აღრიცხვა.

ზემოაღნიშნული სარჩელებიდან, შეგებებული სარჩელიდან და მათზე თანდართული მასალებიდან ირკვევა შემდეგი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 19 აპრილის ცნობით ბათუმში, ... ქ. #22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14 ნაწილი ირიცხებოდა მ. ვ-მის საკუთრებად.

მ. ვ-მე, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ გაწვეული იყო მეორე მსოფლიო ომში, 1941 წლის სექტემბრიდან ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

2005 წლის 8 დეკემბრის სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძით ნ. ვ-მემ (მ. ვ-მის ვაჟი) თავისი ქონება უანდერძა ძმისშვილს -მ. ვ-მეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. ვ-მის განცხადების საფუძველზე დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ მ. ვ-მე დაიღუპა დიდ სამამულო ომში 1941 წლის სექტემბერში. აღნიშნული დროისათვის მ. ვ-მეს ჰყავდა მეუღლე -მ. ვ-მე (გარდაიცვალა 1994 წელს) და ხუთი შვილი: ნ. (ფ.) ვ-მე (დაქორწინების შემდგომ -თ-მე), დ. (ე.) ვ-მე (დაქორწინების შემდგომ -ჯ-მე), მ. (ხ.) ვ-მე, ნ. (ქ.) ვ-მე და ზ. ვ-მე, ხოლო მეექვსე შვილი -გ. ვ-მე დაიბადა 1941 წლის დეკემბერში.

2007 წლის 2 აპრილს გ. ვ-მემ მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა 1941 წელს გარდაცვლილი მამის -მ. ვ-მის სამკვიდრო ქონებაზე, კერძოდ, ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის 2007 წლის 2 აპრილის დადგენილებით გ. ვ-მეს უარი ეთქვა აღნიშნული სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ მას, როგორც მ. ვ-მის პირველი რიგის მემკვიდრეს, გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი 6-თვიანი ვადა.

მოგვიანებით, გ. ვ-მემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა მამის -მ. ვ-მის დანაშთი ქონების მემკვიდრეობით მიღების შესახებ იურიდიული ფაქ-

ტის დადგენა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით გ. ვ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგენილად ჩაითვალა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის თაობაზე, რომ გ. ვ-ძეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე მ. ვ-ძის (მამის) დანაშთი ქონება.

2007 წლის 11 ივნისს გ. ვ-ძის სახელზე გაცა კანონისმიერი სამემკვიდრეო მოწმობა, რომლითაც ამ უკანასკნელმა, როგორც მ. ვ-ძის პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14, რის შემდგომაც მითითებული სახლთმფლობელობა საჯარო რეესტრში აღირიცხა მის სახელზე.

2007 წლის 18 ივლისს მ. ვ-ძემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების (რომლითაც დადგენილად ჩაითვალა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი გ. ვ-ძის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე) ბათილად ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 აგვისტოს განჩინებით მ. ვ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

2007 წლის 14 აგვისტოს მ. ვ-ძემ მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა 2006 წლის 13 ოქტომბერს გარდაცვლილი ბიძის -ნ. ვ-ძის სამკვიდრო ქონებაზე, კერძოდ, ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა ამ უკანასკნელის 2005 წლის 8 დეკემბრის ანდერძის საფუძველზე. ნოტარიუსის 2007 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით მ. ვ-ძეს უარი ეთქვა ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. უარის თქმის მოტივად მიეთითა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელს არ წარუდგენია უძრავ ქონებაზე ნ. ვ-ძის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი -ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

მ. ვ-ძე 2007 წლის 11 ივნისს გ. ვ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის და მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნას აფუძნებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 აგვისტოს განჩინებაზე. დასახელებულმა განჩინებამ გააუქმა ამავე სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი გ. ვ-ძის მიერ მამის -მ. ვ-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ. რამდენადაც 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება გ. ვ-ძეზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველს წარმოადგენდა, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მისი ბათილად ცნობა სადავო სამკვიდრო მოწმობის და, შესაბამისად, მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებას იწვევდა.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას ბათუმში, ... ქ. #22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14-ის, როგორც თავისი ბიძის -ნ. ვ-ძის, სამკვიდრო ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ, იგი ეფუძნებოდა ნ. ვ-ძის მიერ 2005 წლის 8 დეკემბერს შედგენილ ანდერძს, რომლითაც ამ უკანასკნელმა ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლი სწორედ მას უანდერძა.

მოსარჩელის მოსაზრებით, მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დრო 1941 წლის სექტემბრიდან (მ. ვ-ძის გარდაცვალების დრო) და არა 2007 წლის 7 მარტიდან (მ. ვ-ძის გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე) უნდა ათვლილიყო. მოანდერძე ნ. ვ-ძეს მამის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა, რასაც საბინაო წიგნის ჩანაწერები ადასტურებდა. ამდენად, მან მოსარჩელეს უანდერძა ის ქონება, რომელიც სიცოცხლეში მიღებული ჰქონდა კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით, რის შესაბამისადაც აღნიშნული ქონება მოანდერძის სამკვიდრო მასაში შედიოდა.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებმა (დ. ჯ-ძე, ნ. თ-ძე, მ. და ზ. ვ-ძეები) მიიჩნიეს, რომ ნ. ვ-ძეს გარდაცვალებამდე მამის -მ. ვ-ძის სამკვიდრო არ მიუღია, რამდენადაც სამკვიდროს გახსნის დღედ უნდა მიჩნეულიყო მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე -2007 წლის 7 მარტი, რა დროსაც ნ. ვ-ძე გარდაცვლილი იყო (იგი გარდაიცვალა 2006 წლის ოქტომბერში). აღნიშნულის გათვალისწინებით, ისინი მიიჩნევდნენ, რომ მ. ვ-ძის ქონება ნ. ვ-ძის სამკვიდრო მასაში ვერ შევიდოდა, რაც მ. ვ-ძეზე ქ. ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლის გადაცემის ნაწილში ანდერძის ბათილად ცნობას განაპირობებდა.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები მათი სარჩელის მოთხოვნებს იმით ასაბუთებდნენ, რომ მ. და გ. ვ-ძეების მსგავსად ისინიც მ. ვ-ძის კანონისმიერ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ნოტარიუს ნ. ს-ძის მიერ 2007 წლის 11 ივნისს გ. ვ-ძის სახელზე ბათუმში, ... ქ.#22-ზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა და მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი; ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლთმფლობელობის მემკვიდრედ

და მესაკუთრედ ცნობილ იქნა მ. ვ-მე; გ. ვ-მის შეგებებული სარჩელი, ასევე, მესამე პირების - დ. ჯ-მის, ნ. თ-მის, ზ. და მ. ვ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ვ-მის სამკვიდროს გახსნის დროის ათვლა უნდა დაწყებულიყო მისი გარდაცვალების დღედ აღიარებული დროიდან -1941 წლის სექტემბრიდან და არა გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან -2007 წლის 7 მარტიდან. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 1320-ე და 22-ე მუხლებიდან, რომელთა მიხედვით, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გავლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან. ასეთ შემთხვევაში პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. სასამართლოს შეუძლია პირის გარდაცვალების დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე. კონკრეტულ შემთხვევაში მ. ვ-მის გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავდა მითითებას ამ უკანასკნელის სავარაუდო დაღუპვის დროის შესახებ, რომელიც სადავოდ არავის გაუხდია. იმავე პერიოდზე მიუთითებდა საქმეში წარმოდგენილი მ. ვ-მის გარდაცვალების მოწმობაც. იგივეს ადასტურებდა თავად გ. ვ-მე, როდესაც სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტისა და მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენის შესახებ მის განცხადებებს იხილავდა. ყოველივე ზემოაღნიშნული, სასამართლოს მოსაზრებით, საკმარის საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ მ. ვ-მის სამკვიდროს გახსნის დროის ათვლა სწორედ 1941 წლის სექტემბრიდან დაწყებულიყო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მას შემდგომ, რაც მ. ვ-მის განცხადების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება გ. ვ-მის მიერ მამის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დადგენის შესახებ და სამკვიდროს მიღების თაობაზე იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ გ. ვ-მის განცხადება დარჩა განუხილველი, ამ უკანასკნელს განემარტა სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა. მართალია, გ. ვ-მემ მ. ვ-მის სარჩელზე შეგებებული სარჩელი წარადგინა, მაგრამ მისი მოთხოვნა არ ყოფილა მ. ვ-მის მემკვიდრედ ცნობა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება გ. ვ-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმების საკმარის საფუძველს წარმოადგენდა, რამდენადაც დასახელებულმა გადაწყვეტილებამ გააუქმა სამკვიდრო მოწმობის საფუძველი -ამავე სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი გ. ვ-მის მიერ მამის -მ. ვ-მის დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების -სადავო პერიოდში მოქმედი საბინაო წიგნის ჩანაწერების, თავად მოპასუხისა და მესამე პირების განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ვ-მემ სრულწლოვანების მიღწევისთანავე ფაქტობრივი ფლობის შედეგად მიიღო მამის მემკვიდრეობა, კერძოდ, ბათუმში, ... ქ. #22-ში მდებარე სადავო სახლთმფლობელობა. მესამე პირების მიერ მ. ვ-მის სამკვიდროს მიღების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა. რაც შეეხებოდა გ. ვ-მის მიერ სამკვიდროს მიღებას, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: თავად გ. ვ-მის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენას. დასახელებული განცხადების მეორე გვერდზე გ. ვ-მე მიუთითებდა, რომ 1978 წლიდან ცხოვრობდა ბათუმში, ... ქ.#22-ში; 2007 წლის 23 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე გ. ვ-მის განმარტებას, რომ მისი ძმის -ნ. ვ-მის მსგავსად 1961 წლიდან წლიდან ფაქტობრივად ფლობდა მამის ქონებას. საქალაქო სასამართლოს მითითებით, გ. ვ-მის მიერ მამის სამკვიდროს მიღება 1961 წლიდანაც რომ დადგენილიყო, აღნიშნული სამკვიდროს ექვსთვიან ვადაში დაუფლებად ვერ ჩაითვლებოდა, რამდენადაც მოცემული დროისათვის გ. ვ-მე ცხრამეტი-ოცი წლის იყო, რაც თავისთავად ასაბუთებდა, რომ თვრამეტი წლის შესრულებიდან ექვსთვიან ვადაში იგი არ დაუფლებია მამის სამკვიდროს.

იმის გათვალისწინებით, რომ დადგენილად ჩაითვალა მ. ვ-მის სამკვიდრო ქონების ნ. ვ-მის მიერ მიღების ფაქტი, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქონება ამ უკანასკნელის სამკვიდრო მასაში უნდა შესულიყო. აღნიშნული თავისთავად გამორიცხავდა გ. ვ-მისა და მესამე პირების მოთხოვნის -ნ. ვ-მის ანდერძის ბათილობის -დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქმეზე დგინდებოდა, რომ ნ. ვ-მე გარდაიცვალა 2006 წლის ოქტომბერში. ამ უკანასკნელის ანდერძის თანახმად სადავო ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილ იქნა მ. ვ-მე, რომელიც იყო ნ. ვ-მის

თანმყოფი მემკვიდრე (ნ. ვ-ძის გარდაცვალებამდე და მის შემდეგ მოანდერძის ნების შესაბამისად ოჯახით ცხოვრობდა მოანდერძის მფლობელობაში არსებულ სახლში - ბათუმში, ... ქ.#22-ში).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია როგორც სადავო ქონების ნ. ვ-ძის სამკვიდრო მასაში არსებობის, ასევე მ. ვ-ძის მიერ მითითებული ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი, რის შესაბამისადაც სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ვ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დროდ 1941 წლის სექტემბრის მიჩნევის თაობაზე, რამდენადაც აღნიშნული სამოქალაქო კოდექსის 22-ე და 1320-ე მუხლებიდან არ გამომდინარეობდა. დასახელებულ ნორმებში გარდაცვალების დღე გულისხმობდა წელს, თვესა და რიცხვს, ხოლო ერთ-ერთი მონაცემის არარსებობისას გარდაცვალების დღე დადგენილად ვერ ჩაითვლებოდა. პირის გარდაცვალების დღის კონკრეტული თარიღის დაუდგენლობა სწორედ იმ გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა, როდესაც კანონმდებელი გარდაცვალების დღედ პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღეზე მიუთითებდა. ზემომითითებული ნორმების შინაარსი სრულიად ცხადყოფდა იმ გარემოებას, რომ პირის გარდაცვალების დროის დადგენისას არსებითი იყო გარდაცვალების სავარაუდო დღის და არა დროის სხვა მონაკვეთის (წელიწადის, თვის) განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის გარდაცვალების დროდ დადგინდა 1941 წლის სექტემბერი, თუმცა, ბუნებრივია, რომ წელიწადი და თვე გარდაცვალების კონკრეტულ დღედ ვერ ჩაითვლებოდა. შესაბამისად, მ. ვ-ძის გარდაცვალების დღედ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე უნდა მიჩნეულიყო.

აპელანტის მოსაზრებით, თუკი საქალაქო სასამართლო მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დროს ათვლას 2007 წლის 7 მარტიდან (მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე) დაიწყებდა, იგი სწორ დასკვნამდე მივიდოდა. 2006 წლის ოქტომბერში გარდაცვლილი ნ. ვ-ძე მოსარჩელეს მამის სამკვიდრო ქონებას (ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სადავო საცხოვრებელ სახლს) ვერ გადასცემდა იმ მიზეზით, რომ აღნიშნული დროისათვის მ. ვ-ძის სამკვიდრო გახსნილი არ იყო. შესაბამისად, ნ. ვ-ძის მიერ ზემომითითებული ქონების ანდერძით მ. ვ-ძისათვის გადაცემა სამართლებრივ შედეგს ვერ გამოიწვევდა.

აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ მ. ვ-ძეს, როგორც ნ. ვ-ძის ანდერძისმიერ მემკვიდრეს, საკუთრების უფლებით დაუკანონდა ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლთმფლობელობა, მაშინ როცა მ. ვ-ძეს ამ სახლთმფლობელობის მხოლოდ 6/14 ეკუთვნოდა.

აპელანტის მოსაზრებით, მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დღედ 1941 წლის მიჩნევის შემთხვევაშიც სამკვიდრო მიღებულად უნდა ჩათვლილიყო როგორც ნ. ვ-ძის, ისე მამკვიდრებლის დანარჩენი შვილების მიერ. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობდა იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ 1941 წლის მდგომარეობით მ. ვ-ძის სამკვიდროს შეადგენდა როგორც ბათუმში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ისე ხელვაჩაურში არსებული კომლის ქონება. პირველი ინტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელვაჩაურში არსებულ კომლში საცხოვრებლად დარჩა ზ. ვ-ძე, კომლიდან დაქორწინდნენ მ. ვ-ძის ქალიშვილები, ხოლო ნ. ვ-ძე საცხოვრებლად ბათუმში მდებარე სადავო სახლში გადავიდა. აღნიშნული ვითარება ასაბუთებდა მოპასუხისა და მესამე პირების მიერ მ. ვ-ძის სამკვიდროს მიღების ფაქტს.

აპელანტმა არასწორად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ გ. ვ-ძეს სამკვიდროს მიღების შესახებ სარჩელი არ აღუძრავს. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 11 ივნისის კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრში გ. ვ-ძე სადავო სახლთმფლობელობის მესაკუთრედ დარეგისტრირდა, ამ დროისათვის ძალაში იყო. ამასთან, სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებას, რომლითაც დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი გ. ვ-ძის მიერ მ. ვ-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ, ავტომატურად არ გამოუწვევია ამ უკანასკნელის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება.

გ. ვ-ძე ასევე მიუთითებდა, რომ მას, როგორც მ. ვ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეს, მამის დანაშთი ქონება ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა. ამასთან, აპელანტს თავისი ძმისშვილის - მ. ვ-ძისათვის ხელი არ შეუშლია, ეცხოვრა მ. ვ-ძის (ბაბუის) კუთვნილ სახლში, თუმცა იმ დროისათვის ვერ წარმოიდგენდა, რომ ნ. ვ-ძე მოსარჩელეს მამკვიდრებლის მთელ ქონებას უანდერძებდა, რითაც სხვა მემკვიდრეები სამკვიდროს გარეშე დარჩებოდნენ.

საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით –დ. ჯ-ძემ, ნ. თ-ძემ, ზ. და მ. ვ-ძე-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტებმა არასწორად მიიჩნიეს საქალაქო სასამართლოს დასკვნა მათ მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვებასთან მიმართებაში და აღნიშნულთან დაკავშირებით იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მიუთითეს, რომ მ. ვ-ძე მეუღლესთან და შვილებთან ცხოვრობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში, სადაც ასევე გააჩნდა საცხოვრებელი სახლი. 1941 წლის სექტემბერში მ. ვ-ძე გაიწვიეს სამამულო ომში, საიდანაც არ დაბრუნებულა. მისი გარდაცვალების შესახებ რაიმე შეტყობინება ოჯახს არ მიუღია. შესაბამისად, მ. ვ-ძის სახელზე რიცხულ მთელ ქონებას, როგორც ბათუმში, ასევე ხელვაჩაურში მდებარე საცხოვრებელ ბინებს დაეუფლენ მისი ოჯახის წევრები –მეუღლე და შვილები.

აპელანტებმა ასევე არ გაიზიარეს საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დროის ათვლა უნდა დაწყებულიყო მისი გარდაცვალების დროიდან –1941 წლის სექტემბრიდან და არა გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან –2007 წლის 7 მარტიდან. ისინი აღნიშნულ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით არ დადგენილა მ. ვ-ძის გარდაცვალების კონკრეტული დღე, რასთან დაკავშირებითაც მიუთითებდნენ სამოქალაქო კოდექსის 22-ე, 1320-ე მუხლებზე.

აპელანტთა მოსაზრებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა დასკვნის საფუძველს, რომ ნ. ვ-ძე გარდაცვალებამდე მ. ვ-ძის სამკვიდროს არ დაუფლებია, რამდენადაც იგი 2006 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა, ხოლო მ. ვ-ძის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო 2007 წლის 7 მარტიდან (მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე) გაიხსნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. ვ-ძის მიერ შედგენილი ანდერძი ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ვ-ძის, ზ. ვ-ძის, მ. ვ-ძის, დ. ჯ-ძისა და ნ. თ-ძის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ვ-ძის სარჩელი, გ. ვ-ძის შეგებულ სარჩელი, ზ. ვ-ძის, მ. ვ-ძის, დ. ჯ-ძისა და ნ. თ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა აღიარებული 2007 წლის 11 ივნისის გ. ვ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა და მის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლზე გ. ვ-ძის საკუთრების შესახებ; ნაწილობრივ ბათილად იქნა აღიარებული ნ. ვ-ძის ანდერძი მ. ვ-ძისათვის ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლის მემკვიდრეობით გადაცემის ნაწილში; გ. ვ-ძე, ზ. ვ-ძე, მ. ვ-ძე, დ. ჯ-ძე, ნ. თ-ძე და მ. ვ-ძე აღიარებულ იქნენ ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლის 6/14 ნაწილის 1/6-ის მესაკუთრეებად (თითოეული), დადგინდა საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14 ნაწილი 1936 წლის 21 დეკემბრის შემდეგ წარმოადგენდა მ. ვ-ძის საკუთრებას.

მ. ვ-ძეს ასევე ეკუთვნოდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში მდებარე საცხოვრებელი სახლი, სადაც იგი ცხოვრობდა მეუღლესთან –მ. ვ-ძესთან და შვილებთან ერთად.

1941 წელს მ. ვ-ძე გაწვეულ იქნა მეორე მსფლიო ომში, საიდანაც არ დაბრუნებულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ მ. ვ-ძე გარდაიცვალა 1941 წლის სექტემბერში.

მ. ვ-ძის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ: მეუღლე –მ. ვ-ძე და შვილები: ნ. ვ-ძე (დაქორწინების შემდგომ –თ-ძე), დ. ვ-ძე (დაქორწინების შემდგომ –ჯ-ძე), მ. ვ-ძე, ნ. ვ-ძე, ზ. ვ-ძე და გ. ვ-ძე.

მ. ვ-ძეს გარდაცვალების შემდეგ დარჩა შემდეგი მემკვიდრეები: ნ. ვ-ძე (დაქორწინების შემდგომ –თ-ძე), დ. ვ-ძე (დაქორწინების შემდგომ –ჯ-ძე), მ. ვ-ძე, ნ. ვ-ძე, ზ. ვ-ძე და გ. ვ-ძე.

2006 წლის 13 ოქტომბერს გარდაიცვალა ნ. ვ-ძე, რომელმაც თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა მ. ვ-ძეს.

სააპელაციო სასამართლომ მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დროის დასადგენად მნიშვნელოვნად მიიჩნია იმის გარკვევა, თუ რა სამართლებრივი საშუალებით მოხდა სასამართლოს მიერ მისი გარდაცვალების დღის განსაზღვრა. აღნიშნული საგულისხმო იყო იმ თვალსაზრისით, რომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა პირის გარდაცვალების თარიღის შესახებ და პირის გარდაცვლილად გამოცხადება სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს წარმოშობდა. უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას სასამართლო ადასტურებდა უკვე არსებულ ფაქტს, ე.ი. სასამართლო ადგენდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ფაქტი ბუნებაში უკვე არსებობდა. გარდაცვლილად გამოცხადებისას კი სასამართლო არ ადასტურებდა პირის გარდაცვალებას. ასეთ დროს, სამოქალაქო-სამართლებრივი წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სასამართლო ვარაუდობდა პირის გარდაცვალებას და აცხადებდა მას სამართლებრივად და არა ფაქტობრივად გარდაცვლილად. სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელზეც აპელანტები აპელირებდნენ, მიუთითებდა, რომ პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნეოდა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. იმის გათვალისწინებით, რომ მ. ვ-ძის გარდაცვალების თარიღის შესახებ მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი დადგინდა და იგი გარდაცვლილად არ გამოცხადებულა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესი მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაშიც, სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, მისი გარდაცვალების თარიღად მაინც 1941 წლის სექტემბრის ბოლო დღე ჩათვლებოდა.

რამდენადაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ მ. ვ-ძე გარდაიცვალა 1941 წლის სექტემბერში, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლის შესაბამისად მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დღედ 1941 წლის 1 ოქტომბერი მიიჩნია.

საქმეზე დასტურდებოდა, რომ მ. ვ-ძის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეები ცხოვრობდნენ ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ანუ ისინი ფაქტობრივად დაეუფლნენ მ. ვ-ძის სამკვიდროს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე სამკვიდრო არ გახსნილა, რამდენადაც აღნიშნული სახლი კომლის საკუთრებას წარმოადგენდა.

მართალია, საქმეში არსებული საარქივო ცნობის თანახმად, მ. ვ-ძის ოჯახი აღრიცხული იყო საკომლო წიგნში, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი კომლის ქონებაზე სამკვიდროს გახსნას კომლის ბოლო წევრის გარდაცვალებას უკავშირებდა, მაგრამ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით დადგენილი მემკვიდრეობის წესი შეეხებოდა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის საფუძველზე შექმნილ კომლებს, რომელთა საკუთრებაშიც იყო ე.წ. საკომლო მეურნეობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 1941 წელს მ. ვ-ძის ოჯახი საკომლო მეურნეობის მესაკუთრე ვერ იქნებოდა, რადგან საკომლო მეურნეობის სამართლებრივი ცნება შემოღებულ იქნა 1996 წლის 22 მარტს. 1941 წელს მ. ვ-ძის ოჯახი შეიძლება ყოფილიყო საკომლო მეურნეო კომლი ან ე.წ. საბჭოთა მეურნეობაში შემავალი ოჯახი, თუმცა საარქივო ცნობიდან აღნიშნული არ ირკვეოდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, აპელანტებმა, ასევე ნ. ვ-ძემ ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, ანუ მ. ვ-ძის სამკვიდროს ნაწილის მიღებით მიიღეს მ. ვ-ძის სამკვიდრო მთლიანად და ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის მიხედვით გახდნენ მისი მესაკუთრეები. შესაბამისად, თითოეული აპელანტი ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლის 6/14-ის 1/6-ის მესაკუთრეს წარმოადგენდა. ამდენივე წილი ეკუთვნოდა ნ. ვ-ძესაც.

რამდენადაც ნ. ვ-ძის სამკვიდროში არ შედიოდა ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე მთელი საცხოვრებელი სახლი, იგი უფლებამოსილი იყო, ანდერძით განეკარგა მხოლოდ თავისი კუთვნილი წილი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქონების სრულად განკარგვის ნაწილში ანდერძი ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ვ-ძემ, დ. ჯ-ძემ, ნ. თ-ძემ, ზ. და მ. ვ-ძეებმა მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის ნაწილში, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, ახალი გადაწყვეტილებით ნ. ვ-ძის მიერ შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობა და ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე მ. ვ-ძის დანაშთ ქონებაზე (სახლთმფლობელობის 6/14) მემკვიდრეებად აღიარება.

კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 22-ე, 1320-ე მუხლების არასწორმა განმარტებამ, რასაც მოცემულ შემთხვევაში მოხდა, საქმის არასწორი გადაწყვეტა გამოიწვია. იმ პირობებში, როდესაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება მ. ვ-ძის გარდაცვალების კონკრეტულ დღეზე არ მიუთითებდა, სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარე, ასეთად სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე უნდა მიჩნეულიყო. დასახელებული ნორმის გამოუყენებლობა სააპელაციო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ სასამართლომ მ. ვ-ძე გარდაცვლილად კი არ გამოაცხადა, არამედ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი დაადგინა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა კასატორებმა არ გაიზიარეს და განმარტეს, რომ პირის გარდაცვლილად გამოცხადება სწორედ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის (უდავო წარმოება) გზით ხდება, ხოლო განხვავებულ წესს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

კასატორებმა ასევე არ გაიზიარეს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის განმარტება. ისინი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ნორმის გამოყენება იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში არ არის მითითებული კონკრეტული დრო (წელი, თვე და რიცხვი) და ვადა განსაზღვრულია მხოლოდ გარკვეული დროის მონაკვეთით, მაგალითად, დღეებით, კვირებით, თვეებითა და წლებით. მოცემულ შემთხვევაში კანონის სპეციალური ნორმა ცალსახად ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში პირის გარდაცვალების სავარაუდო დღის მიუთითებლობის შემთხვევაში გარდაცვალების დღედ ითვლება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

კასატორებმა კანონის არასწორ განმარტებას დაუკავშირეს სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ 2007 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძე გარდაცვლილადც რომ გამოცხადებულიყო, მისი გარდაცვალების დღედ, სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მაინც სექტემბრის ბოლო დღე ჩაითვლებოდა.

კასატორთა მითითებით, ნ. ვ-ძის მიერ შედგენილი ანდერძის ბათილობასთან მიმართებით მათი ძირითადი არგუმენტია ის, რომ ნ. ვ-ძის გარდაცვალების დროისათვის -2006 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით, არ არსებობდა მ. ვ-ძის გარდაცვალების მოწმობა, ან მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, მითითებული დროისათვის არ იყო დამდგარი იურიდიული ფაქტი, რასაც კანონი სამკვიდროს გახსნას უკავშირებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი ანდერძი მამის სამკვიდრო ქონების განკარგვის თაობაზე ნამდვილად ვერ ჩაითვლება. საგულისხმოა ისიც, რომ მოანდერძეს (ნ. ვ-ძე) სამკვიდრო ქონება თავის სახელზე აღრიცხული არ ჰქონია მამინ, როდესაც, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს სამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

კასატორებმა მიუთითეს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამკვიდრო ქონება უდავოდ სამკვიდრებლის კუთვნილებაში უნდა ყოფილიყო, რასაც ნ. ვ-ძის შემთხვევაში არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის, შეგებებული სარჩელისა და მესამე პირთა სარჩელის ნაწილობრივ დაუკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა მ. ვ-ძემ, რომელმაც მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაუკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელისა და მესამე პირთა სარჩელის დაუკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძვლებით:

საქმეში არსებული საკომლო წიგნის ჩანაწერებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში არსებული საცხოვრებელი სახლი მ. ვ-ძის საკუთრებას წარმოადგენდა. დასახელებული ჩანაწერებიდან საცხოვრებელი სახლის მ. ვ-ძის საკუთრებაში არსებობა არ დგინდებოდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მ. ვ-ძის მტკიცება იმის შესახებ, რომ მითითებული სახლი მ. ვ-ძის სამკვიდროში ვერ შევიდოდა და მასზე 1941 წელს მემკვიდრეობა ვერ გაიხსნებოდა. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება არც გ. ვ-ძეს და არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ.

მ. ვ-ძის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ნ. ვ-ძე ჯერ კიდევ სრულწლოვანების მიღწევამდე ცხოვრობდა მამის (მ. ვ-ძის) საკუთრებაში არსებულ, ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლში. აღნიშნულ გარემოებას თავად მოწინააღმდეგე

მხარეებიც ადასტურებდნენ, რის გამოც სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია ნ. ვ-ძის მიერ მამის სამკვიდროს ფაქტობრივი გზით დაუფლება.

მ. ვ-ძე მიუთითებს საკასაციო საჩივარზე თანდართულ საკომლო წიგნების ასლებზე, საიდანაც ირკვევა, რომ მ. ვ-ძე წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლის უფროსს 1940-1942 წლების საკომლო წიგნის მონაცემებით. შემდგომი წლების საკომლო წიგნებში იგი, როგორც კომლის წევრი, მოხსენიებული არ არის და კომლის უფროსად გვევლინება მისი მეუღლე -მ. ვ-ძე. კასატორის აზრით, ის გარემოება, რომ დღეისათვის საკოლმეურნეო კომლის ცნება არ არსებობს, არ ნიშნავს, რომ მოცემულ დავაზე სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი არ უნდა გავრცელდეს. ამასთან, აღნიშნული არც იმას გულისხმობს, რომ მ. ვ-ძე მიჩნეულ უნდა იქნეს 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მონაცემებით საკოლმეურნეო კომლის რაიმე ქონების მესაკუთრედ და ეს ქონება სამკვიდრო მასაში შევიდეს. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ისევე როგორც ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, კომლის ქონებაზე სამკვიდროს გახსნას კომლის ბოლო წევრის გარდაცვალებას უკავშირებს.

1986-2000 წლების საკომლო ჩანაწერებში მ. ვ-ძე 1994 წელს გარდაცვალების გამო გადახაზულია, ოჯახის უფროსად ამ დროიდან მიწერილია მ. ვ-ძე, ხოლო კომლის წევრებად -მ. ვ-ძე და ზ. ვ-ძე.

2008 წლის 15 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურმა მ. ვ-ძეს მიმართვის პასუხად აცნობა, რომ ყოფილი ტექნიუროსა და საჯარო რეესტრის მონაცემებით, ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე ქონებაზე მ. ვ-ძე მესაკუთრედ არ არის რეგისტრირებული.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საკასაციო სასამართლოსათვის წარმოდგენა განპირობებულია იმით, რომ სააპელაციო სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილებით საკოლმეურნეო კომლის წევრის ქონება მიიჩნია სამკვიდრო ქონებად მაშინ, როცა სხვა კომლის წევრები წლების განმავლობაში ირიცხებოდნენ ამ კომლში.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ გ. ვ-ძე შეგებებული სარჩელით მხოლოდ ანდერძის ბათილად ცნობას ითხოვდა, მას მოთხოვნა მ. ვ-ძის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ ჰქონია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არაუფლებამოსილი იყო გ. ვ-ძე სადავო სახლი (6/14) 1/6-ის მესაკუთრედ ეღიარებინა. სააპელაციო სასამართლომ ამით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, კერძოდ, მხარეს მიეკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ვ-ძის, ნ. თ-ძის, დ. ჯ-ძის, ზ. ვ-ძის, მ. ვ-ძის, მ. ვ-ძის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია:

მამკვიდრებელი მ. ვ-ძე ცხოვრობდა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში მეუღლესთან -მ. ვ-ძესთან და შვილებთან ერთად;

მ. ვ-ძეს 1936 წლიდან საკუთრებაში ჰქონდა ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14 ნაწილი;

1941 წელს მ. ვ-ძე გაწვეულ იქნა მეორე მსოფლიო ომში, საიდანაც არ დაბრუნებულა;

მ. ვ-ძეს დარჩა მეუღლე -მ. ვ-ძე და შვილები -ნ. ვ-ძე, დ. ვ-ძე, მ. ვ-ძე, ნ. ვ-ძე, ზ. ვ-ძე და გ. ვ-ძე;

მ. ვ-ძე გარდაიცვალა 1994 წელს;

2006 წლის 13 ოქტომბერს გარდაიცვალა ნ. ვ-ძე, რომელმაც მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ძმისშვილს -მ. ვ-ძეს;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ მ. ვ-ძე გარდაიცვალა 1941 წლის სექტემბერში;

2007 წლის 11 ივნისს გ. ვ-ძის სახელზე გაიცა კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/14 ნაწილზე და იგი ამ ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის შესაბამის ნაწილის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სწორად გამოიყენა მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა აღნიშნულზე თანხმობა განაცხადეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების -გ. ვ-ძის, ნ. თ-ძის, დ. ჯ-ძის, ზ. და მ. ვ-ძეების მსჯელობას, რომ მ. ვ-ძის სამკვიდროს გახსნის დროდ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე -2007 წლის 7 მარტი უნდა იქნეს მიჩნეული.

სამოქალაქო კანონმდებლობა სამკვიდროს გახსნას უკავშირებს ისეთი იურიდიული ფაქტების დადგომას, როგორცაა მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება. სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. მოცემულ შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განხილვის საგანს წარმოადგენდა არა მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადება, არამედ მისი გარდაცვალების თარიღის დადგენა და ასეთად 1941 წლის სექტემბერი იქნა მიჩნეული. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის საფუძველს არ წარმოადგენს პირის გარდაცვლილად გამოცხადება. ის გარემოება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის 1941 წლის სექტემბრის კონკრეტული რიცხვი, როდესაც მ. ვ-ძე გარდაიცვალა, ვერ იქონიებს გავლენას საქმის შედეგზე, რამდენად მოცემულ შემთხვევაში ასეთი კონკრეტული თარიღის არსებობა სამკვიდროს გახსნასთან მიმართებით საქმისთვის მნიშვნელოვანი არ არის. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაშიც, სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სამკვიდროს გახსნის დროდ მაინც 1941 წლის სექტემბერი ჩაითვლებოდა, რამდენადაც კანონის მითითებული ნორმა უშვებს გამოწვევის და საომარი მოქმედებების გამო დაღუპვისას სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, პირის გარდაცვალების დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

მოცემულ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტა ასევე უკავშირდება სამკვიდროს გახსნის დროისათვის გ. ვ-ძის, ნ. თ-ძის, დ. ჯ-ძის, ზ. და მ. ვ-ძეების მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენას, რასაც სადავოდ ხდის კასატორი მ. ვ-ძე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ ხელვაჩაურის რაიონის ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის საარქივო ფონდში დაცულ საკომლო წიგნის ჩანაწერებს, რომლის მიხედვითაც 1940-1944 წლებში ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში არსებულ მ. ვ-ძის კომლში ირიცხებოდნენ: მეუღლე -მ. ვ-ძე და შვილები: ნ. ვ-ძე, დ. ვ-ძე, მ. ვ-ძე, ნ. ვ-ძე, ზ. ვ-ძე და გ. ვ-ძე. ამდენად, მ. ვ-ძის გარდაცვალების დროისათვის, 1941 წლის სექტემბრის მდგომარეობით, კასატორები -გ. ვ-ძე, ნ. თ-ძე, დ. ჯ-ძე, ზ. და მ. ვ-ძეები ირიცხებოდნენ ...-ში არსებულ, მ. ვ-ძის კომლში. სადავო ქონება -ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 6/14 წარმოადგენდა კომლის გარეთ არსებული მ. ვ-ძის საკუთრებას. სადავო არ არის, რომ მ. ვ-ძის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი კვლავ განაგრძობდა ცხოვრებას ...-ში, მის კომლსა და დაუფლებული იყო მ. ვ-ძის წილსაც კომლში. ამასთან, საყურადღებოა, რომ საქმეზე სადავო არა კომლში მემკვიდრეობის გახსნა და, შესაბამისად, გამოირიცხება სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის გამოყენება, არამედ, სადავო კომლის გარეთ არსებულ ქონებაზე მემკვიდრეობა. ასევე სადავო არ არის, რომ ბათუმში მდებარე სახლი მ. ვ-ძის დაღუპვის შემდეგ დარჩა მისი ოჯახის არაპირდაპირ მფლობელობაში, ხოლო გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ ამ სახლში გადავიდნენ მისი შვილები. კასატორ მ. ვ-ძეს არ წარმოუდგენია რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ ბათუმის სახლი მ. ვ-ძის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის არაპირდაპირ მფლობელობაში არ დარჩენილა და ამის თაობაზე არც დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს არ აქვს საფუძველი, გამოირიცხოს სადავო სამკვიდრო ქონების მიმართ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება, რომლის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. ვ-ძემ მამის სამკვიდრო ქონება -ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 6/14 ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო არა მთლიანად, არამედ მხოლოდ თავისი სამკვიდრო წილის ფარგლებში. შესაბამისად, მის მიერ აღნიშნული საცხოვრებელი სახლის სრულად (დანარჩენ მემკვიდრეთა წილის გათვალისწინებით) განკარგვა, კერძოდ, ანდერძით მ. ვ-ძისათვის გადაცემა, არამართლზომიერია. ასევე არამართლზომიერია სამკვიდრო მოწმობით ქ. ბათუმში, ... ქ.#22-ში მდებარე სახლის გ. ვ-ძისათვის სრულად მიკუთვნება, ვინაიდან ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ნ. ვ-ძე, წარმოადგენდა არა მთელი ქონების, არამედ მხოლოდ შესაბამისი სამკვიდრო წილის მესაკუთრეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ მ. ვ-ძის მსჯელობას, რომ გ. ვ-ძის ნაწილში სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და მიაკუთვნა სადავო ქონების 1/6, მაშინ, როდესაც მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ მას სარჩელი არ ჰქონია. გ. ვ-ძის შეგებებული სარჩელი მოთხოვნას წარმოადგენდა ნ. ვ-ძის ანდერძის ბათილად ცნობა, იგი ვერ აღძრავდა მიკუთვნებით სარჩელს, რამდენადაც სადავო ქონება ისედაც მის საკუთრებაში ირიცხებოდა როგორც მემკვიდრეობით მიღებული და ამ მიმართებით სადავო არაფერი ჰქონდა. ის, რომ გ. ვ-ძე ითხოვდა ნ. ვ-ძის ანდერძის ბათილად ცნობას, თავისთავად ნიშნავს, რომ ამით იგი ითხოვდა სადავო ქონების მის საკუთრებაში შენარჩუნებას, სააპელაციო სასამართლომ კი მას დაუტოვა მხოლოდ ამ ქონების 1/6-ზე საკუთრების უფლება, ხოლო ქონების დანარჩენი ნაწილის თანამესაკუთრებად სხვა მხარეები ცნო, რაც არ წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლების გადაცილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე სწორად არის გადაწყვეტილი და არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გ. ვ-ძის, ნ. თ-ძის, დ. ჯ-ძის, ზ. ვ-ძის, მ. ვ-ძის, მ. ვ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

ას-991-1191-08

30 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

როზა ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების მიღებულად ცნობა და უძრავი ქონების ნაწილის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-ძე-ჩ-ძემ და ა. მ-უამ შეიტანეს სარჩელი და აღნიშნეს, რომ ი. ჩ-ძე გარდაიცვალა 1951 წელს. მას დარჩა სამი ვაჟი - დ., ა. და ი., ასევე, ქალიშვილი ო., რომლებიც გარდაიცვალნენ სხვადასხვა დროს. თავის მხრივ დ. დარჩა ერთი ქალიშვილი ნ. და მეუღლე ნ. ა-ძე-ჩ-ძე. ა. ჩ-ძეს დარჩა შვილი ზ., ი. ჩ-ძეს - ლ. და მ., ო. ჩ-ძეს ვაჟები - ა. და ა. მეღუბები.

ი. ჩ-ძის დანატოვარი ქონების ფლობას მისი სიკვდილის შემდეგ შეუდგა მისი ვაჟიშვილი დ., რომელიც იყო თანმყოფი მემკვიდრე შვილითა და მეუღლით. სამკვიდრო ქონებიდან გარკვეული ნივთების მიღებით სამკვიდრო მიიღო ქალიშვილმა ო., ნაწილობრივ შეხება ჰქონდა ამ ქონებასთან ივანეს.

დღეისათვის სამკვიდროს 1/4 მიღებული აქვს ლ. ჩ-ძეს, რაც შეეხება ა. მ-უას და ნ. ა-ძეს, მათ მიერ წარდგენილი მასალები ნოტარიუსმა არ ცნო საკმარისად და დადგენილებით უარი თქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ვადის გაშვების გამო.

ზ. ჩ-ძეს არც ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით და არც ფაქტიური დაუფლებით სამკვიდრო მიღებული არა აქვს. ნ. ჩ-ძე 1951 წლიდან ფაქტობრივად ფლობს სამკვიდროს, ხოლო საოჯახო ნივთების სახით სამკვიდროს ნაწილი მიღებული აქვს ა. მ-უას. მოსარჩელეებმა ნ. ა-ძე-ჩ-ძემ და ა. მ-უამ მოითხოვეს, დადგენილ იქნეს, ი. ჩ-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობით მიღებულად აღიარება და ბათუმში, ... ქ-ის #59-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-დან ზ. ჩ-ძის მიუღებელი წილის 2/3-ის მიკუთვნება.

ზ. ჩ-მემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ის არის ი. ჩ-მის ქონების მემკვიდრე და მას ამ ქონებიდან ეკუთვნის სამკვიდრო ქონების 1/3, რადგან ის არის ი. ჩ-მის შვილიშვილი. მისი მამა ა. ჩ-მე არ არის ცოცხალი და მისი წილი ერგება მას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გააჩივრა ზ. ჩ-მემ

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. ჩ-მის სააპელაციო საჩივარი. უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ბათუმში, ... ქ. #59-ში მდებარე უძრავი ქონება ირიცხება ი. ჩ-მის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1951 წელს.

ი. ჩ-მეს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე - შვილები: დავითი, ა., ი. და ო. დ. ჩ-მე გარდაიცვალა 1999 წელს. ო. ჩ-მე-მ-უა გარდაიცვალა 1980 წელს. ასევე გარდაცვლილი არიან ა. და ი. ჩ-მეები.

დ. ჩ-მეს დარჩა ქალიშვილი ნ. და მეუღლე ნ. ა-მე-ჩ-მე. ა. ჩ-მეს დარჩა შვილი ზ. ჩ-მე, ი. ჩ-მეს დარჩა ორი შვილი - ლ. და მ. ო. ჩ-მეს დარჩა შვილები: ა. და ა. მ-უა.

1951 წელს ი. ჩ-მის გარდაცვალების დროს მისი მემკვიდრეები იყვნენ შვილები დ., ა., ი. და ო. აღნიშნული პირები ფაქტობრივად დაეუფლნენ სამკვიდრო მასას, თუმცა სამკვიდრო მოწმობა არ აუღიათ.

პალატამ მიიჩნია, რომ ზ. ჩ-მე სადავო ბინაში არ ცხოვრობს 1970 წლიდან. შესაბამისად, ფაქტობრივად არ დაუფლებია სადავო ქონებას. ასევე, არ მიუმართავს სანოტარო ბიუროსათვის.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ა. ჩ-მის სამკვიდრო წილი ეკუთვნის ამ უკანასკნელის დისწულს, ანუ ო. ჩ-მის შვილს - ა. მ-უას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ჩ-მემ.

კასატორის განმარტებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, იგი არის ა. ჩ-მის პირველი რიგის მემკვიდრე. ამით გამოირიცხება ა. მ-უასა და ნ. ა-მე-ჩ-მის მემკვიდრეობა, როგორც მეორე რიგის მემკვიდრეების და, შესაბამისად, მისი წილი ქონების მათზე გადანაწილება.

კასატორის აზრით, ნ. ა-მე-ჩ-მე ვერ იქნებოდა ა. ჩ-მის მეორე რიგის მემკვიდრე, რადგან ის არის მისი ძმის ცოლი და არა დისწული ან ძმისწული, რომელთაც კანონი განსაზღვრავს იმპერატიულად როგორც მეორე რიგის მემკვიდრეებს. გარდა ამისა, იგი უკვე 1970 წლიდან აღარ ცხოვრობს ბაზუამისის სახლში. მკასატორის განმარტებით, მან მემკვიდრეობის მიღების სურვილი ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როცა 1997 წელს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა იმ სანოტარო აქტის ბათილობა, რომლითაც მისმა ბიცილამ ა. ჩ-მემ სხვა მემკვიდრეების არსებობა დაუმალა ნოტარიუსს და მთელი ქონება მან მიიღო. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული სანოტარო აქტი ბათილად იქნა ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ. ჩ-მე ფაქტიურად არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და იგი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს წილი ი. ჩ-მის სამკვიდრო ქონებიდან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და არც მითითებულ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებიდან.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ზ. ჩ-მის მამამ - ა. ჩ-მემ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო სადავო ქონება. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ანუ ი. ჩ-მის სამკვიდრო აღნიშნული ნორმის საფუძველზე გახდა ა. ჩ-მის საკუთრება. იმისათვის, რომ ზემოთ მითითებულ ქონებაზე მოთხოვნა წარმოეშვა ზ. ჩ-მეს, აუცილებელი არ არის, მან მიიღოს ბათუმში მდებარე საცხოვრებელი ბინა. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან

მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოსათვის აღნიშნული საკითხის გასარკვევად ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო არა ის გარემოება, დაეუფლა თუ არა ზ. ჩ-მე ბათუმში მდებარე უძრავ ქონებას, არამედ ის გარემოება, მიიღო თუ არა მან მამის -ა. ჩ-მის ქონების რაიმე ნაწილი. ასეთის მიღების შემთხვევაში ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე მიღებულად ჩაითვლება ა. ჩ-მის მთელი ქონება, მათ შორის, სადავო ქონებაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული საკითხი არასრულადაა სასამართლოს მიერ დასაბუთებული. ასევე შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე, მათ შორის ა. მ-უას მემკვიდრეობის მიღების ფაქტზე, რასაც სადავოდ ხდოდა აპელანტი სააპელაციო სასამართლოში, დღეისათვის კი კასატორი.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ი. ჩ-მის იმ მემკვიდრეთა წრე, რომელთაც მიიღეს სამკვიდრო ქონება. მათ შორის მიიღეს თუ არა სამკვიდრო ქონება ზ. ჩ-მემ, ა. მ-უამ და სხვა მემკვიდრეებმა. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, განიხილოს სააპელაციო საჩივარში მითითებული ყველა არგუმენტი და პასუხი გაეცეს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და
დ ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. ჩ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატის სხვა შემადგენლობას.

სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების წარმოშობა სამკვიდროზე

განჩინება

#ას-233-494-08 17 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 13 დეკემბერს ნ. ო-იმ სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. დ-მისა და ნოტარიუს თ. ჩ-ას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა 2006 წლის 6 აგვისტოსა და 2006 წლის 9 აგვისტოს გ. დ-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობა, ქონების ნაწილის თავის სახელზე აღრიცხვა და საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანა.

მოსარჩელის განმარტებით, თავისი მეუღლე -ო. ო-ლი გარდაიცვალა 2006 წლის 21 იანვარს, რომლის წილ ქონებაზეც გაიხსნა სამკვიდრო. მეუღლეებს თანასაკუთრებაში გააჩნდათ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი საერთო -97,6 კვ.-ით და ავტომანქანა "ვაზ-2107". მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მან გააგრძელა მთლიანი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა, მართავდა და განაგებდა მას. 2006 წლის 14 ნოემბერს შეიტყო, რომ მისი ქალიშვილის -გ. დ-მის სახელზე ნოტარიუსმა თ. ჩ-ამ გასცა სამკვიდრო მოწმობა და მას, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, საკუთრების უფლებით გადაეცა მთლიანი სამკვიდრო. მიუხედავად იმისა, რომ მოწმობის გაცემის დროს მოსარჩელე წარმოადგენდა გარდაცვლილი ო. ო-ლის მეუღლეს, სადავო ქონება

მეუღლეთა თანაცხოვრების დროს იყო შეძენილი და ამასთან, მოსარჩელეს უარი არ უთქვამს საკვიდრო ქონების მიღებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მთლიან სამკვიდრო ქონებაზე გ. დ-მის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა უკანონო იყო, რითაც შეილახა მისი კანონიერი უფლებები.

მოპასუხე გ. დ-მის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ არ იყო დადასტურებული, ნ. ო-ლის მიერ ფაქტობრივი ფლობის გზით სამკვიდროს მიღება, შედავება სამკვიდროს მიღებაზე არ მოხდა ორთვიან ვადაში და ამასთან აღნიშნა, რომ გ. დ-მეს მემკვიდრეობით მიღებული ქონება უკვე გასხვისებული ჰქონდა ზ. წ-ანზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ო-ლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონში ნოტარიუს თ. ჩ-ას მიერ მოპასუხე გ. დ-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობები, რომლებიც რეგისტრირებულია 08.06.2006 წ. ნომრით #2-233 და 06.08.06წ. ნომრით #2-264 და რომლებითაც გ. დ-მემ გაიფორმა მემკვიდრეობა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში მდებარე 0,25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ 97,6 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე, ასევე, "ვაზ-2107" მარკის ავტომანქანაზე.

მოსარჩელე ნ. ო-ლის სასარჩელო მოთხოვნაზე საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანისა და ქონების ნაწილის თავის სახელზე აღრიცხვაზე უარი ეთქვა.

სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ო-ლსა და აწ გარდაცვლილ ო. ო-ლს საერთო საკუთრებაი გააჩნდათ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისში მდებარე 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი საერთო -97,6 კვ.მ-ით და ავტომანქანა "ვაზ-2107".

ო. ო-ლი გარდაიცვალა 2006 წლის 21 იანვარს ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ...-ში.

ნ. ო-ლი არის აწ გარდაცვლილი ო. ო-ლის მეუღლე, რომელიც მეუღლის გარდაცვალების დღიდან აგრძელებს საერთო საკუთრების ფლობას, განაგებს და მართავს მას.

ო. ო-ლის გარდაცვალების შემდეგ გ. დ-მემ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება მემკვიდრეობით გაიფორმა თავის სახელზე.

აღნიშნული სამკვიდროს მისაღებად გ. დ-მემ ნოტარიუსს მიმართა 2006 წლის 6 აგვისტოს, ანუ სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1424-ე და 1426-ე მუხლები და მიუთითა, რომ სამკვიდროს მიღების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ნოტარიუსი არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მემკვიდრის განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ და გაცემა სამკვიდრო მოწმობა.

რაც შეეხება მოთხოვნას საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის ნაწილში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საკუთრების რეგისტრაცია უნდა მოხდეს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე გ. დ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. დ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ. ო-ის სარჩელი, გ. დ-მის სახელზე ხელვაჩაურის რაიონის ნოტარიუსის თ. ჩ-ას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გარდაცვლილი ო. ო-ლის სამკვიდრო ქონებაზე მოწმობა მიიღო მისმა შვილმა -გ. დ-მემ;

სამკვიდრო მოწმობით მიღებული სამკვიდრო ქონება აღარ წარმოადგენდა სამკვიდრო მოწმობის მფლობელის -გ. დ-მის საკუთრებას და იგი გასხვისებული იყო მესამე პირზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ნ. ო-ლის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია სარჩელის მიკუთვნებით ნაწილში, ანუ იმ ნაწილში, რომლითაც იგი მოითხოვდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებსა და ავტომანქანის რეგისტრაციის თაობაზე მონაცემებში სათანადო ცვლილებების შეტანას და სადავო ქონების თავის სახელზე აღრიცხვას, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო სადავო ქონება გასხვისებულია მესამე პირზე, შესაბამისად, სარჩელის აღიარებითი ნაწილიც უსაფუძვლო იყო, რის გამოც, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სამკვიდრო მოწმობების ბათილობის ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ო-იმ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ გ. დ-მეს სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით ჰქონდა მიღებული;

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი მოტივირებული შუამდგომლობა მოწმეთა სასამართლო სხდომაზე გამოძახების შესახებ, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდგომ იგი ცხოვრობდა სადავო სახლში და ფაქტობრივად ფლობდა მას, უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა, რითაც დაარღვია საპროცესო ნორმები, არ მისცა შესაძლებლობა, თავი დაეცვა მოწმეთა ჩვენებების გამოყენებით.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რის გამოც მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გარდაიცვალა კასატორი ნ. ო-ი, რის გამოც 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება უფლებამონაცვლის დადგენამდე, 2009 წლის 10 ივლისს განახლდა საქმის წარმოება და საქმეში ნ. ო-ის უფლებამონაცვლედ ჩაება ი. ლ-ლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ ნ. ო-ი არის აწ გარდაცვლილი ო. ო-ის მეუღლე, რომელიც მეუღლის გარდაცვალების დღიდან აგრძელებდა საერთო საკუთრების ფლობას, განაგებს და მართავს მას. ხოლო გ. დ-მემ სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუს მიმართა ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ გ. დ-მეზე სამკვიდრო მოწმობები გასცა კანონის დარღვევის, რის გამოც ბათილად ცნო ისინი. ამასთანავე, რაიონულმა სასამართლომ საჯარო რეესტრში ცვლილებებს შეტანაზე უარი უთხრა მოსარჩელეს იმ საფუძველით, რომ საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი საბუთისა და საკადასტრო ინფორმაციის საუძველზე, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით საკუთრების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა არა იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო მემკვიდრე და მესაკუთრე, არამედ ფაქტობრივად მოსარჩელეს განუმარტა, რომ მიემართა ნოტარიუსისათვის, აეღო სამკვიდრო მოწმობა და ამის საფუძველზე აღერიცხა თავისი საკუთრება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან სარჩელზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მხოლოდ სამკვიდრო მოწმობების გაუქმებით მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენა შეუძლებელია, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობების გაუქმების ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ უკრძალავს მოსარჩელეს მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად.

სადავო სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობის შემთხვევაში აღდგება პირვანდელი მდგომარეობა, ანუ სადავო ქონება აღირიცხება მამკვიდრებლის სახელზე, რაც აძლევს უფლებას მემკვიდრეებს, მოითხოვონ შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება.

მით უფრო როცა დადგენილია, რომ მოსარჩელეს მიღებული აქვს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით და, სკ-ის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება ასევე ის გარემოება, რომ მოპასუხეს გასხვისებული აქვს სადავო ქონება და სამკვიდრო მოწმობების გაუქმება მას სარგებელს არ მოუტანს. ჯერ ერთი, ნასყიდობის ხელშეკრულება სადავოდ არის გამხდარი და სასამართლო წარმოება ამ საქმეზე ჯერ არ დამთავრებულა და მეორეც, თუ მოსარჩელე სადავოდ ქონებას ვერ დაიბრუნებს, მას შეუძლია, მოპასუხისაგან მოითხოვოს კომპენსაცია; შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეს გააჩნია იურიდიული ინტერესი, რათა დადგინდეს სამკვიდრო მოწმობების კანონის დარღვევით გაცემის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ბულია მ. მ-ძის სახელზე. 1997 წლის 12 სექტემბერს ა. მ-ძემ მოსარჩელე ა. ნ-შვილს უანდერ-მა მთელი თავისი ქონება და სახლი, რომელიც მდებარეობს გორის რაიონის სოფელ ვარიანში. ა. ნ-შვილისთვის ანდერძის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2005 წლის ოქტომბერში. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელისათვის ანდერძის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2006 წლის 8 დეკემბერს მ. კ-ძისაგან 1997 წლის 12 სექტემბერს შესრულებული ანდერძის გადაცემის გზით, რადგან, მოსარჩელისავე განმარტებით, ანდერძის არსებობის შესახებ მან შეიტყო 2005 წლის ოქტომბერში. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით, 1442-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელისათვის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის ათვლა დაიწყო იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა ანდერძის არსებობის შესახებ, ანუ 2005 წლის ოქტომბრიდან. პალატამ დაადგინა, რომ მან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოს მხოლოდ 2007 წლის 9 იანვარს მიმართა. სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ არის წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გადაცილება საპატიო მიზეზებით იყო გამოწვეული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ნ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება. მითითებული სახის გადაწყვეტილება ა. ნ-შვილის მიმართ არ არსებობს, არამედ გორის რაიონულმა სასამართლომ მხარის სარჩელი დააკმაყოფილა 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით. სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ კასატორმა ა. მ-ძის ანდერძის შესახებ 2005 წლის ოქტომბერში შეიტყო. ა. ნ-შვილის მითითებით, 2005 წლის ოქტომბერში მისი დედისა და დეიდის ჩხუბის დროს მ. მ-ძემ განუმარტა, რომ, მიუხედავად ა. მ-ძის მიერ ქონების კასატორისათვის დატოვებისა, მოპასუხე არ შეუშვებდა მათ სადავო სახლში. ამის შემდეგ კასატორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არკვევდა, თუ რა სახით დაუტოვა პაპამ სადავო უძრავო ქონება, ანდერძით თუ ჩუქების ხელშეკრულებით, ვინაიდან მ. მ-ძის სიტყვიერი განმარტება ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით მიმართვის საფუძველს არ წარმოადგენდა. რეალურად პაპის ანდერძის შინაარსი ალ. ნ-შვილმა შეიტყო 2006 წლის 8 დეკემბერს სანოტარო ბიუროში ანდერძის გაცნობის შემდეგ. კასატორი წლების განმავლობაში სოფ. ...-ში არ ყოფილა და ნოტარიუსებს განცხადებით მიმართავდა მისი დედა საკუთარი სახელით, შესაბამისად, ანდერძის არსებობის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ სანოტარო ბიუროში მისვლისას და სასამართლოს აღნიშნული დროიდან ერთ თვეშივე მიმართა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 8 ივნისს გარდაიცვალა კასატორის პაპა -ა. მ-ძე. მისი სამკვიდრო ქონება მდებარე გორის რაიონის სოფელ ვარიანში, საკრებულოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე მიიღო კასატორის დეიდა - მ. მ-ძემ და აღირიცხა მესაკუთრედ. 1997 წლის 12 სექტემბერს შედგენილი ანდერძით ა. მ-ძემ მთელი თავისი ქონება უანდერმა ა. ნ-შვილს. ა. ნ-შვილისთვის ანდერძის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2005 წლის ოქტომბერში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ ა. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა, ორივე საფუძველით. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლის მი-

ხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი ცალსახად განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების წესს და ადგენს, რომ გარდაცვლილი პირის როგორც კანონისმიერი, ისე ანდერძით მემკვიდრე ვალდებულია, სამკვიდროს მისაღებად მამკვიდრებლის გარდაცვალების –სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის ვადაში განცხადებით მიმართოს ნოტარიუსს ან ფაქტობრივად დაეუფლოს სამკვიდროს. მითითებული ვადის დარღვევისას სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ითვალისწინებს, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ამდენად, სამკვიდროს მისაღებად კანონმდებლის მიერ დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაშვების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, გაუგრძელოს მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ვადის გაშვების მიზეზი საპატიოა.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მამკვიდრებელ ა. მ-მის ანდერძის შესახებ ა. ნ-შვილმა შეიტყო 2005 წლის ოქტომბერში, რის საწინააღმდეგოდაც კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინა. ასეთ პრეტენზიად ვერ იქნება მიჩნეული ა. ნ-შვილის მოსაზრება, რომ იგი 2006 წლის 8 დეკემბრამდე არკვევდა, თუ რა სახით დაუტოვა პაპამ ქონება. ამ საკითხზე კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს ნოტარიუსი, რომლის საქმიანობაც მოწესრიგებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის დროულ ინფორმირებას სამემკვიდრეო უფლებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ალ.ნ-შვილს შეეძლო ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით დაედგინა სამემკვიდრეო უფლებების არსებობა-არარსებობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სადავო სამკვიდროს მიღების ვადის საპატიო მიზეზით გაშვების ფაქტი ა. ნ-შვილმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით ვერ დაადასტურა.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, ხოლო ა. ნ-შვილის მიმართ გამოტანილ იქნა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება. კასატორის აღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია, ვინაიდან მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის წესით გორის რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სწორედ 2007 წლის 3 ივლისს. მითითებული გადაწყვეტილება მ.მ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და სააპელაციო პალატამ მის კანონიერებაზე მართებულად იმსჯელა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ა. ნ-შვილის მოთხოვნა სადავო ვადის გაგრძელების თაობაზე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართებულად არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

განჩინება

#ას-473-784-09

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 11 ივნისს სარჩელით მიმართა ხ. გ-ელმა მოპასუხე ნ. ქ-იანის მიმართ და მოითხოვა სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ გაუქმება, სამკვიდრო ქონების 1/2-ზე მემკვიდრედ ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ამავე სასამართლოს 2005 წელს სარჩელით მიმართა სამკვიდრო ქონების მიღების მოთხოვნით, რომელიც, სარჩელის გამოხმობის გამო, დარჩა განუხილველად.

2005 წლის აგვისტოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #10/გ-930 წერილით ცნობილი გახდა, რომ ქ.თბილისში, ... ქ.#18-ში მდებარე მამამისის სახელზე რიცხული ქონება აღრიცხულია ნ. ქ-იანის სახელზე. მამამისის -ვ. გ-ელის კუთვნილი ქონების გადაფორმების საფუძველი გახდა კანონიერი მემკვიდრეობის მოწმობა, რომელიც გაცემულია 2000 წლის 21 მარტს ქ. თბილისის ნოტარიუსის ნ. გ-იანის მიერ, ხოლო სამკვიდრო მოწმობის გაცემის საფუძველი გახდა ვ. გ-ელისა და ნ. ქ-იანს შორის ქორწინება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი არის ვ. გ-ელის შვილი პირველი ქორწინებიდან, რაც ნ. ქ-იანს მემკვიდრეობის მიღებისას არ განუცხადებია. მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ სადავო უძრავი ქონება პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ეკუთვნოდა მის აწ გარდაცვლილ ძმას -დ. გ-ელს, მისთვის უცნობი იყო მამის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი.

მოსარჩელემ მოითხოვა, სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, რადგან მისთვის უცნობი იყო მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონების არსებობის თაობაზე, ასევე, მოითხოვა 2000 წლის 21 მარტის სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ გაუქმება და სამკვიდრო ქონების -... ქ.#18-ში მდებარე ბინის 1/2-ზე მემკვიდრედ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ხ. გ-ელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხ. გ-ელს უარი ეთქვა სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენის, 2000 წლის 21 მარტის სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ გაუქმებისა და სამკვიდრო ქონების -ქ.თბილისში, ... ქ. #18-ში მდებარე 1/2-ზე მემკვიდრედ ცნობის თაობაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ხ. გ-ელმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით ხ. გ-ელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხ. გ-ელი საჩივარში მიუთითებდა, რომ 2005 წლის აგვისტოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #10/გ-930 წერილით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქ.თბილისში, ... ქ.#18-ში მდებარე მამის სახელზე რიცხული ქონება აღრიცხული იყო ნ.ქ-იანის სახელზე, მამამისზე ამ ქონების გადაფორმების საფუძველი გახდა კანონიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, რომელიც გაცემული იყო 2000 წლის 21 მარტს ნოტარიუს ნ.გ-იანის მიერ, ხოლო ამ სამკვიდრო მოწმობის გაცემის საფუძველი იყო ვ. გ-ელსა და ნ. ქ-იანს შორის არსებული ქორწინება. საჩივრის მიხედვით, ვ. გ-ელი პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. ჩ-შვილთან, რომელთან თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ხ. გ-ელი. რაც შეეხება სამკვიდროს მიღებას, ნ.ქ-იანმა ნოტარიუსში განაცხადა, რომ მემკვიდრეობას სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა და დამალა ვ. გ-ელის შვილის -ხ. გ-ელის არსებობა. სადავო ქონება 1993 წლის 30 აპრილის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ეკუთვნოდა აწ გარდაცვლილ მის ნახევარძმას -დ. ვ.-ს ძე გ-ელს. ამდენად, მისთვის უცნობი იყო ის ფაქტი, რომ 1994 წლის 28 აპრილს ძმის გარდაცვალების შემდგომ სამკვიდრო ქონება მიღებული ჰქონდა ვ. გ-ელს, რაც ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს მიღებაზე განცხადების არ შეტანის საფუძველი გახდა. მოპასუხე თუნდაც ყოფილიყო კანონის სრული დაცვით მემკვიდრე ვ. გ-ელის ქონებაზე, მან მაინც

სრულად უკანონოდ დამალა ქონება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლით. პალატამ განმარტა დასახელებული მუხლი და აღნიშნა, რომ მოსარჩელე ხ. გ-ელი, როგორც სარჩელში, ასევე, სააპელაციო საჩივარში სამკვიდროს გადაცილების მიზეზად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მისთვის 2005 წელს აგვისტომდე უცნობი იყო მამის სამკვიდრო ქონების არსებობის შესახებ. ხ. გ-ელს სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით საქალაქო სასამართლოში აღძრული აქვს 2008 წლის 11 ივნისს ანუ მის მიერ ამ ვადის გაშვების საპატიო მიზეზად დასახელებული ფაქტიდან თითქმის სამი წლის გასვლის შემდეგ, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი სამკვიდროს მიღების ვადად აწესებს ექვს თვეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, კერძოდ, აპელანტის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს საჩივრის მოთხოვნას.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ხ. გ-ელმა. მან მიუთითა, რომ 2009 წლის 25 მარტს სასამართლო მთავარ სხდომაზე გამოცხადდნენ აპელანტი ხ. გ-ელი და მისი წარმომადგენელი გ. მ-ორია, სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე ნ. ქ-იანი, რის საფუძველზე მათ დააყენეს შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განჩინება და ახალი განჩინებით უარი ეთქვათ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, არსებითად განიხილა დავა და ამის საფუძველზე უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, რაც შეეხება მათ მიერ დაყენებულ შუამდგომლობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, რითაც სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ: უხეშად დაარღვია და არასწორად განმარტა 230-ე მუხლის მოთხოვნები, სადაც მითითებულია, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. სასამართლო არაა უფლებამოსილი, გასცდეს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, მოცემული დარღვევა აშკარად ჩანს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, უფრო მეტიც, სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბოლოს არასწორად გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 257-ე მუხლის მოთხოვნა, მოცემული მუხლი არეგულირებს სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო 2009 წლის 25 მარტს სასამართლოს საქმე არ განუხილავს და გადაწყვეტილება უკანონოდ იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვაზე არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ნ. ქ-იანი. აპელანტმა და მისმა წარმომადგენელმა იშუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს საჩივრის მოთხოვნას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ფაქტობრივ გარემოებებზე, რითაც მან დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, ასევე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვის შემთხვევაში სარჩელში მითითებული გარემოებები არ საჭიროებენ მტკიცებას, ისინი ითვლებიან დამტკიცებულად და ამდენად, სასამართლო არ იკვლევს, არ აფასებს და ა.შ. მტკიცებულებებს, რომლითაც დასტურდება სარჩელში აღნიშნული გარემოებები და მიუთითებს ამ გარემოებების დამტკიცებულად ცნობის პრეზუმფციაზე. მაგრამ, აღნიშნული პრეზუმფცია

არ ნიშნავს, რომ სასამართლომ არ უნდა მისცეს იურიდიული შეფასება დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივ გარემოებებს. ზუსტად რომ ამ გარემოებების იურიდიული შეფასების აუცილებლობაზე არის ყურადღება გამახვილებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სამკვიდრო მიღების ვადის აღდგენა, სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ გაუქმება და სამკვიდრო ქონების 1/2-ზე მესაკუთრედ ცნობა.

კასატორი (მოსარჩელე) როგორც სარჩელში, ასევე სააპელაციო საჩივარში გარდაცვლილი მამის ვ. გ-ელის სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების მიზეზად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მისთვის 2005 წლის აგვისტომდე უცნობი იყო მამის სამკვიდრო ქონების არსებობის შესახებ. ზუსტად აღნიშნული გარემოება დადგენილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რაც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების მართებულებაზე.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, ამ ფაქტობრივი გარემოების წინააღმდეგ კასატორს არ გააჩნია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოება იურიდიულად არ ამართლებს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის სწორად განმარტებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომლითაც რეგულირდება სადავო ურთიერთობა. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც უთითებს მოსარჩელე (აპელანტი) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ურთიერთობის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით, ე.ი. აღნიშნული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდნენ მოთხოვნას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული.

მართალია განსახილველი ნორმა პირდაპირ არ უთითებს თუ რა საპატიო მიზეზი შეიძლება გახდეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების საფუძველი, მაგრამ ამ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიო მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ კანონით დადგენილი ექვსთვიან ვადაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1423-ე მუხლი) სამკვიდროს მიღების დამაბრკოლებელ გარემოებებს, რომლებიც თავისთავად გამორიცხავენ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი).

ამდენად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ ხ. გ-ელისათვის 2005 წლის აგვისტომდე უცნობი იყო მამამისის სამკვიდრო ქონების შესახებ, ხოლო სარჩელი მან აღძრა 2008 წლის 11 ივლისს, ე.ი. თითქმის სამი წლის შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელია არსებობდეს სამკვიდროს მიღებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების შეუძლებლობის საპატიო მიზეზი. კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს, 2005 წლის აგვისტოდან 2008 წლის 11 ივლისამდე არსებობდა თუ არა სამკვიდრო, მიუღებლობის საპატიო მიზეზები, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეაფასა ან არასათანადოთ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

აღნიშნული გარემოებების არარსებობა გამორიცხავს იმ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლით.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ხ. გ-ელის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

#ას-483-794-09

4 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 19 ოქტომბერს ქობულეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ვ. ს-მემ, რომლითაც მოითხოვა ზ. ე-ლის ძე ს-ძის სახელზე 1979 წლის 25 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და ქ.ქობულეთში, ... #10-ში მდებარე სახლთმფლობელობის მის საკუთრებად აღიარება იმ საფუძველით, რომ ის იყო გარდაცვლილ ე. ა-ეს ძე ს-ძის შვილი, ცხოვრობს ... #10-ში მდებარე სახლში, რომელიც იყო მამამისის საკუთრება. ამ სახლში ჩაწერილია თვითონ და მისი ცოლ-შვილი, აგრეთვე, უფროსის ძმა ა., რომელიც 1977 წლიდან ფაქტობრივად ცხოვრობს სხვა ადგილზე და ბინის თაობაზე არავითარი პრეტენზია არ გააჩნია. მას ჰყავს მეორე ძმა -ზ. ს-ძე, რომელიც წასულია ოჯახიდან 1976 წლიდან და ცხოვრობს ქ.ბათუმში. იგი სახლიდან ამოწერილია მამის გარდაცვალების შემდეგ, 1976 წლიდან, ოჯახში დარჩა მხოლოდ თვითონ და მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო. ზ. ს-ძეს კანონით დადგენილ ძალაში არ განუცხადებია მემკვიდრეობის შესახებ და სახლი უკანასკნელ დრომდე მამის სახელზე ირიცხებოდა. არც მას გადაუფორმებია სამკვიდრო ქონება თავის სახელზე, რადგან ქონება ფაქტობრივად მის განკარგულებაში იყო და სანოტარო წესით ქონებას თავის სახელზე გადაფორმება საჩქაროდ არ ჩათვალა. ტექაღრიცხვის ბიუროს მიმართა სათანადო საბუთის მისაღებად სახლის კუთვნილების შესახებ, რა დროსაც გაიგო, რომ სახლი საკუთრების უფლებით გადაეფორმებინა მის ძმას -ზ. ს-ძეს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. ამით უხეშად დაარღვია მისი კანონიერი უფლება, ასევე ტექაღრიცხვის ბიურომ სახლი მისი ძმის სახელზე გააფორმა კანონის უხეში დარღვევით, ვინაიდან, ე. ს-ძის მემკვიდრეები იყვნენ არა მარტო ზ. ს-ძე, არამედ თვითონ და მისი ძმა ა., რომელმაც სამკვიდრო მიიღო ასევე ფაქტობრივი ფლობით. მოპასუხეს არ შეუსრულებია კანონის მოთხოვნა, სამკვიდრო მოწმობის მისაღებად 6 თვის განმავლობაში არ მიუმართავს ნოტარიუსისათვის, რის გამოც დაკარგა უფლება სამკვიდროს მიღებაზე. 2000 წლის ოქტომბერში ტექაღრიცხვის ბიურომ სახლი გაუფორმა ზ. ს-ძეს იმ საფუძველით, რომ მის მიერ წარდგენილ იქნა ქობულეთის ნოტარიუსის მიერ 1979 წლის 30 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობა. ტექაღრიცხვის ბიუროს არ ჰქონდა უფლება, აღნიშნული მოწმობის საფუძველზე სახლი გაეფორმებინა ზ. ს-ძის საკუთრებად. აღნიშნულ მოწმობაში მითითებულია, რომ მისი მიმღები ზ. ს-ძე ვალდებული იყო, მოეხდინა მოწმობის რეგისტრაცია სამი თვის ვადაში. ზ.ს-ძემ კი ტექაღრიცხვის ბიუროში მოწმობა წარადგინა 21 წლის შემდეგ. ამავე დროს, სანოტარო კანტორას საკუთრების მოწმობა გაცემული აქვს კანონის დარღვევით, ვინაიდან ე. ს-ძე გარდაიცვალა 1974 წლის 30 მაისს, ზ. ს-ძის სახელზე მოწმობა გაცემულია 1979 წლის 30 მაისს. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, მოქმედება უნდა შესრულდეს 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 1979 წელს ზ. ს-ძის სახელზე გაცემული მემკვიდრეობის მოწმობა და მის საფუძველზე გაცემული სახლთმფლობელობის პასპორტი #38.

ზ. ს-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა სამემკვიდრეო ქონებიდან 3/4-ის მიკუთვნება. აჭარის არ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2001 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. ს-ძის სარჩელი, კერძოდ, მას მიაკუთვნა უძრავი ქონების - საცხოვრებელი სახლის 5/12, ხოლო ზ. ს-ძის საკუთრებაში დატოვა 7/12.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ.ს-დემ, ასევე მოპასუხე ზ.ს-დემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ვ. ს-დისა და ზ. ს-დის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2001 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2002 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება და ვ. ს-დეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-დემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2003 წლის 21 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა ვ. ს-დის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. ს-დის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ს-დის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-დემ, რომლითაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით ვ. ს-დის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ს-დემ გარდაიცვალა 1974 წლის 30 მაისს. ვ. ს-დემ არის ე. ს-დის შვილი. ქ. ქობულეთში, ... #10-ში ცხოვრობდნენ ვ. ს-დემ, მისი შვილი ვა. ს-დემ, ძმისშვილი რ. ს-დემ, შვილი მ. ს-დემ ძმა ა. ს-დემ. სახლთმფლობელობა 1976 წლის 19 ივლისიდან ირიცხებოდა ე. ს-დის მფლობელობაში, ხოლო 1979 წლის 30 მაისიდან ზ. ე.ის ძე ს-დის მფლობელობაში. 1979 წლის 30 მაისს ე. ს-დის ქონებაზე მემკვიდრედ იქნა ცნობილი ზ. ს-დემ. ზ. ს-დის სახელზე გაცემული კანონისმიერ სამკვიდრო მოწმობა ტექსტური ცნობის ბიუროში რეგისტრირებულია 1979 წლის 5 ივნისს. სადავო სახლის 2/15-ის მესაკუთრეა ვ. ს-დემ. სადავო ქონების თაობაზე არ არსებობდა ანდერძი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 539-ე მუხლის პირველი ნაწილი, 542-ე მუხლის პირველი ნაწილი და 544-ე მუხლი (1964 წლის რედაქცია).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ აწ გარდაცვლილ ე. ს-დეს ჰყავდა პირველი რიგის სამი მემკვიდრე: ა., ზ. და ვ. ს-ძეები. დადგენილად ცნო, რომ აწ გარდაცვლილი ვ.ს-დის საცხოვრებელი სახლი და 426 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სამკვიდრო ქონებას. 1979 წლის 30 მაისს ზ. ს-დემ კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე გახდა მემკვიდრე. მან მემკვიდრეობით მიიღო სამკვიდრო ქონება მდებარე ქ.ქობულეთში, ... ქ.#10-ში, საცხოვრებელი სახლის 13/15. ამდენად, დადგენილად ცნო, რომ სადავო სახლის 13/15-ის მესაკუთრეა ზ.ს-დემ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის #ბს-536-512(კ-07) გადაწყვეტილებას უნდა მიენიჭოს პრეიუდიციული ძალა ვ. ს-დის სადავო სახლის 2/15-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო სახლის 2/15-ის, ანუ 9.9 კვ.მ-ში ჩაწერილი იყო ვ. ს-დემ და აღნიშნული ფართი წარმოადგენდა კომუნალური ფონდის საკუთრებას. ამდენად, ჩათვალია, რომ ვ. ს-დემ, პრივატიზაციის ხელშეკრულების თანახმად, სადავო სახლის 2/15-ის მესაკუთრეა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ვ.ს-დის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრეს და სამკვიდრო ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს ზ. და ა. ს-ძეებთან ერთად.

საპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ვ.ს-მის მოსაზრება, რომ იგი 1972 წლიდან, ვინაიდან ჩაწერილი იყო სადავო მისამართზე და იქ ცხოვრობდა, სამკვიდრო მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით.

საპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ის ფაქტი, რომ ვ.ს-მე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, არ წარმოადგენს დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომ მან ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო. ამავდროულად, ვინაიდან იგი მამკვიდრებლის გარდაცვალების დროს იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, ვერ გადაიხდიდა იმ დროს კომუნალურ გადასახადებს. კომუნალური გადასახადების შემდგომში გადახდის ფაქტი ვერ ადასტურებს, რომ სამკვიდრო მიიღო კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ.ს-მე სავარაუდოდ კომუნალურ გადასახადს გადაიხდიდა მხოლოდ მის წილ საკუთრებაზე, ანუ სადავო ქონების 2/15-ზე და არა მთელ ქონებაზე და ამდენად, ზ.ს-მემ კანონით დადგენილი წესით მიიღო სამკვიდრო.

ვ.ს-მემ განმარტა, სადავო სახლი თუ ზ.ს-მის საკუთრებას წარმოადგენდა, შეიტყო 2000 წელს, რასაც საპელაციო პალატა არ იზიარებს, ვინაიდან დადგენილად ცნო, რომ მან სადავო ქონების ზ.ს-მის სახელზე რეგისტრაციის თაობაზე შეიტყო 1980 წელს.

საპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის არ ცოდნა ან მისი არასათანადო გაგება არ ათავისუფლებს მხარეს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებისაგან. მის მიერ სამკვიდროს მიღება და მის საკუთრებად დარეგისტრირება, მართალია, მის უფლებას წარმოადგენდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან გაუშვა სამკვიდროს მიღების ვადა, ასევე არ დაიცვა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები სამკვიდროს მისაღებად, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ თავად ვ.ს-მის ბრალითაა გამოწვეული. ამდენად, საპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ.ს-მისათვის 1980 წლიდან იყო ცნობილი, ვინ მიიღო სამკვიდრო ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე კი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყო 1980 წლის 31 დეკემბრიდან. საპელაციო სასამართლომ განმარტა სამოქალაქო კოდექსის 75-ე და მე-80 მუხლები.

საპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ა.ს-მის წილი უნდა შეემატოს ვ.ს-მეს, რადგან მიიჩნია, რომ მის წილ სამკვიდროზე პრეტენზია ა.ს-მეს არ გამოუთქვამს და იგი არც ფაქტობრივი ფლობით დაუფლებია სამკვიდროს. ა.ს-მეს სამკვიდრო არ მიუღია. სასამართლომ მიიჩნია, რომ გაშვებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ.ს-მემ. მან მიუთითა, რომ სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ იმ პირთა ჩვენებებს (ვ.ზ-აია, ზ.ნ-მე და თ.შ-შვილი), რომლებიც 2000 წლიდან დღემდე არც ერთ სასამართლო სხდომაზე არ არიან დაკითხული. დაირღვა თანასწორობის პრინციპი, რადგანაც არ მიეცათ შესაძლებლობა კითხვები დაესვათ მოწმეებისათვის. სასამართლომ ისე მიიჩნია უტყუარად მოწმის სახით დაკითხული ა.ს-მის ჩვენება (1980 წლიდან ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით), რომ არ გაითვალისწინა მისი პიროვნება, მისი დამოკიდებულება აღნიშნული საქმისადმი, საქმის საბოლოო შედეგებისადმი და ა.შ. ის, რომ სამკვიდროს გახსნის მომენტში ვ.ს-მე იმყოფებოდა ვადაზე სამხედრო სამსახურში და სამკვიდრო ადგილსამყოფელის მიხედვით დაბრუნდა მხოლოდ 1976 წელს, არ არის დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით (სასამართლომ აღნიშნული დასკვნა გამოიტანა მხოლოდ ზ.ს-მის განმარტების საფუძველზე).

კასატორმა მიუთითა, რომ სამკვიდრო მოწმობის ტექსტში რეგისტრაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა, მით უმეტეს, რომ ზ.ს-მე სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით არ ცხოვრობდა. ზ.ს-მემ დამოუკიდებლად (სხვა მემკვიდრეთა მოწვევის გარეშე), სამკვიდროს გახსნიდან ხუთი წლის შემდეგ აღიდგინა სამკვიდრო ქონების მიღების ვადა, ასევე, ერთპიროვნულად, სხვა მემკვიდრეთა მოწვევის გარეშე, მიიღო მთლიან ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა. სხვა მემკვიდრეები არც ნოტარიუსს გამოუძახებია და გაუფრთხილებია. ვ.ს-მემ არათუ არ იცოდა სამკვიდრო მოწმობის შესახებ, არამედ სარჩელის შეტანის მომენტშიც არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას სამკვიდრო მოწმობის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში რეგისტრაციის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საპედაგოგო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ს-მე გარდაიცვალა 1974 წლის 30 მაისს. ვ. ს-მე არის ე. ს-მის შვილი.

საპედაგოგო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქობულეთში, ... #10-ში ცხოვრობდნენ ვ. ს-მე, მისი შვილი ვა. ს-მე, ძმისშვილი რ. ს-მე, შვილი მ. ს-მე, ძმა ა. ს-მე. ტექადრიცხვის ბარათის საფუძველზე საპედაგოგო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახლთმფლობელობა 1976 წლის 19 ივლისიდან ირიცხებოდა ე. ს-მის მფლობელობაში, ხოლო 1979 წლის 30 მაისიდან ზ. ე.ის მე ს-მის მფლობელობაში. ქობულეთის რაიონული სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით #2-184 საპედაგოგო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ს-მეს გაუგრძელდა სამკვიდრო მიღების ვადა, ხოლო კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 1979 წლის 30 მაისს ე. ს-მის ქონებაზე მემკვიდრედ იქნა ცნობილი ზ. ს-მე და ტექადრიცხვის ბიუროში რეგისტრაციაში გატარდა 1979 წლის 5 ივლისს (ქ.ქობულეთში, ... #10-ში მდებარე სახლთმფლობელობის 13/15-ის მემკვიდრე).

საპედაგოგო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად სადავო სახლის 2/15 ნაწილის მესაკუთრეა ვ. ს-მე. ამავე გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ვ. ს-მე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს.

საპედაგოგო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ს-მემ ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია სამკვიდრო ქონება, რადგან სამკვიდროს გახსნის მომენტში (ე. ს-მე გარდაიცვალა 1974 წლის 30 დეკემბერს) იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში და იგი სახლში დაბრუნდა 1976 წელს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს საპედაგოგო სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საპედაგოგო სასამართლომ მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ ქ. ქობულეთში, ... #10-ში ცხოვრობდნენ ვ. ს-მე, მისი შვილი ვ. ს-მე, ძმისშვილი რ. ს-მე, შვილი მ. ს-მე, ძმა ა. ს-მე. ამასთან ერთად საპედაგოგო სასამართლომ არ გაიზიარა ვ. ს-მის პოზიცია, რომ, ვინაიდან იგი 1972 წლიდან ჩაწერილი იყო სადავო მისამართზე და ცხოვრობდა იქ, სამკვიდრო მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით. საპედაგოგო სასამართლომ აღნიშნა, რომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, სადავო სახლის 2/15 ნაწილის მესაკუთრეა ვ. ს-მე, ხოლო ის ფაქტი, რომ ვ. ს-მე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, რაც დადგენილია ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, არ წარმოადგენს დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რადგან, სავარაუდოდ, იგი კომუნალურ გადასახადებს გადაიხდიდა მხოლოდ მის წილ საკუთრებაზე, ანუ ქონების 2/15-ზე და არა მთელ ქონებაზე.

საპედაგოგო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების მიხედვით სამკვიდროს გახსნის მომენტში (1974 წლის 30 დეკემბერს) ვ. ს-მე იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში და იგი სახლში დაბრუნდა 1976 წელს. აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ეს ფაქტი არ მიუთითებს სამკვიდროს არ მიღებაზე. სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. ამ გარიგებით გამოვლენილი ნება ჩაითვლება ნამდვილად, თუ მემკვიდრე მიმართავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის 26 დეკემბერი) 556-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში დავას იწვევს ვ. ს-მის მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი. სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდება მისი ნება, გახდეს სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. კონკლუდენტური მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მემკვიდრემ ფაქტობრივად უკვე დაიწყო თავისი უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ სამკვიდროს ფლობა და მართვა ერთმანეთისაგან. საპედაგოგო სასამართლომ არ გაიზიარა ფაქტი იმის შესახებ, რომ ვ. ს-მე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, ასევე სასამართლომ მიიჩნია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ კომუნალურ გადასახადების გადახდა შეიძლება მიუთითებდეს ვ. ს-მის მფლობელობაში არსებულ ფართზე (9.9 კვ.მ-ზე) გადახდილ გადასახადებზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდა შეიძლება მიუთითებდეს იმ კონკლუდენტურ მოქმედებებზე, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო ქონების მართვასთან დაკავშირებული ნების განხორციელებას. ამ ფაქტორს მაშინ აქვს

მნიშვნელობა, როდესაც არ არსებობს ფაქტობრივი ფლობის (მაგალითად, მემკვიდრე ცხოვრობდა მამკვიდრების სახლში და განაგრძობს იქ ცხოვრებას სამკვიდროს გახსნის შემდეგ) ფაქტი. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის მანძილზე და რომლითაც დასტურდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება, საკმარისია, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მიღებულად. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის 26 დეკემბერი) 556-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, ისეთ კონკლუდენტურ მოქმედებებს, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მართვაზე, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმ შემთხვევებში, როდესაც მემკვიდრე, მართალია, არ ფლობს მამკვიდრების ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან (იხდის კომუნალურ გადასახადებს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ.) ირკვევა, რომ ამ ქონებას იგი თავისად მიიჩნევს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის მომენტში (1974 წლის 30 დეკემბერს) ვ. ს-მე იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში და იგი სახლში დაბრუნდა 1976 წელს, ასევე გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი იმის შესახებ, რომ, 2000 წლის ცნობის თანახმად, ქ. ქობულეთში, ... #10-ში ცხოვრობდნენ ვ. ს-მე, მისი შვილი ვ. ს-მე, ძმისშვილი რ. ს-მე, შვილი მ. ს-მე, ძმა ა. ს-მე. ამასთან ერთად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს დროის რომელ პერიოდში ცხოვრობდა ვ. ს-მე სადავო სახლში (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და მას შემდეგ ცხოვრობდა თუ არა სადავო სახლში). აღნიშნული გარემოების გარკვევა მნიშვნელოვანია, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ვ. ს-მე ცხოვრობდა (ფლობდა) სადავო სახლში მისი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და აგრძელებდა ამ სახლში ცხოვრებას აღნიშნული სამსახურის გავლის შემდეგ, ივარაუდება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში იგი ფლობდა სადავო სახლს.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო სათანადო შეფასებული საქმეში არსებული მასალები, კერძოდ, ზ. ს-მე უთითებდა, რომ იგი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ვ. ს-მემ მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო მამის დანაშთ ქონებაზე წილობრივი მემკვიდრეობა, რადგან ის ცხოვრებდა მათთან სადავო სახლში, ასევე ზ. ს-მე აღნიშნავდა, რომ იგი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ მამის წილიდან ვ. ს-მეს ეკუთვნის წილი.

ზ. ს-მე ასევე აღნიშნავდა, რომ ვ. ს-მემ მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო მამის დანაშთ ქონებაზე წილობრივი მემკვიდრეობა. ზ. ს-მემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ე. ს-მის გარდაცვალების დროს (1974წ.) სადავო სახლში ცხოვრობდნენ თვითონ, ვ. და ა. ს-მეები. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს ზემოაღნიშნული მტკიცებულებები საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთად და დაადგინოს, სადავო ქონება წარმოადგენდა თუ არა ვ. ს-მის საცხოვრებელ ადგილს. იმ შემთხვევაში, თუ მამის გარდაცვალებამდე ვ. ს-მე ცხოვრობდა სადავო სახლში, ხოლო მამის გარდაცვალების მომენტში იგი იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში (რომლის შემდეგ ის, ასევე განაგრძობდა იქ ცხოვრებას), ეს ფაქტი თავისთავად არ შეიძლება გამოიციხავდეს სადავო სახლმფლობელობის ფლობის ფაქტს. ვ. ს-მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სამკვიდრო მისი საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის ბოლო აბზაცის თანახმად, მიღებული სამკვიდრო ითვლება მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი გავლენას ახდენს ვ. ს-მის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ს. ს-მის ძირითადი მოთხოვნას წარმოადგენს სადავო ქონების (ქ. ქობულეთში, ... #10-ში მდებარე სახლმფლობელობის) მის საკუთრებად აღიარება. ამდენად, ნიშანდობლივია ის, რომ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება მოითხოვს ფაქტის იურიდიულ აღიარებას, რომლის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ე.ი 1974 წლის 30 დეკემბრიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას გამოყენებულ უნდა იქნეს მოქმედი (ახალი) სამოქალაქო კოდექსი, რადგან სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში ახალი სამოქალაქო კოდექსი უძრავ ნივთებთან დაკავშირებული უფლებათა იძულებით განხორციელების ხანდაზმულობის განსხვავებულ წესებს შეიცავს.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენის შემთხვევაში მიღებული სამკვიდრო ითვლება მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდ-

რეობის გახსნის დღიდან. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, ე.წ ნამდვილ მესაკუთრეს შეუძლია გამოითხოვს უკვე სხვის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება ხანდაზმულობის საერთო ვადის ფარგლებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მოჰყავს შემდეგი არგუმენტი: "მოწმეთა ჩვენებით დადგენილია, რომ 1980-იან წლებში ს-ძეებისათვის იგივე შ-კიებისათვის ცნობილი იყო, რომ სახლი წარმოადგენდა ზ. ს-ძის საკუთრებას".

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მოწმეები (რასაც ეყრდნობა გასაჩივრებული გადაწყვეტილება) არ არიან დაკითხულნი არც ერთ სხდომაზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის კონკრეტულად მითითებული, თუ რომელ მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა სასამართლო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო პირველ ინსტანციის 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (რომელიც ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ) დადგენილ ფაქტებს, რომლის თანახმად სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმეების -ვ. ვ.-ს ასული ზ-აიასა და ზ. ა-ის ძე ნ-ძის განმარტებით ირკვევა, რომ 1980-იან წლებში, ქობულეთში, ... ქ-ის #1-ში მცხოვრებმა ძმებმა შ-კებმა (ს-ძეებმა) იგოდნენ, რომ იგი ეკუთვნის ზ. ს-ძეს.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მოწმეთა დაკითხვის ოქმები საქმეში არ მოიპოვება. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ წერილობითი მასალები, რომელზედაც ნოტარიუსის მიერ დამოწმებულია ვ. ვ.-ს-ასული ზ-აიასა და ზ. ა-ის-ძე ნ-ძის ხელმოწერის ნამდვილობა, უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი მასალებისა და მოწმეთა ჩვენებების დასაშვებობა-შემოწმების პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება ზემოაღნიშნულ პირთა დაკითხვის ოქმები. საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს (სსსკ-ის 140-ე-153-ე მუხლების დაცვის კანონიერება) კასატორის პროცესუალურ დარღვევებზე მითითებებით. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებდა ზემოაღნიშნულ წერილობითი მასალებზე, როგორც მოწმეთა ჩვენებებზე, მაშინ აღნიშნული წერილობითი მასალები უნდა შეფასდეს, როგორც წერილობითი მტკიცებულებები სსსკ-ის 134-ე-139-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამ შემთხვევაში გასარკვევი იქნება, თუ რამდენად ამ წერილობითი მასალებით შესაძლებელია დადასტურდეს უძრავი ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტის ანდა თავის უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტის ცნობა.

სარეზულუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

#ას-1024-1296-09 9 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმება, სამკვიდრო მოწმობის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ზ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნოტარიუს ე. ბ-იანის მიმართ სასამართლო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმებისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის დაავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა დ. ზ-იას მეუღლე - ი. მ-შვილი, რომლის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მისი შვილები - ი. და რ. მ-შვილები. მათ სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ ვადაში მიმართეს ნოტარიუს ე. ბ-იანს. გარდაცვლილი მეუღლის შვილმა პირველი ქორწინებიდან - გ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მამის სამკვიდროს მმართველად დ. ზ-იას დანიშვნის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობის, აწ გარდაცვლილ ი. მ-შვილის სამკვიდრო ქონების ნაწილის მიკუთვნებისა და შესაბამისი წილის გამოყოფის მოთხოვნით. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ წარუდგინა ნოტარიუსს, მაგრამ ამ უკანასკნელმა 2008 წლის 28 მარტის დადგენილებით მოსარჩელესაც და გ. მ-შვილსაც უარი უთხრა. აღნიშნულით შეილახა მათი უფლებები, რადგან ე. ბ-იანისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ დავა სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით ამოიწურა, ხოლო განცხადებები სამკვიდროს მიღებაზე წარდგენილ იქნა კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში. ნოტარიუსმა თავისი უარი დაასაბუთა სამკვიდრო მასის გაყოფაზე მემკვიდრეთა შორის არსებული უთანხმოებით, მანუარ, როდესაც მოსარჩელესა და მის შვილებს შორის ასეთი უთანხმოება არ არსებობს, ხოლო გ. მ-შვილს კი უარი ეთქვა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.

მოპასუხე ე. ბ-იანმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: დ. ზ-იამ, ი. და გ. მ-შვილებმა სამკვიდროს მისაღებად განცხადებებით მიმართეს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში. დ. ზ-იამ მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის მთლიან სამკვიდრო ქონებაზე გაცემა, ხოლო ი. და გ. მ-შვილებმა - სამკვიდრო მოწმობის გაცემა ყველა სხვა მემკვიდრესთან თანაბარი წილით. მართალია, რ. მ-შვილს განცხადება სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სასამართლო ბიუროში არ წარუდგინა, მაგრამ ეს უკანასკნელი სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობს და დანარჩენი ორი მემკვიდრე - ი. და გ. მ-შვილები, ითხოვენ სამკვიდროს მიღებას მასთან თანაბარი წილით. ამდენად, სამკვიდრო მიღებული აქვს ი. მ-შვილის პირველი რიგის ყველა მემკვიდრეს, მაგრამ მათ შორის აშკარა უთანხმოებაა, რაც კანონის საფუძველზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებით აღნიშნულ დავაში მესამე პირებად ჩაერთნენ ი., რ. და გ. მ-შვილები.

გ. მ-შვილმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ნოტარიუს ე. ბ-იანისა და დ. ზ-იას მიმართ ე. ბ-იანის მიერ სასამართლო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმებისა და იუ. მ-შვილის დანაშთი ქონებაზე სამკვიდროს გაცემის მოთხოვნით შემდეგი მოტივებით: სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, გ. მ-შვილი არის აწ გარდაცვლილი მამის ერთ-ერთი პირველი რიგის მემკვიდრე. მან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში მიმართა ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ. მოპასუხე ნოტარიუსი ვალდებული იყო, გაეცა სამკვიდრო მოწმობა, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდავოდ დგინდებოდა, რომ დ. ზ-ია, რ., ი. და გ. მ-შვილები არიან გარდაცვლილი ი. მ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეები თანასწორი წილის უფლებით, ხოლო 2007 წლის 22 მარტის სასამართლო გადაწყვეტილება ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით გ. მ-შვილს იმჟამად სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფაზე უარი ეთქვა, აღნიშნული კი არ უნდა გაიგივდეს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევასთან.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნები წარადგინეს ასევე რ. და ი. მ-შვილებმა გ. მ-შვილისა და ნოტარიუს ე. ბ-იანის მიმართ ნოტარიუსის მიერ გაცემული დადგენილების გაუქმების, ასევე თითოეულისათვის იუ. მ-შვილის დანაშთი ქონების 1/3-ის მიკუთვნებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ისინი არიან აწ გარდაცვლილი იუ. მ-შვილის ოთხი პირველი რიგის მემკვიდრეთა შორის. ერთ-ერთ მემკვიდრეს - გ. მ-შვილს სასამართლო გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სამკვიდროდან წილის მიღებაზე, შესაბამისად, სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა თანაბარწილად გაცემულ უნდა იქნეს მხოლოდ სამ მემკვიდრეზე 1/3-1/3 ოდენობით, ნოტარიუსის უარი სამკვიდრო მოწმობათა გაცემაზე არასწორია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით დ. ზ-იას, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების - ი. და რ. მ-შვილების სარჩელები დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ე. ბ-იანის მიერ 2008 წლის 28 მარტს გაცემული დადგენილება დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების მიმართ სასამართლო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის ნაწილში, ნოტარიუს ე. ბ-იანს დაევალა დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების მიმართ იუ. მ-შვილის დანაშთი ქონების 1/3-1/3-ზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა, გ. მ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის და 8 ივლისის განჩინებებით ნოტარიუს ე. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა ნოტარიუსი ე.ჯე-ლაძე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, დ. ზ-იასა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების - ი. და რ. მ-შვილების სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის გ.მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ე.ბ-იანის მიერ 2008 წლის 28 მარტს გაცემული დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, იუ. მ-შვილის სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს დაევალი სამკვიდრო მოწმობების გაცემა დ. ზ-იას, ი., რ. და გ. მ-შვილების მიმართ მამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/4-1/4-ზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2005 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა მამკვიდრებელი იუ. მ-შვილი, რომელსაც დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე დ. ზ-ია, შვილები ი. და რ. მ-შვილები და წინა ქორწინებიდან შვილი გ. მ-შვილი. 2005 წლის 23 თებერვალს ი. მ-შვილის მეუღლემ დ. ზ-იამ მიმართა ნოტარიუს ე. ბ-იანს და მოითხოვა თავის შვილებთან - ი. და რ. მ-შვილებთან თანაბარწილად იუ. მ-შვილის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. 2005 წლის 1 მარტს ნოტარიუს ბ-იანს მიმართა ი. მ-შვილის შვილმა წინა ქორწინებიდან -გ. მ-შვილმა და ითხოვა ი. მ-შვილის დანაშთ ქონებაზე დ. ზ-იასთან, ი. და რ. მ-შვილებთან თანაბარწილად სამკვიდრო მოწმობის გაცემა. 2005 წლის 21 სექტემბერს ამავე ნოტარიუსს მიმართა იუ. მ-შვილის შვილმა -ი. მ-შვილმა სამკვიდროდ დ. ზ-იას, რ. და გ. მ-შვილების თანაბარწილად სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე. გ. მ-შვილმა სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე დ.ზ-იას, რ. და ი. მ-შვილების მიმართ და მოითხოვა ქ.თბილისში, ... #18ა-ში ბინა-სახელოსნოს 1/8-ის, სს „საქართველოს ბანკში“ იუ. მ-შვილის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის 1/8-ისა და ქ. თბილისში, ... ქ.#6-ში მდებარე დ. ზ-იას სახელზე რიცხული ორი ბინიდან 1/8-ის წილი მიკუთვნება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივნისის განჩინებით გ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დარჩა უცვლელად. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია. პალატამ მიუთითა, რომ 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. მ-შვილს კანონით დადგენილ ვადაში სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენით მიღებული სამკვიდრო არ ჩამორთმევიანა. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის დადგენილების თანახმად, 2008 წლის 14 მარტს ნოტარიუს ბ-იანს განცხადებით მიმართა დ.ზ-იამ სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით და წარუდგინა დ.ზ-იას, მის შვილებსა და გ. მ-შვილს შორის არსებული სამოქალაქო დავის ყველა დოკუმენტი და კანონიერ ძალაში შესული, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. 2008 წლის 28 მარტს ნოტარიუსმა გამოსცა დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემაზე) უარის თქმის შესახებ, რომლითაც უარი უთხრა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემაზე როგორც გ.მ-შვილს, ასევე -დ. ზ-იას, რ. და ი. მ-შვილებს. დადგენილების საფუძველად ნოტარიუსმა მიუთითა, რომ, წარდგენილი მასალების შესაბამისად მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონების გაყოფა და მასზე სამკვიდრო მოწმობების გაცემა ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლებს სცილდება. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1424-ე, 1319-ე, 1433-ე და 1451-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სამკვიდროს მიღება ნიშნავს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს შეძენას და სამკვიდროზე მემკვიდრის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია. პალატამ ჩათვალა, რომ 2005 წლის 1 მარტს გ. მ-შვილმა სადავო სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიმართა რა ნოტარიუსს, სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ორგანოში დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1433-ე მუხლების საფუძველზე თავისთავად ნიშნავდა გ. მ-შვილის მიერ მემკვიდრეობის მიღებას და მემკვიდრეობის გახსნის დღიდან -2005 წლის 21 თებერვლიდან მასზე საკუთრების უფლების წარმოშობას. პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, ართმევს თუ არა საქალაქო სასამართლოს დაუსწრე-

ბელი გადაწყვეტილება გ. მ-შვილს უფლებას უკვე მიღებულ მემკვიდრეობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1952 წლის 20 მარტის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, ხოლო მემკვიდრეობის მიღება სამკვიდროზე საკუთრების წარმოშობის საფუძველია. პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელით, რომელზეც მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გ. მ-შვილი ითხოვდა კონკრეტულად დასახელებული ნივთების 1/8-ს, თავად დაუსწრებელ გადაწყვეტილებაშიც დავის საგნად მითითებული სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა. სასამართლოს გ.მ-შვილისათვის მიღებული სამკვიდროს ჩამორთმევის საკითხი არ დაუდგენია. მოცემულ საქმეში გ.მ-შვილის სარჩელის საგანს წარმოადგენს მის მიმართ კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში ნოტარიუსის დადგენილების ბათილად ცნობა და სადავო სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ნოტარიუსის დავალდებულება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ გ.მ-შვილი პრეტენზიას აცხადებს სამკვიდროს 1/4-ზე. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ზემოხსენებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. მ-შვილს მიღებული მემკვიდრეობა არ ჩამორთმევა, მის სახელზე სამკვიდროს 1/4-ზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა. ამავე დასაბუთებითა და იმის გამოც, რომ გ.მ-შვილს სხვა მემკვიდრეთა სასარგებლოდ თავის წილზე უარი არ უთქვამს, პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა გ.მ-შვილის კუთვნილი წილის დანარჩენ მემკვიდრეებზე გადანაწილების თაობაზე და აღნიშნა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1452-1493 მუხლების შესაბამისად, კონკრეტული ნივთებიდან წილის გამოყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება თავისთავად მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს სხვაგვარად გაყოფას არ გამოიციხავს. პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში გ. მ-შვილს იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა და მოთხოვნა, ოთხივე მემკვიდრისათვის სამკვიდრო მოწმობების თანაბარწილად გაცემის თაობაზე დააკმაყოფილა.

საპედაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ზ-იამ, ი. და რ. მ-შვილებმა გასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს სამკვიდრო ქონებიდან წილის განსაზღვრის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მოწმობების გაცემის დავალდებულება კასატორთა სასარგებლოდ თითოეულისათვის 1/3-ის ოდენობით, ასევე, გ. მ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების უფლება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილ ვადაში კონკრეტული მოქმედებების შესრულების გზით. პალატამ თავად მიუთითა, რომ სამკვიდროზე მემკვიდრის საკუთრების უფლებას სწორედ სამკვიდროს მიღება წარმოშობს. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ 2007 წელს აღძრული სარჩელით გ.მ-შვილი ითხოვდა ი. მ-შვილის სამკვიდროდან 1/4-სა და არა 1/8-ს. აღნიშნულზე მითითება დასახელებულ სარჩელთა შორის განსხვავების არსებობას არ ადასტურებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, გ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა აღიარებითი ხასიათისაა, რაც დავის მიმართ მოსარჩელის მხრიდან მიღწევადი იურიდიული ინტერესის დადასტურებას საჭიროებს. მოცემულ შემთხვევაში გ.მ-შვილმა დავის მიმართ საკუთარი იურიდიული ინტერესის არარსებობა დაადასტურა იმით, რომ 2007 წელს აღძრული სარჩელის განხილვაზე არ გამოცხადდა, ხოლო ამავე მხარეებს შორის მეორე დავაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის საფუძველზე გამოიხმო სარჩელი. ასევე დაუსაბუთებელია მითითება იმაზე, რომ გ.მ-შვილს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, მოითხოვოს მიღებული და მისი კუთვნილი ქონებიდან წილის გამოყოფის საკითხი. გ.მ-შვილი აღნიშნული უფლების რეალიზებას შეეცადა 2007 წელს დაწყებული დავით, თუმცა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მან მითითებულის განხორციელება ვერ შესძლო. პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ კონკრეტული ნივთებიდან წილის გამოყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს სხვაგვარად გაყოფის შესაძლებლობას არ გამოიციხავს. ამ კუთხით სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის 1452-ე მუხლის დანაწესი და ყურადღება არ გაამახვილა, რომ გ.მ-შვილი იმთავითვე არასწორად შეეცადა სადავო სამკვიდროს მიღების უფლების რეალიზაციას, ვინაიდან პირველად მოითხოვა სამკვიდროს ნატურით გაყოფა, შემდეგ სამკვიდროდან წილის გამოყოფა და ბოლოს სამკვიდრო მოწმობის გაცემა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სამართლის არც ერთ ნორმას, რომელიც გ.მ-შვილის მოთხოვნის საფუძველიანობას დაასაბუთებდა და მხოლოდ მითითება, რომ ეს უკანასკნელი კანონისმიერი მემკვიდრეა, სადავო სამკვიდრო მიღებული აქვს და მისი მესაკუთრეა, გ.მ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ წარმოადგენს. პალატამ მიუთითა რა სამოქალაქო კო-

დექსის ნორმებზე, არ განმარტა ისინი კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. სასამართლომ არ იმსჯელა, გააჩნდა თუ არა 2007 წლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე და 266-ე მუხლებით გათვალისწინებული სავალადებულო ძალა, ასევე მოცემული დავის განხილვისას ამავე კოდექსის 180-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობასა და იმ გარემოებაზე, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1454-ე და 1469-ე მუხლების შესაბამისად, მხარეთა შორის სამკვიდროსთან დაკავშირებული დავა ამოიწურა. სასამართლოს არ უმსჯელია კასატორთა მითითებაზე, რომ გ.მ-შვილს შეტანილი აქვს განცხადება 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. აღნიშნულზე მას უარი ეთქვა 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით. მითითებული განჩინება არ გასაჩივრებულა. ზემოხსენებული განცხადებით, აპელანტი თავად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 2007 წლის დავა და ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია განსახილველ სარჩელთან. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა, როდესაც სხვაგვარად შეაფასა გარემოებანი, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იყო დადგენილი სამოქალაქო საქმეზე გ. მ-შვილის სარჩელის გამო მოპასუხეების დ. ზ-იას, რ. და ი. მ-შვილების მიმართ სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე სარჩელის საფუძველს შეადგენდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ი. მ-შვილის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მეუღლე -დ. ზ-ია, შვილები -ი. და რ. მ-შვილები და შვილი ყოფილი ქორწინებიდან -გ. მ-შვილი. დადგენილია ი. მ-შვილის სახელზე რიცხული სამკვიდრო ქონების მოცულობა. გ. მ-შვილმა წერილით მიმართა სხვა კანონით მემკვიდრეებს სამკვიდროს გაყოფის თაობაზე. მას პასუხი არც უარზე და არც თანხმობაზე გაუგზავნეს. ზემოხსენებული ფაქტები საფუძველად დაედო მის მოთხოვნას, სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფისა და მიკუთვნების (მესაკუთრედ ცნობას) თაობაზე. სარჩელის მოთხოვნა, სამკვიდრო ქონებიდან 1/8-ის მიკუთვნების შესახებ, ემყარება მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ იუ. მ-შვილის სახელზე რიცხული სამკვიდრო ქონება შეადგენდა ქორწინების განმავლობაში შეძენილ მეუღლეთა საერთო საკუთრებას, რის შესაბამისადაც სამკვიდროს განაწილება მემკვიდრეებს შორის მისი მითითებით უნდა მომხდარიყო მეუღლის დ. ზ-იას 1/2-ის გამოკლებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და 2007 წლის 29 ნოემბერს კანონიერ ძალაში შევიდა სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ მემკვიდრეებს შორის არსებობდა სამკვიდროს გაყოფის თაობაზე უთანხმოება, რომელიც ხელოვნურად წარმოშვა გ.მ-შვილმა. სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე აშკარაა მემკვიდრე გ. მ-შვილის სამკვიდრო ქონებიდან მისი კუთვნილი წილის მიკუთვნებისა და აღიარების არარსებობის ფაქტი და, შესაბამისად აღარ არსებობს ის დამოუკიდებელი წილი, რომლის მიმართაც გ. მ-შვილს ამჟამადაც და მომავალშიც შეიძლება გასჩენოდა უფლება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი მას უფლება მიეკუთვნა სამკვიდრო ქონების იმ წილზე, რომელზეც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასასაბუთებლად სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1433-ე მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმებს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, ხოლო ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ გ. მ-შვილმა 2005 წლის 1 მარტს მიმართა ნოტარიუს ე. ბ-იანს და მოითხოვა, მამის -2005 წლის 21 თებერვალს გარდაცვლილი, მამკვიდრებელ ი. მ-შვილის დანაშთ ქონებაზე დ. ზ-იასთან, ი. და რ. მ-შვილებთან თანაბარ წილში სამკვიდრო მოწმობის გაცემა. ამდენად, გ. მ-შვილმა კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღების შესახებ, რაც, კანონის თანახმად, მის მიერ სამკვიდროს მიღების უდავო დასტურია.

სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლით, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. მითითებული ნორმის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გ. მ-შვილი მემკვიდრეობის მიღებით სამკვიდრო ქონებაში მისი წილის შესაკუთრებლად გახდა მემკვიდრეობის გახსნის დღიდან -2005 წლის 21 თებერვლიდან. ამავდროულად დადგენილია, რომ გ. მ-შვილს თავისი საკუთრების უფლება არავისთვის გადაუცია და მასზე ვინმეს სასარგებლოდ უარი არ უთქვამს. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოქმედების განხორციელება საკმარისია სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენისათვის, რაც ამავე კოდექსის 1433-ე მუხლით ავტომატურად იწვევს მემკვიდრისათვის სამკვიდროს შესაკუთრის სტატუსის დადგენას.

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას გ. მ-შვილის სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით და განმარტავს, რომ საკუთრება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით კი, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი აუცილებლობისას. მითითებული ნორმებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, გ. მ-შვილი, როგორც მესაკუთრე, ითხოვს რა უფლებამოსილი ორგანოს -ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემას, მისი მოთხოვნა საფუძვლიანია, ვინაიდან მას დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საკუთრებაში მიღებული სამკვიდრო არ ჩამორთმევა.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს საქმეზე უდავოდ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ სასამართლომ განიხილა გ. მ-შვილის სარჩელი მოპასუხე დ. ზ-იას მიმართ ი. მ-შვილის სამკვიდრო ქონებიდან 1/8-ის გამოყოფის თაობაზე. სასარჩელო მოთხოვნა ითვალისწინებდა სამკვიდრო ქონებაში შემავალ კონკრეტული ნივთებიდან -ბინა-სახელოსნოდან, საბანკო ანგარიშზე არსებული თანხიდან და ავტომანქანა "ვაზ-21-09-იდან" 1/8-ის გამოყოფას. მოცემულ დავაში გ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილების გაუქმება და ი.მ-შვილის დანაშთი ქონების 1/4-ზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა, ხოლო მოპასუხეებად დასახელებული არიან ნოტარიუსი ე. ჯ-ძე, დ. ზ-ია, ი. და რ. მ-შვილები. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ ორივე შემთხვევაში სარჩელის საფუძვლად ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებებია მითითებული, მაგრამ ცხადია, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რომელზედაც გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება განსხვავდება განსახილველი სასარჩელო მოთხოვნისაგან. აღნიშნული დასაბუთებით, საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება 2007 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების პრეიუდიციულ ძალაზე მოცემულ საქმესთან მიმართებაში. ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. აღნიშნული ნორმა გადაწყვეტილების კანონიერ ძალას ავრცელებს მხოლოდ დავაში მონაწილე მხარეებზე. როგორც აღინიშნა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას საქმეზე მხარეებს წარმოადგენდნენ მოსარჩელე გ. მ-შვილი და მოპასუხე დ. ზ-ია.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის არგუმენტი, რომ არასწორად იქნა დადგენილი სამკვიდროს გახსნიდან გ.მ-შვილს საკუთრების უფლების წარმოშობა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გ.მ-შვილი სამკვიდრო მოწმობას არ მოითხოვდა და არც სასამართლოს მიმართავდა. გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში უკვე დასაბუთდა სამკვიდროს მიღებით საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები. რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობის მოთხოვნას, აღნიშ-

ნული მემკვიდრის უფლების დოკუმენტალურად დადასტურებისა და განხორციელების კანონით გათვალისწინებული საშუალებაა და მის გარეშე მემკვიდრის საკუთრების უფლების რეალიზაცია შეუძლებელია.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ გ. მ-შვილმა მის მიერ სასამართლოში წარდგენილი სხვადასხვა სარჩელებით დაკარგა საკუთრების დაცვისა და რეალიზაციის უფლება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საფუძვლებზე და საგანზე დავას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

#ას-1066-1333-09

14 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების მიღება, უძრავი ქონების ნაწილის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-ძე-ჩ-ძემ და ა. მ-უამ შეიტანეს სარჩელი და აღნიშნეს, რომ ი. ჩ-ძე გარდაიცვალა 1951 წელს. მას დარჩა სამი ვაჟი: დ., ა. და ი., ასევე, ერთი ქალიშვილი ოლია, რომლებიც გარდაიცვალნენ სხვადასხვა დროს, თავის მხრივ, დ. დარჩა ერთი ქალიშვილი ნ. და მეუღლე ნ. ა-ძე-ჩ-ძე, ა. ჩ-ძეს - შვილი ზ., ი. ჩ-ძეს - ლ. და მ., ო. ჩ-ძეს ვაჟები - ა. და ა. მ-უები.

ი. ჩ-ძის დანატოვარი ქონების ფლობას მისი სიკვდილის შემდეგ შეუდგა მისი ვაჟიშვილი დ., რომელიც იყო თანმყოფი მემკვიდრე შვილითა და მეუღლით. სამკვიდრო ქონებიდან გარკვეული ნივთების მიღებით სამკვიდრო მიიღო ქალიშვილმა ო., ნაწილობრივ შეხება ჰქონდა ამ ქონებასთან ივანეს.

დღეისათვის სამკვიდროს 1/4 მიღებული აქვს ლ. ჩ-ძეს, რაც შეეხება ა. მ-უასა და ნ. ა-ძეს, მათ მიერ წარდგენილი მასალები ნოტარიუსმა არ ცნო საკმარისად და დადგენილებით უარი თქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ვადის გაშვების გამო.

ზ. ჩ-ძეს არც ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით და არც ფაქტობრივი დაუფლებით აქვს სამკვიდრო მიღებული. ნ. ჩ-ძე 1951 წლიდან ფაქტობრივად ფლობს სამკვიდროს, ხოლო საოჯახო ნივთების სახით სამკვიდროს ნაწილი მიღებული აქვს ა. მ-უას. მოსარჩელებმა - ნ. ა-ძე-ჩ-ძემ და ა. მ-უამ მოითხოვეს, დადგენილ იქნეს ი. ჩ-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობით მიღებულად აღიარება და ბათუმში, ... ქუჩა #59-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-დან ზ. ჩ-ძის მიუღებელი წილის 2/3-ის მიკუთვნება.

ზ. ჩ-ძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ის არის ი. ჩ-ძის ქონების მემკვიდრე და მას ამ ქონებიდან ეკუთვნის სამკვიდრო ქონების 1/3, რადგან ის არის ი. ჩ-ძის შვილიშვილი. მისი მამა ა. ჩ-ძე არ არის ცოცხალი და მისი წილი ერგება მას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ჩ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი, უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჩ-ძემ, მოითხოვა გასაჩივრებულ განჩინების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, კასატორმა მოითხოვა განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ი. ჩ-ძის სახელზე ბათუმში, ... ქ-ის #59-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-დან მამის -ა. ჩ-ძის მიერ მიღებული წილის 2/3 მიეკუთვნა ა. მ-უასა და ნ. ა-ძე-ჩ-ძეს, აგრეთვე, ა. მ-უას მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების ნაწილში. კასატორმა ასევე, მოითხოვა საპატიოდ იქნეს მიჩნეული მის (ზ. ჩ-ძის) მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადა და გაუგრძელდეს მას გაშვებული ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტორების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით ზ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე პალატის სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. ჩ-ძე ფაქტობრივად არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და იგი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს წილი ი. ჩ-ძის სამკვიდრო ქონებიდან. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და არც მითითებული ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებიდან.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ზ. ჩ-ძის მამამ, ა. ჩ-ძემ, ფაქტობრივი ფლობით მიიღო სადავო ქონება. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ანუ ი. ჩ-ძის სამკვიდრო აღნიშნული ნორმის საფუძველზე გახდა ა. ჩ-ძის საკუთრება. იმისათვის, რომ ზემოთ მითითებულ ქონებაზე მოთხოვნა წარმოემვას ზ. ჩ-ძეს, აუცილებელი არ არის მან მიიღოს ბათუმში მდებარე საცხოვრებელი ბინა. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოსათვის აღნიშნული საკითხის გასარკვევად უმთავრესი უნდა ყოფილიყო არა ის გარემოება, დაეუფლა თუ არა ზ. ჩ-ძე ბათუმში მდებარე უძრავ ქონებას, არამედ მიიღო თუ არა მან მამის -ა. ჩ-ძის ქონების რაიმე ნაწილი. მიღების შემთხვევაში ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე მიღებულად ჩაითვლება ა. ჩ-ძის მთელი ქონება, მათ შორის, სადავო ქონებაც.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული საკითხი არასრულადაა სასამართლოს მიერ დასაბუთებული. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე, მათ შორის ა. მ-უას მემკვიდრეობის მიღების ფაქტზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ზ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ბათუმში, ... ქუჩა #59-ში მდებარე უძრავი ქონება ირიცხება ი. ჩ-ძის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1951 წელს. ი. ჩ-ძეს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე შვილი: დ., ა., ი. და ო. დ. ჩ-ძე გარდაიცვალა 1999 წელს; ო. ჩ-ძე-მ-უა გარდაიცვალა 1980 წელს, ასევე გარდაცვლილი არიან ანდრო და ი. ჩ-ძეები; დ. ჩ-ძეს დარჩა ქალიშვილი ნ. და მეუღლე ნ. ა-ძე-ჩ-ძე, ა. ჩ-ძეს - შვილი ზ. ჩ-ძე, ი. ჩ-ძეს - შვილები: ლ. და მ., ხოლო ო. ჩ-ძეს დარჩა შვილები -ა. და ა. მ-უები. 1951 წელს ი. ჩ-ძის გარდაცვალების დროს მისი პირველი რიგის მემკვიდრეები იყვნენ შვილები: დ., ა., ი. და ო. აღნიშნული პირებიდან სამკვიდრო მასას ფაქტობრივად დაეუფლნენ დ., ი. და ო., თუმცა სამკვიდრო მოწმობები არ აუღიათ.

სამკვიდროს მასას ფაქტობრივად არ დაუფლებია მოპასუხის -ზ. ჩ-ძის მამა ა. ჩ-ძე, რომელიც 1949 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში და სასჯელის მოხდიდან, მოპასუხის (ზ. ჩ-ძის) განმარტებით, გათავისუფლდა 13 წლის შემდეგ, რის შემდეგაც იგი მამის -ი. ჩ-ძის დანაშთ ქონებაზე საცხოვრებლად არ დაბრუნებულა და არც სამკვიდრო მოწმობა აუღია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. ჩ-ძეს არ მიუღია მამის -ი. ჩ-ძის სამკვიდრო ქონება, რადგანაც, როგორც აღინიშნა, მამის გარდაცვალების დროს (1951 წელს) იგი იმყოფებოდა პატიმრობაში (1949 წლიდან) და იქიდან გათავისუფლდა მხოლოდ 13 წლის შემდეგ, შესაბამისად, იგი არ დაუფლებია ქონებას ფაქტობრივად, ასევე, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მას არ მიუძღრათვის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი, გაშვებული ექსტოვიანი ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსთვის, რის გამოც მან დაკარგა სამკვიდროს მიღების უფლება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ა. ჩ-მეს მამის ი. ჩ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლში არ უცხოვრია და მან ცხოვრება გააგრძელა ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე კომუნალურ ბინაში, სადაც გარდაიცვალა 1993 წელს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზ. ჩ-ძის მამამ -ა. ჩ-ძემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სადავო ქონება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ა. ჩ-ძის მამას სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია მისი პატიმრობაში ყოფნის გამო, ხოლო პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ კი მან არ გამოიყენა კანონით დადგენილი უფლება სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ექვსთვიანი ვადის საპატიოდ ჩათვლისა და ვადის გაგრძელების თაობაზე, რის გამოც ა. ჩ-ძემ დაკარგა სამკვიდროს მიღების უფლება.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, ის გარემოება, რომ ი. ჩ-ძის დანატოვარი ქონების ფლობას მისი სიკვდილის შემდეგ შეუდგებოდა მისი ვაჟიშვილი დ., რომელიც გარდაიცვალა 1998 წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ სახლთმფლობელობის მოვლა-პატრონობას აგრძელებს დ. ჩ-ძის ცოლი ნ. ა-ძე-ჩ-ძე, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი აქირავებდა სახლს და ღებულობდა ქირის თანხას, გარდა ამისა, ასრულებდა გადაუდებელ სამუშაოებს, აღნიშნული გარემოება დასტურდება მოწმეთა განმარტებებითა და მოპასუხე ზ. ჩ-ძის განმარტებით, მას სახლში ჰყავდა მდგმურები. მდგმურების მიღება და მათთან გარიგების დადება თავისთავად მიუთითებს სამკვიდრო ქონების განკარგვაზე. ამ გარემოებათა საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ა-ძე-ჩ-ძემ მიიღო ი. ჩ-ძის სამკვიდრო ქონების 1/4.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საფუძველიანია მოსარჩელეთა მოთხოვნა იმ წილის მიღების თაობაზე, რომელსაც მემკვიდრეობით მიიღებდა ზ. ჩ-ძე, თუ აღნიშნულ წილს თავის დროზე მიიღებდა მამა -ა. ჩ-ძე. მან კი დაკარგა რა სამკვიდროს მიღების უფლება, დასახელებული წილი უნდა გადანაწილდეს დანარჩენ მემკვიდრეებზე, კერძოდ, სამკვიდრო ქონება უნდა გადანაწილდეს ი., თ. და დ. ჩ-ძის მემკვიდრეებზე, როგორც მეორე რიგის მემკვიდრეებზე. სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა 1336-ე მუხლზე.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჩ-ძემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. 59-ში მდებარე უძრავი ქონება ირიცხება ი. ჩ-ძის საკუთრებაში. იგი გარდაიცვალა 1951 წელს. მას დარჩა მემკვიდრეები შვილების სახით. მათ სამკვიდრო ქონების მიღებისათვის არ მიუმართავთ სანოტარო ორგანოში და არ მიუღიათ სამკვიდრო მოწმობა, თუმცა განაგრძობდნენ სამკვიდრო ქონების ფლობას. ნოტარიუსისათვის არც ერთ შვილს არ მიუმართავს და ყველა ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდრო ქონებას და სააპელაციო სასამართლომ კი მამის კუთვნილი ქონების ნაწილი მიაკუთვნა ა. მ-უასა და ნ. ა-ძე-ჩ-ძეს სრულიად უკანონოდ, ასევე, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად ადგენს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას. აღნიშნული ნორმის თანახმად, იგი არის მამამისის პირველი რიგის მემკვიდრე, რაც გამორიცხავს ა. მ-უასა და ნ. ჩ-ძის მემკვიდრეობას მამისის წილ ქონებაზე.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ი. ჩ-ძის სახელზე ქ. ბათუმში, ... ქ. #59-ში მდებარე უძრავი ქონების 2/3 გადაეცა ნ. ა-ძე-ჩ-ძეს, აგრეთვე, ა. მ-უას მიერ ი. ჩ-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობის მფლობელობით მიღების ფაქტის დადგენის ნაწილში. კასატორმა ასევე მოითხოვა საპატიოდ იქნეს მიჩნეული მის მიერ გამოვლული სამკვიდროს მიღების ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ ზ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #59-ში მდებარე უძრავი ქონება ირიცხება ი. ჩ-ძის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1951 წელს; ი. ჩ-ძეს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე -შვილები: დ., ა., ი. და თ.; დ. ჩ-ძე გარდაიცვალა 1999 წელს, თ. ჩ-ძე-მ-უა გარდაიცვალა 1980 წელს, ასევე გარდაიცვლილი არიან ა. და ი. ჩ-ძეები; დ. ჩ-ძეს დარჩა ქალიშვილი ნ. და მეუღლე ნ. ა-ძე-ჩ-ძე, ა. ჩ-ძე -შვილი ზ. ჩ-ძე, ი. ჩ-ძეს -ლ. და მ. თ. ჩ-ძეს -შვილები -ა. და ა. მ-უა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 1951 წელს ი. ჩ-ძის გარდაცვალების დროს მისი პირველი რიგის მემკვიდრეები იყვნენ შვილები -დ., ა., ი. და თ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა თუ არა ზ. ჩ-ძის მამა -ა. ჩ-ძე სამკვიდ-

რო მასას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სამკვიდრო მასას ფაქტობრივად არ დაეუფლა მოპასუხის მამა ა. ჩ-მე, რომელიც 1949 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში და სასჯელის მოხდიდან მოპასუხის (ზ. ჩ-მის) განმარტებით, გათავისუფლდა 13 წლის შემდეგ, რის შემდეგაც იგი მამის -ი. ჩ-მის დანაშთ ქონებაზე საცხოვრებლად არ დაბრუნებულა და არც სამკვიდრო მიუღია.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. ამ გარიგებით გამოვლენილი ნება ჩაითვლება ნამდვილად, თუ მემკვიდრე მიმართავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ა. ჩ-მის მიერ სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სადავო საკითხი უნდა მოწესრიგდეს ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის 26 დეკემბერი) 556-ე მუხლის მე-2 აზნაცის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდება მისი ნება, გახდეს სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. კონკლუდენტური მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მემკვიდრემ ფაქტობრივად უკვე დაიწყო თავისი უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ სამკვიდროს ფლობა და მართვა ერთმანეთისაგან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივი ფლობის (მამკვიდრებლის სახლში ცხოვრების) ფაქტს. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის მანძილზე და რომლითაც დასტურდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება, საკმარისია, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მიღებულად. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის 26 დეკემბერი) 556-ე მუხლის მე-2 აზნაცის თანახმად, ისეთ კონკლუდენტურ მოქმედებებს, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მართვაზე, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს იმ შემთხვევებში, როდესაც მემკვიდრე, მართალია, არ ფლობს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან, კერძოდ, (იხდის კომუნალურ გადასახადებს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ.) ირკვევა, რომ ამ ქონებას იგი თავისად მიიჩნევს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის მომენტში (1951 წელს) მოპასუხის მამა ა. ჩ-მე 1949 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში და სასჯელის მოხდიდან, მოპასუხე ზ. ჩ-მის განმარტებით, გათავისუფლდა 13 წლის შემდეგ, რის შემდეგაც იგი მამის -ი. ჩ-მის დანაშთ საცხოვრებელ სახლში საცხოვრებლად არ დაბრუნებულა და არც სამკვიდრო მიუღია. კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ის, რომ საკასაციო საჩივარი არ უთითებს და არც საქმეში მოიპოვება მტკიცებულებები, რომელიც უნდა შეეფასებინა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც დასტურდება ა. ჩ-მის პატიმრობაში აყვანამდე (1949 წლამდე) მისი სადავო სახლში ცხოვრების ფაქტი. აღნიშნული ფაქტის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ა. ჩ-მე ცხოვრობდა (ფლობდა) სადავო სახლში მის დაპატიმრებამდე, პატიმრობის პერიოდში იგი ფლობდა სადავო სახლს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება. კასატორი ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ა. ჩ-მეს არ მიუღია სამკვიდრო ქონება. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ

მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღების ვადა

განჩინება

#ას-92-87-10

3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ძ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხეებს რ. ძ-ძესა და ლ. ა-ძეს დაევალით, მოსარჩელი-სათვის მათთან არსებული, 1995 წელს გამოშვებული მუქი ლურჯი ავტომანქანა "ტოიოტა 4 რანერის" გადაცემა, ასევე, 1990 წელს გამოშვებული მუქი ლურჯი „ოპელ ომეგა 24-ისა“ და რ. ძ-ძის სახელზე რეგისტრირებული წითელი ავტომისამბელის გადაცემა, დანარჩენ ნაწილში სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. ლ. ა-ძე-ძ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. და რ. ძ-ძეებმა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ა-ძე-ძ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება ნ. ძ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების იმ ნაწილში, რომლითაც დაევალით მოპასუხეებს მოსარჩელესთვის მათთან არსებული, 1995 წელს გამოშვებული მუქი ლურჯი ავტომანქანა "ტოიოტა 4 რანერის" გადაცემა. ნ. ძ-ძის სარჩელი ავტომანქანა "ტოიოტას" მიკუთვნების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება - ლ. ა-ძე-ვაგნიძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლ. ა-ძე-ძ-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ლ. ა-ძე-ძ-ძე ცნობილი იქნა მისი შვილის - რ. ძ-ძის დანაშთი ქონების 1/5-ის მემკვიდრედ; დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რ. ძ-ძე და ნანა თევზაძე დაქორწინდნენ 1985 წლის 15 მაისს. ქორწინების შემდეგ ცოლს მიეკუთვნა გვარი -ძ-ძე. რ. ძ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 10 დეკემბერს.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ რ. ძ-ძეს დარჩა 5 პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე - ნ. ძ-ძე, შვილები - ზ., რ. და რ. ძ-ძეები და დედა ლ. ა-ძე;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ რ. ძ-ძის გარდაცვალებამდე მის სახელზე ირიცხებოდა ვანის რ-ნის სოფ. ...-ში საცხოვრებელი სახლი სა-

ერთო ფართით 173,0 კვ.მ, მათ შორის, საცხოვრებელი 103,0 კვ.მ, დამხმარე -70 კვ.მ და მიწის ნაკვეთი -1500 კვ.მ.

სადავო ავტომატები, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, სწორედ რ. მ-ძეს ეკუთვნოდა, ამ უკანასკნელის გარდაცვალების დღიდან იმყოფება ლ. ა-ძის მფლობელობაში.

პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ რ. მ-ძის ოჯახი იყო საკოლმეურნეო კომლი.

პალატამ განმარტა, რომ მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრთა საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული. კანონის აღნიშნული ნორმა გაუქმდა 2000 წლის 14 ივნისის კანონით. ამ კანონის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი უთითებს, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დანაწესი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და საადგილმამულო მეურნეობაზე კომლის წევრთა თანასაკუთრების არსებობა მოწესრიგებულიყო სამოქალაქო კანონმდებლობით.

პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულება იმისა, რაც დაადასტურებდა სადავო ქონებაზე არა მხოლოდ რ. მ-ძის, არამედ მოსარჩელე ნ. მ-ძისა და მათი შვილების კუთვნილების (თანასაკუთრების) ფაქტს -მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა მხოლოდ რ. მ-ძის სამკვიდრო ქონება, რომლის მემკვიდრეებიც თანაბარწილად არიან ნ., რ., ზ., რ. მ-ძეები და გარდაცვლილის დედა -ლ. ა-ძე.

პალატამ მიუთითა, რომ თავად ნ. მ-ძის სარჩელიდან ირკვეოდა ის გარემოება, რომ რ. მ-ძის კუთვნილი ავტომატებია „ოპელ-ომეგა“, ანუ სამკვიდროს ნაწილი, იყო ლ. მ-ძის მფლობელობაში, ანუ გარიკვა, რომ ლ. მ-ძე წარმოადგენდა რ. მ-ძის ერთ-ერთ მემკვიდრეს, სხვა ოთხ იმავე რიგის მემკვიდრესთან ერთად, რომელმაც სამკვიდროს ნაწილის ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო მემკვიდრეობა.

ზემოთმითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა გათვალისწინებით პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია, ლ. მ-ძის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რ. მ-ძის სამკვიდროს 1/5-ის მემკვიდრედ ცნობის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ., რ., ზ. და რ. მ-ძეებმა.

კასატორთა აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება სადავო ქონების კომლის ქონებად ჩათვლასთან დაკავშირებით იყო არასაკმარისი. სასამართლო, გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაში აღნიშნავდა, რომ მეუღლეთა ან ოჯახის წევრთა თანასაკუთრების საადგილმამულო წიგნში რეგისტრაციის აუცილებლობა გაუქმდა 2000 წლის 14 ივნისის კანონით. კასატორთა განმარტებით, გადაწყვეტილებაში არაა მითითებული, კერძოდ, რომელ კანონზეა საუბარი, ასევე, სასამართლომ არ მიუთითა, სამოქალაქო კოდექსის რომელი ნორმის გამოყენებით არ ჩაითვალა სადავო ქონება კომლის ქონებად და რატომ არ წარმოადგენდა ეს ქონება კომლის თუ არა, თუნდაც მეუღლეთა -რ. და ნ. მ-ძეების თანასაკუთრებას.

კასატორთა მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი. სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით განესაზღვარა ლ. მ-ძის წილი, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო 1/10-ზე მეტი.

კასატორთა განცხადებით, მათ სანოტარო წესით მემკვიდრეობის მიღების გზით გაიფორმეს საკუთრება კომლის ქონებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, განიხილა საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ ნ., რ., ზ. და რ. მ-ძეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა აზრს იმის თაობაზე, რომ რ. მ-ძის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო არ უნდა გახსნილიყო, რადგან იგი წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლის ქონებას. პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 122-ე მუხლის თანახმად საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა კომლის წევრთა თანასაკუთრებას. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის #949 დადგენილებისა და სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის #29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანი-

ზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებასთან ერთად არსებობა შეწყვიტა საკოლმეურნეო კომლმაც და მასზე გავრცელდა სანივთო სამართლებრივი ნორმები, რაც მოქმედებდა იმ დროისათვის ან მიღებულ იქნა შემდგომში. შესაბამისად, ვინაიდან, საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა კომლის წევრთა თანასაკუთრებას, კომლის ქონება ჩაითვალა იმ პირთა თანასაკუთრებად, რომლებიც მითითებული ნორმატიული აქტების მიღებამდე რეგისტრირებული იყვნენ ამ კომლის წევრებად. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სამეკვიდრეო წილებთან მიმართებაში, პალატა საფუძვლიანად მიიჩნევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორებმა ნ., რ., ზ. და რ. მ-მეებმა ისარგებლეს საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ (ლ. მ-მისათვის სამკვიდრო ქონებიდან 1/5-ის განსაზღვრა) დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინეს.

საკასაციო პალატა ეთანხმება ნ., რ., ზ. და რ. მ-მეების მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა სამკვიდრო ქონება მემკვიდრეებს შორის.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა, როგორ უნდა გაიყოს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ სამკვიდრო ქონება მემკვიდრეებს შორის, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენს შეადგენს ლ. მ-მის წილი რ. მ-მის სამკვიდრო ქონებაზე (მოცემულ შემთხვევაში დავა შეეხება მხოლოდ ავტომობილებს). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სამკვიდრო ქონებიდან ლ. მ-მის წილი შეადგენს 1/5-ს. სააპელაციო სასამართლომ ისე მოახდინა აღნიშნული წილის განსაზღვრა, რომ არ დაადგინა თუ როდის იყო შეძენილი ეს ქონება. სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას).

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, მეუღლეთა საერთო საკუთრებაა მხოლოდ ის ქონება, რომელიც მათ რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნისას შეიძინეს. კანონმდებელი ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობას უკავშირებს ქორწინების პერიოდს, როდესაც ისინი ერთიანი ძალებით უძღვებიან საოჯახო მეურნეობას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც წარდგენილია საქმეში (ქორწინების მოწმობა) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო გამოკვლეული სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოარკვია, სადავო ქონება წარმოადგენდა თუ არა მეუღლეთა თანასაკუთრებას, რისი დადგენის შემთხვევაში საქმეზე შესაძლოა სხვა სამართლებრივი შედეგი დადგეს. იმ შემთხვევაში, თუ სადავო ქონება შეძენილია ქორწინების პერიოდში სამკვიდრო გაიხსნება მხოლოდ სადავო ქონების ნახევარზე. ასეთ შემთხვევაში კი ლ. მ-მის წილი არ შეიძლება შეადგენდეს 1/5-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება, წარმოადგენს თუ არა აწ გარდაცვლილი რ. მ-მის და ნ. მ-მის თანასაკუთრებას სადავო ქონება. მოცემული გარემოების დადგენის შემდეგ განსაზღვროს ლ. მ-მის წილის ოდენობა და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ., რ., ზ. და რ. მ-მეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-274-259-2010

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანამესაკუთრედ და მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 11 ნოემბერს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. კ-ვამ მოპასუხე ე. თ-ვას მიმართ. სარჩელის დაზუსტების შედეგად მოსარჩელის მოთხოვნები საბოლოოდ შემდეგნაირად განისაზღვრა: ა) ქობულეთში, ... ქ. #139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ზე თანამესაკუთრედ ცნობა; ბ) საცხოვრებელი სახლის დარჩენილი 1/2-დან მოსარჩელისათვის, როგორც პირველი რიგის თანმყოფი მემკვიდრისათვის 1/2-ის გამოყოფა, ანუ მთლიანობაში სახლის 3/4-ზე მესაკუთრედ აღიარება; გ) ე. თ-ვას სახელზე 1994 წლის 29 აგვისტოს გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

თ. კ-ვა 1984 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა რ. თ-ვასთან. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 1994 წელს. რ. თ-ვას პირველი ქორწინებიდან დარჩა შვილები: აწ გარდაცვლილი თ. თ-ვა (გარდაიცვალა 1991 წელს), ე. თ-ვა და ქალიშვილი მ. თ-ვა. გარდაცვლილ თ. თ-ვას დარჩა შვილი ნ. თ-ვა. ოჯახში მისულ მოსარჩელეს მ. თ-ვა დაოჯახებული დახვდა. იგი თბილისში ცხოვრობდა. რაც შეეხება თ. თ-ვას შვილს -ნ. თ-ვას, 1991 წელს მხარეთა შორის მიმდინარე დავა, სადაც მხარეს მ. თ-ვას დედაც წარმოადგენდა, მორიგებით დამთავრდა და მაშინდელი მოსარჩელე მხარე ანუ მ. თ-ვა და დედამისი ოჯახმა თანხით გაისტუმრა.

მოსარჩელის განმარტებით, ოჯახში ცხოვრობდნენ ის, თავისი აწ გარდაცვლილი მეუღლე და მოპასუხე ე. თ-ვა. 1984 წელს, როცა მოსარჩელე საცხოვრებლად სადავო სახლში გადავიდა, სახლი მთლიანად შეკეთებას საჭიროებდა. სწორედ ამის გამო შეიცვალა სახურავი -დაიხურა სახლი. სახლს ორი მხრიდან შემოაკრეს ალუმინის ღარიანი თუნუქი, ხოლო ორი მხრიდან ფერადი ქვიშით შელესეს, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ააშენეს სამზარეულო და აბაზანა, ასევე, გაკეთდა კაპიტალური რემონტი სახლის შიდა მხარეს, შეიცვალა კარ-ფანჯრები, სახლის პირველ სართულზე გაკეთდა მანქანის კაპიტალური ავტოსადგომი, რომელშიც შემდგომ სასადილო მოაწყვეს, რაც შეიძლებოდა შეარემონტეს სახლის პირველი სართული, გაიყვანეს კანალიზაცია, კეთილმოაწყვეს სახლის წინა ეზო; გარდა ამისა, მოსარჩელეს ოჯახიდან სამი მიცვალებულის გასვენება მოუხდა, რაც გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; ასევე უვლიდა და მკურნალობდა ქმრის აწ გარდაცვლილ მამიდას, რაშიც ეხმარებოდნენ თავისი დისშვილები.

მოსარჩელის მითითებით, იგი წარმოადგენდა ე. თ-ვას სახელზე რიცხული ქონების თანამესაკუთრეს, რადგან ქონება, რომელიც ე. თ-ვამ მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან, არ წარმოადგენდა მხოლოდ გარდაცვლილი რ. თ-ვას საკუთრებას, არამედ იგი იყო მეუღლეთა თანასაკუთრება, ხოლო დარჩენილი 1/2-დან მას, როგორც რ. თ-ვას პირველი რიგის თანმყოფ კანონისმიერ მემკვიდრეს, 1/2 ეკუთვნოდა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ მ. თ-ვა და ნ. თ-ვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით, თ. კ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-ვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, სადავო სამკვიდრო ქონების -ქობულეთში, ... ქ. მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობა; დარჩენილი 1/2-დან მოსარჩელისათვის, როგორც პირველი რიგის მემკვიდრისათვის 1/2-ის გამოყოფა; სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. კ-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - მოსარჩელე ცნობილ იქნა ქობულეთში, ... #139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 3/4-ის მესაკუთრედ. შესაბამისი ცვლილება შევიდა ქობულეთის ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ 1994 წლის 29 აგვისტოს ე. თ-ვას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 1 სექტემბრის ჩანაწერებში, ქობულეთში, ... ქ. #139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 3/4 აღირცხა თ. კ-ვას საკუთრებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, ე. თ-ვას საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით თ. კ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე თ. კ-ვა 1984 წელს რეგისტრირებული ქორწინებით ცოლად გაჰყვა აწ გარდაცვლილ რ. თ-ვას;

1994 წელს გარდაიცვალა რ. თ-ვა, რომელსაც პირველი ქორწინებიდან დარჩა შვილები: აწ გარდაცვლილი თ. თ-ვა, ე. და მ. თ-ვები;

1994 წლის 29 აგვისტოს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე ქ. ქობულეთში, ... ქ. მდებარე სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ აღირცხა ე. თ-ვა, რომელმაც განახორციელა აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაცია;

2005 წლის 23 აგვისტოს თ. კ-ვამ სარჩელი აღძრა ე. თ-ვას მიმართ და მოითხოვა 1994 წლის 29 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა. აღნიშნული საქმის წარმოება შეწყდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, თ. კ-ვას განცხადების საფუძველზე. დასახელებული განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ რ. თ-ვას სამკვიდრო გაიხსნა 1994 წელს. სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღო და საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა ე. თ-ვამ. სამკვიდრო ქონება (აქტივი), როგორც სამართლის ობიექტი, არსებობს მისი გახსნიდან, მემკვიდრის მიერ მის მიღებამდე, ხოლო სამკვიდროს მიღების შემდეგ ქონება უკვე წარმოადგენს მემკვიდრის საკუთრებას. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ქონება სამკვიდრო მასას არ წარმოადგენდა, იგი ე. თ-ვას საკუთრება იყო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თ. კ-ვამ 2005 წელს სარჩელის აღძვრით განახორციელა შედავება სამკვიდროს მიღებაზე, რაც დაასრულა იმით, რომ მის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე (სასარჩელო მოთხოვნაზე) შემდგომში უარი განაცხადა. მოსარჩელის ამ მოქმედების შედეგად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით თ. კ-ვას სარჩელზე წარმოება შეწყდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული განჩინებით თ. კ-ვას სამკვიდროზე კვლავ შედავების უფლება მოესპო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საფუძველი ეცლებოდა თ. კ-ვას დანარჩენ სასარჩელო მოთხოვნებსაც (მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა), რამდენადაც იმ ქონების სამართლებრივი ბედი, რაზედაც მოსარჩელე დაობდა, უკვე მთლიანად იყო დაკავშირებული ე. თ-ვასთან, იყო მისი საკუთრება, რომლის მიღებაზეც მან კანონით დადგენილი წესით იზრუნა, ხოლო თ. კ-ვამ თავისი ნებით ამ უფლების გამოყენებაზე უარი თქვა, რის დასტურსაც წარმოადგენდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. თ-ვას სამკვიდრო ქონება აღარ არსებობდა, რაც მთლიანად გამორიცხავდა თ. კ-ვას სარჩელის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-ვამ (წარმომადგენელი ვ. ხ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ 2005 წელს სარჩელის აღძვრით და მასზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანით თ. კ-ვას სამკვიდროზე კვლავ შედავების უფლება მოესპო. რეალურად, მითითებული სარჩელისა და ამჟამად განსახილველი სარჩელის მოთხოვნები არ არის იდენტური, ამასთან, დასახელებულ შემთხვევებში არც სარჩელების საფუძველებია ერთი და იგივე.

კასატორი არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას იმ ნაწილში, სადაც თ. კ-ვას სარჩელის დაკმაყოფილების გამომრიცხველ გარემოებად მითითებულია სადავო სახლზე ე. თ-ვას საკუთრების უფლების არსებობა. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, მაგრამ ეს მუხლი უშვებს გამონაკლისს იმ შემთხვევაში, როდესაც რეესტრის ჩანაწერი უზუსტოა. კასატორის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ამ მოთხოვნიდან უნდა გამოსულიყო. მოპასუხე ე. თ-ვამ კარგად იცოდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, 1994 წლიდან, სამკვიდრო ქონებას განკარგავდა და ფლობდა მოსარჩელე, უვლიდა მას, იხდიდა გადასახადებს. მან იცოდა, რომ თ. კ-ვა იყო პირველი რიგის თანმყოფი მემკვიდრე, რომელსაც სამკვიდრო ქონება მიღებული ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული მუხლით მიღებული ქონება ვადით შეზღუდული არ არის. ამდენად, მოპასუხემ მალულად, პირველი რიგის მემკვიდრეების გვერდის ავლით მიიღო სხვისი წილი ქონება, რაზეც სასამართლოს შეფასება არ მიუცია.

კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ სადავო სამკვიდრო ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თ. კ-ვა 1984 წლიდან რეესტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მამკვიდრებელთან. საქმეზე წარდგენილი სახლის პროექტებით დადგენილია, რომ სახლის მოცულობა, გარეგნული სახე და შიგა განლაგება 1984 წლამდე სხვა იყო, ხოლო სახლის რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის შემდეგ შეიცვალა მისი როგორც გარეგნული სახე, ისე, შიდა განლაგება.

კასატორისათვის გაუგებარია, თუ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო ქონებაზე თანამესაკუთრების ფაქტი, რატომ ეთქვა მას, როგორც პირველი რიგის თანმყოფ მემკვიდრეს, უარი სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფაზე.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სამკვიდრო ქონება, როგორც სამართლის ობიექტი არსებობს მისი გახსნის დღიდან მემკვიდრის მიერ მის მიღებამდე. თ. კ-ვამ სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი ფლობით. ის გარემოება, რომ სამკვიდრო ქონება ე. თ-ვამ აღირიცხა თავის საკუთრებაში, მოსარჩელემ შეიტყო 2005 წელს, რის შემდგომაც პირველ რიგში შეეცადა დაედგინა ამავე ქონებაზე მისი თანამესაკუთრება. ამჯერად იგი ითხოვს სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრში ჩანაწერებში სათანადო ცვლილებების შეტანას, რაც ძირითადი მოთხოვნის თანმდევი შედეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

თ. კ-ვა არის 1994 წელს გარდაცვლილი რ. თ-ვას მეუღლე. ისინი რეესტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1984 წლიდან;

რ. თ-ვას პირველი ქორწინებიდან დარჩა შვილები: აწ გარდაცვლილი თ. თ-ვა, ე. და მ. თ-ვები;

1994 წლის 29 აგვისტოს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე რ. თ-ვას სამკვიდრო ქონების -ქ. ქობულეთში, ...ქ. მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა ე. თ-ვა.

თ. კ-ვა მეუღლის -რ. თ-ვას გარდაცვალების შემდეგ დღემდე აგრძელებს ცხოვრებას მამკვიდრებლის კუთვნილ, ქ. ქობულეთში, ... -ში მდებარე საცხოვრებელ სახლში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ, რამდენადაც არსებობს თ. კ-ვას სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ კანონიერ ძალაში შესული ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინება, მას რ. თ-ვას სამკვიდროზე კვლავ შედავების უფლება მოესპო. საქმის მასალების თანახმად, 2005 წლის 23 აგვისტოს თ. კ-ვამ ადმრა სარჩელი ქობულეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების -ქობულეთის სანოტარო კანტორის ნოტარიუს მ. კ-მესა და ე. თ-ვას მიმართ და მოითხოვა სანოტარო მოქმედების გაუქმება. შემდგომ მან იშუამდგომლა აღნიშნული სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით თ. კ-ვას სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა სარჩელზე უარის თქმის გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. კ-ვამ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინება, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დადგენილი იქნება თ. კ-ვას მიერ 2005 წლის 23 აგვისტოს აღძრული თავდაპირველი სარჩელისა და განსახილველი სარჩელის იგივეობა. თავის მხრივ, სარჩელთა იგივეობა გულისხმობს სასარჩელო მოთხოვნების (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძვლებისა და მხარეთა შემადგენლობის იდენტურობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი). სარჩელის საფუძვლების იდენტურობის საკითხის სწორად შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. ამასთან, აუცილებელია, რომ ყველა აღნიშნული კომპონენტი ერთობლიობაში იყოს ზედმიწევნით იდენტური, რამდენადაც შესაბამისი საპროცესო შედეგი, რასაც ერთხელ უკვე განხილული სარჩელის განმეორებით აღძვრა იწვევს, საკმაოდ მკაცრია და პირის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების - მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას უკავშირდება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. კ-ვას მიერ 2005 წლის აგვისტოში აღძრული სარჩელისა და მოცემულ შემთხვევაში განსახილველი სარჩელის მოთხოვნების, საფუძვლებისა და მხარეთა შემადგენლობის შედარება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სარჩელები არ არის იდენტური. კერძოდ, თ. კ-ვას მიერ აღძრული პირველი სარჩელის მოთხოვნაა სანოტარო მოქმედების გაუქმება. ამ სარჩელზე მოპასუხეები არიან ე. თ-ვა და ქობულეთის სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მ. კ-ძე. სარჩელის საფუძველია ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების განხორციელება თ. კ-ვას, როგორც კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრის სავალდებულო თანხმობის გარეშე. განსახილველი სარჩელის მოთხოვნას კი წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის 3/4-ზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, ე. თ-ვას სახელზე 1994 წლის 29 აგვისტოს გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების შეტანა. ამ სარჩელის საფუძველია ის გარემოება, რომ თ. კ-ვას სადავო საცხოვრებელ სახლზე მემკვიდრეობა ფაქტობრივი მფლობელობით აქვს მიღებული და რომ იგი, იმავდროულად, ამავე საცხოვრებელი სახლის ნახევრის თანამესაკუთრეა, რამდენადაც ქონების ღირებულება მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ, თუკი სააპელაციო სასამართლოს მოცემული სარჩელები მიაჩნდა იდენტურად და თვლიდა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანსა და იმავე საფუძველით წარმოებულ დავას, ასეთ შემთხვევაში მას საქმეზე უნდა შეეწყვიტა წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და არა არსებითად ემსჯელა სარჩელის საფუძველიანობაზე.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში თ. კ-ვას სარჩელის საკითხი უნდა გადაწყდეს მის მიერ 2005 წლის აგვისტოში აღძრული სარჩელისაგან დამოუკიდებლად და ამ სარჩელზე გამოტანილი განჩინების არსებობა ხელს არ უშლის თ. კ-ვას მოცემული სარჩელის განხილვას.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, ხოლო ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავდა ძველი სამოქალაქო კოდექსის 556-ე მუხლიც.

მოცემულ საქმეზე სადავო არ არის ის გარემოება, რომ თ. კ-ვა სამკვიდრებელ რ. თ-ვას გარდაცვალების შემდეგ განაგრძობდა ცხოვრებას ქობულეთში, ... ქ. მდებარე სახლში, სადაც ცხოვრობს დღესაც. ამდენად, თ. კ-ვას ფაქტობრივი ფლობით უდავოდ მიღებული აქვს რ. თ-ვას სამკვიდრო და წარმოადგენს სამკვიდროში მისი კუთვნილი წილის მესაკუთრეს. ასევე დადგენილია, რომ თ. კ-ვას თავისი საკუთრების უფლება არავისთვის არ გადაუცია და მასზე ვინმეს სასარგებლოდ უარი არ უთქვამს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი აუცილებლობისას. მითითებული ნორმებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, თ. კ-ვას, როგორც მესაკუთრის, მოთხოვნა მემკვიდრედ ცნობისა და სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის შესახებ საფუძველიანია, ვინაიდან მას ქობულეთის რა-

იონული სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საკუთრებაში მიღებული სამკვიდრო არ ჩამორთმევა და არც ე. თ-ვას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაზე შედავების უფლება წართმევა.

რაც შეეხება თ. კ-ვას სარჩელის მოთხოვნას სადავო უძრავ ქონებაზე, როგორც მეუღლეთა ერთობლივი თანაცხოვრების პერიოდში გაუმჯობესებულ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა მოკლებულია საფუძვლიანობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კასატორი ვერ მიუთითებს უტყუარ მტკიცებულებებზე, რაც სარწმუნოდ დადასტურებდა სადავო ქონების ღირებულების მნიშვნელოვან გაზრდას სწორედ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში. სახლის საბაზრო ღირებულების ჩვეულებრივი გაზრდა კი, რაც დაკავშირებულია ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად უძრავი ქონების ფასის დროში ცვლილებასთან, ვერ ჩაითვლება ღირებულების ისეთ გაზრდად, რაც მეუღლის თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიაჩნია მოწინააღმდეგე მხარე ე. თ-ვას მითითება თ. კ-ვას სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, რამდენადაც იგი ვერ მიუთითებს საქმეში არსებულ რომელიმე მასალაზე, რომლის თანახმად დგინდება, თუ, კონკრეტულად, როდის შეიტყო თ. კ-ვამ ე. თ-ვას სამკვიდრო მოწმობის შესახებ.

რაც შეეხება თ. კ-ვას, როგორც მემკვიდრის კუთვნილ წილს სამკვიდროდან, იგი ცნობილ უნდა იქნეს ქ. ქობულეთში, ... ქ. მდებარე სახლის 1/2-ში მემკვიდრედ და მესაკუთრედ, რამდენადაც, საქმის მასალების თანახმად, აღნიშნულ სამკვიდროზე პრეტენზიას აცხადებს მხოლოდ ორი კანონისმიერი მემკვიდრე - თ. კ-ვა და ე. თ-ვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით თ. კ-ვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

თ. კ-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება თ. კ-ვასათვის სამკვიდრო წილის გამოყოფაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

თ. კ-ვას სარჩელი ქ. ქობულეთში, ... ქ. მდებარე სახლიდან სამკვიდრო წილის გამოყოფის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

თ. კ-ვა ცნობილ იქნეს ქ. ქობულეთში, ... ქ. #139-ში მდებარე სახლის 1/2-ში მემკვიდრედ და მესაკუთრედ, შესაბამისი ცვლილება იქნეს შეტანილი 1994 წლის 29 აგვისტოს ე. თ-ვას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ქ. ქობულეთში, ... ქ. #139-ში მდებარე სახლის 1/2 აღირიცხოს თ. კ-ვას საკუთრებად;

დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით

განჩინება

#ას-389-362-2010

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა, სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 2 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. მ-მემ მოპასუხე ც. მ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა) ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ 2009 წლის 12 აგვისტოს ც. მ-მის სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლითაც ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა მამის, მამკვიდრებელ ვ. მ-მის დანაშთი სამკვიდრო ქონების -ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 1/3 უფლებიდან 5/6 უფლების, პირველი რიგის მემკვიდრედ;

ბ) მოსარჩელისათვის, როგორც კანონისმიერი მემკვიდრისათვის, ბებიის -ე. მ-მის სამკვიდრო ქონებიდან შესაბამისი წილის გამოყოფა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მამკვიდრებელი ე. მ-მე, რომელიც იყო მისი ბებია, გარდაიცვალა 2000 წლის 27 მარტს. ამ დროისათვის მოსარჩელის მამა ნ. ვლ. მე მ-მე გარდაცვლილი იყო და მოსარჩელე წარმოადგენდა ბებიის კანონისმიერ მემკვიდრეს. მოსარჩელემ სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ნოტარიუს დ. ხ-შვილს. ნოტარიუსმა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ე. მ-მის დანაშთ ქონებაზე (რაც შეადგენდა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 1/3 უფლებას) სამკვიდრო მოწმობა უკვე გაცემული იყო მისი პირველი რიგის მემკვიდრეზე -შვილ ც. მ-მეზე.

მოსარჩელის მითითებით, რამდენადაც ნოტარიუსი შეცდომაში იქნა შეყვანილი და იგი, როგორც კანონით მემკვიდრე, არ იქნა მოხსენიებული ც. მ-მის მიერ, არსებობდა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის საფუძველი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ვ. მ-მის ბებია -ე. მ-მე, რომელიც იმავდროულად მოპასუხე ც. მ-მის დედა იყო, გარდაიცვალა 2000 წლის 27 მარტს. ამ უკანასკნელის დანაშთ ქონებას შეადგენდა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 1/3;

მოსარჩელის მამა ნ. მ-მე გარდაიცვალა 1995 წლის 5 სექტემბერს;

2008 წლის 10 ოქტომბერს გარდაიცვალა მოსარჩელის პაპა ვ. მ-მე. მან 2004 წლის 11 მარტის ანდერძით თავისი ქონება დაუტოვა შვილს -ც. მ-მეს;

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 29 მაისის #2/357 გადაწყვეტილებით მოსარჩელე ვ. მ-მის დედა რ. მ-მე-მ-მე ცნობილ იქნა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ, ბინის დანარჩენი 3/4 ნაწილი დარჩა ვლ. კ. მე მ-მის (მოსარჩელის პაპა), ე. კ-მე-მ-მისა (მოსარჩელის ბებია) და მოპასუხე ც. მ-მის საერთო საკუთრებაში;

ნოტარიუსის მიერ 2009 წლის 12 აგვისტოს ც. მ-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. მ-მის ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, ც. მ-მემ საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება, მთელი საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 1/3-ის უფლებიდან 5/6 უფლება.

საქალაქო სასამართლოს მოსარჩებით, მთლიანი სამკვიდრო მასიდან მოსარჩელე ვ. მ-მის დედამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 29 მაისის #2/357 გადაწყვეტილებით მიიღო 1/4, რაც შეადგენდა იმ წილს, რომელიც ერგებოდა მოსარჩელის მამას ნ. მ-მეს, ცოცხალი რომ ყოფილიყო სამკვიდროს გახსნის დროს.

რაც შეეხებოდა ქონების დანარჩენ 3/4-ს, იგი დარჩა ვლ. კ. მე მ-მის (მოსარჩელის პაპა), ე. ბ. ასული მ-მის (მოსარჩელის ბებია) და ც. ვ. ასული მ-მის (მოსარჩელის მამიდა) საერთო სა-

კუთრებაში. ე. მ-მე გარდაიცვალა 2000 წლის 27 მარტს. სამკვიდროდან მისი წილი ფაქტობრივი ფლობით მიიღო მისმა მეუღლე ვ. მ-მემ და შვილმა ც. მ-მემ. ვ. მ-მე გარდაიცვალა 2008 წლის 10 ოქტომბერს და ამ უკანასკნელის მიერ 2004 წლის 11 მარტს დატოვებული ანდერძის თანახმად, მისი ანდერძისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეა ც. მ-მე, რომელმაც 2008 წლის 12 აგვისტოს, როგორც ანდერძისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება, რომელიც შეადგენდა მთელი სახლთმფლობელობის გამოყოფილი ნაწილის 1/3-ის უფლებიდან 5/6 უფლებას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილ ვადაში იგი დაეუფლა ბებულის სამკვიდროს, რამდენადაც მოპასუხემ აღნიშნული გარემოება სადავოდ გახადა, მოსარჩელემ კი ვერ წარადგინა მოცემული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, რამდენადაც ვ. მ-მეს ე. მ-მის გარდაცვალებიდან და მისი სამკვიდროს გახსნიდან 6 თვეში განცხადებით არ მიუმართავს საწარმოო მოქმედების შემსრულებელი ორგანოსათვის და არც ფაქტობრივად შედგომია სამკვიდროს ფლობასა და მართვას, მოსარჩელეს სამკვიდრო არ მიუღია. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-მემ (წარმომადგენელი რ. მ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. მ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - ვ. მ-მე ცნობილ იქნა ე. მ-მის დანაშთი ქონების, კერძოდ, ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/16-ის (39.71კვმ-დან) მემკვიდრედ და მესაკუთრედ, მოსარჩელის მოთხოვნა 2009 წლის 12 აგვისტოს ც. მ-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 29 მაისის #2/357 გადაწყვეტილებით მოსარჩელე ვ. მ-მის დედა რ. მ-მე-მ-მე ცნობილ იქნა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე 39.70კვ.მ საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ. ბინის დანარჩენი 3/4 დარჩა ვლ. კ. მე მ-მის (მოსარჩელის პაპის), ე. მ-მისა (მოსარჩელის ბებია) და ც. მ-მის (მოსარჩელის მამიდა) თანასაკუთრებაში; ე. მ-მის გარდაცვალებისას მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი; მხარეთა შორის უკმაყოფილების გამო, ე. მ-მის გარდაცვალებამდე მოსარჩელის დედა რ. მ-მემ სადავო სახლთმფლობელობის გვერდით შეიძინა 2-ოთახიანი ბინა, რომლის შემდგომ სადავო ბინებში მომხდარ გადაკეთებათა შედეგად მოდავე მხარეების ბინებს ჰქონდათ ერთი სამზარეულო, რომელსაც იყენებდა როგორც მოსარჩელე და მისი კანონიერი წარმომადგენელი (დედა), ასევე, მოპასუხე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ საერთო სახლთმფლობელობის ის წილი (1/4), რომელიც მოსარჩელის დედას რ. მ-მეს მიეკუთვნა 1996 წლის გადაწყვეტილებით, იდეალურ წილად რჩებოდა მანამდე, ვიდრე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ მოხდა რ. მ-მე-მ-მისათვის რეალური წილის გამოყოფა.

იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მოდავე მხარეებს თანასაკუთრებასა და საერთო სარგებლობაში 2008 წლამდე (წილების რეალურ გამოყოფამდე) გააჩნდათ სამზარეულო, რომლითაც სარგებლობდა მამკვიდრებელი ე. მ-მეც და მემკვიდრე (მოსარჩელე) ვ. მ-მეც (ასევე მისი კანონიერი წარმომადგენელი დედა - რ. მ-მე), სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. მ-მეს ფაქტობრივი ფლობით დაუფლებული იყო ბებულის - ე. მ-მის დანაშთი ქონებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ე. მ-მის გარდაცვალების შემდეგ მისი სამკვიდრო მიიღო სამმა მემკვიდრემ: ვ. მ-მემ (მოსარჩელის პაპამ), ც. მ-მემ და მოსარჩელე ვ. მ-მემ.

საქმეზე დგინდებოდა და მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელის დედა რ. მ-მე ე. მ-მის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა საერთო საკუთრებაში არსებულ სამზარეულოს. ამ დროისათვის მოსარჩელე ვ. მ-მე იყო არასრულწლოვანი, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოდ მოწმობდა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს ნაწილის ფაქ-

ტობრივი დაუფლებით მის მიღებას. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1198-ე, 1293-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მშობლები არიან თავიანთი შვილების ბუნებრივი მეურვეები და მზრუნველები სპეციალური დანიშვნის გარეშე. მეურვე სამეურვეო პირის კანონიერი წარმომადგენელია და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებს ყველა აუცილებელ გარიგებას. თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას. სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის დედა, რომელიც სამკვიდროს გახსნის დროისათვის იყო მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენელი, ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა სამკვიდროს ნაწილს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. მ-მემ ბებიის სამკვიდრო მიიღო.

რაც შეეხებოდა წილობრივ მონაცემებს, რომლის მიმღებიც არის ვ. მ-მე, აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

საქმის მასალების თანახმად, სამკვიდრო მასას წარმოადგენდა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის (ანუ 3/4-ის) 1/3; ე. მ-მეს დარჩა სამი თანაბარი რიგის მემკვიდრე: მეუღლე ვ. მ-მე, შვილი ც. მ-მე და შვილიშვილი (მოსარჩელე) ვ. მ-მე.

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობა ნიშნავს გარდაცვლილის ქონების გადასვლას კანონში მითითებულ პირებზე, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.

საქმეზე დგინდებოდა, რომ ე. მ-მეს ანდერძი არ დაუტოვებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვ. მ-მეს ე. მ-მის სამკვიდროდან უნდა მიკუთვნებოდა 1/3, რაც შეადგენდა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საერთო სახლთმფლობელობის გამოყოფილი ნაწილის, ანუ 3/4-ის 1/3-ის 1/3-ს (1/4 საერთო სასახლთმფლობელობიდან რ. მ-მის საკუთრებაა), რაც საერთო სახლთმფლობელობის 1/16 ნაწილი იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებას, რამდენადაც საქმის მასალებით არ დგინდება, რომ რ. მ-მე ვ. მ-მის მეურვედ იყო დანიშნული. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან სახლის ნაწილის ფლობა ვ. მ-მის მიერ სამკვიდროს მიღებად შეიძლებოდა მიჩნეულიყო, თუკი ამ მოქმედებას კანონიერი წარმომადგენელი განახორციელებდა არასრულწლოვანის სახელით. კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ ამ შემთხვევაში რ. მ-მე სარგებლობდა არა მისი შვილის სამკვიდრო ქონებით, არამედ -მისი საკუთრებით, რომელიც მას მიეკუთვნა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ვ. მ-მეს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც არ მოუხდენია თავისი სამემკვიდრეო უფლების რეალიზაცია, კერძოდ, არ მიუმართავს შესაბამისი ორგანოებისათვის.

კასატორის თქმით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ე. მ-მის კანონისმიერ მემკვიდრეთა რიცხვი. ამ უკანასკნელს დარჩა მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები ვაჟიშვილისაგან. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა ეთარ მ-მის სამკვიდროს სამ ნაწილად გაყოფის შესახებ მცდარია და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მოთხოვნას.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას. საქმის მასალებში არ მოიპოვება ვ. მ-მის მიერ სამკვიდროს ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება. რ. მ-მე სადავო სახლის ნაწილის მესაკუთრეა და მის მიერ სამზარეულოს გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს ვ. მ-მის მიერ სამკვიდროს ფლობად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 29 მაისის #2/357 გადაწყვეტილებით მოსარჩელე ვ. მ-ძის დედა რ. მ-ძე-მ-ძე ცნობილ იქნა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ, ბინის დანარჩენი 3/4 დარჩა ვლ. კ. ძე მ-ძის (მოსარჩელის პაპის), ე. კ-ძე-მ-ძისა (მოსარჩელის ბებია) და მოპასუხე ც. მ-ძის (მოსარჩელის მამიდა) საერთო საკუთრებაში;

მამკვიდრებელი -მოსარჩელე ვ. მ-ძის ბებია ე. მ-ძე გარდაიცვალა 2000 წლის 27 მარტს. ამ უკანასკნელის დანაშთ ქონებას შეადგენდა ქუთაისში, ... ქ. #36/7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 1/3;

მოსარჩელის მამა ნ. მ-ძე გარდაიცვალა 1995 წლის 5 სექტემბერს;

2008 წლის 10 ოქტომბერს გარდაიცვალა მოსარჩელის პაპ ვ. მ-ძე. მან 2004 წლის 11 მარტის ანდერძით თავისი ქონება დაუტოვა შვილს -ც. მ-ძეს;

2009 წლის 12 აგვისტოს ც. მ-ძის სახელზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც ვ. მ-ძის ანდერძისმიერმა მემკვიდრემ ც. მ-ძემ საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება -მთელი საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 1/3-ის უფლებიდან 5/6 უფლება.

საკასაციო საჩივრის დავის საგანია ფაქტობრივი გარემოების სწორად დადგენა -დაეუფლა თუ არა მოსარჩელე ვ. მ-ძე ბუბიის -ე. მ-ძის დანაშთ ქონებას ფაქტობრივი მფლობელობით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოდავე მხარეებს თანასაკუთრებასა და საერთო სარგებლობაში 2008 წლამდე (წილები რეალურ გამოყოფამდე) გააჩნდათ სამზარეულო, რომლითაც სარგებლობდა როგორც მამკვიდრებელი ე. მ-ძე, ისე -იმ დროს არასრულწლოვანი ვ. მ-ძე მისი კანონიერი წარმომადგენლის -დედის -რ. მ-ძის მეშვეობით. აღნიშნულ გარემოებს ადასტურებს თავად მოპასუხე ც. მ-ძე სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მიცემულ განმარტებაში, რაც ასევე ასახულია წილების რეალურად გამოყოფის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულ ციციწო მაღლაფირიძისა და ვ. მ-ძის სარჩელის საფუძველზე. ამ საკითხზე საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდრო მემკვიდრის მიერ მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია ვ. მ-ძე სადავო ქონებაზე მემკვიდრედ, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

12. სამკვიდროს გაყოფა

განჩინება

#ას-1058-1325-09 23 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანა, მესაკუთრედ ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ო-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. და ხ. ო-ძეების მიმართ ქ.თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ 2008 წლის 24 სექტემბერს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის გზით მამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/3-ის მიკუთვნების, ასევე ხ. ო-ძისათვის 28333 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა მოსარჩელის მამა ჯ. ო-ძე, რომელსაც დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე ნ. ო-ძე და შვილები -ე. და ხ. ო-ძეები. 2007 წლის 20 ივლისს ე. ო-მემ, სამკვიდროს მიღების მიზნით, განცხადება შეიტანა მამკვიდრებლის საცხოვრებელ და სამკვიდროს მდებარეობის ადგილას, ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ... ნოტარიუს ლ. რ-შვილთან. ნ. ო-მემ 2008 წლის 24 სექტემბერს ამავე შინაარსის განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას და იმავე დღეს მიიღო სამკვიდრო მოწმობა მთლიან სამკვიდროზე, რა დროსაც მოსარჩელის კუთვნილი წილი არ გაუთვალისწინებიათ. 2003 წლის 18 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ჯ. ო-მემ ხ. ო-ძეს აჩუქა ბინა მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.#16-ში, 1 კორპუსის #30-ში, რომელიც 2007 წლის 1 ნოემბერს ხ. ო-მემ 85000 ლარად გაასხვისა. სამოქალაქო კოდექსის 1455-ე, 1477-ე და 1162-ე მუხლების თანახმად, ხ. ო-ძე ვალდებულია, მოსარჩელეს გადაუხადოს აღნიშნული ბინიდან მისი წილის საკომპენსაციო თანხა.

მოპასუხე ნ. ო-მემ სარჩელი მოსარჩელისათვის სამკვიდროდან 1/6-ის მიკუთვნების ნაწილში ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში მიიჩნია, რომ მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია.

მოპასუხე ხ. ო-მემ სარჩელი მოსარჩელისთვის სამკვიდროდან 1/3-ის მიკუთვნების ნაწილში ცნო და განმარტა, რომ მისთვის ე. ო-ძის სასარგებლოდ კომპენსაციის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლი კომპენსაციის გადახდის დაკისრების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროს გაყოფისას წილთა გადანაწილების დროს ერთ-ერთი მემკვიდრე ვერ იღებს სამკვიდრო წილს ნატურით, რაც მოცემულ შემთხვევასთან კავშირში არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ო-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ე. ო-ძე ცნობილ იქნა საჯარო რეესტრში ნ. ო-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების -სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 75.8 კვ.მ საცხოვრებელი სახლის, ასევე, 1500 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1/4-ის მესაკუთრედ, შესაბამისად, ცვლილება შევიდა ნ.მ-იას მიერ 2008 წლის 24 სექტემბერს ჯ. ო-ძის სამკვიდრო ქონებაზე ნ.ო-ძის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, ე. ო-ძის სარჩელი ხ. ო-ძისათვის მის სასარგებლოდ 28333 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ე. ო-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინებით ე. ო-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, გაუქმდა ამავე პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და ყადაღა მოეხსნა ხ. ო-ძის კუთვნილ ქ.თბილისში, ... კორპუსში #35 ბინას შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მათი სამართლებრივი შეფასება. პალატის მოსაზრებით, უსაფუძვლოა აპელანტის არგუმენტი, რომ მამკვიდრებლის მეუღლის -ნ. ო-ძის თანასაკუთრების უფლება არ იყო რა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, იგი, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო ქონების ნაწილზე თანამესაკუთრედ არ უნდა მიჩნეულიყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მოსაზრება გასაზიარებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მეუღლე უძრავ ნივთს გაასხვისებდა კეთილსინდისიერ

შემდგომში, რომელიც ენდო საჯარო რეესტრის ჩანაწერს, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრე მხოლოდ ის მეუღლეა, რომელმაც ხსენებული ქონება გაასხვისა. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება მესამე პირებთან მიმართებაში არ მოქმედებს, თუ აღნიშნული თანასაკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ არის, ამავდროულად, როდესაც არსებობს ისეთი სამართალური ერთობა, რომელიც მხოლოდ ოჯახის წევრებს ეხებათ და მათ შორის არანაირი დავა არსებობს, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლიდან გამომდინარე, არ არსებობს არც იმის სამართლებრივი საჭიროება, რომ ქორწინების განმავლობაში შექმნილი უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში აუცილებლად მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებით აღირიცხოს.

სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალია აპელანტის მოსაზრება, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1455-ე და 1473-ე მუხლების მიხედვით, წილის გათანაბრებისათვის, სამკვიდროს უნდა მიმატებოდა ხ. ო-ძის მიერ ჩუქების სახით მიღებული ქონება - 90 000 ლარი და, ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოპასუხეს დაკისრებოდა წილთა გასათანაბრებელი თანხა - 28 333 ლარი. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ზემოხსენებულ სამართლის ნორმები არასწორად განმარტა, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის მიხედვით, მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მემკვიდრის მიერ საჩუქრის სახით მიღებული ნივთი სამკვიდრო მასაში კი არ უნდა შევიდეს, არამედ სამკვიდროს გაყოფისას იგი მემკვიდრის წილში უნდა ჩაითვალოს. პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, აპელანტის ზემოხსენებული არგუმენტი მართებული იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის 1455-ე მუხლსა და სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებს, შესაბამისად, მთლიანად სამოქალაქო კოდექსის ისეთ ფუძემდებლურ პრინციპებს, როგორცაა კერძო ავტონომია, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების გარანტია და სხვა. სასამართლომ ჩათვალია, რომ მითითებული კანონის დანაწესი უნდა განმარტოს ლოგიკური ახსნა-განმარტების საფუძველზე, რის შედეგადაც ნათელია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლით არ შეიძლება შვილს, ანუ პირველი რიგის მემკვიდრეს, ევალბოდეს მშობლისაგან საჩუქრის სახით მიღებული ნივთის სამკვიდრო მასაში დაბრუნება, ვინაიდან მამკვიდრებელმა სიცოცხლეში გამოხატა ნება და შვილს აჩუქა თავის საკუთრებაში არსებული ქონება. ხსენებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, იარსებებს არა ჩუქების ხელშეკრულება, არამედ, ნივთის თხოვების ხელშეკრულება, რომლის ვადაც იწურება მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე, სამკვიდროს გახსნის დღეს. კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია, მშობელს აეკრძალოს თავისი შეხედულებითა და სურვილით შვილისათვის ქონების ჩუქება. სასამართლომ ჩათვალია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, შვილს ევალბება მამკვიდრებლის გარდაცვალებისას სამკვიდროში შეიტანოს მისგან საჩუქრის სახით მიღებული ნივთი, თუნდაც ამისათვის ხუთ წელზე მეტი ვადაც იყოს გასული, ხოლო ამავე კოდექსის 1455-ე მუხლის მიხედვით კი ნებისმიერ, მათ შორის, მეხუთე რიგის მემკვიდრესაც (გარდა შვილისა) არ ევალბება, სამკვიდროს გახსნის შემდეგ მამკვიდრებლისაგან მიღებული ნივთის სამკვიდროს მასაში შეტანა, ხოლო სამკვიდროდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ ნაჩუქარი ნივთის ღირებულება სამკვიდრო წილშიც კი არ შევა. მეტიც, სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტებისას, თუ მამკვიდრებელი თავის სიცოცხლეში გარეშე პირს აჩუქებს რაიმე ნივთს, ამ უკანასკნელს სამკვიდროს გახსნის შემდეგ ნაჩუქრის სამკვიდრო მასაში შეტანა არ ეკისრება, ხოლო მამკვიდრებლის შვილი კი ვალდებულია, ნაჩუქარი ნივთი უკანვე, სამკვიდრო წილში დააბრუნოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანია, გაირკვეს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის პირველწყარო, ანუ რეცეფცირებულია თუ არა იგი სხვა ქვეყნის სამართლიდან და სამართლის ნორმის თარგმნის დროს ხომ არ დაიშვა მექანიკური შეცდომა. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის პირველწყაროს წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2050-ე პირველი პარაგრაფი, თუმცა, სამწუხაროდ, იგი ქართულ ენაზე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ხარვეზებით იქნა თარგმნილი. აღნიშნული პარაგრაფის სათაურია - „კანონით მემკვიდრთა ვალდებულება წილების გათანაბრების შესახებ“, რომლის პირველი ნაწილის ზუსტი შინაარსი შემდეგია: „მემკვიდრეები, რომლებიც მიწვეული იქნებიან სამკვიდროს მისაღებად, როგორც კანონით მემკვიდრეები, ვალდებული არიან სამკვიდრო ქონების გაყოფამდე ურთიერთმიმართებაში გაითვალისწინონ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს მამკვიდრებლისაგან მის სიცოცხლეში ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ მამკვიდრებელს (ქონების) გადაცემისას სხვა რამ არ დაუდგენია“. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული, რომ მოცემულ ნორმაში იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელი (მშობელი), თავის სიცოცხლეშივე ერთ-ერთ მემკვიდრეს (შვილს) წინასწარ საკუთრებაში გადასცემს ქონების იმ ნაწილს, რომელსაც ეს უკანასკნელი მიიღებდა სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში. ამრიგად, ვინაიდან, მომავალმა მემკვიდრემ წინასწარ მიიღო თავისი წილი ქონება, აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამკვიდროს გახ-

სნის და სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს (Prუტინგ-ჰეგენ-ჰეინრიცჰ, BGB. კომმენტარ. 2006, შ. 2564-2565). გერმანული სამართლის მიხედვით, მემკვიდრემ მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიღებული ქონება სამკვიდრო მასაში კი არ უნდა შეიტანოს, არამედ გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მან თავისი წილი ქონება უკვე მიიღო და დამატებით ქონებაზე (სამკვიდრო მასაზე) პრეტენზია არ უნდა განაცხადოს, ხოლო, თუ კანონით მას უფრო მეტი ეკუთვნის, იგი დამატებით, სამკვიდრო მასიდან მიიღებს თავის წილ ქონებას, რათა მემკვიდრეთა წილები გათანაბრდეს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2050-ე პარაგრაფის ბოლო წინადადების სიტყვები: „თუ მამკვიდრებელს (ქონების) გადაცემისას სხვა რამ არ დაუდგენია“, ნიშნავს იმას, რომ მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული ნება იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელი თავისივე სიცოცხლეში მომავალ კანონით მემკვიდრეს გადასცემს თავის წილ სამკვიდრო ქონებას, რაც შემდგომში სამკვიდროს გახსნისა და სამკვიდროს გამოყოფის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ ეს ნება ასე მკაფიოდ არ არის გამოხატული, მაშინ იგულისხმება, რომ იღება ჩვეულებრივი ჩუქების ხელშეკრულება. ამრიგად, სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ მამკვიდრებელმა (მშობელმა), თავის სიცოცხლეშივე ერთ-ერთ მემკვიდრეს (შვილს) საკუთრებაში გადასცა ქონების ის ნაწილი, რომელსაც ეს უკანასკნელი მიიღებდა სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში, ვინაიდან მომავალმა მემკვიდრემ წინასწარ მიიღო თავისი წილი ქონება, აღნიშნული გარემოება მემკვიდრეთა მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს. პალატის მითითებით, აუცილებელია, რომ მამკვიდრებლის აღნიშნული ნება გამოიხატოს მკაფიოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიდება ჩვეულებრივი სახის ჩუქების ხელშეკრულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში სამართალურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლით, თუ სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წელი ჯერ კიდევ არ არის გასული. გარიგების, 1473-ე მუხლის შესაბამისად, დადებისას მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ვადა გავიდა ქონების გადაცემიდან სამკვიდროს გახსნამდე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. ო-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, თუმცა მოგვიანებით კასატორმა თავისი მოთხოვნა შეამცირა და მოითხოვა სადავო სამკვიდროს 1/3-ის მიკუთვნება და ხ. ო-მისათვის 5000 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის, 183-ე მუხლის, 311-ე მუხლის პირველი ნაწილის, 312-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის #800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ასევე სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1513-ე, 1433-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების გაფორმება და დადასტურება წარმოებს სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესით. საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინების მითითება, რომ მეუღლის თანასაკუთრების უფლება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი წარმოადგენს უძრავ ნივთზე თანასაკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, ქორწინების მოწმობით შესაძლოა დადგინდეს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება, თუმცა მეუღლეთა თანაცხოვრებისას შეძენილი ქონება შეიძლება შეძენილ იქნეს ერთ-ერთი მეუღლისათვის ნაჩუქარი ან სამკვიდრო ქონების გასხვისებიდან მიღებული თანხითაც, რის გამოც, ასეთი ქონება სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებად ვერ ჩაითვლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია მხოლოდ ქორწინების მოწმობის საფუძველზე უპირობოდ იმ გარემოების დადგენა, რომ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებაა, მით უმეტეს, როდესაც მხარეს, შესაბამისი პროცესუალური ფორმით, კონკრეტულ ქონებაზე ამ უფლების აღიარება არ მოუთხოვია. ამდენად, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებისადმი ამა თუ იმ ქონების მიკუთვნებისათვის მნიშვნელოვანია, ქონება მოპოვებული იყოს მეუღლეთა ერთობლივი შრომითა და საერთო სახსრებით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის #ას-33-489-06 გადაწყვეტილება). სასამართლომ დაარღვია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, როდესაც სარჩელის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის გარეშე, მოპასუხე ცნო მესაკუთრედ ისეთ ქონებაზე, რომელიც მას არ ეკუთვნის ან ეკუთვნის უფრო მცირე მოცულობით. აღსანიშნავია, რომ აწ გარდაცვლილ ჯ. ო-მის სახელზე რიცხული ქონების საფუძველს წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც გაიცა ჯ. ო-მის ოჯახის წევრებზე -ჯ., ნ., ხ. და ე. ო-ძეებზე. აღნიშნული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ნ. ო-მისთვის, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერების გზით, თანასაკუთრების უფლებით უნდა მიეკუთვნებინა სამკვიდრო ქონების არა

1/2, არამედ 1/3 და სამკვიდრო გახსნილად უნდა დაედგინა ჯ. ო-ძის მიერ დატოვებული ქონების არა 1/2, არამედ 3/4-ზე. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი, როდესაც უარი განაცხადა ამავე კოდექსის 1473-ე მუხლის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება უსამართლოდ ჩათვალია. გარდა ამისა, დასახელებული მუხლი მისი ქართული შინაარსით სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია და, ამავე კოდექსის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ნაცვლად, იმსჯელა მისი თარგმნის ნაკლოვანებაზე. დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა არღვევს სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებსა და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, ისე სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლს. ამ კუთხით სააპელაციო პალატის მსჯელობა არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის #ას-38-347-04 განჩინების დასკვნას, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე და 1455-ე მუხლების შესაბამისად, სამკვიდროს გაყოფისას მემკვიდრის წილში ჩაითვლება მხოლოდ იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრად მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის შინაარსი პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ამავე კოდექსის 1455-ე და 1477-ე მუხლებს და ემსახურება მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო მასის სამართლიანად განაწილებას. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ მამკვიდრებელი უფლებამოსილია, სიცოცხლეშივე დაეხმაროს თავის ერთ-ერთ შვილს და გამოუყოს ქონება, რის შედეგადაც შვილმა შეიძლება გაიუმჯობესოს თავისი მატერიალური მდგომარეობა, ხოლო სხვა შვილს, ასეთი დახმარების საჭიროების არარსებობს გამო, ქონება თავის სიცოცხლეშივე არ გამოუყოს, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება მეორე შვილის სამკვიდრო წილის შემცირების საფუძველი გახდეს. ასეთ შემთხვევაში პირველი შვილის სამკვიდრო წილი იზრდება მანამდე გამოყოფილი ქონების ხარჯზე, მეორისა კი მცირდება. მსგავსი პრობლემის აღმოსაფხვრელად და მემკვიდრეობითი სამართლის განვითარების შედეგად შემუშავდა სამკვიდრო წილთა გათანაბრების პრინციპი, რომლის შესაბამისად, ყველა მემკვიდრემ უნდა მიათვალოს თავის წილს ის, რაც მას მამკვიდრებლისაგან ქონებიდან გამოყოფის სახით ჰქონდა მიღებული და გათანაბრების თანხა გამოაკლდეს საერთო ოდენობას. მიღებული თანხა კი უნდა მიემატოს გათანაბრების თანხის მოთხოვნის უფლების მემკვიდრეს. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის თარგმნის სისწორის შესახებ, როდესაც მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის სწორად განმარტებისთვის უნდა მოიძებნოს ქართული ნორმის პირველწყარო და შემოწმდეს, რამდენად სწორად იქნა იგი თარგმნილი, ხოლო შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, ქართული ნორმა უნდა განიმარტოს პირველწყაროს მიხედვით. საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის პირველწყაროს წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2050-ე პარაგრაფი, საიდანაც ზემოხსენებული ნორმის არასწორად თარგმნის შედეგად შეიცვალა მისი სამართლებრივი შინაარსი, ვინაიდან საქართველოს ნორმა არ შეესაბამება გერმანიის იურიდიულ ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრებულ შეხედულებებს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი განმარტებულ უნდა იქნეს გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული განმარტებების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნების სამართლის შესწავლა მიზნად ისახავს საქართველოს სამართლის განვითარება-დახვეწას და სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის თარგმნით არ შემოიფარგლება. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომელიც ფაქტობრივად გაგებულ უნდა იქნეს იმდაგვარად, რომ მამკვიდრებლისათვის გადაცემული ქონება არ უნდა მიეთვალოს სამკვიდროს. სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის მსგავსი ნორმები მოიპოვება უცხო ქვეყნების არა ერთ კანონმდებლობაში და მათი პრინციპი წილთა გათანაბრების ნაწილში ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება გათანაბრების წესს, იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე. ასევე უკანონოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების ნაწილშიც, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემსახურება დავის საგნის დაცვას და მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დაუბრკოლებელი აღსრულებისკენ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ო-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებებს და დასკვნებს დავაზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და, ამასთან, აღნიშნავს, რომ საქმეზე დად-

გენილი ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას ნ. ო-ძის თანასაკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და ამ მიმართებით უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლომ ნ. ო-ძეს მიაკუთვნა მის საკუთრებაში არარსებული ქონება, ვინაიდან იგი საჯარო რეესტრში თანამესაკუთრედ რეგისტრირებული არ იყო. აღნიშნულით სასამართლომ უფლებელყო სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილი, 311-ე მუხლის პირველი ნაწილის და 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორედ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აღნიშნული ფორმულირება რეესტრში რეგისტრირებულ ნივთზე უფლების კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს. ფაქტობრივი გარემოება - პირის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია უტყუარი ფაქტია მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. სწორედ კანონის ეს დათქმა იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების უტყუარობა უდავო არ არის და მასზე გავლენას ახდენს როგორც უფლებამოსილი პირის შედავება, ასევე ობიექტური ფაქტორი, რომლის არსებობის შესახებაც ცნობილია სხვა პირებისთვის. ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს ნივთზე კანონით წარმოშობილი თანასაკუთრების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ მოცემულ ურთიერთობაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლს, რომლის ძალითაც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). ამდენად, პირს თანასაკუთრების უფლება მეუღლის ქონებაზე წარმოუშვა კანონმა და ამ უფლების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა თანამესაკუთრეს უკარგავს უფლებას, მხოლოდ საკუთრებაში არსებული ქონების კეთილსინდისიერი მესამე პირების მიერ შეძენის შემთხვევაში, რომლებისთვისაც უცნობი იყო ამ უფლების არსებობის შესახებ. ამდენად, ქორწინების რეგისტრაციით წარმოშობილი ნივთზე მეუღლის თანასაკუთრება სანივთო უფლებაა და მის წინაშე ვალდებულია ყველა ის პირი, რომლისთვისაც ცნობილია ამ უფლების არსებობის თაობაზე. ბუნებრივია, ეს ვალდებულება ვრცელდება ოჯახის წევრებზეც, რომლებიც ვალდებული არიან, გაითვალისწინონ თანასაკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით მოთხოვნებზე თანამესაკუთრის უფლება, მიუხედავად იმისა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია თუ არა ეს უფლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას გასაჩივრებული განჩინების წინააღმდეგობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინების განმარტებასთან მიმართებით. დასახელებული განჩინებით სასამართლომ იმსჯელა რა სანივთო სამართლებრივი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობაზე, მიუთითა, რომ "შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება). ამდენად, განსხვავებით განსახილველი დავისგან, მითითებული განჩინებით სასამართლომ იმსჯელა ნივთის კეთილსინდისიერად შეძენი მესამე პირებისათვის საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის არგუმენტს, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე და 1455-ე მუხლების საფუძველზე ე. ო-ძის სასარჩელო მოთხოვნის კანონიერების თაობაზე იმ მოტივით, რომ წილის გათანაბრებისათვის, სამკვიდროს უნდა მიმატებოდა ხ. ო-ძის მიერ ჩუქების სახით მიღებული ქონება და, ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოპასუხეს ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებიდან უნდა დაეკისროს წილთა გასათანაბრებელი თანხა. საკასაციო სასამართლო საკასაციო პრეტენზიის და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად საჭიროდ მიიჩნევს დასახელებული ნორმების განმარტებას, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლით სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ნორმით, სამკვიდროს გაყოფისას მემკვიდრის წილში იმ ქონების ღირებულება გაითვალისწინება, რომელიც მამკვიდრებელმა სიცოც-

ხლეში აჩუქა მას. ნაჩუქარი ქონების ღირებულების გათვალისწინება ნიშნავს მემკვიდრის წილის სწორედ ამ ღირებულების ფარგლებში შემცირებას, ანუ თუ მემკვიდრემ ჩუქებით მიიღო 1000 ლარის ქონება, მისი წილი სამკვიდროში სწორედ ამ ქონებით შემცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამკვიდრეობის მიერ გაჩუქებულ ქონებასთან დაკავშირებით სხვა რაიმე დათქმას კანონი არ ადგენს. სამკვიდროში ნაჩუქარი ქონების შეტანა უზრუნველყოფს სხვა მემკვიდრეების ინტერესების დაცვას იმ მიმართებით, რომ ადრე დასაჩუქრებულ მემკვიდრეს საჩუქრის ღირებულება მისაღებ სამკვიდროში ჩათვლება და მისი წილი ამ ფარგლებში შემცირდება, რაც პროპორციულად სხვა მემკვიდრეთა წილის გაზრდას გამოიწვევს.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლს, ამ ნორმით, მემკვიდრეები, რომლებიც მოწვეული იქნებიან სამკვიდროს მისაღებად, ვალდებული არიან წილთა გათანაბრებისათვის გაყოფამდე სამკვიდროს მიათვალონ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს მამკვიდრეობისაგან მის სიცოცხლეში მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ მამკვიდრეებს სხვა რამ არ დაუდგენია.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კანონის განსახილველი დათქმა ნათლად ასახავს ქვეყანაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციულ საოჯახო ურთიერთობას, რომლითაც მშობელი სიცოცხლეშივე ოჯახისგან დამოუკიდებლად მცხოვრებ ერთ-ერთ შვილს, როგორც ოჯახის წევრს და მის მემკვიდრეს, თავისი ქონებიდან გარკვეულ ნაწილს გადასცემს (გამოუყოფს). კანონის აღნიშნული დანაწესი მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს – ნორმის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტები გარდაცვლილი მშობლის შვილები არიან, რასაც ადასტურებს ნორმაში არსებული გამონათქვამი "მშობლების ქონებიდან".

მითითებული ნორმით კანონი ადგენს წილთა გათანაბრების წესს, რაც გულისხმობს მემკვიდრეების წილების განსაზღვრისას მშობლების ქონებიდან მხოლოდ გამოყოფის სახით მიღებული ქონების გათვალისწინებას. ამ დანაწესის მიზანია, თანამემკვიდრეთა ინტერესების დაცვა სამართლიანობის პრინციპით და ყველა მემკვიდრისათვის თანაბარი წილის მიკუთვნება. ამასთან, ამავე ნორმით ზუსტად არის განსაზღვრული ნორმის რეგულაციას დაქვემდებარებული ქონება – ერთ-ერთი მემკვიდრე შვილისათვის მშობლის ქონებიდან გამოყოფის სახით გადაცემული ქონება. კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, ნორმის დისპოზიცია არ იძლევა იმგვარი განმარტების საშუალებას, რომ წილთა გათანაბრებისათვის სამკვიდრო ქონებას მიეთვალოს ასევე საჩუქრად გაცემული ქონებაც, თუნდაც ჩუქების ხელშეკრულება მშობელსა და შვილს შორის იყოს დადებული. მშობლის მიერ შვილისათვის ჩუქების სახით ქონების გადაცემასა და გამოყოფის სახით ქონების გადაცემას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ქონების მესაკუთრის – მშობლის ნებაშია გამოხატული, კერძოდ, პირველ შემთხვევაში მშობელი (როგორც გარიგების მხარე) მხოლოდ კეთილი ნებისა და სურვილის საფუძველზე თავის ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს შვილს საკუთრებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში მშობელი წინასწარ, თავის სიცოცხლეშივე გამოუყოფს და გადასცემს ერთ-ერთ შვილს ქონების ნაწილს სამკვიდრო ქონებიდან და მშობლის (როგორც გარიგების მხარის) ნება ქონების გარკვეული მიზნით – სამკვიდრო ქონებიდან წინასწარ წილის გამოყოფის სახით გადაცემაშია. შესაბამისად, ორივე საფუძველით მიღებულ ქონებასთან დაკავშირებით მემკვიდრის უფლებებსა და ვალდებულებებს სამემკვიდრეო სამართალი დამოუკიდებლად, სხვადასხვა ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 1473-ე და 1455-ე მუხლები) აწესრიგებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი გარკვევით, არაორაზროვნად ადგენს ქონების სახეს, რომელზედაც ნორმით გათვალისწინებული გათანაბრების უფლება უნდა გავრცელდეს და იგი სხვა დასკვნის ან ნორმის სხვა სახით ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ო-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.